ზაალ ნემსაძე

მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი

თბილისი
2023

ზაალ ნემსაძე:
მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2023. გვ. 220.

რედაქტორი:	**რევაზ მიშველაძე**
ტექნიკური რედაქტორი:	**ლევან ბოჭორიშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	**სოფო ქილიფთარი**
კორექტორი:	**ფიქრია ნემსაძე**

ISBN 978-9941-8-5338-8

წინათქმა

ეს წიგნი ყველა ქრისტიანის ოჯახში უნდა იყოს!

იგი საჭიროა არა მარტო უბრალო მორწმუნეთათვის, არამედ იმ მეცნიერისთვისაც, რომელიც რელიგიის პრობლემებზე მუშაობს.

ცნობილმა მწერალმა, **ნიკო ნიკოლაძის** პრემიის ლაურეატმა, **ზაალ ნემსაძემ** თავისი ენციკლოპედიური ცოდნა, საერთოდ ბიბლიის და კერძოდ, „ახალი აღთქმის“ წიგნებზე გამოიყენა და მორწმუნეთათვის შექმნა ვრცელი ნაშრომი, თუ როდის და სად დაიწერა ოთხი სახარება და ამ სახარებათა შემათავსებელი წიგნები, ვინ იყვნენ ავტორები, სად მოღვაწეობდნენ ისინი და რა ბედი ეწიათ. ვინ იყვნენ მოციქულები და როგორ აღმოჩნდა მათ შორის იუდი ისკარიოტელი.

რაც შეეხება მორწმუნეთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ცალკეულ წმინდანთა ცხოვრებაზე, რასაც ეს წიგნი ემსახურება, უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს რწმენას მათი ცხოვრების მიმართ.

შესავალში ვკითხულობთ:

„მადლობა უფალს, რომ მე, მის უღირს მონას, მომცა ძალა გამესრულებინა ეს ნაშრომი და შემევსო, ოდნავ მაინც, ჩემი მწირი ცოდნა სიცოცხლის წიგნის – „ახალი აღთქმის“ შესახებ. ყველას, ვინც ჩემს, უფლის ცოდვილი მონის წიგნს წაიკითხავს, ვთხოვ ნუ განმსჯის, თუ უფლის მოციქულთა ნაღვაწი გასაგებად ვერ მოვიტანე ადამიანთა გონებამდე.

ქრისტესმიერი სიყვარულით, თქვენი ძმა ზაალ ნემსაძე“.

რატომ ჰქვია წიგნს „მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი“?

იმიტომ, რომ იესო ქრისტე ერთდროულად მეფეც არის, წინასწარმეტყველიც და მღვდელიც.

მაგრამ როგორი მეფეა ქრისტე?

„იესო ქრისტე იყო მეფე მეფეთა შორის. როცა მეფეზე ვსაუბრობთ, როგორი წარმოგვიდგენია იგი? ტახტზე მჯდომი, ოქროს გვირგვინით შემკული, საუკეთესო რაშზე ამხედრე-

ბული უძლიერესი ჯარის სათავეში და აღტაცებული ბრბოს მისასალმებლად ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, მაგრამ იოანე 13.4.20-ში სხვაგვარ მეფეს ვხედავთ – მოწაფეების წინაშე დაჩოქილს, წელზე პირსახოცშემოკრული მათ ფეხებს ბანს. დღესასწაულზე თაყვანის საცემად ამოსულმა ბერძნებმა ფილიპეს უთხრეს: „ბატონო, იესოს ნახვა გვსურს (იოანე 12.21) და როგორ ქრისტეს ვხედავთ აქ?

რატომ მოგვცა უფალმა ეს მაგალითი?

იმისთვის, რომ მოციქულებს და მათ სახით ყველას შეეგნო ერთი რამ: ჭეშმარიტი ხელმწიფის მოწოდება სხვათა მსახურებაა!

ზაალ ნემსაძე ამ წიგნში სათითაოდ განიხილავს ქრისტეს ათ მცნებას და მეცნიერული სიზუსტით გვისურათხატებს, რა იგულისხმება თითოეულ მცნებაში.

როცა ათ მცნებაზე საუბრობს ავტორი, წერს:

„სული უკვდავია, ფიზიკური სხეული კი მოკვდავი და ხრწნადი. ამიტომ, თუ ადამიანი ჩაიდენს ცოდვას წუთისოფელში, იმაზე აგებს პასუხს და სასჯელი იქნება არა ჯარიმის ქვითარი ან ციხის საკანი, არამედ სამუდამოდ წამებული სული. ვიდრე აგვაკანკალებს შიში ღვთის წინაშე, გავიაზროთ. რატომ მისცა უფალმა მცნებანი ადამიანებს“.

რათა ნათქვამი უფრო ადვილად გასაგები გახადოს, **ზაალ ნემსაძე** იქვე განაგრძობს:

„ბევრი ვიცით სულიერების შესახებ? იმ საფრთხეებზე, რომელიც ჩასაფრებულია ცდუნების სახით? სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ჭიდილზე? პრაქტიკულად არაფერი. არადა, სულის სიწმინდის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად, აუცილებელია შევასრულოთ მცნებები, რომლებიც მოგვცა ღმერთმა, ჩვენმა მამამ, თავის საყვარელ შვილებს“.

ვინ არიან მოციქულები პეტრე და პავლე, რა გადახდათ მათ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ; ვინ არის ელია თეზბიტელი; ვინ არიან სახარებათა გმირი ქალები და რა დამსახურება მიუძღვით მათ ქრისტეს წინაშე; ვინ იყო იონა წინასწარმეტყველი;

რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ქრისტიანობა და ბიბლია; რა არის ბიბლიაში ნამდვილი და რა არის ავტორთა ფანტაზიის ნაყოფი; რომელ ენაზე ლაპარაკობდა ქრისტე (ავტორის აზრით არამეულზე); ვინ არის რუთი და რაზე მიგვანიშნებს მისი ცხოვრების გზა; რა ღვაწლი მიუძღვის ანდრია პირველწოდებულს ქართველთა წინაშე?

აი რა საკითხებს ჰფენს ნათელს წინამდებარე ნაშრომი.

და ბოლოს: **ზაალ ნემსაძის** ეს წიგნი იმაზეც კი იძლევა პასუხს, სუფრაზე ღმერთის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ თუ არა. ავტორის სწორი მოსაზრებით რჯულისმიერია არა ფამილარული „ღმერთს გაუმარჯოს“, არამედ პურობის დასაწყისში ყველამ ფეხზე აღდგომით წარმოთქვას: „დიდება უფალს“!

ჩვენთვის წამებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე მუდამ ჩვენთან არის, იგი ყველაფერს ხედავს და ჩვენს ფიქრებსაც კითხულობს.

მაშინ, არ გავუშვათ შანსი ხელიდან, როცა ქვეშეცნეულად ვიგრძნობთ, რომ ქრისტე გვიახლოვდება, საკუთარ თავს ვუთხრათ, ახლა კი დროა, და ვიყვიროთ მთელი ხმით: **„იესო, დავითის ძეო, შემიწყალე!“** ისე, როგორც ბრმა ბარტიმეოსმა იყვირა.

და შენ გეშველება.

შეწყალებული იქნები.

მაგრამ ქრისტეს შეწყალება რომ სთხოვო, ამის მორალური უფლება უნდა გქონდეს, ხოლო ეს უფლება შენი ცხოვრების წესით უნდა მოიპოვო.

სიკეთის ქმნითა და ლოცვით უნდა გაასხივოსნო შენი ცხოვრება.

სწორედ ამას გვასწავლის **ზაალ ნემსაძის** ეს ახალი წიგნი.

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ახალი აღთქმის წიგნებიდან

როცა „საულ, საულ!“ დავამთავრე, მაშინ მივხვდი, რომ „ახალ აღთქმაში“ წიგნები განლაგებულია არა ქრონოლოგიის, არამედ მნიშვნელობის მიხედვით. ვინაიდან ჩემი ნაწარმოები იყო მორიდებული მცდელობა პავლე მოციქულის ღვაწლთან შეხებისა (მაპატიოს უფალმა!), ახლა ვცდი, წმინდანთა (მოციქულთა) ნაღვაწის ქრონოლოგიურად დალაგებას:

1. პავლე მოციქულის პირველი წერილი თესალონიკელთა მიმართ პირველი წიგნია, რომელიც პავლე მოციქულმა დაწერა და ის ითვლება „ახალი აღთქმის“ ყველაზე ადრეულ ეპისტოლედ. დაწერილია კორინთოში 50-51 წ.წ. თესალონიკელთა (ქალაქი საბერძნეთში) მიმართ. შედგება 5 თავისაგან და სხვა თემებს შორის წინა პლანზეა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის გარდუვალობა: „დროზე და ვადებზე საჭირო არ არის რამე მოგწეროთ ძმებო, რადგან თქვენ თვითონაც ზუსტად იცით, რომ უფლის დღე ღამით ქურდივით მოვა“ 1 თესალ. 5:1-2.

2. პავლე მოციქულის მეორე წერილი თესალონიკელთა მიმართ დაწერილია 51-52 წ.წ. პირველი წერილის შემდეგ. აქ არის ერთი ფრაზა, ჩვენთვის ყველასთვის ცნობილი: „ვინაიდან, როცა თქვენთან ვიმყოფებოდით, ამას გამცნებდით: „ვისაც შრომა არ სურს, ის ნულარც ჭამს“. 2. თესალ. 3:10. ანუ ჩვენებურად, ვინც არ მუშაობს, არ ჭამს.

3. გალატელთა მიმართ დაწერილია 53-54 წ.წ. პავლე საბერძნეთი ეფესში (ახლა თურქეთი) იყო, როცა გალატეას (ახლა თურქეთი) ეკლესიებს მისწერა. დასაწყისში პავლე გაკვირვებას გამოხატავს და მიმართავს მათ: „მიკვირს, რომ ასე მალე გადახვედით სხვა სახარებაზე იმისგან, ვინც მოგიწოდათ ქრისტეს მადლით.

არ არსებობს სხვა სახარება, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც არეულობა შეაქვთ თქვენში და სურთ დაამახინჯონ ქრისტეს სახარება“. გალატელთა 1:6-7.

საყურადღებოა, პავლე მოციქულის აზრი ადამიანის გამა-

რთლების შესახებ: „მაგრამ, რაკი შევიტყვეთ, რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა გავმართლდეთ ქრისტეში რწმენით და არა სჯულის საქმეებით, ვინაიდან რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება“. გალ. 2:16 და იქვე, გალ. 2:19-21 „მე რჯულით მოვკვდი რჯულისათვის, რათა ღვთისათვის ვიცოცხლო. მე ქრისტესთან ერთად ჯვარცმული.

მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის.

არ ვუგულებელვყოფ ღვთის მადლს, ვინაიდან, თუ რჯულითაა სიმართლე, აბა, ამაოდ მომკვდარა ქრისტე“.

აი, ეს გახლავთ ქრისტიანის კოდექსი და იქვეა იმის ახსნა, რომ ქრისტიანშია თავისუფლება და თანასწორობა. „ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით.

უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“. გალ. 3:27-28. და იქვე, ჰიმნი თავისუფლებას! „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს“. გალ. 5:1.

...და გენიალური სიბრძნე, რომელიც მოგვიანებით ნოდარ დუმბაძემ გამოიყენა: „შეეშველეთ ერთმანეთს ტვირთის ზიდვაში და ამით აღასრულებთ ქრისტეს რჯულს“. გალ. 6:2.

4. ფილიპელთა მიმართ დაწერილია 54 წელს ეფესში, ხოლო ფილიპელნი მაკედონიის ამ ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ.

აქ ყურადღებას იქცევს, ერთ დროს ქრისტიანთა მმუსრველის, საულის ანუ სავლეს, ქრისტიანთა ქომაგად და განმანათლებლად ქცევის პავლესეული აღიარება: „წინადაცვეთილი ვარ მერვე დღეს, ისრაელის მოდგმისაგან, ბენიამინის ტომისა, ებრაელი ებრაელთაგანი, რჯულით ფარისეველი, მოშურნედ მდევნელი ეკლესიისა, რჯულის სიმართლით უმწიკვლო.

მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, ის წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისთვის.

ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გულისთვის, რისთვისაც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო". ფილიპ. 3:5-8.

5. ფილიმონის მიმართ დაწერილია 54-55 წ.წ. ეფესში. ფილიმონი გავლენიანი და მდიდარი ქრისტიანი იყო, რომელიც პავლემ მოაქცია. წერილის ადრესატი, ფილიმონ მოციქული, სამოცდაათიანელია. ის მეუღლე აპფიასთან ერთად გრიგიის (მცირე აზიის შუაგულში, კაპადოკიას და ლიდიას შორის მდებარეობდა) ქალაქ კოლოსეში ცხოვრობდა. ნათელ იღეს პავლე მოციქულის ხელით და თავიანთი სახლი სამლოცველოდ აქციეს. ფილიმონი ღაზას ეპისკოპოსად იქნა დადგენილი და მთელს ფრიგიაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას. აღესრულენ ნერონის (54-68) მიერ ქრისტიანთა დევნისას. წარმართული დღესასწაულის დროს, ქრისტიანულ ტაძარში, სადაც ღვთისმსახურება აღესრულებოდა, გააფთრებული ბრბო შევარდა. უღმერთოებმა შეიპყრეს ფილიმონი, აპფია და არქიფო. ნაგვემმა არქიფომ წამების ადგილამდე ვერ მიაღწია, გზაში გარდაიცვალა, ცოლ-ქმარი კი მმართველის ბრძანებით ქვებით ჩაჰქოლეს.

მოციქული მიმართავს ფილიმონს და თხოვს, რომ კეთილად მიიღოს მისი ყოფილი მონა ონისიმე. „თუ რამე გაწყენინა ან მართებს, მე მომკითხე". ფილიმ 1-18. ინისიმე ფილიმონის მონა იყო და თავისი ბატონის, მდიდარი ქრისტიანის სახლში ცხოვრობდა. ერთხელ მან რაღაც შესცოდა ბატონის წინაშე, გაექცა სასჯელს და რომს მიაშურა. აქ გაქცეული მონა დაატუსაღეს და საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც შებორკილი პავლე მოციქული დახვდა. მან დამოძღვრა ონისიმე და ნათელი სცა. ახალნათელღებული შვილივით ემსახურებოდა წმინდანს. როცა ციხიდან გათავისუფლდნენ, სწორედ ეს წერილი გაატანა ონისიმეს ფილიმონთან. ფილიმონმა წერილის პასუხად არა მარტო შეუნდო მომავალ წმინდანს, არამედ გაათავისუფლა იგი და

რომში გაგზავნა მოციქულთა თავთან, სადაც ონისიმე ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. პეტრე და პავლე მოციქულების აღსრულების შემდეგ, მან ქადაგებით მოიარა ესპანეთი და აზია, ხოლო ღრმა მოხუცებულობაში ტიმოთეს შეენაცვლა ეფესოს სამღვდელმთავრო კათედრაზე იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს. ონისიმე შეიპყრეს, ჯერ საპყრობილეში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. ერთმა დიდგვაროვანმა და კეთილმსახურმა ქალმა, წმინდა ცხედარი ვერცხლის ლუსკუმაში ჩაასვენა. ეს მოხდა 109 წელს.

6. ეფესელთა მიმართ დაწერილია 54-55 წ.წ. ეფესელ ქრისტიანთათვის ეფესში. ქრისტემ დაანგრია იუდეველთა და წარმართთა შორის ზღუდე, – აღნიშნავს მოციქული, – თქვენ აღარ ხართ უცხოები და ხიზნები, დაიცავით სულის ერთიანობა: „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება, ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში. ხოლო ყველა ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ“ ეფეს. 4:4.

მიატოვეთ ძველი კაცი და შეიმოსეთ ახალი კაცი, _ ბრძანებს პავლე, – იცხოვრეთ ზეციური ცხოვრებით, იცხოვრეთ სიყვარულში. ქრისტე და ეკლესია – ცოლქმრობის მაგალითია: „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი. ისევე, როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი. მაგრამ, როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს – ყველაფერში. მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის“ ეფეს. 5:22-25.

7. კოლასელთა მიმართ დაწერილია 54-55წ.წ. მიმართვაა ქ. კოლასის ქრისტიანებისადმი, დაწერილია ეფესში.

„ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე, ვინაიდან თქვენ მოკვდით და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში. როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ

თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით“. კოლას. 3:2-4. განიშორეთ ძველი, შეიმოსეთ ახლით, რათა სიტყვა ქრისტესი უხვად დამკვიდრდეს თქვენში, – მოუწოდებს პავლე მოციქული კოლასელთ და დარიგებას აძლევს: „როცა ამ წერილს წაიკითხავენ თქვენთან, ისე მოიქეცით, რომ ლაოდიკიელთა ეკლესიაშიც წაიკითხონ, ხოლო რომელიც ლაოდიკიელთათვისაა გაგზავნილი, თქვენც წაიკითხეთ“. კოლას. 4:16.

8. პირველი წერილი კორინთელთა მიმართ პავლემ 55 წელს დაწერა ეფესში კორინთელი ქრისტიანებისადმი. ჩემთვის ცნობილი გახდაო, – წერს მოციქული, – რომ თქვენს შორის დავააო. „მე ვგულისხმობ, რომ ყოველი თქვენგანი ამბობს: მე პავლესი ვარ, მე აპოლოსი, მე კეფასი, მე კი ქრისტესიო. განა გაიყო ქრისტე? განა პავლე ჯვარს ეცვა თქვენთვის? ან პავლეს სახელით მოინათლეთ?“ I კორნ. 1:12-13. ჯვარცმული ქრისტე ღვთის ძალაა და სიბრძნე, – წერს მოციქული, – მე კი ვახარებ მხოლოდ ჯვარცმულ ქრისტეს და ვქადაგებ არაადამიანურ სიბრძნეს შესწავლილი სიტყვებით: „მე დავრგე, აპოლომ მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა. ამიტომ არც დამრგველია არაფერი, არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი“ I კორნ. 3:6-7.

მოციქული მოუწოდებს წერილის ადრესატებს, რომ არ იქონიონ ურთიერთობა გარყვნილ ხალხთან, ხარბებთან, კერპთაყვანისმცემლებთან, მაგინებლებთან, ლოთებთან და მტაცებლებთან. „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა“. I კორ. 6.19:20.

შემდეგ პავლე საუბრობს უქორწილონზე და ნაქორწილარნზე და არიგებს, თითოეული მოიქცეს ისე, როგორც ღმერთმა უწილხვედრა, სხეულის დათრგუნვაზე და იმათზე, რომელთაც ეგონათ რომ იდგნენ, მაგრამ დაეცნენ. მოუწოდებს განერიდონ კერპთაყვანისმცემლებს და არ ეძებონ თავის სარგებელი. ასწავლის ლოცვის წესებს და უფლის სერობის წეს-

რიგს და ეუბნებათ, რომ ნიჭი სხვადასხვანაირია, მაგრამ სული იგივეა, ერთია. „რადგან, როგორც სხეული ერთია, მაგრამ მრავალი ასო აქვს და სხეულის ასო, თუმცა ბევრნი არიან, ერთი სხეულია, ასევეა ქრისტეც. მაგრამ, – აგრძელებს პავლე, – სიყვარულის გარეშე, რაც არ უნდა ჩავიდინო, მთელი ქონებაც რომ დავარიგო და სხეული დასაწვავად გავწირო, არაფრად ვარგივარ. ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. და მთავარი: „ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“. წერილის დასასრულს პავლე მოციქული სვამს კითხვას: როგორ აღდგებიან მკვდრები? „არის ციური სხეულები და არის მიწიერი სხეულები, მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა – სხვა. სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისაგან დიდებით. ასევე მკვდრეთით აღდგომაც: ითესება ხრწნილებით და აღდგება უხრწნელობით. ითესება დამცირებით და აღდგება დიდებით. ითესება უძლურებაში და აღდგება ძალით. ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული. არის მშვინვიერი სხეული და არის სულიერი სხეული“. I კორინთ. 15:40-44. იმის დასამტკიცებლად, რომ უფლის საქმეში მტკიცე და შეურყვნელობა, რომ ფუჭი საქმე არაა, პავლე მოციქული ბრძანებს: „ხოლო, როცა ეს ხრწნადი უხრწნელობით შეიმოსება და ეს მოკვდავი – უკვდავებით, მაშინ ახდება დაწერილი სიტყვა: „სიკვდილი შთაინთქა ძლევით“. „სად არის სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა?“ სიკვდილის ნესტარია ცოდვა, ხოლო ცოდვის ძალა რჯულია. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“. I კორინთ. 15:54-57.

9. მეორე წერილი კორინთელთა მიმართ დაიწერა მაკედონიაში 56 წელს. აქ პავლე ძმურად არიგებს კორინთელებს და საკუთარი მაგალითებით აღაფრთოვანებს უფლის სამსახურისთვის. მოციქული ჰყვება, რომ მრავალჯერ იყო საპყრობილეში და მრავალგზის სიკვდილის პირად; ხუთჯერ მიიღო

იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა; სამჯერ კვერთხით სცემეს, ერთხელ ჩაქოლეს, სამჯერ გემი დაემსხვრა და დღე და ღამე შუა ზღვაში დაჰყო; შრომა უწევდა გაჭირვებაში, შიმშილსა და წყურვილში, ხშირ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში... დასასრულს კი აღნიშნავს: „მართლაც სასარგებლო არ არის ჩემთვის კვეხნა, ვინაიდან მივალ უფლის ხილვებთან და გამოცხადებებთან. ვიცი კაცი ქრისტეში, რომელიც თოთხმეტი წლის წინად, არ ვიცი, სხეულში, არ ვიცი სხეულის გარეთ, ღმერთმა იცის, ატაცებულ იქნა მესამე ცამდე. ვიცი ასეთ კაცზე, სხეულში იყო, თუ სხეულის გარეშე, არ ვიცი, ღმერთმა იცის, – რომ ის ატაცებულ იქნა სამოთხეში და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა ნებადართული არ აქვს ადამიანს. ასეთი კაცით დავიკვეხნი, ჩემი თავით კი არ დავიკვეხნი, მხოლოდ ჩემი უძლურებით. ხოლო თუ მოვისურვებ დავიკვეხნო, უგუნური არ ვიქნები, ვინაიდან ჭეშმარიტებას ვიტყვი. მაგრამ თავს ვიკავებ, რათა არავინ ჩამთვალოს უფრო მეტად, ვიდრე ჩემში ხედავს ან ჩემგან ისმენს, რათა არ გავმედიდურდე მეტისმეტი გამოცხადებებით, ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რათა დამქენჯნოს, რათა არ გავმედიდურდე. სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განმაშოროს იგი. და მითხრა: „გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემი უძლურებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში. ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში. შეურაცხყოფაში, გაკვირვებაში, დევნაში და შევიწროვებაში ქრისტეს გულისთვის, ვინაიდან, როცა უძლური ვარ, მაშინა ვარ ძლიერი“ II კორ. 12:1-10.

10. რომაელთა მიმართ დაწერილია კორინთოში 57 წელს. წიგნი იწყება ძმური მოკითხვით და რომში მალე ჩასვლის სურვილით და ხაზგასმით, რომ სახარება არის ღვთის ძალა, რომ უწმინდურნი ვერ გაექცევიან ღვთის რისხვას, რომ ღმერთთან არ არის მიკერძოება: „მათ ვინც კეთილი საქმის გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას, პატივსა და უხრწნელობას – საუკუნო

სიცოცხლეს, ხოლო მათ, ვინც ჯიუტობას და ჭეშმარიტებას კი არ ემორჩილება, არამედ უსამართლობას – რისხვასა და გულისწყრომას, რადგან ღმერთთან არ არსებობს მიკერძოება“. რომ. 2:7-8;11.

მოციქული წუხს, რომ იუდეველები დანაშაულით სახელს უტეხენ ღმერთს, თუმცა უპირატესობა აქვთ სხვა ხალხთან შედარებით: „დიდია უპირატესობა ყოველნაირად, უპირველეს ყოვლისა: მათ აქვთ მინდობილი ღვთის სიტყვები“ (რომ. 3:2), მაგრამ არავინაა მართალი, ნგრევა და უბედურებაა მათ გზაზე, ღვთის შიში არ არის მათ თვალწინ, ხოლო უსასყიდლოდ მართლდებიან მხოლოდ ქრისტე იესოში გამოსყიდვით „რომელიც წინდაწინ დააყენა ღმერთმა შენდობის მსხვერპლად რწმენის მეშვეობით, მისსავე სისხლში, რათა უწინ ჩადენილ ცოდვათა მიტევების მეოხებით გამოჩენილიყო მისი სიმართლე, ღვთის სულგრძელობაში“ (რომ. 3:25). პავლე აღნიშნავს, რომ ქრისტეში მონათლულები მოვუკვდით ცოდვებს და რჯულს, ...„რათა ვემსახუროთ ღმერთს განახლებული სულით და არა დაძველებული ასოთი“ (რომ. 7:6), „რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“ (რომ. 8:2). წარმართებმა რწმენით, ხოლო იუდეველებმა საქმეებით ვერ მაიღწიეს სიმართლის რჯულს, რადგან სამართალი და ხსნა მხოლოდ რწმენაშია. ამიტომ უძღვენით თქვენი სხეული ცოცხალ მსხვერპლად: „ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის მოწყალებით, რომ შესწირეთ თქვენი თავი ცოცხალ და წმიდა, ღვთისთვის სასურველ მსხვერპლად – თქვენი გონივრული მსახურება“ (რომ. 12.1).

სიყვარული არის რჯულის აღსრულება, – გვეუბნება პავლე, – რადგან სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს. ამიტომ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და გულისთქმად ნუ გაიხდით ხორცზე ზრუნვას. არასდროს განიკითხო და დაამცირო შენი ძმა და ნურც ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც შენს ძმას აცდუნებს და საერთოდ, მიიღეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ მიგიღოთ.

11. იაკობ მოციქულის წერილი 62 წლამდეა შექმნილი.

ძნელი გასარჩევია, რომელი იაკობია – ზებედეს ძე თუ ალფერსის ძე. ორივე თორმეტ მოციქულთა რიცხვს ეკუთვნის. კიდევ იყო ერთი იაკობი, უფლის ძმა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, რომელიც 62 წელს მიიცვალა. წიგნში ხაზგასმულია, რომ რწმენის გამოცდა შობს მოთმინებას, განსაცდელი სიხარულით უნდა გადავიტანოთ, უფლის სიტყვის მსმენელთ, მისი შესრულებაც გვევალება, პირფერულად მოქცევა ცოდვაა და რწმენა საქმის გარეშე მკვდარია. „რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე“ (იაკობი 3:26).

12. პირველი წერილი ტიმოთეს მიმართ დაწერილი 63-64 წ.წ. მაკედონიაში. ტიმოთე გახლდათ ეფესის პირველი ეპისკოპოსი. აქ მოცემულია ბრძნული დარიგება-მიმართვა, რომ არ ასწავლონ სხვა რამ და „არ შეაჩერონ ყურადღება ზღაპრებზე და დაუსრულებელ საგვარტომო ნუსხებზე, რომლებიც დავას უფრო იწვევენ, ვიდრე ღვთიურ განგებულებას რწმენაში (I ტიმოთე 1:4). პავლე მოუწოდებს ტიმოთეს, რომ დაიცვას რწმენა და წინ აღუდგეს ღვთის მგმობელთ, მათ შორის, ვინმე ჰიმენევსსა და ალექსანდრეს.

აქვე მოციქული პავლე აყალიბებს ჩაცმულობისა და ყოფაქცევის წესებს დედაკაცებისთვის. „დედაკაცი უნდა სწავლობდეს მდუმარებაში ყოველგვარი მორჩილებით... ადამი კი არ შემცდარა, არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა. თუმცაღა გადარჩება შვილების შობით, თუ იდგება რწმენაში, სიყვარულში და სიწმიდეში კდემამოსილებით“ (I ტიმოთე 2:11. 14-15). პავლე პირობებს და ქცევის წესებს უყენებს ეპისკოპოსებს და დიაკვნებს და იძლევა გაფრთხილებას ცრუმოძღვრების წინააღმდეგ, აყალიბებს წესებს: პირადი მოპყრობის შესახებ, ქვრივების მიმართ, ხუცესებისადმი მოპყრობის შესახებ და აფრთხილებს: „ო, ტიმოთე, გაუფრთხილდი მიბარებულს, განერიდე ამქვეყნიურ ლაყბობას და ეგრეთწოდებული მოძღვრების უკუღმართ დებულებებს, ზოგიერთებმა რომ აღიარეს და რწმენას ჩამოშორდნენ. მადლი შენთან. ამინ“. (I ტიმოთე 6:20-

21). როგორც მოგახსენეთ, ტიმოთე ეფესის პირველი ეპისკოპოსი გახლდათ. თავად პავლ;ე მოციქულმა დაასხა ხელი და იგი 15 წლის განმავლობაში კეთილად განაგებდა თავის სამწყსოს.

ერთხელ ეფესოში წარმართებმა დიდი ზეიმი გამართეს ცრუღმერთების პატივსაცემად. ისინი კერპებს ქუჩაში დააატარებდნენ უსჯულო რიტუალების და სიმღერების თანხლებით, რაც ამაზრზენ სანახაობას ქმნიდა. საღვთო შურით ანთებული ტიმოთე შეეცადა, შეეჩერებინა და დაემოძღვრა გონებადაბინდული, უღმერთო ბრბო. გაავებული კერპმსახურები კი მიაწყდნენ წმინდა მღვდელმთავარს, გვემეს, მინაზე ათრიეს და ბოლოს ქვებით ჩაქოლეს (80 წელი). ტიმოთე მოციქულის უხრწნელი ნაწილები IV ს. პატივით გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმინდა მოციქულთა სახელობის ტაძარში დაადბრძანეს.

13. პავლე მოციქულის წერილი ტიტეს მიმართ დაწერილია 63-64 წ.წ. მაკედონიაში. ტიტე გახლდათ კრეტის ეპისკოპოსი.

დასაწყისში პავლე უხსნის ტიტეს, როგორი უნდა იყოს ეპისკოპოსი და ხუცესი და მოუწოდებს, ამხილოს იუდეველთა ზღაპრები კრეტაზე. „ყურად არ იღონ იუდეველთა ზღაპრები და იმ კაცთა მცნებანი, ვინც განერიდა ჭეშმარიტებას“ (ტიტე 1:14), აუხსნას მოხუცებს და ჭაბუკებს მოვალეობანი: „შეახსენე მათ: დაემორჩილონ და მოუსმინონ განმგებელთ და ხელისუფალთ. მზად იყვნენ ყოველგვარი კეთილი საქმისთვის (ტიტე 3:1). ასწავლის ტიტეს, რომ კინკლაობას განერიდოს, არ ჩაერთოს სულელურ პაექრობაში, პირველი და მეორე შეგონების მერე, განერიდოს მწვალებელს. „იცოდე, რომ ასეთი კაცი გაირყვნა და სცოდავს: მისმავე თავმა დასდო მსჯავრი (ტიტე 3:11). თავის დროზე ტიტემ საკუთარი თვალით იხილა განკაცებული ღმერთი, მოისმინა მისი ქადაგება და ირწმუნა, რომ მის წინ აღთქმული მესია იდგა. სულთმოფენობის დღეს შემოკრებილ ხალხში მდგარ წმინდანს ესმოდა, თუ როგორ ალაპარაკდა სულიწმიდის მადლით თორმეტი მოციქული სხვადასხვა ენაზე (საქმე 2.11) ტიტემ პავლეს ხელით იღო ნათელი და მისი უახლო-

ესი მოწაფე შეიქნა. მისი ხელდასხმით გახდა კრეტის ეპისკოპოსი დაახლოებით 65 წელს. როცა პყრობილი პავლე რომში ჩაიყვანეს კეისრის სამსჯავროზე, წმინდა ტიტემ დროებით დატოვა ეპარქია და რომში ჩავიდა, რომ სულიერი მამისთვის სამსახური გაეწია: მისი მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ კი ნეტარი კრეტის მთავარ ქალაქს პორტინას დაუბრუნდა.

ერთ დროს ტიტემ უფალს შესთხოვა, არ დაეშვა ზევსის მშენებარე წარმართული ტაძრის განსრულება და იგი, მართლაც დაინგრა.

ნეტარი ტიტე მიიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, 94 წლის ასაკში, სიკვდილის წინ მისი სახე მზესავით გაბრწყინდა.

14. წერილი ებრაელთა მიმართ 63-64 წ.წ. შეიქმნა. მას მოციქულ პავლეს მიაწერენ, თუმცა ბევრს ეეჭვება. იმაზე კი არავინ კამათობს, რომ წერილი 70 წლამდეა შექმნილი. პავლე მოციქულის 14 ეპისტოლედან ერთ-ერთი უდიდესია და შედგება 13 თავისაგან. რადგან დიდ მსგავსებას იჩენს პავლე მოციქულის სინაგოგებისა და სინედრიონის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებთან, უკვე მეოთხე საუკუნიდან მისი ავტორობა, როგორც მოგახსენეთ, პავლეს მიეწერება.

პავლე მოციქული მიმართავს იუდეველთაგან მოქცეულ ქრისტიანებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ სატაძრო მსახურების ზოგიერთ ძველ აღთქმისეულ ფორმას, რაც იდეურ სჯულზე დაბრუნების საშიშროებას ქმნიდა, ანდა უკეთეს შემთხვევაში, ახლისა და ძველის აღრევის საშიშროებას: „მეორე დღეს პავლე ჩვენთან ერთად შევიდა იაკობთან და ყველა უხუცესიც მოვიდა. პავლემ მოიკითხა ისინი და დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ღმერთმა მოახდინა წარმართებს შორის მისი მსახურებით. მათ კი, ეს რომ მოისმინეს, ადიდეს ღმერთი და უთხრეს მას: „ხედავ, ძმაო. რამდენი ათასი მორწმუნეა იუდეველთა შორის“ და ყველანი რჯულის მოშურნენი არიან. შენზე გაიგეს, რომ მოსესგან განდგომას ასწავლი წარმართებში მცხოვრებ ყველა იუდეველს და ამბობ, რომ არ უნდა წინადაცვითონ თავინთ შვილებს და არც წეს-ჩვეულებებს უნდა მისდიონო. აბა,

რა ვქნათ? ნამდვილად შეიყრება ხალხი, შენს მოსვლას რომ გაიგებენ. ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გეტყვით: ჩვენ გვყავს ოთხი კაცი, რომელთაც აღთქმა აქვთ დადებული. წაიყვანე ესენი, მათთან ერთად განიწმინდე, გაიღე მათი ხარჯები, რათა თავი გაიკრიჭონ და გაიგებს ყველა, რომ, რაც შენზე გაუგიათ, სულ ტყუილია, და რომ შენ თვითონ განაგრძობ რჯულის დაცვას“ (საქ. 21:18-24). ქრისტიანობის წმინდა სულიერი ხასიათი არ შეესაბამებოდა იმას, რასაც ისრაელნი მოელოდნენ მესიის სამეფოდან. ამ ქმედებას, ფაქტობრივად, ქრისტიანობა დაჰყავდა იუდეური სექტის დონემდე.

ამ ეპისტოლეში ავტორი ქრისტიანობისა და იუდაიზმის შედარებითი ანალიზით ამტკიცებს ქრისტიანობის უპირატესობას იუდაიზმზე, რომელიც მისი აზრით, მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი იყო სულიერებისა და ჭეშმარიტი რწმენის აღქმისთვის. ქრისტე უმაღლესია კაცსა და ღმერთს შორის ყველა ძველი აღთქმის შუამავალზე, რომელმაც თავისი სისხლით გვიჩვენა ძალა და მნიშვნელობა გამომხსნელი რწმენისა. ეპისტოლეს მიზანია, დამოძღვროს რწმენაში მერყევნი და არამტკიცენი: „ჩვენ გვაქვს სამსხვერპლო, საიდანაც ჭამის უფლება არა აქვთ კარვის მსახურთ. ვინაიდან ცხოველთა გვამებს, რომელთა სისხლი ცოდვილთათვის შეაქვს მღვდელმთავარს წმიდაში, ბანაკს გარეთ წვავენ. ამიტომ იესოც, რათა განეწმინდა ხალხი თავისი სისხლით, კარიბჭის გარეთ იტანჯა. მაშ, გავიდეთ მასთან ერთად ბანაკიდან გარეთ და ვიტვირთოთ მისი შეურაცხყოფა. ვინაიდან არ გაგვაჩნია აქ მუდმივი ქალაქი, არამედ მომავალს ვეძებთ. მაშ, მისი საშუალებით მუდამ ვწირავდეთ ღმერთს ქების მსხვერპლს, ესე იგი, მისი სახელის აღმსარებელ ბაგეთა ნაყოფს (ებრაელთა 13:10-15).

15. მათეს სახარება. მათე იყო თორმეტიდან ერთ-ერთი მოციქული. ცნობილია, რომ მან სახარება უფლის ზეცად ამაღლებიდან 8 წლის შემდეგ დაწერა (დასრულებულია 41 წელს). სახარება დაწერილია ებრაული ენის ასირიულ-ქალდეურ, ანუ არამეულ დიალექტზე, რომელიც მაშინ საერთო-სახალხო ენას წარმოადგენდა

მთელს პალესტინაში, თუმცაღა პირვანდელი სახით ჩვენამდე მოღწეული არ არის, არამედ გვაქვს ბერძნული თარგმანი.

სახარების ძირითადი თემაა – იესო ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ქადაგებები. წიგნის განსაკუთრებულობა იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი განკუთვნილია ებრაელი აუდიტორიისთვის – სახარების ნაწილები აგებულია ძველი აღთქმის მესიანისტურ გზავნილებზე, რომელიც უნდა აღსრულდეს იესო ქრისტეს მიერ.

სახარება იწყება იესო ქრისტეს გენეალოგიით, რომელიც აღმავალი ხაზით მიემართება აბრაამიდან იოსებ დამწინდველამდე, ღვთისმშობელ მარიამის ქმრამდე. მსგავსი გენეალოგია არსებობს ლუკას სახარებაშიც.

მეხუთე თავიდან მეშვიდემდე ნაწილი წარმოგვიდგენს იესოს მთაზე ქადაგების ყველაზე უფრო სრულყოფილ სურათს, რომელზეც დაეფუძნა ქრისტიანული სწავლება, მათ შორის, ღთვისმსახურება (5:2-11) და ლოცვა „მამაო ჩვენო“ (6:9-13).

„მან გახსნა ბაგე, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა:

ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან.

ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

ნეტარ არიან სიმართლისთვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან.

ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.

ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ღვთის ძეებად იწოდებიან.

ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა.

ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირად ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო“ (5:2-11); (6:9-13): „თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი;

მოვედინ სუფევა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;

პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს,

და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა ჩვენთა;

და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ“.

მახარებელი მხსნელის სიტყვებსა და ქადაგებებს წარმოადგენს სამ ნაწილად, მესიის სამმხრივი მსახურების შესაბამისად: როგორც წინასწარმტყველის და კანონმდებლის (5-7 თავები), როგორც ხილული და უხილავი სამყაროს მეფის (8-25 თავები) და როგორც ყველა ადამიანის ცოდვათა ამღების და საკუთარი თავის მსხვერპლად შემწირველი პირველი მღვდელმთავრის (26-27 თავები). მათეს სახარება შედგება 28 თავისაგან, თითოეული თავი კი, თავის მხრივ, შედგება რამდენიმე ტექსტისგან.

თუმცა მთელი სახარება (და საქმეები) წარმოადგენს ანონიმური ტექსტებს, ძველი საეკლესიო ტრადიცია წმინდა მოციქულ მათეს მიიჩნევს ერთ-ერთ ავტორად, როგორც თვითმხილველსა და იესო ქრისტეს თანამიმდევარს: „იქაურობას რომ გაშორდა, იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე და უთხრა მას: „გამომყევი“. ისიც წამოდგა და გაჰყვა მას“ (მათე 9:9). ეს ტრადიცია დამოწმებულია მეოთხე საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის ევსევი კესარიელის მიერ.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ მათეს სახარება შეიქმნა რიგით პირველი, ზოგი მიიჩნევს, რომ იგი რიგით მეორეა მარკოზის სახარების შემდეგ.

16. პეტრეს პირველი წერილი შექმნილია რომში 64-67 წ.წ. და ეძღვნება ყველა ქრისტიანს. ავტორად პეტრე მოციქულის აღიარება საეჭვოდ არ მიაჩნიათ (განსხვავებით მისი მეორე ეპისტოლისაგან). როგორც აღვნიშნეთ, მოციქულმა ეს ეპისტოლე დაწერა რომში, რომელსაც სიმბოლურად ბაბილონს უწოდებს: „მოგიკითხავთ თანარჩეული ეკლესია ბაბილონისა და მარკოზი, ჩემი ძე“ (5:13), ამ ეპისტოლით მოციქულს სურს, განუმტკიცოს რწმენა თანამოძმეებს ისრაელის 12 ტომიდან, რომლებიც მცირე აზიის ეკლესიებში იტანჯებიან ცრუმოძღვართა მიერ გაჩაღებული შინასაეკლესიო განხეთქილებით.

ეპისტოლე შედგება ხუთი თავისაგან: მასში საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: რწმენის სიმტკიცე, უკეთურ ცოდვათაგან განშორება, იერარქიული მორჩილება, გულმოდგინება, მეუღლეთა ურთიერთობები და სხვა.

17. პეტრეს მეორე წერილი დაწერილია რომში 64-67 წ.წ. თუმცა არის ვერსია, რომ ეპისტოლე პირველი საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება და პეტრესთან საერთო არაფერი აქვს. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ეპისტოლე მაინც პეტრე მოციქულს ეკუთვნის და დაწერილი უნდა იყოს მისი სიცოცხლის ბოლოს, როგორც ეს ჩანს თავად ნაშრომიდან: „რადგანაც ვიცი, რომ მალე უნდა დავუტევო ჩემი კარავი, როგორც მაუწყა ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ (II პეტრე 1:14).

ეპისტოლე შედგება სამი თავისაგან. იგი პეტრეს ანდერძის შინაარსისაა. მორწმუნეებს აფრთხილებს, არ ენდონ ცრუმოძღვართ, რომლებიც ახალმოქცეულებს ხორციელ ვნებებში ჩაითრევენ თავისუფლებისა და დაუსჯელობის სატყუარებით და რომლებიც უტიფრობით უარყოფენ კაცობრიობის მხსნელს, მაცხოვარს და მის მეორედ მოსვლას. ქრისტიანებმა თავიანთი უმწიკვლო ცხოვრებით უნდა გააბათილონ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდება და ქრისტეს მეორედ მოსვლას უნდა შეხვდნენ ამქვეყნიურობისაგან შეუბილწველნი და თავისი მაღალი მოწოდების ღირსნი: „ხოლო თქვენ, საყვარელნო, რაკიღა წინასწარ იცით ეს, ფრთხილად იყავით, რათა

არ ჩაგითრიოთ უკეთურთა ცდომილებამ და არ გიღალატოთ თქვენმა სიმტკიცემ. არამედ იზარდეთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლითა და შემეცნებით. დიდება მას აწ და მარადის. ამინ“ (3:17-18).

ეპისტოლე განმსჭვალულია მაცხოვრის მოახლოებული დიდებით მოსვლის იმედით და მისი მოძღვრებით ახალი სამყაროს შექმნის მოლოდინით. „ხოლო ჩვენ, აღთქმისამებრ, მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვირდება სიმართლე“ (3:13).

18. მეორე წერილი ტიმოთეს მიმართ დაწერილია პავლეს მიერ 66-67 წ.წ. რომში. შედგება ოთხი თავისაგან. ტიმოთე პავლეს უახლოესი მოწაფე იყო. ეპისტოლე დაწერილია რომის საპყრობილეში, მოწამეობრივი აღსასრულის მოლოდინში. პავლე ტიმოთეს სთხოვს, მალე ჩავიდეს მასთან, წამოიღოს ტროაში დატოვებული მისი წიგნები და მოსასხამი და წამოიყვანოს მარკოზი, რომელიც მას სჭირდება მსახურებისთვის. ამ წერილში წარმოდგენილია ანდერძი მემკვიდრეებისადმი ღვთის მსახურებისა და ქრისტეს მოძღვრების დაცვის საქმეებში. „კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე“ (2 ტიმ. 4:7). აი, ეს უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრების ლოზუნგი.

ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეები თავისი შინაარსით მსგავსია ტიტეს მიმართ ეპისტოლისა, რადგან პავლე მოციქული თითქმის მსგავსი შინაარსის მითითებებს იძლევა ორივე მათგანში. ამიტომ, მათ „სამოძღვრო ეპისტოლეებს“ უწოდებენ.

19. მოციქულთა საქმეები 70 წელსაა დაწერილი. მოგვითხრობს ქრისტეს ამაღლებისა და სულთმოფენობის შემდეგ ქრისტეს მოწაფეთა ე.ი. მოციქულთა სამისიონერო მოღვაწეობაზე. წიგნის ავტორად ითვლება ლუკა მოციქული, რომელმაც რომში შექმნა ეს ნაშრომი. „საქმეებს“ განიხილავენ აგრეთვე, როგორც ისტორიული ხასიათის ქმნილებას. ეს წიგნი კათოლიკე ეპისტოლეებთან და პავლე მოციქულის ეპისტოლეებთან ერთად შეადგენს კრებულს, რომელსაც „სამოციქულო“ ეწო-

დება. „საქმენი მოციქულთანი“ „სამოციქულოსთან“ ერთად განმარტა იოანე ოქროპირმა (407 წ.), ხოლო თარგმნა ეფრემ მცირემ (XI ს.).

იოანე ოქროპირი (349 წ.. ანტიოქია – გ. 14 სექტემბერი, 407, კამანი, დას. საქართველო.).

ეფრემ მცირე (XI საუკუნე – გარდაიცვალა დაახლოებით 1101 წელს) წიგნის ქართველთა გაქრისტიანების შესახებ ავტორი.

20. იუდა მოციქულის წერილი შექმნილია 70 წელს.

ეს არ არის იუდა ისკარიოტელი. ეს სახელი მოციქულებში ბევრს ერქვა. მიაწერენ იუდა თადეოზის ძეს, 12 მოციქულიდან ერთ-ერთს. ეს გახლავთ გაფრთხილება უწმინდური მიმდევრების წინააღმდეგ: „ვაი მათ, რადგან კაენის გზით მიდიან, საზღაურისათვის აჰყვნენ ადამის ცდომილებას და ჯიუტობით იღუპებიან, როგორც კორახი“ (იუდა 1:11). იუდა მოუწოდებს თანამოაზრეებს უშველონ განსაცდელში მყოფთ: „ერთნი – დაეჭვებულნი შეიწყალეთ. სხვანი ცეცხლიდან გამოტაცებით იხსენით, სხვანი შიშით ამხილეთ და ხორცისაგან გაბინძურებული პერანგიც კი შეიზიზღეთ“. (იუდა 1:22-23).

21. მარკოზის სახარება დაიწერა ქრისტეს ამაღლებიდან 10 წლის შემდეგ, ანუ 43 წელს რომში. მარკოზი იყო მოწაფე და მიმდევარი პეტრესი, რომელსაც პეტრე თავის სულიერ შვილს უწოდებდა, ასევე იწოდებოდა იგი იოანე ღვთისმეტყველის მიერ. მარკოზი ბარნაბა მოციქულის ძმისწული იყო და პავლე მოციქულის თანამგზავრი, უმეტესად კი პეტრესთან იმყოფებოდა, რომელთანაც ერთად ჩავიდა რომში. მორწმუნენი სთხოვდნენ, არა მხოლოდ ექადაგა მათთვის, არამედ გადმოეცა კიდეც ქრისტეს ცხოვრება და საქმეები წმინდა წერილით. იგი დათანხმდა და დაწერა კიდევაც. ღმერთმა პეტრეს გამოუცხადა, რომ მარკოზმა დაწერა სახარება. პეტრემ განიხილა რა სახარება, დაამოწმა, რომ იგი ჭეშმარიტია. შემდეგ გაგზავნა მარკოზი ეპისკოპოსად ეგვიპტეში, სადაც მან დააფუძნა ალექსანდრიის ეკლესია და განანათლა ყველა „შუადღის ქვეყნის“ მცხოვრებნი. ნეტარი

თეოფილაქტე ბულგარელის (1050? – XII ს.-დან) განმარტებით, ამ სახარების გამორჩეული თვისებებია არსებითი სიცხადე და არსებობა რაიმე ძნელად გასაგებისა. ამასთან, მოცემული მახარებელი თითქმის ემთხვევა მათეს, გარდა იმისა, რომ მათეს მიერ დასაწყისში მოხსენიებულია ქრისტეს ხორციელი შობის შესახებ. მარკოზ მოციქულმა წინასწარმეტყველ იოანეთი დაიწყო. აქედან ზოგიერთნი, არც თუ უსაფუძვლოდ, ხედავენ შემდგომ მინიშნებას მახარებელში. უფალმა მჯდომარემ ქერუბიმთა ზედა, რომელთაც წმინდა წერილი ოთხსახოვნად წარმოგვიდგინეს (ეზეკ. 1,11), ოთხგვარი სახარება მოგვცეს, რომელიც ერთი სულითაა შთაბერილი. ამგვარად, თითოეული ქერუბიმის ერთი სახელწოდება ლომის მსგავსად, მეორე – ადამიანის მსგავსადაა, მესამე – არწივისა, ხოლო მეოთხე – ხბოსი. ასეა სახარების ქადაგების საქმეშიც: იოანეს სახარებას აქვს ლომის სახე, ვინაიდან ლომი არის სახე სამეფო ძალაუფლებისა. ასევე იოანემაც დაიწყო სამეფო და სამეუფეო ღირსებით, ღმერთის სიტყვით, თქვა: „პირველთაგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუჲ იგი“. მათეს სახარებას აქვს ადამიანის სახე, რადგან იგი იწყება სიტყვის ანუ ქრისტეს ხორციელი შობით და განკაცებით. მარკოზის სახარება შედარებულია არწივთან, რადგან იგი იწყება წინასწარმეტყველებით იოანეზე: ხოლო ნიჭი წინასწარმეტყველების მადლისა, ისევე როგორც მახვილი მზერისა და შორეული მომავლის ჭვრეტისა, შეიძლება არწივს შევადაროთ, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ იგი დაჯილდოვებულია ყველაზე მახვილი მზერით, ისე, როგორც ერთადერთი ყველა სულდგმულს შორის, თვალმოუჭუტავად უმზერს მზეს. ლუკას სახარება ხბოს მსგავსია, რადგან იწყება ზაქარიას ღვთიმსახურებით, რომელიც ერის ცოდვების გამო გუნდრუკს აკმევდა. მაშინ მსხვერპლად ხბოსაც სწირავდნენ. ამგვარად, მარკოზი იწყებს სახარებას წინასწარმეტყველებით და წინასწარმეტყველებს ცხოვრებით. სახარებათა სიღრმისეული განმარტებისთვის იხილეთ ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის ნაშრომები (დაბ. 1050-1060

წ.წ. შორის; გარდაცვალება უცნობია, თუმცა ზოგიერთი მისი წერილი XII ს.-ის დასაწყისს მიეკუთვნება).

22. ლუკას სახარება. მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ის შეიქმნა მათესა და მარკოზის სახარებების შემდეგ იოანეს სახარებამდე. ტრადიცია წიგნის შექმნას მიაწერს 60 წელს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ 70-80 წ.წ. ან 80-100 წ.წ. შეიქმნა. ძველი საეკლესიო გადმოცემის თანახმად, სახარების ავტორი ლუკა მახარობელია, მოციქულ პავლეს მოწაფე. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ მისი შექმნილია მოციქულთა საქმენიც. ამას ამტკიცებს მსგავსი ლიტერატურული სტილი და ენობრივი თავისებურებანი. ქრისტიანული ტრადიცია თვლის, რომ ლუკა შედიოდა ქრისტეს 70 მოციქულს შორის.

ლუკას სახარების მთავარი თემაა – იესო ქრისტეს, ძე ღვთისას ცხოვრება და ქადაგებანი. სახარება დაწერა ქრისტიანთათვის და მიმართულია თეოფილეს და წმ. პავლეს მიერ დაფუძნებული ახალი ქრისტიანული საზოგადოების მიმართ.

ლუკა ძირითადად აღწერს ქრისტეს ცხოვრების ისტორიულ მხარეს. გვიამბობს დიდი რაოდენობით ქრისტეს იგავებს. შესაბამისად, სიმბოლოების რაოდენობით ეს სახარება ახალი აღთქმის ყველაზე გრძელი წიგნია. თხრობა იწყება იოანე ნათლისმცემლის მამის ზაქარიას შესახებ ცნობებით და თავად იოანეს დაბადებიდან. სხვა დანარჩენი სახარებები იწყება ქრისტეს დაბადებიდან (მათე), ან უკვე იოანე ნათლისმცემლის ქადაგებიდან (მარკოზი, იოანე). მხოლოდ აქ ვხვდებით ინფორმაციას იოანე ნათლისმცემლის მშობლების შესახებ, ქალწულ მარიამის ელისაბედთან, იოანეს დედასთან სტუმრობაზე, აგრეთვე ინფორმაციას ახალდაბადებული ჩვილისადმი მწყემსთა თაყვანისცემის შესახებ. ასევე 12 წლის იესოს ტაძარში ყოფნის შესახებ. მხოლოდ აქ ვხვდებით ღვთივშთაგონებულ წინასწარმეტყველურ გალობას, ახალი აღ\თქმის პირველ საგალობელ ჰიმნს „ადიდებს სული ჩემი უფალს“. ამავე სახარებას უნდა ვუმადლოდეთ წმინდა სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ანგელოზებრივ საგალობელს. „აწ განუტევე მონაი შენი, მეუ-

ფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრება შენი“, რომელიც უძველესი დროიდან შევიდა ღვთისმსახურების საგალობელთა სიაში. ლუკა მახარობელი, განსაკუთრებული სახით ხაზს უსვამს ქრისტეს მზრუნველობას უბრალო ადამიანების მიმართ. ამ სახარებაში უფრო მეტია იგავები, კონკრეტულად ადამიანებზე და მათ ამქვეყნიურ ურთიერთობებზე. მახარობელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მონანიეთა შემწყნარებლობაზე. მაგ: „უძღები შვილის იგავი“; „დაკარგული დრაჰმის იგავი“; „მეზვერე და ფარისევლის იგავი“; „იგავი ორ მოვალეზე“; „იგავი უსარგებლო ლეღვის ხეზე“; „იგავი მოღალატე მმართველზე“ და ა.შ. აი, ერთი ამათგანი:

„ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად – ერთი ფარისეველი და მეორე მებაჟე. ფარისეველი იდგა და თავისთვის ლოცულობდა: გმადლობ, შენ, ღმერთო, რომ არა ვარ, როგორც სხვა ადამიანები არიან – მძარცველები, უსამართლონი, მრუშნი, ან როგორც ეს მებაჟეა.

კვირაში ორჯერ ვმარხულობ და მეათედს ვაძლევ ყოველი ჩემი შენაძენიდან. ხოლო მებაჟე მოშორებით იდგა და ვერც კი ბედავდა, რომ ცისკენ მიეპყრო თვალი. მკერდში იცემდა და ამბობდა: ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი.

თქვენ გეუბნებით: ეს უფრო გამართლებული წავიდა შინ, ვიდრე იგი, ვინაიდან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება და ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება (ლუკა 18:10-14).

23. იოანეს გამოცხადება ანუ გამოცხადებაი წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყველისა იოანესი. ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები. ხშირად მოიხსენიება, როგორც აპოკალიფსი (ბერძნ.) – გაშიშვლება, გახსნა, გამჟღავნება, გამოცხადება. შექმნილია 68-69 წ.წ. იოანე მოციქულის მიერ და აღწერილია წუთისოფლის უკანასკნელი დღეები.

იოანე იყო ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგანი და ყველაზე

ახალგაზრდა მოციქული. ყველა მოციქული იოანეს გარდა, მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. ქრისტესთვის იოანეც ევნო, თუმცა მას განსხვავებული წილი ერგო: კუნძულ პატმოსზე გადასახლებაში ყოფნისას, უფალი გამოეცხადა და უთხრა: „მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, რასაც ხედავ, დაწერე წიგნში და დაუგზავნე შვიდ ეკლესიას...“ ამ წიგნში წინასწარმეტყველება და უკანასკნელ დღეთა ამბები ძირითადად აღწერილია სიმბოლურად: მაგ: წერილები შვიდი ეკლესიისადმი, შვიდი ბეჭედი, ოთხი მხედარი, შვიდი საყვირი, ღვთის მძვინვარების შვიდი თასი, არმაგედონი, სიცოცხლის წიგნი, ცხოველის რიცხვი – 666, ბაბილონი – დიდი მეძავი, მხეცი შვიდი თავითა და ათი რქით. ათი მეფე, ათასწლოვანი სამეფო, ახალი იერუსალიმი, ძვირფასი ქვები, სიცოცხლის ხე...

ქრისტიანთა რწმენით „იოანეს გამოცხადება“ შეიცავს ღრმა საიდუმლოებებს. უფალი იესო ქრისტე კვლავ მოვა ამქვეყნად და განსჯის ქვეყანას, თუმცა როდის მოხდება ეს, გაურკვეველია. მას მოელოდნენ პირველი ქრისტიანები და მას მოველით დღევანდელი ქრისტიანები. „სული და სასძლო ამბობენ „მოდი!“ გამგონემაც თქვას: „მოდი!“ მწყურველი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წუთი.

მე ვამოწმებ ყველასთვის, ვისაც ესმის ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვები: თუ ვინმე რამეს დაუმატებს ამას, ღმერთი გაუმრავლებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს. თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხიდან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია დაწერილი. ამის მამოწმებელი ამბობს: „ჰე, მალე მოვალ!“ ამინ. ჰე, მოდი, უფალო იესო!

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მადლი ყველა წმიდასთან. ამინ“ (გამოცხადება 22:17-21).

24. იოანეს სახარება. მეცნიერთა დიდი უმრავლესობა თხზულების შექმნის თარიღად ასახელებს 80-95 ან 90-110 წლებს. ახალი აღთქმის მეოთხე წიგნი, ქრისტიანული ტრადიციის თა-

ნახმად დაიწერა იოანე მახარებლის, ქრისტეს საყვარელი მოწაფის მიერ. თვით ტექსტში არის მინიშნება _ იოანე 21:20-24: „შემობრუნდა პეტრე და დაინახა, რომ უკან მოსდევდა მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს, სწორედ ის, სერობისას მის მკერდზე მიყრდნობილმა რომ უთხრა: უფალო, ვინ გაგცემს შენ?

ეს რომ დაინახა, პეტრემ უთხრა იესოს: უფალო, ამას რა?

უთხრა მას იესომ: თუკი მნებავს, რომ ჩემს მოსვლამდე დარჩეს, შენ რა? შენ მე გამომყევ.

და გავრცელდა ეს სიტყვა ძმებს შორის, რომ ის მოწაფე არ მოკვდებოდა, მაგრამ იესოს ის კი არ უთქვამს, არ მოკვდებაო, არამედ თუკი მნებავს, რომ ჩემს მოსვლამდე დარჩეს, მერე შენ რაო?

ეს არის ის მოწაფე, რომელიც მოწმობს ამას და რომელმაც დაწერა ეს. და ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია“.

იოანეს სახარება შინაარსით გამოირჩევა სხვა დანარჩენი სამი სახარებიდან. მოწაფეებმა სთხოვეს იოანეს – აღეწერა ის მოვლენები, რაც არ შესულა წინა სახარებებში და სწორედ ამ ჩანაწერებმა შეადგინა მეოთხე სახარება.

ზოგიერთი ექსპერტი ტექსტს 4 ნაწილად ჰყოფს:

1. პროლოგი – ჰიმნები ქრისტეზე, როგორც გახორციელებულ სიტყვასა და მარადიულ ღმერთზე.

2. იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება – ქადაგებანი და სასწაულები.

3. ქრისტეს ვნებანი – პერიოდი საიდუმლო სერობიდან აღდგომამდე.

4. ეპილოგი – აღმდგარი ქრისტეს გამოცხადება მოწაფე-მოციქულებთან.

იოანე ღვთისმეტყველის თხზულება არის ქრისტოლოგიის უმაღლესი დონის ქმნილება, წარმოაჩენს რა იესო ქრისტეს, როგორც მარადიულ ლოგოსს (სიტყვას, სიბრძნეს, მიზეზს), რომელიც არის საწყისი ყველა მოვლენისა, საუბრობდა რა მის მიწიერ ცხოვრებაზე, როგორც კაცობრიობის მხსნელის და აცხადებდა რა მას ღმერთად.

25. იოანეს პირველი წერილი – დაწერილია ეფესში პირველი საუკუნის ბოლოს და მიმართულია მცირე აზიელი (ახლა თურქეთი) ქრისტიანებისადმი. ეპისტოლე შედგება ხუთი თავისგან. იოანე გვიხსნის ქრისტიანობის არსს, რომლის საფუძველია მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობა. მიმართავს მორწმუნეებს მამობრივი დარიგებებით, თუ როგორ უნდა გამოვიცნოთ ეკლესიაში შემოპარული ანტიქრისტიანული სულის მატარებელნი და ჩვენ თვითონ როგორ დავიცვათ თავი ცოდვებისგან, როგორები უნდა ვიყოთ ღვთის სიყვარულში და როგორ გვიყვარდეს მოყვასნი და ძმანი: „ვინც ამბობს, რომ ნათელშია, თავისი ძმა კი სძულს, იგი კვლავ ბნელში იმყოფება. ვისაც თავისი ძმა უყვარს, იგი ნათელში რჩება და საცდური არ არის მასში. ის კი, ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება და ბნელში დადის და არ იცის, საით მიდის, ვინაიდან სიბნელემ დაუბრმავა თვალები“ (I იოანე 2:9-11).

26. იოანეს მეორე წერილი დაწერილია პირველი საუკუნის ბოლოს ეფესოში იოანეს მიერ და ითვლება ახალი აღთქმის ყველაზე მოკლე წიგნად.

იოანე მიმართავს თავის თანამემამულეებს, ქრისტეს მცნებათა ამღიარებელ ყველა მორწმუნეს. შედგება ერთი თავისგან. იოანე ღვთისმეტყველი აფრთხილებს მორწმუნეებს დაიცვან თავი „მრავალმაცდუნებელთა და ანტიქრისტიანთაგან, რომელნი უკვე მოვიდნენ ქვეყნად“, იდგნენ ჭეშმარიტების დასაცავად და ქრისტეს მცნებათა ნათელში ვიდოდნენ. აქვე იოანე მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანის ცხოვრების წესი ეკლესიის დაცემის დღეებში. „თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც ვიღვწოდით, არამედ მივიღოთ სრული საზღაური.

ყოველს, ვინც შორდება და არ მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში, არა ჰყავს ღმერთი. ქრისტეს მოძღვრებაში მყოფს მამაც ჰყავს და ძეცა“ (8 იოანე 1:8-9).

27. იოანე მოციქულის მესამე წერილი შექმნილია ეფესში და ითვლება ახალი აღთქმის ბოლო, ყველაზე გვიან წიგნად. წმი-

ნდა იოანე მიმართავს თანამემამულეებს, ქრისტეს მცნებათა ამღიარებელ ყველა მორწმუნეს. შედგება ერთი თავისაგან. ეპისტოლე უფრო პირადული ხასიათისაა, ვიდრე პირველი ორი და გამიზნულია ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად, ხაზგასმულია ცალკეულ ხუცესთა სხვა ხუცესებზე თვითამაღლების ბოროტება, აღნიშნულია მორწმუნეთა დაყოფა სასულიერო და საერო პირებად. მესამე ეპისტოლეში საუბარია ყოველი ადამიანის, როგორც ადგილობრივი ეკლესიის წევრის, პირადი მოვალეობის შესახებ. „საყვარელო! ნუ ბაძავ ბოროტს, არამედ კეთილს მიბაძე. კეთილის მოქმედი ღვთისაგან არის, ბოროტის მოქმედს კი ღმერთი არ უხილავს“ (3 იოანე 1:11).

მადლობა უფალს, რომ მე, მის უღირს მონას, მომცა ძალა, განმესრულებინა ეს ნაშრომი და შემევსო, ოდნავ მაინც, ჩემი მწირი ცოდნა სიცოცხლის წიგნის – „ახალი აღთქმის“ შესახებ. ყველას, ვინც ჩემს, უფლის ცოდვილი მონის წიგნს წაიკითხავს, ვთხოვ ნუ განმსჯის, თუ უფლის მოციქულთა ნაღვაწი გასაგებად ვერ მოვიტანე ადამიანთა გონებამდე.

ქრისტესმიერი სიყვარულით, თქვენი ძმა,
ზაალ ნემსაძე.

ცაბაოთ უფალი

ღმერთის ურთიერთობა ისრაელთან და საერთოდ, კაცობრიობასთან ხელშეკრულებაზე, შეთანხმებაზე, აღთქმაზეა აწყობილი. პირველი ასეთი აღთქმა დაიდო ღმერთსა და ადამს შორის, შემდეგ კი ასეთივე აღთქმა დაიდო ნოესთან, მელქისედეკთან და აბრაამთან. თუ თანამედროვე ენით ვიტყვით, ნოესთან აღთქმის დადების დროს უფალმა სანქციები შეარბილა კაცობრიობის მიმართ ჩვენივე კეთილდღეობისთვის: „იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი.

ვიდრე ქვეყანა იქნება – არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება (დაბად. 8:21-22).

იესოს მობრძანებისას უკვე მოქმედებდა უფლის აღთქმა აბრაამთან, რომელიც აღწერილი და გადმოცემულია ბიბლიის სხვადასხვა წიგნებში: გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე რჯული.

იესო ქრისტემ კი მამის სახელით ახალი აღთქმა დაუდო კაცობრიობას ახალი პირობებით. კიდევ უფრო ჰუმანური და კაცთმოყვარეობით სრული. ახალი აღთქმის დადების დროს, იესომ წარმოთქვა და ზუსტი ციტირება მოახდინა წინასწარმეტყველი – ერემიასი, რომელიც მრავალი წლის წინად ცხოვრობდა იესო ქრისტემდე: „აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს.

არა ისეთ აღთქმას, რომელიც დავუდევი მათ მამა-პაპას, როცა ხელჩაკიდებული გამომყავდა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან. დაარღვიეს ის ჩემი აღთქმა, თუმცა მე მათი პატრონი ვიყავი, ამბობს უფალი. რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელის სახლს იმ დროის შემდეგ, ამბობს

უფალი. წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები და ისინი ჩემი ერი იქნებიან.

აღარ დაუწყებენ სწავლებას ერთმანეთს, მეზობელი მეზობელს და ძმა ძმას: შეიცანი უფალიო! რადგან ყველას შეცნობილი ვეყოლები დიდიდან პატარამდე, ამბობს უფალი, რადგან ყველას ვაპატიებ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს“ (იერემია 31:30-33).

იესო ქრისტეს მოძღვრება და აღთქმა არის სწორედ იმის დამტკიცება, რომ ხალხის დამოკიდებულება ღმერთთან ასულია უკვე სხვა დონეზე და ეს ყველამ უნდა შეიმეცნოს და შინაგანად შეიცვალოს, რათა თავისი ქმედებით და ყოველდღიური ცხოვრებით აამოს უფალს. „ამაზე გამეღვიძა და დავინახე, რომ მეამა ძილი“ (იერ. 31:25). „ასე ამბობს უფალი, რომელიც გვაძლევს მზეს დღის გასანათებლად, მთვარისა და ვარსკვლავის წესრიგს ღამის გასანათებლად, რომელიც აღძრავს ზღვას და აბობოქრებს მის ტალღებს და რომლის სახელი ცაბაოთ უფალია (იერ. 31:34).

ჭეშმარიტება და სიცოცხლე

ნამდვილი და გადამრჩენელი რწმენა ჩვენი უფლის მიმართ იწყება მაშინ, როცა ადამიანი იგძნობს სულიერ სიცარიელეს, სიბრმავეს და ცოდვებისგან გათავისუფლების საჭიროებას. როცა ხვდები, რომ აღარაფერი დარჩა შენში, აღარაფერი გაქვს საიმისოდ, რომ გადარჩე. ამ დროს თუ იგრძნობ, რომ არსებობს ის, ვინც გადაგარჩენს და ყოველ წამს მზად არის ამისთვის, უკვე გადარჩენის გზაზე დგახარ. მე მისაუბრია მღვდლებთან, რომელთაც ასეულობით ადამიანის აღსარება აქვთ მიღებული და თითქმის ყველა განიცდიდა, რომ უმრავლესობა მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იბრძოდა სულის გადარჩენისთვის. თუმც, ამაში დასაძრახი არაფერია, რადგან უფალი თანაბარი საზღაურით უზღავს მთელი დღის მშრომელსაც და უკანასკნელი ჟამის მუშაკსაც, მაგრამ ხშირად ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ვერ ასწრებ მუშაკობას და მონანიების გარეშე რჩები. ამიტომ არ უნდა დააგვიანო იესოსთან შეხვედრა. ის ყოველთვის შენს გვერდითაა, ლამის ყოველ წამს გეხება, შრომობს შენთვის, უახლოესი მეგობარია, შენი ცოდვებისთვის მოკვდა და შენი სიცოცხლისთვის აღდგა. არავინ გყავს მასზე ძვირფასი და შენ, იმის მაგივრად, დააფასო შენი გადამრჩენელი და მაცხოვარი, ყრუ და ბრმა ხარ მის მიმართ...

მარკოზის სახარების მეათე თავში მოთხრობილია ბრმა ბარტიმეოსის განკურნების შესახებ. მარკოზი 10:46-52.

„მოვიდნენ იერიხონს. იერუსალიმიდან რომ გადიოდა, თავის მოწაფეებთან და დიდძალ ხალხთან ერთად, გზის პირას იჯდა ბრმა მათხოვარი, ტიმეს ძე, ბარტიმეოსი.

როგორც კი ყური მოჰკრა, რომ ეს იესო ნაზარეველიაო, მორთო ყვირილი და ამბობდა: „იესო, დავითის ძეო, შემიწყალე!“

ბევრი უწყრებოდა მას, რომ გაეჩუმებინათ, მაგრამ უფრო მეტად ყვიროდა: „დავითის ძეო, შემიწყალე!“

შედგა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას“. დაუძახეს ბრმას და უთხრეს: „ნუ გეშინია, ადექი, გეძახის“.

მან გადაიგდო მოსასხამი, ადგა და მივიდა იესოსთან.

იესომ მიუგო მას: „რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ ბრმამ უთხრა: „რაბუნი, რომ თვალი ამეხილოს“.

იესომ უთხრა მას: „წადი, შენმა რწმენა გიხსნა“ და მას მყისვე აეხილა თვალი და გაედევნა იესოს გზაზე“.

ყურადღება მიაქციეთ იესოს სიტყვებს: „წადი, შენმა რწმენამ გიხსნა“.

ასეა, უფალი ყოველთვის ხარობს თქვენი რწმენით, რადგან „ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან, ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს (ებრ. 11:6).

„ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია“ (ეფეს. 2:8).

როცა ბარტიმეოსმა იესოს სიახლოვე იგრძნო, ის მიხვდა, რომ ხსნა ახლოს იყო... იესოს სახელი მაშინ მთელ იუდეას პირზე ეკერა და ბრმა მათხოვარს, რომელიც გზის გასაყარზე იჯდა და ირგვლივ მილეთის ხალხი ირეოდა, ბევრი რამ სმენოდა ქრისტეს სწავლებისა და სასწაულების შესახებ. უეჭველია, მას გაეგონა იერიქონშივე მცხოვრები, მებაჟეთა უფროსის, უმდიდრესი ზაქეს შესახებ, როდესაც იგი იესოს ხილვის აუტანელი სურვილით ატანილი ლეღვის ხიდან უჭვრეტდა უფალს და მისი წყალობა რომ დაემსახურებინა, ქონების ნახევარი დაურიგა ღარიბებს. ზაქემ რწმენით მიიღო უფალი და გადარჩა. რასაც ისმენდა უფლის შესახებ, ბარტიმეოსის რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებდა და ერთ მშვენიერ დღეს, ბრმის მახვილ სმენას მისწვდა ხალხის შორეული ხმაური და ფეხების ტყაპატყუპი. იგრძნო, რომ ხალხის დიდი ბრბო უახლოვდება: „ნუთუ იესო მობრძანდება? მხოლოდ მას დაჰყვება უამრავი ხალხი“, – გაიფიქრა ბარტიმეოსმა. დიახ, ასე იყო. გამვლელ-გამომვლელმა მისი ვარაუდი დაუდასტურა: ქრისტე იერიქონიდან იერუსალიმს მიბრძანდებოდა.

ან ახლა, ან არასოდეს! შემოსძახა ბრმას შინაგანმა ხმამ. შენი დრო დადგა! გამოიყენე ის! დღესვე, ამ წუთას, ამ წამს! ხმაური მოახლოვდა, ზედ მოადგა და უცებ გაისმა განწირული, თითქოს წყალწაღებულის განმგმირავი ღრიალი: „იესო, დავითის ძეო, შემიწყალე!“.

ამ ღრიალით შეშფოთებული, შეიძლება შეშინებულნიც, უწყრებოდნენ და აჩუმებდნენ მას, მაგრამ ის ჩირად არავის აგდებდა, უფრო მეტი ხმით ყვიროდა, რადგან იცოდა ამ წუთების და ამ შეხვედრის მთელი სიდიადის შესახებ. მოკვდებოდა და ხსნის ამ უნიკალურ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. არც გაუშვა! სრულიად გამოიყენა თავისი ფიზიკური შესაძლებლობები და მისაღები მიიღო. და არა მარტო! გაუნათდა არა მარტო თვალები, არამედ მთავარი – სული. დიახ, მისი სული გადარჩა!

ასეა ჩემო ქრისტესმიერო დებო და ძმებო! ასეთ შესაძლებლობას ყველას გვაძლევს უფალი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. ბარტიმეოსივით გამოიყენეთ იგი, რომ მერე არ ივაგლახოთ: „ეჰ, მე რომ მცოდნოდა, რომ ეს იყო ერთადერთი, ხომ გამოვიყენებდი. ახლა კი გვიანიაო“. თუ გვიანაა, შე კარგად სამყოფო და ამ დასკვნამდე მიხვედი, წამითაც ნუ გადადებ დროს ხსნისას, რომ მერე უკვე სამუდამოდ არ იყოს გვიან!..

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ქრისტე იერუსალიმს მიუახლოვდა, შეხედა ქალაქს და... „როცა მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა ამის გამო.

და თქვა: „ნეტავ ამ დღეს მაინც გცოდნოდა, რაც სამშვიდობოა შენთვის, მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენს თვალთაგან.

რადგან დაგიდგება დღეები, როცა მტრები შენს წინააღმდეგ აღმართავენ ზვინულს, შემოგახტებიან და შეგავიწროვებენ ყოველი მხრიდან.

მიწასთან გაგასწორებენ შენ და შენს შვილებს შენში. ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ შენში, რადგან არ შეიცანი შენი მონახულების ჟამი“ (ლუკა. 19:41-44).

აი, ამ „შენი მონახულების ჟამის“ დროულ შეცნობაშია ხსნა!

ყურადღება მიაქციეთ, როცა ბარტიმეოსი უფალს ეძახის, როგორ ცდილობენ ირგვლივ მყოფნი ამ ხმის ჩახშობას და როგორ აჩუმებენ მას. ვინ იყვნენ ისინი? ძირითადად რელიგიური ხალხი, რომელიც იერუსალიმში მიდიოდა პასექის დღესასწაულზე. თითქოსდა ისინი სხვაგვარად უნდა მოქცეოდნენ ბრმას. მხარი უნდა დაეჭირათ მისთვის, ყოფა შეემსუბუქებინათ. ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. იქნებ მათ ეგონათ, რომ უმჯობესი იყო, ბარტიმეოსი დარბაისლურად, ყვირილისა და აღელვების გარეშე ხლებოდა ქრისტეს, თუმცა უფლისადმი ცოცხალმა და ყოვლისმომცველმა რწმენამ ააყვირა და ააღელვა ბარტიმეოსი. საეჭვოა, მათ სცოდნოდათ, რომ ისინი უფრო ბრმები იყვნენ, ვიდრე გზაზე მჯდარი მათხოვარი: „ურწმუნოთათვის, რომელთაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა, იმისი, ვინც უხილავი ღვთის ხატია“ (II კორინთ. 4:4).

ამ ხალხის დიდი ნაწილი, ისრულებდნენ რა საკუთარ მოთხოვნილებებს და ვნებებს, არ აცნობიერებდნენ, რომ თავად იყვნენ სულით ბრმანი და დაღუპვის პირას იდგნენ: „ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი (გამოცხ. 3:17).

ეს ბრმა მიმართავს იესოს პირადად, შუამავალის გარეშე. ცოდვილის გულწრფელმა და გულმხურვალე ლოცვამ და მიმართვამ, მიაღწია ღმერთამდე. იესო შეჩერდა და ბრძანა, დაეძახათ მისთვის, რადგან „...ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყველაფერი და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი, ამბობს უფალი. აი, ვის მივაპყრობ მზერას – გლახას თუ სულგამწარებულს, ჩემი სიტყვების მოშიშს“ (ესაია 66:2).

როცა იესოსკენ გარბის, ბარტიმეოსი მოსასხამს გადაიგდებს, ინძარცვავს, იშორებს იმას, რაც ზედმეტია მისი აზრით. არადა ეს მისი სიმდიდრეა, ერთადერთი, მართალია ძველი, მიგლეჯილ-მოგლეჯილი, მაგრამ მეტი არაფერი აქვს. ახლა ეს მას

აღარ სჭირდება. მას მაცხოვარი იხმობს და უნდა წავიდეს. აი, რა არის ნამდვილი რწმენა!

აი, ასე ეძახის იესო ყველა დაბადებულს. გადააგდეთ თქვენი ძველი, დახეული და ცოდვებით დამძიმებული სამოსი, ყველაფერი სხვაც, რაც ხელს გიშლით უფალთან მისვლაში. მიეახლე უფალს, ვითარცა ბარტიმეოსი, ყველაფრისგან თავისუფალი. გახსოვდეს: როცა სურვილი სინამდვილედ ექცა, ბრმადყოფილი იესოს გაჰყვა. და გაჰყვა არა იმისთვის, რომ სხვათა დასანახად ყოფილიყო მისი ამალის წევრი, არამედ იმ მიზნით, რომ მასთან ერთად გაევლო ეკლიანი გზა. ყველა სხვა გზას დაღუპვისკენ მიჰყავს ადამიანის სული. იესომ ბრძანა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოანე. 14:6).

მოციქულები

იესოს უახლოეს 12 მოწაფეს მოციქულებს უწოდებენ. სახარების მიხედვით, დედამიწაზე ყოფნის დროს იესომ თავად აირჩია ისინი. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილია ახალ აღთქმაში.

პეტრე მოციქული – ეს სახელი უფალმა უწოდა და „კლდეს“ ნიშნავს. დაბადებიდან კი სიმონი ერქვა. ის მეთევზე იყო კაპერნაუმში. ქრისტე მას ორჯერ ეწვია სახლში, განკურნა მისი სიდედრი ცხელებისაგან.

უფალმა ნება დართო პეტრეს წყალზე გაევლო. პეტრემ პირველმა ირწმუნა, რომ იესო ღვთის ძე იყო. თუმცა ის იყო პირველი, რომელმაც უარყო ქრისტე გეთსამანიის ბაღში დაპატიმრების შემდეგ.

ჩადენილი მოციქულმა მყისვე მოინანია, ამიტომ შეწყალებულ იქნა უფლისაგან, რომელიც მუდამ მზად არის ცოდვილი სულის შესანდობად, თუ შეინანიებს შეცოდებას. უფრო მეტიც, ქრისტემ პეტრე მოციქულთა თავად აქცია და ჩააბარა კლიტენი ცათა სასუფეველისანი.

ანდრია – პეტრეს ძმაა. ვიდრე იესოს შეხვდებოდა, იოანე ნათლისმცემელის მოწაფე იყო. გადაწყვიტა იესოს გაჰყოლოდა მაშინვე, როგორც კი ნათლისმცემელმა აუწყა, რომ ქრისტე ღვთის კრავია. მიიღო პირველწოდებულის სახელი.

იოანე – ერთ-ერთი სახარების და კიდევ რამდენიმე ნაშრომის ავტორია. ცნობილია, როგორც ღვთისმეტყველი, რადგან წმინდა წერილებში იესო ქრისტეს ბევრი სიბრძნე მისი ავტორობითაა გადმოცემული.

ესეც იოანე ნათლისმცემელის მოწაფე იყო. გახდა ქრისტეს ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე საყვარელი მოწაფე. საიდუმლო სერობის დროს, იესოს დაპატიმრების წინ, უფლის მკერდზე იყო მიყრდნობილი.

მოციქულებს შორის მხოლოდ მას ეყო ძალა და ვაჟკაცობა,

გოლგოთაზე მისულიყო. იყო დაკითხვაზე პილატე პონტოელთან და მღვდელმთავრების წინაშე.

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მარიამ ღვთისმშობელი სწორედ იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა. ეს მოწაფე ერთადერთია მოციქულებიდან, რომელიც ღრმა მოხუცებულობაში ჩვეულებრივი გარდაცვალებით აღესრულა.

იაკობ ზებედეს ძე – მეთევზე გალილეის ზღვაში. უწოდებენ „უფროსს“, რათა გაარჩიონ მეორე მოციქულ იაკობისგან. იოანესთან და პეტრესთან ერთად გახდა უფლის ფერისცვალების მოწმე თაბორის მთაზე, აგრეთვე დაესწრო ლამის ყველა იმ მოვლენას, რაც კი ქრისტეს ღვთაებრიობას ამტკიცებს.

ფილიპე – ვიდრე მოციქული გახდებოდა, ბედსაიდაში ცხოვრობდა. სწორედ მასთან განიხილა უფალმა, როგორ გამოეკვება რამდენიმე ათასი ადამიანი, ორი თევზით და ხუთი პურით.

ბართლომე, იგივე ნათანაელი – გალილეას კანას მცხოვრები. ცნობილია იესოს სიტყვები მასზედ, რომ იუდეველია, ცბიერების გარეშე (მზაკვრობის გარეშე).

თომა – „ურწმუნოს“ სახელითაა ცნობილი. ვიდრე უფლის ჭრილობებში თავად არ ჩაჰყო ხელი, მანამ არ ირწმუნა მკვდრეთით აღდგომა. თუმცა ბევრი განსაკუთრებულად ჩინებული თვისება ჰქონდა. მისგან მოდიოდა ინიციატივა, ბოლომდე გაჰყოლოდნენ ქრისტეს, თუნდაც დაღუპულიყვნენ ამის გამო.

თომა იყო პირველი, რომელმაც მაცხოვარს ღმერთი უწოდა.

მათე – პირველი სახარების ავტორი. მებაჟე იყო, გადასახადების ამკრეფი, თუმცა ყველაფერი მიატოვა და პირველი დაძახებისთანავე გაჰყვა იესოს.

იუდა იაკობის ძე – ითვლება უფლის ძმად. იოსების შვილი პირველი ქორწინებიდან. თავად უარყოფდა და ამბობდა, რომ არ აქვს უფლება „ღმერთის ძმად“ იწოდებოდეს, რადგან ადრე უარყოფდა იესოს ღვთაებრივ ბუნებას.

იაკობ ალფეზის ძე – იოსების კიდევ ერთი შვილი, უფროსი. მოციქული იუდა იაკობის ძის ძმა. ხშირად იგი ეშლებათ ია-

კობ უმცროსში, რომელიც გახლდათ იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი.

სიმონ კანანელი – იესოს მოწაფე. გალილეას კანაში, ქორწილში, სადაც ქრისტემ პირველი სასწაული მოახდინა, წყალი ღვინოდ გადააქცია, სიძე ბრძანდებოდა.

იუდა ისკარიოტელი – მოღალატე, რომელმაც გასცა უფალი. ეს მან მოიყვანა ჯარისკაცები იესოს დასაპატიმრებლად გედსამანიის ბაღში.

მატათიას არჩევა – მოციქულთა თავყრილობაზე კენჭისყრით ის აირჩიეს მოციქულად იუდა ისკარიოტელის ნაცვლად. უფლის აღდგომის შემდეგ ქადაგებდა იუდეასა და იერუსალიმში. სჩადიოდა სასწაულებს, კურნავდა კეთროვნებს და ავადმყოფებს.

მათემ ასე აღწერა თორმეტის არჩევა მოციქულებად: „მოუწოდა თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ხელმწიფება არაწმინდა სულებზე, რომ განედევნათ ისინი და განეკურნათ ყოველგვარი სენი და ყოველგვარი უძლურება.

ეს არის იმ თორმეტი მოციქულის სახელები: პირველი სიმონი, პეტრედ წოდებული და ანდრია, მისი ძმა, იაკობ ზებედეს ძე და მისი ძმა იოანე,

ფილიპე და ბართლომე, თომა და მათე მებაჟე, იაკობ ალფეს ძე და ლებეოსი, რომელსაც ეწოდა თადეოზი,

სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი“ (მათე 10:1-4).

(მარკოზი 3:16-19)

„ამოარჩია თორმეტი: ზედმეტ სახელად მისცა სიმონს პეტრე; იაკობ ზებედესას და იოანეს, იაკობის ძმას, უწოდა ბანერგეს, რაც ნიშნავს ქუხილის ძეებს;

ანდრია და ფილიპე, ბართლომე და მათე, თომა და იაკობ ალფესი, თადეოზ და სიმონ კანანელი.

და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი“.

ლუკამ კი ასე აღწერა თორმეტის არჩევა:

„დილა რომ გათენდა, მოიხმო თავისი მოწაფეები და ამოირ-

ჩია მათგან თორმეტი, რომელთაც მოციქულები უწოდა.

სიმონი, რომელსაც პეტრე შეარქვა, მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე.

მათე და თომა, იაკობ ალფესი და სიმონი, რომელსაც მოშურნე ერქვა,

იუდა იაკობის ძე და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა“ (ლუკა. 6:13-16).

იოანე კი თავის სახარებაში ასე აღწერს იესოს პირველად დამოწაფების ისტორიას:

„მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი.

დაინახა მომავალი იესო და თქვა: „აჰა, ღვთის კრავი“.

ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს.

იესო მობრუნდა, დაინახა, რომ მიჰყვებიან და უთხრა მათ:

„რას ეძებთ?“ ხოლო მათ უთხრეს: „რაბი (რაც თარგმანით ნიშნავს: მოძღვარს, სად ცხოვრობ?“.

უთხრა მათ: „წამოდით და ნახავთ“. წავიდნენ და ნახეს, სადაც ცხოვრობდა. ის დღე მასთან დაჰყვეს. იქნებოდა დაახლოებით მეათე საათი.

ერთი ამ ორთაგანი, რომელმაც იოანესგან მოისმინა და გაჰყვა მას, იყო ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი.

მან პირველად თავისი ძმა სიმონი ნახა და უთხრა: „ჩვენ ვიპოვეთ მესია“ (რაც თარგმანით ნიშნავს ქრისტეს).

მიიყვანა იგი იესოსთან. შეხედა მას იესომ და უთხრა: „შენ ხარ სიმონი, იოანეს ძე. ამიერიდან შენ გერქმევა კეფა (რაც თარგმანით ნიშნავს კლდეს).

მეორე დღეს მოისურვა გალილეას წასვლა, იპოვა ფილიპე და უთხრა იესომ: „გამომყევი“.

ხოლო ფილიპე ბეთსაიდიდან იყო, ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან.

ფილიპემ იპოვა ნათანაელი და უთხრა „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც წერდა სჯულში მოსე და აგრეთვე წინასწარმეტყველნი: იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან“.

უთხრა მას ნათანაელმა: „განა ნაზარეთიდან რაიმე სიკეთე შეიძლება იყოს?“ ფილიპემ უთხრა: „წამო და ნახე“.

იესომ რომ დაინახა მისკენ მიმავალი ნათანაელი, თქვა მასზე: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა“.

ნათანაელმა ჰკითხა: „საიდან მიცნობ?“. იესომ მიუგო: „ვიდრე ფილიპე დაგიძახებდა, ლეღვის ქვეშ მყოფი, დაგინახე“.

ნათანაელმა უპასუხა მას: „რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ ისრაელის მეფე“ (იოანე. 1:35-49).

ღმერთს ეცი თაყვანი!

იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და მისი სამართლიანი სამსჯავროს წინ წარდგომამდე მოვა ანტიქრისტე, რომელიც წარმოადგენს ეშმაკის ბოროტების განსაკუთრებულ გამოვლინებას (იარაღს). როდის მოხდება ეს და რა იქნება ამ მოვლინების მოახლოების ნიშნები.

პირველი – სახარების ფართო გავრცელება ანუ მისი ქადაგება ყოველი დაბადებულისთვის: „ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული“ (მათე 24:14).

მეორე – გამოჩნდებიან ცრუქრისტეები: „ვინაიადან ბევრნი მოვლენ და ჩემი სახელით იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ“ (მათე 24:5) და „...მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს„ (მათე/ 24:11).

მესამე – მორალური გათახსირება და დაცემა: „და რაკი გამრავლდება ურჯულობა, მრავალს გაუნელდება სიყვარული“ (მათე 24:12).

მეოთხე – დამანგრეველი, გამანადგურებელი ომები: „ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს, იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ და იქნება შიმშილი, და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ“ (მათე. 24:6-7).

მეხუთე – ბუნებრივი (ბუნების კატაკლიზმები): „შიმშილნი და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ„ და „და იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე,. ხოლო დედამიწაზე – ხალხთა შეჭირვება შფოთში, ზღვის ხმაურისა და აზვირთების გამო“ (ლუკა. 21:25).

მოციქულ იოანეს თქმით „ვინ არის ცრუ, თუ არა იგი, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? იგი ანტიქრისტეა უარმყოფელი მამისა და ძისა“ (I იოანე 2:22).

მოციქული პავლე ანტიქრისტეს უწოდებს „უსჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა“. „არანაირად არ გაცდუნოთ ვინმე, ვინაიდან ის დღე არ დადგება, სანამ ჯერ განდგომილება არ მოვა და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა“ (II თესალ. 2:3). სხვათა შორის, იგი მოვა „სატანის მოქმედებით, ყოველგვარი ყალბი ძალით, ნიშნებითა და სასწაულებით“ (II თესალ. 2:9).

ანტიქრისტეს სახელი უცნობია, მაგრამ ვიცით მისი რიცხვი – 666. მისი სახელის რიცხვითი ზუსტი ექვივალენტი. ამ თემაზე უამრავი სპეკულაციაა არა მარტო სექტანტებს შორის, არამედ მართლმადიდებლობასთან დაახლოებულ საზოგადოებაშიც, სადაც რეგულარულად იწერება ბუკლეტების სახით თუ სოციალურ ქსელში, ახალ-ახალი „აღმოჩენები და მიღწევები“ ამის ირგვლივ, რაც ზოგჯერ უაზრობაშიც კი გადადის ტექნიკის უახლესი მიღწევების მიმართ. ზოგი მობილურ ტელეფონებს ებრძვის, ზოგი – კომპიუტერს, ზოგი მასონებს, ოღონდ არ იცის სად და როგორ ეძებოს ისინი.

ახალ აღთქმაში კი ანტიქრისტეზე სწერია:

1. მოვა იგი... „წინასააღდგომო და აღზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღმერთად და სამსახურებლად. ისე რომ, ღვთის ტაძარშიც კი დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და თავს ღმერთად გამოაცხადებს“ (II თესალ 2:4) „მე მოვედი მამაჩემის სახელით და არ მღებულობთ. თუ სხვა ვინც მივა თავისი სახელით, მას მიიღებთ (იოანე 5:43). მიიღებთ და ბრძოლას დაიწყებს რელიგიის წინააღმდეგ და მისი დამახასიათებელი ნიშანი – ღვთის გმობა იქნება. „მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი. მიეცა მას ხელმწიფება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ.

გახსნა მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებულნი“ (გამოცხ. 13:5-6).

2. ღმერთად გამოაცხადებს თავს: „წინააღმდგომი და აღზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღრმად და სამსახურებლად. ისე რომ, ღვთის ტაძარშიც კი დაჯ-

დება იგი, როგორც ღმერთი და თავს ღმერთად გამოაცხადებს“ (II თეს. 2:4).

3. მას ეყოლება ცრუწინასწარმეტყველნი, რომელნიც „...მოახდენენ დიდ სასწაულებს და ნიშნებს, რათა რჩეულნიც შეაცდინონ, თუკი შეძლებენ“ (მათე 24:24).

4. დამყარდება ეგრეთწოდებული სატანოკრატია ანუ მის ხელში იქნება რელიგიური და პოლიტიკური ხელისუფლება: „ნება მიეცა მას, რომ ეომა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე. მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე“ (გამოცხ. 13:7).

5. მისი ხელისუფლება გასტანს 42 თვეს, სამწელნახევარს, 1260 დღეს (გამოცხ. 12:6). ანუ ზუსტად ემთხვევა იესოს საზოგადოებრივ მსახურების ხანგრძლივობას დედამიწაზე.

6. ყველა, ვინც მას არ დაემორჩილება, განადგურდება: „მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცს“ (გამოცხ. 13:15).

7. ეკლესია იძულებული იქნება „უდაბნოში დაიმალოს“ (გამოცხ. 12:1-6): „დედაკაცი კი გაიქცა უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღვთისაგან, რათა იქ გამოეკვებათ იგი ათას ორას სამოც დღეს“ (გამოცხ. 13-6) და ევქარისტია არ შეწყდება მეორედ მოსვლამდე: „რადგან, ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, აუწყეთ უფლის სიკვდილი, ვიდრე მოვიდოდეს (I კორ. 11:26).

8. სატანური ძალაუფლება ცალკეულ წმინდანებსაც კი დაამარცხებს: „ნება მიეცა მას, რომ ეომა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე (გამოცხ. 13:7).

მაგრამ... მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე სამუდამოდ და საბოლოოდ დაამარცხებს ანტიქრისტეს „რომელსაც უფალი იესო გაანადგურებს თავის ბაგეთა სულით და განაქარვებს თავისი მოსვლის გამოცხადებით“ (II თეს. 2:8).

ჩვენი მხსნელის უპირობო გამარჯვების შემდეგ კი შედგება ქრისტეს სასამართლო, რომლის შემდეგაც ერთგული მორწმუნენი და უფლის შვილნი იხილავენ ახალ ცას და ახალ მიწას:

„მიჩვენა სიცოცხლის წყლის მდინარე, ბროლივით ჭვირვალი, რომელიც ღვთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა“ (გამოცხ. 22:1).

„ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და არც მზის ნათელი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ 22:5).

და მოციქულმა იოანემ, უფლის უსაყვარლესმა მოწაფემ, როცა იხილა და აღწერა ყოველი ეს „გამოცხადებაში“, მუხლი მოიყარა იმ ანგელოზის ფერხთით, რომელმაც აჩვენა ყოველივე ეს. ანგელოზმა კი „მითხრა: „ნუ იზამ ამას, ვინაიდან მე თანამსახური ვარ შენი და შენი წინასწარმეტყველი ძმებისა და იმათი, ვინც იცავს ამ წიგნის სიტყვებს. ღმერთს ეცი თაყვანი“ (გამოცხ. 22:9).

ვთხოვ უფალს, იმის ძალა და გონება მოგვცეს თითოეულ ჩვენგანს, გავმართლებულიყავით მისი სასამართლოს წინაშე, ვინაიდან „უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“.

ათი მცნება

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

2. არ ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღე იგი შაბათთაი და წმიდაყავ იგი: ექუს დღე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა.

5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა.

6. არა კაც-კლა.

7. არა იმრუშო.

8. არა იპარო.

9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა.

10. არა გული გითქუმოდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გათქუმიდეს სახლისა მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყავლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოველი, რაი იყოს მოყუასისა შენისა.

(გამოსვლათა 20:1-17).

სამწუხაროდ, ყველა როდი ვაცნობიერებთ, რომ ათი მცნება, რომელიც უფალმა მოგვცა, პრაქტიკულად საკანონმდებლო აქტებზე მეტია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სულიერი დონის და წონასწორობის შენარჩუნებისთვის.

კანონები და კონსტიტუციები რომ არ არსებობდეს, მსოფლიოს ქაოსი და ანარქია წალეკავდა. კანონის გარეშე, ნებისმიერი, საკუთარი პოზიციის დასაცავად და გასამყარებლად,

ძალას, ცემა-ტყეპას და ათას სხვა უღირსობას გამოიყენებდა. ამიტომ მოიგონა კაცობრიობამ კოდექსები და წეს-კანონები, რაც მოგვიანებით საერთაშორისო პაქტებადაც ჩამოყალიბდა. ამას ისე გაიტაცა ადამიანები, რომ მხოლოდ მიწიერ დონეზე ეშინიათ საკუთარი დანაშაულების: მოიპარავს – ციხეში ჩასვამენ, კომუნალურ გადასახადს არ გადაიხდი – ენერგიას შეგიწყვეტენ, იპოთეკას ვერ დაფარავ – ბინიდან გამოგასახლებენ, ხელშეკრულებას ან კონტრაქტს დაარღვევ – ჯარიმას გადაიხდი. ღმერთის დადგენილი კანონების ანუ მცნებებს დარღვევის შედეგებზე ფიქრობს ვინმე? აწუხებს ვინმეს? ბევრი თვლის, რომ მცნებების შეიძლება გულგრილად მოეპყრო.

სული უკვდავია, ფიზიკური სხეული კი მოკვდავი და ხრწნადი, იმის გამო, რასაც ადამიანი ჩაიდენს წუთისოფელში, ის აგებს პასუხს სამუდამოდ და სასჯელი იქნება არა ჯარიმის ქვითარი ან ციხის საკანი, არამედ სამუდამოდ წამებული სული. ვიდრე აგვაკანკალებს შიში ღვთის სასჯელისა, უმჯობესია, გავიაზროთ, რატომ მისცა უფალმა მცნებანი ადამიანებს.

თუ პატარა ხელით აპირებს შეეხოს ცეცხლს, მშობელი ხომ არ მისცემს ამის ნებას? როგორი რეაგირება ექნება დედას, თუ თავის პაწაწინას მეათე სართულის ღია ფანჯარასთან მიმდგარს დაინახავს? ნუთუ არ დაიცავს მამა მცირეწლოვან შვილს ავი ძალისგან ან სხვა ხიფათისგან. როგორ გგონიათ, აღწერილ სიტუაციებში, მშობლები შვილების სიკეთისთვის არ იღვწიან? რა თქმა უნდა. აი, ჩემო ძვირფასებო, სწორედ ასეთ ფუნქციებს ასრულებს ღვთის ათი მცნება ყველა დაბადებულისთვის! დიდება უფალს!

ბევრი ვიცით სულიერების შესახებ? იმ საფრთხეებზე, რომელიც ჩასაფრებულია ცდუნებების სახით? სიკეთის და ბოროტების მარადიულ ჭიდილზე? პრაქტიკულად არაფერი. არადა სულის სიწმინდის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად აუცილებელია შევასრულოთ წესები, რომელიც მოგვცა ღმერთმა, ჩვენმა მამამ, თავის საყვარელ შვილებს.

შემოქმედმა შესანიშნავად იცოდა, რა რთული ბრძოლა

ელით მის შვილებს, რამდენი საცდურები უდარაჯებთ მათ და რა ვნებები ღრღნიან ჩვენს სულებს. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვაცნობიერებთ საკუთარი მისწრაფებების და საქციელის სიმძიმეს. სხვათა შორის, ყველა მცნება ატარებს უზარმაზარ აზრს და შორსმჭვრეტელობას.

პირველი მცნება: მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

რა მოხდება, თუ სახლის ასაშენებლად ხუთ არქიტექტორს მოიწვევ? ყველას ხომ თავისი შეხედულება და მეთოდი ექნება? რომელიღაც ეტაპზე, დავა და ჩხუბი მათ შორის გარდაუვალია. ამიტომ ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ დედამიწაზე და ცაში რაც ხდება, მრავალმა ღმერთმა შექმნა? ადამიანებს კი დღემდე სხვადასხვა ღმერთები ჰყავთ.

უარყოფა იმისა, რომ უფალი ღმერთია ერთადერთი შემოქმედი, წარმოშობს უამრავ ნეგატიურ შედეგს: ურწმუნოებას, ათეიზმს, წარმართობას, განდიდებაში დაცემას...

და ვინ უსმენს უფალს? ის განუწყვეტლივ ცდილობს შემოვიდეს ჩვენს ცნობიერებაში, დაგვიფაროს ბოროტი ჩანაფიქრებისგან და სხვა სულელური საქციელისგან, გვასწავლის მშვიდობიან თანაარსებობას და სიყვარულს. ჩვენ კი, ვბრაზდებით, რომ ჩვენი მიზნები ვერ ხორციელდება. რას ვითხოვთ? ფულს, დიდებას, დამსახურებების აღიარებას. და თითქმის არავინ ითხოვს უფლისგან კეთილგონიერებას, წესიერებას, კეთილ გულს, მორჩილებას. არადა რა უფრო ფასეულია სულისთვის? გვიფიქრია ამაზე?

მეორე მცნება: არ ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე და რაოდენი არს ქუეყანასაზე და ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქვეყანისა, არა თაყუნის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

ყოველი ქვა, ნამის წვეთი და მოლეკულაც, რისგანაც ყველაფერი შედგება, ღმერთმა შექმნა. მაშ, რატომ სჯერათ ადამიანებს კერპების და რატომ ეძებს თითოეული პერსონალურ სახეს, რომელიც მხოლოდ მას დაიცავს? შემოქმედის ჩანაც-

ვლების მცდელობა ყალბი სიფათებით ადამიანს აშორიშორებს უფალთან და მის მცდელობას ფუჭს ხდის. ადამიანის სული ივსება სიხარბით, შურით, პატივმოყვარეობით და ყეყეჩი სიამაყით, ჭეშმარიტი შემოქმედი კი დავიწყებულია ისევე, როგორც ადამიანის დანიშნულება.

მესამე მცნება: არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა: აბა დავფიქრდეთ, რამდენად ხშირად ვახსენებთ უფალს ლოცვისას და ისე, უბრალოდ, ყოველდღიურ საუბარში ჩვეულებრივად? არადა, უფალი თითოეულს გვისმენს, მიუხედავად ჩვენი მრავალრიცხოვნებისა. მთავარია უფალი საკადრისი პატივით მოვიხსენიოთ და ტყუილად არ შევაწუხოთ. უფლის სახელი წმიდაა და უძლიერესი, უძლეველი ძალის მატარებელია, ამიტომ მისი ხსენება ყოველ წამს, სხვათა შორის და უღირსად, შეუწყნარებელია. ის გვისმენს და გვხედავს, ამიტომ არ უნდა განვარისხოთ ისე, უბრალოდ, სიტყვას რომ მოჰყვება – ხსენებით.

მეოთხე მცნება: მოიხსენე დღე იგი შაბათთაი და წმიდაყავ იგი. ექუს დღე იქმოდეს და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა: ღმერთმა სამყარო 6 დღეში შექმნა, მეშვიდე დღეს კი დაისვენა და ნაშრომი და ქმნილი აკურთხა. ამიტომ მისი მოწოდებით ადმიანებმა კვირის მეშვიდე დღეს უნდა დაისვენონ. ეს დღე უნდა მივუძღვნათ არა მარტო ფიზიკურ დასვენებას, არამედ ლოცვებს შემოქმედის სადიდებლად.

მეხუთე მცნება: პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გყოს შენ დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა: მშობლებმა მოგვცეს სხეული, ღმერთმა – სული. ნუთი პატივი არ უნდა მივაგოთ მათ შეუფასებელი ჯილდოსთვის? როცა დედას და მამას სცემს პატივს, ადამიანი ითვისებს ბევრ ოჯახურ თვისებას მორჩილებასთან ერთად: სიყვარულს, წესიერებას, თავდადებას, გულისხმიერებას. ამ თვისებებს თავის შთამომავალთ გადასცემს, რითაც იხანგრძლივებს სიცოცხლეს და ინაღდებს მშვიდ სიბერეს.

როცა მშობლების დამსახურებას უარყოფენ, ღმერთს შორდებიან. თუ იმათ არ მიაგებ პატივს, ვინც გვერდით გყავს, როგორღა გამოხატავ პატივისცემას ყოვლის შექმნელისთვის?

მეექვსე მცნება: არა კაც-კლა: მხოლოდ ღმერთი წყვეტს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ყველა ადამიანი სამყაროში გარკვეული მიზნით მოდის. როცა ვინმეს ფიზიკურად ჰკლავს, ადამიანი ღმერთის ჩანაფიქრის წინააღმდეგ მიდის. ვინ იცის, მომავალში, მოკლულს, რა კეთილი საქმეები უნდა ჩაედინა. რომელ მკვლელს უფიქრია, რა სულიერი ტკივილი მიაყენა მოკლულის ახლობლებს? შედეგები ასჯერ უფრო მეტია. ეს მცნება ეხება არა მარტო იმათ, ვინც სხვას ჰკლავს, არამედ თვითმკვლელებსაც. თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვაა, რადგან ღვთის მონა იმდენად აღელვებულია თავსდამტყდარი მოვლენებით, რომ ყურს არ უგდებს უფალს და მის მოწოდებას, იბრძოლოს ბოროტებისა და საკუთარი ნაკლის წინააღმდეგ.

მეშვიდე მცნება: არა იმრუშო: ქორწინება არის არა მხოლოდ კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, არამედ პატივისცემა და სიყვარული რჩეულის მიმართ ჭირსა და ლხინში. ოჯახის გარეთ ინტიმური კავშირი, სიყვარულს კლავს და ნდობას აქრობს. ეს ყველაფერი კი შვილების თვალწინ ხდება. ნუთუ წუთიერი სისუსტე ღირს საყვარელი ადამიანების გასამწარებლად?

მერვე მცნება: არა იპარო: ფულის სიყვარულს ადამიანი ცოდვებში დაცემამდე მიჰყავს. ვერცხლისმოყვარეობა პრაქტიკულად ყოველთვის სხვის გამდიდრებისადმი სიძულვილში გამოიხატება და ცოდვილი ცდილობს, მოტყუებით დაეუფლოს სხვის ქონებას. არადა ადამიანს სჭირდება ჭერი, საკვები და სამოსი. ნუთუ შეიძლება სული დაიღუპო ქურდობის ცოდვით და ტკივილი მიაყენო სხვებს?

მეცხრე მცნება: არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა: არ განიკითხოთ და არ განიკითხებით! ვინც უცოდველია, პირველი ქვა მან ესროლოს! – ამ უბრალო ჭეშმარიტების დავიწყება არ შეიძლება. მხოლოდ ღმერთს შეუძლია მსჯავრი დაგვდოს, რადგან მხოლოდ მან უწყის კაცობრიობის

წარსული. ახლანდელობა (აწმყო) და მომავალი და არა მარტო ეს, არამედ ყოველი სულის ნებისმიერი ჩანაფიქრი. მოყვასის სიყვარული არა მარტო მისი შეცდომების მხილებაა, არამედ მისი დახმარება, გვერდში დგომა და მისი ჭირის გაზიარება.

მეათე მცნება: არა გული გითქუმოდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმოდეს სახლისა მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისისა მისისა, არცა ყოველი, რაც იყოს მოყუარისა შენისა: შური არის ერთ-ერთი ყველაზე სასიკვდილო ცოდვა. როცა ვინმე ცდილობს დაეუფლოს ვინმეს ქონებას, ცოლს ან ინტელექტს, ამით ის აპროტესტებს უფლის ნებას, მიდის შემოქმედის ნების წინააღმდეგ. ღმერთი ყველას აძლევს ნიჭს და უნარს და თუ შენ ამას ვერ იყენებ, როგორც საჭიროა, უფალი და სხვანი არ უნდა დაადანაშაულო, არც უნდა ეცადო იმის მითვისებას, რაც არ დაგიმსახურებია. სურვილი, მიიღო სხვისი კუთვნილი, გაშორებს ყოველივეს შექმნელს.

უფლის მცნებანი არა მხოლოდ ზუსტი, ნათელი წესები და კანონებია, არამედ მსოფლმხედველობაა. სამყაროს საიდუმლოებების წინაშე ადამიანები შეიძლება ბრმა კნუტებს შევადაროთ, ამიტომ თვალის ასახელად აუცილებელია ღვთის მცნებების სწავლა, პატივისცემა და შესრულება. ცხოვრება ხანმოკლეა და ყოველი წამისთვის პირადად ვაგებთ პასუხს და საკუთარი სულით ვზღავთ.

გადარჩენის რეცეპტი

ერთხელ მეგობრებთან ლხინის დროს, სადღეგრძელოს წარმოთქმისას, ბიბლიიდან ეს ციტატა მოვიტანე: იესო ქრისტე „იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისგან“. ამან სუფრის ზოგიერთი წევრი გაანაწყენა და საყვედური გამოათქმევინა, რომ ღმერთი მოწყალეა და ყველა ადამიანს ერთნაირად შეუნდობს ცოდვას. თუ ძმა ხარ, ნუ ახდენ ღმერთის პრივატიზებასო.

გარკვეული ძალისხმევა დამჭირდა, რომ ამეხსნა მათთვის, რომ ეს ციტატა ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის:

„აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძეო ღვთისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება, ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის.

ძეს შობს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისგან“ (მათე 1:20-21).

აი, ჩემო ძმებო, – ვეუბნები თანამეინახეთ, – სიტყვა-სიტყვით ასე წერია. ღმერთის პრივატიზება არაფერ შუაშია. აი, იოანეს სახარებაშიც ანალოგიური აზრია ჩადებული: (იოანე 17:6-10).

„შენი სახელი გამოვუცხადე ადამიანებს, რომელიც შენ მომეცი წუთისოფლისგან. შენები იყვნენ ისინი და მე მომეცი, შენი სიტყვა დაიცვეს მათ.

ახლა შეიცნეს, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა.

რადგან სიტყვები, რომლებიც შენ მომეცი, მათ გადავეცი. მიიღეს მათ და სცნეს ჭეშმარიტად, რომ მე შენგან წამოვედი და ირწმუნეს, რომ შენ მომავლინე.

მათთვის გევედრები: წუთისოფლისთვის კი არ გევედრები, არამედ მათთვის, რომლებიც შენ მომეცი, რადგან შენები არიან ისინი.

ყველაფერი ჩემი შენია, შენი კი – ჩემი და მე მათში განვდიდდი“.

გესმით, იესო წუთისოფლისგან არჩევს მათ, ვინც ირწმუნა, რომ მამამ მოავლინა. ძეს და მამას ერთი ხალხი ჰყავთ. ახლა თქვენ, უეჭველია მკითხავთ: იესო ხომ ყველასთვის მოკვდა?

დიახ! იესო მოვიდა ყველასთვის და მოკვდა ყველასთვის, მაგრამ ყველა ვერ გადარჩება და ეს მაცხოვრის ბრალი არ გახლავთ. ეს იმათ მოჰკითხონ საკუთარ თავს, ვინც არ მიიღო და გაითავისა უფლის მსხვერპლად გაღებული სიცოცხლე, ჯვარცმა. მათ თავიანთი გამიჯვნით, უარი თქვეს გადარჩენაზე.

და ვინ ღებულობს უფალს? ვის ესმის მაცხოვრის განუყრელობა? ქრისტიანებს, რომელსაც უფალი თავის ხალხს, საკუთარ ადამიანებს უწოდებს.

ანგელოზის სიტყვები იოსების მიმართ, იმას კი არ ნიშნავს, რომ ღმერთი ირჩევს ვინმე გადასარჩენად, არამედ იმას, რომ ზოგი ისურვებს, ზოგი კი არა უფლის შვილობას და უფალიც, თავის შვილებს გაწმენდს ცოდვებისაგან.

არჩევანი ჩვენზეა მეგობრებო, უფალი კი ჩვენს არჩევანს ელოდება, ვინაიდან ქრისტეშია თავისუფლება“ (გამოცხ. 2:20).

„აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“.

ამიტომ გეუბნებით, რომ არჩევანი ჩვენზეა. ჩვენი უმეცრება კი ის არის, რომ ხშირად, ოჩანი ვირივით ვჯიუტობთ და ვყოყმანობთ. არადა უფალში განუსაზღვრელი თავისუფლებაა, უფალივით დაუსაბამო. ერთ მაგალითს მოგახსენებთ:

დაწყებით კლასებში რუსულის მასწავლებელი მყავდა – ჭაღარა, უსათნოესი ქალბატონი თამარ მამადაშვილი. ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული და ახლაც ნათლად ვხედავ მის გულისგამათბობელ ღიმილს, მესმის მისი ყოველგვარ სიმკაცრეს მოკლებული, ჩურჩულზე ერთი ფრჩხილის ზომით აცილებული ხმა. ერთხელ უცნაური რამ გვითხრა: „სამოცდაათს გადავცდი და ახლა ვხვდები, სამი წელია, რაც სინათლეში ვარ, თავი სამი წლის ბალღი მგონია“... და ნახევარი საათის განმავლობაში მოგვიყვა იესოს დაბადებაზე და იმაზე, როგორ უყვარდა უფალს ბავშვები... შესვენებაზე მივუახლოვდი და მორიდებით ვკითხე: სამი წელი რატომ ხართ სინათლეში, მანამდე შუქი არ გქონდათ?

გამიღიმა და თავზე მომეფერა: – ჩემი სინათლეში ყოფნა იესოს რწმენას უკავშირდება. რომ გაიზრდები, მაშინ მიხვდები.

ეს რომ შუა ევროპის სკოლაში მომხდარიყო, გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ ეს იყო ღრმა საბჭოთა კავშირში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ბრეჟნევის მმართველობის მეორე წელს... და მე ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ვერანაირი ძალა ვერ გადამარწმუნებს და უფლის აღდგომასავით მჯერა, რომ ჩემი მასწავლებელი გადარჩა. ლამის შვიდი ათეული წელი ელოდა უფალი მის დაკაკუნებას და სიხარულით მიიღო იგი. ასე სიხარულით მიგიღებთ უფალი თქვენც ჩემო მეგობრებო, ოღონდ ნუ გადადებთ მასთან მიახლებას, ნუ დააგვიანებთ.

„...ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან“. (I კორ.. 8:3).

ჩემი თამარ მასწავლებელი კი ხშირად იმეორებდა:

„ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი...

ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელს ღებულობს“. (მათე 10:38,40).

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემლები, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი,

ვერც მპარავნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს.

ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით“ (I კორ. 6: 89-11).

აი, იესო ქრისტეს ერთ-ერთი თავი მოციქულის პავლეს რეცეპტი, როგორ ვიჯმნეთ ეშმაკისა და ჯოჯოხეთისგან და როგორ შევეყაროთ მაცხოვარს და სამოთხეს.

მეფე მსახურებს ფეხებს ბანს

„წამოდგა სერობიდან, გადადო ზედა სამოსელი, აიღო პისახოცი და წელზე შემოირტყა.

შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და იმ პირსახოცით შემშრალება, რომელიც წელზე ერტყა.

მივიდა სიმონ-პეტრესთან, მან კი უთხრა: „უფალო, შენ უნდა დამბანო ფეხები?“

მიუგო იესომ და უთხრა მას: „რასაც ვაკეთებ, ახლა არ იცი, მერე კი გაიგებ“.

უთხრა პეტრემ: „უკუნისამდე არ დამბან ფეხებს“. იესომ უპასუხა: „თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი“.

უთხრა სიმონ-პეტრემ: „უფალო, მარტო ფეხებს კი არა, არამედ ხელებსაც და თავსაც“.

უთხრა იესომ: „განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხებისა, რადგან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა“.

რადგან იცოდა, ვინ გასცემდა, ამიტომ თქვა: „ყველანი არ ხართ სუფთა“.

ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: „იცით რა გიყავით?“

თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, სწორად ამბობთ, რადგანაც ვარ.

ამიტომ, თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები.

რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგეცით, თქვენც ისე მოიქეცით.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არაა თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული არ არის მომვლინებელზე დიდი.

რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ.

ყველა თქვენგანზე არ ვლაპარაკობ, მე ვიცი, ვინც ამოვარჩიე, მაგრამ უნდა აღსრულდეს წერილი: ჩემი პურის მჭამელმა, ჩემზე აღმართა ქუსლი.

ახლა გეუბნებით, სანამ ეს ახდებოდეს, რათა, როცა ახდება, ირწმუნოთ, რომ მე ვარ.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს“ (იოანე 13:4-20).

იესო იყო მეფე მეფეთა შორის. როცა მეფეზე ვსაუბრობთ, როგორი წარმოგვიდგენია იგი? ტახტზე მჯდომი, ოქროს გვირგვინით, საუკეთესო რაშზე ამხედრებული უძლიერესი ჯარის სათავეში და აღტაცებული ბრბოს მისასალმებლად ძვირფას ტანსაცმელ;ში ჩაცმული, მაგრამ იოანე 13:4-20-ში სხვაგვარ მეფეს ვხედავთ – მოწაფეების წინაშე დაჩოქილს, წელზე პირსახოცშემოკრული მათ ფეხებს ბანს. დღესასწაულზე თაყვანის საცემად ამოსულმა ბერძნებმა ფილიპეს „უთხრეს: „ბატონო, იესოს ნახვა გვსურს“ (იოანე 12:21) და როგორ ქრისტეს ვხედავთ აქ? რატომ მოგვცა უფალმა ეს მაგალითი?

12 მოციქულს სჭირდებოდა ეს! იმ დროისთვის ისინი ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ჭეშმარიტი მოწაფის მოწოდება მსახურებაა. გახსოვთ, ფეხბანვის წინ მოციქულები კამათობდნენ, ვინ იქნებოდა მთავარი სამეფოში და იესომ მიუგო მათ: „...ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს“ (მარკ. 10:35-45), თუმცა, ეს ნათქვამი მათ ვერ აითვისეს. საიდუმლო სერობის დროსაც კი ისინი ამ საკითხს განიხილავდნენ. ლუკა 22:24-27: „ასევე იყო დავა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად.

მან კი უთხრა: „ხალხთა მეფეები ბატონობენ მათზე და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან.

თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით.

ვინაიდან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა

მეინახე არა? მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური“.

ფეხების დაბანა კი კამათს მოჰყვა და ყველა მათგანს ამ დროს იესოს სიტყვები – მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური – ჩაესმოდა ყურში..

შეკრებილნი არიან განსაკუთრებული პასექის საჭმელად, რასაც დიდი მოვლენები უძღოდა წინ. მსახურები არ ჰყავდათ, რომელიც ფეხებს დაბანს ან წყალს მიაწვდის ამ საქმისთვის. მოციქულებმა იციან, რომ დაუბანელი ფეხებით მაგიდას ვერ მიუჯდებიან, მაგრამ ეს ხომ მსახურის საქმეა! თუ რომელიმე მათგანი მოემსახურება სხვებს და დაბანს, ამით სხვებს მისცემს უპირატესობას, არავის უნდა დამდაბლდეს ისე, რომ პირველობის ამბიცია დათმოს. სხვებისთვის ფეხის დაბანა, მათი აზრით, დამარცხებას ნიშნავს პირველობისთვის ბრძოლაში. თუმცა იესოს არა მხოლოდ ამ ეჭვების გასაფანტად დასჭირდა ამ გაკვეთილი ჩატარება. საქმე იმაშია, რომ ქრისტეს უზომოდ უყვარდა ისინი: „პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ,რ ომ დადგა ამ წუთისოფლიდან მამასთან მისი გადასვლის ჟამი: როგორც შეიყვარა თავისიანები, რომლებიც ამ წუთისოფელში იყვნენ, ისევე ბოლომდე უყვარდა ისინი“ (იოანე 13:1).

და კიდევ იმიტომ, რომ ახლოვდებოდა იესოს ჯვარზე აღსრულება“ (იოანე 13:2-4).

„სერობის დროს, როდესაც ეშმაკმა უკვე ჩაუდო გულში იუდას, სიმონ ისკარიოტელისას, რომ გაეცა იგი.

იესომ იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთიდან გამოვიდა და ღმერთთან მიდის,

წამოდგა სერობიდან, გადადო ზემო სამოსელი, აიღო პირსახოცი და წელზე შემოირტყა“.

ვინაიდან მალე უნდა აცვან ჯვარს და ვინაიდან უყვარს თავისი მოწაფეები, იესოს სურს, რომ ვიდრე მათ დატოვებს, მიიღონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაკვეთილი და უფალმა ჩაუტარა ის მათ – როცა ფეხები დაბანა. ოთხჯერ გაუმეორა მათ ამ პროცესის დროს:

1. ...ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები (14).

2. რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქეცით (15).

3. მონა არაა თავის ბატონზე დიდი (16).

4. რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ (17).

და საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ფეხების ბანვის ტრადიცია ძველ ისრაელში სტუმართმოყვარეობის ნიშანი იყო და ძველ აღთქმაშიც და ახალშიც ბევრი ამის მაგალითია აღწერილი: დაბადება 18:4; დაბ. 19:2; დაბ. 24:32; დაბ. 43:24; 1 მეფეთა 25:41; ლუკა 7:44; 1 ტიმ. 5:10 და ა.შ.

მაგრამ რა სურდა იესოს, როცა ის ამბობდა, რომ მოწაფეებს მისთვის მიემართათ? მან პეტრეს უთხრა: „მერე გაიგებ“. რას გაიგებდნენ პეტრე და სხვა მოციქულები შემდეგ?

იმას, რომ იესოს სურდა მოციქულები მსახურებივით მოქცეულიყვნენ.

იმას, რომ მოციქულებმა ირწმუნეს, რომ ღვთის სამეფოსკენ გზა თავმდაბლობასა და მსახურებაზე დგას. მარკოზ მახარებელი აღნიშნავს: 10:42-45.

„იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: „თქვენ იცით, რომ ისინი, ვინც ხალხების მთავრებად არიან მიჩნეულნი, ბატონობენ მათზე და მათი დიდებულნი ხელმწიფებენ მათზე?

მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს.

ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს ყველას მონა.

რადგან კაცის ძე არ მოსულა იმისთვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“.

და შეიძლება ჩვენს შორის პირველი ის კი არ იყოს, ვინც ყველაზე მეტად ჩანს, დიდი მეცნიერია, დიდი მწერალია, საოცარი კომპოზიტორია, დიდი სახელმწიფო მოღვაწეა და განსაკუთრებული სიმდიდრის პატრონი, არამედ უბრალო წევრი დედა ეკლესიისა, მსახურების დროს სხვებზე უკან რომ დგას, კუთხეში, სხვების შეუმჩნევლად რომ ლოცულობს, მაგრამ

იმისთვის ცოცხლობს, რომ ემსახუროს: ოჯახს, მეგობრებს, მეზობლებს, დებსა და ძმებს ქრისტეში და ეკლესიას. აი, ვინ არის მდიდარი და უპირველესი კეთილი საქმეებით და ქრისტეს ერთგულებით.

ამიტომ მოითხოვდა უფალი მოწაფეებისგან, ყოფილიყვნენ მსახურნი, რომ დიდები ყოფილიყვნენ ცათა სასუფეველში.

ფერისცვალება

„ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე და აიყვანა ისინი მაღალ მთაზე განმარტოებით.

და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი ნათელივით გასპეტაკდა.

და აჰა, გამოეცხადნენ მათ მოსე და ელია, მასთან მოსაუბრენი.

უთხრა პეტრემ იესოს: „უფალო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა, თუ გნებავთ, გავაკეთებ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას“.

ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ აჰა, ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი, და აჰა, ამბობს ხმა ღრუბლიდან: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე. მას უსმინეთ!“

ეს რომ ესმათ მოწაფეებს, პირქვე დაემხნენ და ძალიან შეეშინდათ.

იესო მიუახლოვდა და შეეხო მათ და უთხრა: „წამოდექით და ნუ გეშინიათ“.

თვალი რომ აახილეს, ვეღარავინ დაინახეს, გარდა იესოსი.

როცა ისინი მთიდან ჩამოდიოდნენ, იესომ უბრძანა მათ და უთხრა: „არავის არაფერი მოუყვეთ ამ ხილვაზე, ვიდრე ძე კაცისა მკვდრეთით არ აღდგება“ (მათე 17:1-9).

თავისი ღვთაებრიობის და ძლევამოსილების უამრავი მაგალითი აჩვენა უფალმა მოწაფეებს, მაგრამ ისინი ვერა და ვერ განთავისუფლდნენ იუდეური წარმოდგენებისგან მესიის მიწიერი სამეფოს შესახებ. მათ ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ და აეხსნათ მესიის ზეციური ძალაუფლების ნამდვილობა. ამიტომ, ამ თემაზე საფუძვლიანი საუბრიდან ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ სამი მოციქული პეტრე, იაკობი და იოანე თაბორის მთაზე, სადაც ფერისცვალება განიცადა მათ თვალწინ. „... გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი ნათელივით გასპეტაკდა“.

თეთრი სპეტაკი ფერი ითვლება არა მარტო სრულყოფილე-

ბის, სიმდიდრისა და უცოდველობის სიმბოლოდ, არამედ სხვა მნიშვნელობაც აქვს: სამეფო და სამღვდელო სამოსის დიდებულება!

მოციქულების თაბორზე ყოფნის დროს, გამოეცხადათ მოსე და ელია, რომლებიც იესოს ესაუბრებოდნენ. იოანე ოქროპირის განმარტებით, მოსე და ელია იმიტომ გამოჩნდნენ, რომ ხალხში იესო ქრისტეს ხშირად სწორედ ელიას ადარებდნენ, ხოლო მოსე იმიტომ გამოცხადდა, რომ ეჩვენებინა, იესოს არ დაურღვევია მისი ცნებები, როგორც ამას „ამტკიცებდნენ“ მწიგნობრები და ფარისევლები. არც მოსე და არც ელია არ გამოეცხადებოდნენ და თაყვანს არ სცემდნენ მას, ვინც არ იყო ღვთის ძე და მათი გამოცხადება ნიშნავდა, იესო ქრისტეს ძალაუფლებას სიცოცხლეზე და სიკვდილზე, ცაზე და დედამიწაზე.

მასწავლებლის დიდმა სიყვარულმა და შიშმა, იესო არ ვნებულიყო, პეტრეს ათქმევინა: „თუ გნებავს, გავაკეთებ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას“.

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ იესო არაერთხელ ესაუბრა მოციქულებს თავისი ღვთაებრიობის შესახებ, თავის განუყრელობაზე ღმერთთან, ისინი მაცხოვარს, ჯერ კიდევ ადამიანად თვლიდნენ, ამიტომ მათ გასაცნობიერებლად (პეტრესი, იოანესი და იაკობის) დაუყოვნებლივ „აჰა, ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი, და აჰა, ამბობს ხმა ღრუბლიდან: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე . მას უსმინეთ!“

თითქოს უფლის ხმა ამბობდა: „ნუ გეშინია პეტრე, იესო ჩემი ძეა, და არამარტო ძე, გამორჩეული, უსაყვარლესი, ჩემი თანამოაზრე და ჩემი ტოლ-სწორი, რომელითაც კმაყოფილი ვარ. დაემორჩილეთ მას, უსმინეთ მას. თქვენ არ ფლობთ მისი ჩანაფიქრის საიდუმლოს. ყველაფერს, რასაც ის ამბობს და აკეთებს, ჩემი ნებით ამბობს და აკეთებს“.

ანუ უფალი ადასტურებს სრულყოფილი შვილის სრულყოფილ მამასთან ურთიერთობას და სიყვარულს. სწორედ ამას ნიშნავს: „მას უსმინეთ!“

თავისი ფერისცვალებით, იესომ მოწაფეებს მისცა საშუა-

ლება სხვა რეალობას შეხებოდნენ, მიწიერი ცხოვრებისგან მიუწვდომელს.

უფლის ფერისცვალება ზედმიწევნით აქვთ აღწერილი მათეს, მარკოზს და ლუკას. ეს სასწაული მოხდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე უფალი ჯვარზე აღესრულებოდა და ჩვენი ცოდვებისთვის ეწამებოდა. ფერისცვალების დროს, იესომ იცოდა მოახლოებული ჯვარცმის შესახებ. ამიტომ ის ბოლო ქადაგებებში საუბრობდა ჯვარზე, იმაზე, რომ მისმა მიმდევარმა, დაუყოვნებლივ უნდა იტვირთოს ჯვარი და გაჰყვეს იესოს გადარჩენის გზაზე. სხვა გამოსავალი ხსნისა არ არსებობს. ზოგჯერ მძიმეა ჯვარი უფლისა, მაგრამ იესო ყოველთვის გეხმარება და გაძლიერებს მის სატარებლად. პეტრესთვის, იოანესა და იაკობისთვის ფერისცვალება გახდა ურყევი ჭეშმარიტება, რომ იესო ქრისტე ჯვარს ეცვა, როგორც ღვთის ძე და ღმერთი – თავისი ნებით, ცოდვის ტყვეობაში მყოფი კაცობრიობის დასახსნელად.

წმინდა გიორგი პალომა წერდა: თაბორის მთაზე ფერისცვალება, უფლის ნებით, განიცადეს თავად მოწაფეებმა, მათ ირწმუნეს ქრისტე და მათმა გულებმა ის მიიღეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი. ირწმუნეს, რომ იესო არ არის მხოლოდ საყვარელი მასწავლებელი, ვისთანაც გული მიგიწევს, არამედ უფალია, რომლის გამოც შეიძლება მოკვდე.

ფერისცვალების დღესასწაული, თავისი არსით და მნიშვნელობით გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი დღესასწაული, რადგან იგი იძლევა ცხოვრების მთავარ მიზანს თითოეული ქრისტიანისთვის – გაისუფთავეთ გული და სული, რათა ის გახდეს ღმერთის საცხოვრებელი.

თაბორის მთა ხშირად იხსენიება წმინდა წერილებში. წინასწარმეტყველი იერემია წერს: „ცოცხალი ვარ, ამბობს მეფე, რომლის სახელი ცაბაოთ უფალია, როგორც თაბორი მთათა შორის, როგორც ქარმელი ზღვისპირისა, ის მოვა“ (იერ. 46:18).

თაბორს იხსენებს იესუ ნავინი, მეფე დავითი და ა.შ. ყველა მიუთითებს თაბორის განსაკუთრებულობაზე.

თუ ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ომების დროს. ერთ-ერთი ბოლო ბრძოლა ამ წმინდა მთის მისადგომებთან მოხდა ნაპოლეონის მონაწილეობით, როცა ბონაპარტე სირიაზე სალაშქროდ მიემართებოდა და სწორედ აქ გაანადგურა თურქეთის არმია.

თაბორი – განსაკუთრებული ადგილია ქრისტიანული სამყაროსთვის, მაგრამ არცერთი სახარების ავტორი, არ ასახელებს ამ მთას უფლის ფერისცვალებაზე წერისას. თაბორი წმინდა ადგილად ითვლება (უფლის ფერისცვალების ადგილად) მოციქულთა სწორის, დედოფალ ელენე მეოხებით, როცა მან აქ პირველი ტაძარი ააშენა.

მონანიება

თუ ერთხელ მაინც შეხებიხარ წმინდა წერილს, არ შეიძლება არ იცოდე იესოს იგავი უძღები შვილის შესახებ (ლუკა 15:11-32). ვიტყვი, რომ ეს გახლავთ არა მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, არამედ უფლის საყვარელი იგავიც. აქვე მოგახსენებთ, რომ კიდევ ერთ ამბავს, იმ იგავის მსგავსს, ვხდებით მათეს სახარებაშიც (მათე 21:28-31):

„...ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: „შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში“.

მან კი უპასუხა: „არ მინდა“. ბოლოს კი ინანა და წავიდა.

მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა მან კი პასუხად უთხრა: „წავალ ბატონო“ მაგრამ არ წავიდა.

ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?“ მიუგეს მას: „პირველმა“. უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში“.

პირველი შვილი რომ სწორად მოიქცა, იესოს ყველა მსმენელისთვის ნათელია. თავიდან მან წინააღმდეგობა გაუწია მამას და უარი უთხრა: „არ მინდა“, მაგრამ შემდეგ შეინახა და მამის სურვილისამებრ მოიქცა. ეს იგავი იესომ წარმოთქვა რელიგიის თითქოსდა მიმდევართათვის, რომლებიც, მართალია, ხმამაღლა აღიარებენ ღმერთს, რეგულარულად ასრულებენ რელიგიურ, საეკლესიო მოვალეობებს, მაგრამ ამას აკეთებენ მხოლოდ ფორმალურად და სხვის დასანახად. ყურადღება მიაქციეთ შვილების მიმართვას მამისადმი. პირველი უხეშად პასუხობს: „არ მინდა“. მეორე კი მორჩილებით: „წავალ ბატონო“. რა სასიამოვნო მოსასმენია მამისთვის: „წავალ ბატონო“, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ შეუსაბამობაა მის სიტყვასა და საქმეს შორის. ეს შვილი უფროს ძმას ჰგავს უძღები შვილის იგავიდან, რომელსაც არ დაუტოვებია მამის სახლი უმცროსი ძმასავით, თუმცა, როგორც გამოჩნდა, მის საქციელში, მის წუწუნში, სა-

კუთარი ძმის დაბრუნებით არ აღფრთოვანებულა და საყვედურიც კი თქვა მამის მისამართით...

„წავალ ბატონო“. როგორი პატივისცემით და თავმდაბლობითაა ნათქვამი, მაგრამ თითიც არ გაუნძრევია მამის სურვილის დასაკმაყოფილებლად. ეს შვილი წარმოადგენს საკუთარი თავის მომტყუებელ კასტას, რომელიც თვალის ასახვევად ლოცულობს, დადის ეკლესიაში, იქ საპატიო ადგილას დგება, მაგრამ სინამდვილეში არ აქვს სიცოცხლე არც სიტყვაში და არც საქციელში.

მას რომ ჰკითხო: „ქრისტიანი ხარ?“ დაახლოებით ასე გიპასუხებს: „რა თქმა უნდა, ყოველთვის ქრისტიანი ვიყავი. მშობლებიც მორწმუნე მყავს. მათ მომნათლეს ჩემი წინაპრების წეს-ადათით“. „და პატივცემულო, პირადად როდის მიიღეთ ქრისტე გულით? ანუ ზეციდან როდის დაიბადეთ?“ „რას მიედ-მოედები თუ ძმა ხარ. ამდენი რომ ვიცოდე, მღვდელი ვიქნებოდი!“ – ასე გიპასუხებს. და თუ ვინმე საკუთარ თავს იცნობს ამ სიტყვა-პასუხში, ჩათვალოს, რომ იმ შვილს ჰგავს, მამას რომ უპასუხა: „წავალ ბატონო“, მაგრამ არ წავიდა.

აღვნიშნავ, რომ უფალი ყოველთვის მკაცრად ამხელდა ფარისევლებს, სადუკეველებს და მათ, ვინც რელიგიას იყენებდნენ იმ მიზნით, სხვებზე უკეთესები და აღმატებულნი გამოჩენილიყვნენ. ამართლებდნენ საკუთარ თავს და მსჯავრს სდებდნენ სხვებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ღმერთი სიყვარულით უწვდის მათ მოწყალე ხელს, გადარჩენას და სამუდამო სიცოცხლის ნიჭს სთავაზობს. სახარების არსი ის გახლავთ, რომ ღმერთს შეუძლია იხნას ყველაზე დიდი ცოდვილი, ყველაზე დიდი თვალთმაქცი. სულიწმიდას შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი გული. აკი თქვა იესომ ამავე იგავში: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში“.

არა, უფალს არ უთქვამს ამით, მებაჟეები და მეძავები იმიტომ შევლენ სასუფეველში, რომ მხოლოდ ასეთ ცოდვილებს უადვილდებათ იოლად დასანახი ცოდვების მონანიება, არამედ

იმიტომ, რომ თვალთმაქცებს უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან თავს სხვებზე უკეთესად და მართლებად თვლიან. ეს არ ნიშნავს, რომ ფარისევლებს და თვალთმაქცებს დაკეტილი აქვთ ხსნის კარი. მათ გულწრფელად უნდა შეინანონ, დაემორჩილონ ღმერთს, აღიარონ, რომ ისეთივე ცოდვილები არიან, როგორც ნებისმიერი ქურდი, ყაჩაღი, გარყვნილი, ლოთი, ცრუ და თაღლითი. დიახ, გადარჩენის გზა ყველას ერთი გვაქვს – ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკით ცოდვების მონანიება: ცოდვილი ვარ უფალო, ვიმსახურებ საუკუნო სასჯელს ჩემი თვალთმაქცობის გამო. მომიტევე, რომ ვიტყუებდი თავსაც და ვატყუებდი სხვებსაც და ვფიქრობდი, რომ შენი მოტყუებაც შემეძლო. აწ მსურს ვიცხოვრო სინდისიერად და მხოლოდ ქრისტეში.

დიახ, თითოეული თავად უნდა ვეახლოთ უფალს სათხოვნელად და გადასარჩენად მხოლოდ ერთი გზით – იესო ქრისტეს საშუალებით. მან ბრძანა: „... მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით (იოან. 14:6). „არ მინდა“. ბოლოს კი ინანა და წავიდა“.

პირველი პირველთა შორის

ქრისტეს მოციქულთა შორის მართმადიდებლური ეკლესია განსაკუთრებულ პატივს ორ მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად სახელდებს. ესენი არიან წმ. პეტრე და პავლე. 12 ივლისი არის პეტრე-პავლობის დღესასწაული, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს ყველა ქრისტიანი. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ქვეყნის მოქალაქე ვიყავი, ეს ორი სახელი ბავშვობიდანვე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში და მას შემდეგ, რაც უფალმა მომცა დიდი წყალობა და ბიბლიის წაკითხვის უფლება მიბოძა და ამ ორი დიდი წმინდანის ცხოვრებას და მოღვაწეობას გავეცანი, დიდ საგონებელში ჩავვარდი.

როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ქრისტეს შეცნობის გზაზე, ყოველთვის მხიბლავდა მისი მოციქულის პავლეს ფიგურა. განათლებული, მოაზროვნე, მტკიცე ცხოვრებისეული პრინციპებით. მედგარი, შეუპოვარი, შეუდარებელი დიპლომატი, უფლისთვის ანთებული. ევროპაში ქრისტიანობის გამავრცელებელი. ნათლავდა წარმართებს და აარსებდა ქრისტიანულ თემებს, ერთობებს. ახალი აღთქმის დიდი ნაწილი დაწერა.

ნამდვილი გმირი, ქრისტიანობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი!

ეს უფერული სახის, დაბალი, მელოტი, ფეხმრუდი და ჩაფსკვნილი მამაკაცი, რომელსაც გადაბმული წარბები და საკმაოდ გრძელი ცხვირი ჰქონდა, ატარებდა იესო ქრისტეს სიყვარულით გამსჭვალულ, მხურვალე რწმენით სავსე გულს და ამბობდა, რომ მე კი არ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში!

ქრისტეს შეეძლო და ადამიანის გადმოსახედიდან, ვალდებულიც კი იყო, დაესაჯა პავლე ქრისტიანების დევნისთვის, მაგრამ უფალს ადამიანებზე უკეთესი და საინტერესო გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. მდევნელისაგან და მტარვალისაგან მან შექმნა თავისი მეგობარი და გულანთებული მსახური.

აი, ასეთი დიდებულია უფალი! ის მოწყალეა და ნებისმიერ ადამიანს აძლევს გადარჩენის შანსს!

იმ დროს ვერ გამეგო, რაშია მეორე მოციქულთა თავის მოციქული პეტრეს ძლიერება! რატომ უწოდა თავად ქრისტემ სიმონს, მეთევზეს და მეთევზის იონას ძეს, სახელი კეფა (კლდე, ქვა) და რატომ აქცია იგი მოციქულთა თავად?

პეტრეს არ ესმოდა ქრისტესი, პეტრე ყოყმანობდა. პეტრე თავშეუკავებელი და ემოციური ადამიანი იყო. შეეცადა უფლის ცდუნებას, რის გამოც საყვედურიც მიიღო – განვედ სატანავ, რადგან ადამიანივით მსჯელობ და არა ღვთის სიტყვებით და ბოლოს, სამჯერ უარყო ქრისტე. რით არის იუდა ისკარიოტელზე უკეთესი?

ასეთი მერყევი და სუსტი ადამიანისთვის, როგორ შეეძლო უფალს კლდე ეწოდებინა და სასუფევლის კლიტენი გადაეცა? ან ქრისტიანები რა დამსახურებისთვის მიაგებენ ამხელა პატივს?

ენით ვერ აღვწერ ჩემს სიხარულს, როცა გონება გამინათა უფალმა და ამ კითხვებზე პასუხი მივიღე:

დიახ, პეტრე ვერ უგებს უფალს. დიახ, პეტრე ყოყმანობს და ირწევა რწმენაში. დიახ, პეტრე ცდილობს ქრისტეს ცდუნებას. იძინებს, როცა ვალდებულია იფხიზლოს, იჩენს დაუფიქრებელ ინიციატივას და ყურს ათლის მალქოზს. ეშინია რომში ყოფნის და იქიდან გარბის, მაგრამ მისი ძალა სხვაგანაა.

ყოველ დაცემაზე, პეტრე გაორმაგებული ენერგიით დგება და ყოველ შემდეგ დაცემაზე, გაათმაგებულად სინდისი ქენჯნის. სწორედ სინდისის დიდი დოზა ეხმარება სულიერ აღდგენაში და მისი წყალობითაა გაცილებით ძლიერი, ვიდრე დაცემამდე იყო.

მან სამჯერ უარყო ქრისტე მამლის ყივილამდე. მოღალატე? არადა იფიცებოდა, არასოდეს გიღალატებო. ანუ არ იცნობს საკუთარ თავს და გრძნობებს ვერ აკონტროლებს?

არა, პეტრე ქვითინებს, მისი გული ისე შფოთავს, რომ მიწაც ცახცახებს. აი, ეს გახლავთ მონანიების ძალა, ჭეშმარიტი სინა-

ნული. ყველა შეიძლება დაეცეს, ყველა სუსტები ვართ, მაგრამ ასადგომად სულიერი სიყვარულია საჭირო, სულიერი მონანიების ძალა და უბრალო მეთევზეში უფალმა სწორედ ეს ძალა დაინახა. პეტრეს ის აქვს. სწორედ ეს ძალაა კლდე! უფალი ადამიანზე გაცილებით შორს ჭვრეტს, მან იცის ჩვენი გულის საიდუმლო.

პეტრემ როცა გაიაზრა, რომ სამჯერ უარყო ქრისტე, პირქვე დაემხო და მწარე ქვითინით, ცრემლებით გამოისყიდა ცოდვები ქრისტეს მიმართ და ამას აკეთბდა ყოველ ღამით, როცა მამალი იყივლებდა.

აი, ჭეშმარიტი სინდისი და ჭეშმარიტი მონანიება. აი, ვისგან უნდა ვისწავლოთ ლოცვა და მონანიება ჩვენ, უბრალო ქრისტიანებმა და საერთოდ, ადამიანებმა. ვთხოვოთ უფალს მოგვცეს ჩვენც ასეთი ძალა, რომლის სათავე და არსი არის მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სიყვარული!

ამის საილუსტრაციოდ, ნიშანდობლივია, უფლის და პეტრეს ერთი დიალოგი (იოანე 21:15-19):

„მას შემდეგ, რაც ისაუზმეს, იესომ უთხრა სიმონ-პეტრეს: „სიმონ იოანესავ, ამათზე მეტად გიყვარვარ?“ უთხრა: „კი, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ!“ უთხრა: „აძოვე ჩემი კრავები“.

კვლავ უთხრა მეორედ: „სიმონ იოანესავ, გიყვარვარ?“ უთხრა: „კი, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ“ უთხრა მას: „დამწყსე ჩემი ცხვრები“.

მესამედ უთხრა: „სიმონ იოანესავ, გიყვარვარ?“ პეტრე შეწუხდა მესამედ რომ ჰკითხა: გიყვარვარო? და უთხრა: „უფალო, შენ ყველაფერი იცი: იცი, რომ მიყვარხარ!“ უთხრა იესომ: „აძოვე ჩემი ცხვრები„.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა, როდესაც მოხუცდები, გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს“.

ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. ეს რომ თქვა, უთხრა:„ მომყევი“.

არაფერია სიყვარულის ძალაზე ლამაზი, უკეთესი და აუცილებელი. ამ მადლის მფლობელი არის ქვასავით მაგარი. დაცემული მრავალჯერ უფრო მეტი მადლით აღდგა, ვინაიდან სიყვარული სასწაულებს ახდენს, ნამდვილი, სულიერი, წმინდა სიყვარული. ადამიანის უფლისადმი სიყვარული. ის ყოველთვის ორმხრივია.

იქვე, ამ მოკლე დიალოგში უფალმა აუწყა პეტრეს მისი ცხოვრების და მოღვაწეობის „ანი“ და „ჰოე“. მიანიშნა, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს: პეტრე მოციქულმა ღირსად არ მიიჩნია თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო და ითხოვა, თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე.

ასე აღესრულა ქრისტეს მოციქულთა თავი წმინდა პეტრე, 67 წლის 29 ივნისს (ახ. სტ. 12 ივლისს).

ელია თეზბიტელი

წინასწარმეტყველი, ვისი სახელიც ძველ აღთქმაში, მოსესავით ხშირად მოიხსენიება ელია თეზბიტელი გახლავთ. უფრო მეტიც, ელიაც და მოსეც პირადად მონაწილეობდნენ ახალი აღთქმის სახარებისეულ ისტორიაშიც: სწორედ ისინი გამოეცხადნენ და ესაუბრნენ თაბორის მთაზე, ფერისცვალების დღეს ჯვარცმის მომლოდინე უფალს:

„და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსელი ნათელივით გასპეტაკდა.

და აჰა, გამოეცხადდნენ მათ მოსე და ელია, მათთან მოსაუბრენი.

...ჰკითხეს მას მოწაფეებმა: „რატომ ამბობენ მწიგნობრები, პირველად ელია უნდა მოვიდესო?“

ხოლო მან მიუგო პასუხად: „ელია ნამდვილად მოვა და აღადგენს ყოველივეს.

მაგრამ თქვენ გეუბნებით, რომ ელია უკვე მოვიდა, მაგრამ ვერ იცნეს იგი და ისე მოექცნენ, როგორც უნდოდათ, კაცის ძესაც ასევე მოელის მათგან ტანჯვა“.

მაშინ მიხვდნენ მოწაფეები, რომ ის იოანე ნათლისმცემელზე ელაპარაკებოდა.“ (მათე. 17:2-3. 10-13).

„მისი ტანისამოსი გახდა ბრწყინვალე და ძალზე თეთრი, ისეთი, რომ გამთეთრებელს დედამიწაზე არ ძალუძს ისე გათეთრება.

ეჩვენა, მათ ელია მოსესთან ერთად და ესაუბრებოდნენ მას“ (მარკოზი 9: 3-4).

„როცა ლოცულობდა, სახის გამომეტყველება შეეცვალა, ხოლო სამოსელი სპეტაკი, ელვარე გაუხდა.

და აჰა, მასთან საუბრობდა ორი კაცი, ესენი იყვნენ მოსე და ელია.

ისინი გამოჩნდნენ დიდებით და ლაპარაკობდნენ მის წასვლაზე, რომელიც იერუსალიმში უნდა აღესრულებინა“ (ლუკა 9:29-31).

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებიდან უფალმა თაბორის მთაზე შესახვედრად მხოლოდ ორი გამოარჩია – მოსე და ელია: მოსე იმიტომ, რომ ერთადერთი იყო ისრაელიდან, ვინც ღმერთს პირისპირ ესაუბრა; მან გამოიყვანა დამონებული ისრაელი ეგვიპტიდან აღთქმულ მიწაზე; მან დაწერა ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი. „მოსე უთვინიერესი კაცი იყო დედამიწის ზურგზე“. (რიცხ. 13:3).

ელიამაც არანაკლებ რთული გზა განვლო. მან პაექრობაში 850 წარმართი ქურუმი დაამარცხა ერთად ქარმელის მთაზე და თვალნათლივ დაანახა ხალხს, რომ ერთადერთ ღმერთს უნდა ემსახურონ. ის პირადად გაუსწორდა უფლის შეწევნით თავის ოპონენტებს (3 მეფეთა 18:20-40).

„დაინახა ეს მთელმა ხალხმა, პირქვე დაემხო და შეჰყვირა: ღმერთია უფალი! ღმერთია უფალი!

უთხრა მათ ელიამ: შეიპყარით ბაალის წინასწარმეტყველნი! არავინ გაგექცეთ! მათაც შეიპყრეს და ჩაიყვანა ისინი ელიამ კიშონის ხევში და იქ დახოცა (3. მეფეთა 18:39-40).

ასე ამოწყვიტა წინასწარმეტყველმა ბაალის ოთხასორმოცდაათი და აშერას ოთხასი კაცი.

მეორედ კი – ელიამ ცეცხლი გამოითხოვა ციდან და ამობუგა მის დასაპატიმრებლად და მეფის სასახლეში ძალადობით წასაყვანად შემოსეული ორი ორმოცდაათისთავი თავისი ორჯერ ორმოცაათი ჯარისკაცით (24 მეფეთა 1:5-15).

„აჰა, ციდან ჩამოიჭრა ცეცხლი და შთანთქეს ორი წინა ორმოცდაათისთავი თავის ორმოცდაათ კაცთან ერთად, ახლა ფასი დასდე ჩემს სიცოცხლეს შენ თვალში.

უთხრა უფლის ანგელოზმა ელიას: ჩაჰყევი, ნუ გეშინია მათი. ადგა ელია და ჩავიდა მათთან ერთად მეფესთან (4 მეფეთა 1:14-15). დიახ, მხოლოდ მესამედ მიგზავნილთ გამოჰყვა ელია, რაკი უფლის ანგელოზმა უბრძანა. ელიას ქმედება მაინცდამაინც გულმოწყალის საქციელს რომ არ ჰგავს, იოლი შესამჩნევია.

მაშ რატომ აღმოჩნდა ის უფლის თანამოსაუბრედ თაბო-

რის მთაზე მოსესთან ერთად? მის მაგივრად რომ წინასწარმეტყველი ესაია ყოფილიყო ეს კითხვა არ გვექნებოდა. ესაიამ, რომელიც 700 წლით ადრე ცხოვრობდა იესო ქრისტეს დედამიწაზე მოღვაწეობამდე, ისე ზუსტად აღწერა უფლის ტანჯვა-წამება გოლგოთაზე, თითქოს ჯვართან მდგარიყო; ან წინასწარმეტყველ დანიელს რომ ესაუბრა იესოსთან ფერისცვალების დროს? მან ხომ მრავალი საუკუნით ადრე ამცნო კაცობრიობას არათუ კაცის ძის მოსვლა, არამედ მისი გარეგნობაც კი აღწერა...

მაგრამ უფლის ნებით თაბორზე ელია გამოჩნდა – ბიბლიური წინასწარმეტყველი – ადამიანი, რომელიც ხალხს ღმერთის პირით და სახელით ესაუბრებოდა. სწორედ რომ! ელია მიმართავდა თანამედროვეებს მოწოდებით: შეწყვიტეთ თვალთმაქცობა, რომ თითქოს ღმერთს ეთაყვანებით, როცა მსხვერპლს სწირავთ ბაალს: „მოვიდა ხალხთან ელია და უთხრა: როდემდის უნდა კოჭლობდეთ ორივე ფეხით? თუ უფალია ღმერთი, გაყევით მას, თუ ბაალია, მას გაჰყევით. სიტყვა არ დაუძრავს ხალხს“ (3 მეფეთა 18:21).

წინასწარმეტყველ მალაქიას წიგნში წერია: „აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე.

ის შეაგროვებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას შეჩვენებით არ შევმუსრო“ (მალაქია 3:23-24).

იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებაში“ ვკითხულობთ, რომ უკანასკნელ ჟამს, როცა ყველა ანტიქრისტეს ძალაუფლებას დაემორჩილება. იერუსალიმში „მივცემ ჩემს ორ მოწამეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოც დღეს ძაძებით შემოსილნი.

ესენია ზეთისხილის ხე და ორი სასანთლე, რომლებიც დედამიწის უფლის წინაშე დგას“.

თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან და შთანთქავს მათ მტრებს და თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ის უნდა მოიკლას.

მათ აქვთ ხელმწიფება დაგმანონ ცა, რათა არ მოვიდეს წვიმა მათი წინასწარმეტყველების დღეებში. აქვთ ხელმწიფება წყლებზე, რომ აქციონ ისინი სისხლად და შემუსრონ დედამიწა ყოველგვარი წყლულით, როცა კი მოისურვებენ (გამოცხ. 11:3-6).

თუმცა, იოანე ღვთისმეტყველი არ ამბობს ამ ორი წმინდანის სახელს, მაგრამ „გამოცხადების“ შემსწავლელთ და ექსპერტთ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ერთ-ერთი ელიაა, რომელმაც თავის დროზე დაგმანა ცა, რათა წვიმა არ მოსულიყო, ხოლო სამწელიწადნახევრის შემდეგ ილოცა და დედამიწამ მიიღო მაცოცხლებელი ნალექი (3 მეფეთა 17:1-7. 18: 1:45).

წინასწარმეტყველი ელია, ზეცაში ცეცხლოვანი ეტლით ატაცებული, ცეცხლოვანი ქადაგებით დაბრუნდება დედამიწაზე ქვეყნიერების ისტორიის დასასრულს, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, რომელიც კავშირს ამყარებს ძველსა და ახალ აღთქმას შორის და ურთიერთშერწყმაში ეხმარება.

შეძლებისდაგვარად, ვეცადე ამეხსნა მიზეზი იმისა, თუ რატომ გამოეცხადა უფალს ფერისცვალების დღეს მოსესთან ერთად ელია. უფალს უყვარს თავისი ერთგული შვილები და ჯეროვან პატივს მიაგებს მათ. უფლის ნებით იქნა ელია აღტაცებული ზეცად ცეცხლოვანი ეტლით. იგი მეორედ მოსვლის წინ ანტიქრისტეს სამხილებლად ენოქთან ერთად უნდა მოვიდეს და ხორციელი სიკვდილიც დაითმინოს (გამოცხ. 11:2-9).

საეკლესიო გადმოცემით, ელიას ხალენი (მოსასხამი) საქართველოშია დაფლული, სვეტიცხოვლის ტაძარში, წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკვდერში.

მართმადიდებლური ეკლესია მისი ხსენების დღეს 2 აგვისტოს (ძვ. სტ. 20 ივლისი) აღნიშნავს.

ქალები ქრისტეში

„ერთი დედაკაცი, ქალაქ თიატირიდან, სახელად ლიდია, ძოწეულით მოვაჭრე, ღვთისმოშიში, ისმენდა. უფალმა გაუხსნა გული პავლეს სიტყვების მოსასმენად.

როდესაც მოინათლნენ ის და მისი სახლობა, გვთხოვა და გვითხრა: „თუ უფლის მორწმუნეთ შემრაცხეთ, მოდით ჩემს სახლში და დარჩით და დაგვიყოლია“ (საქმეები 16:14-15).

„და ნახა ერთი იუდეველი, სახელად აკვილა, წარმოშობით პონტოელი და მისი ცოლი პრისცილა, იტალიიდან ახლად დაბრუნებულნი, ვინაიდან კლავდიუსმა ბრძანა ყველა იუდეველი რომიდან გამოეძევებინათ და მივიდა მათთან.

და რაკი ერთი ხელობისანი იყვნენ, დარჩა მათთან და შრომობდა, ვინაიდან მათი ხელობაც მეკარვეობა იყო (საქმეები 18:2-3).

რომაელ ქალთა უმრავლესობა ძირითადად დიასახლისი იყო, ხოლო დიდგვაროვანი გარკვეულ განათლებას იღებდა და თავისუფალ დროს გართობებში ატარებდა. იყვნენ ქალბატონები და არცთუ ცოტა, რომლებიც ოჯახის გარეთ შრომობდნენ დილიდან გვიან ღამემდე.

პარადოქსია, მაგრამ ასეთი ქალები უფრო აქტიურები იყვნენ საზოგადო საქმეებში და სოციალურ სფეროში, ვიდრე დიდგვაროვანნი, ვინაიდან იძულებულნი ხდებოდნენ სხვადასხვა ხერხებისთვის მიემართათ ოჯახის გამოსაკვებად. ზემოთ მოხსენიებული ლიდია და პრისცილა ვაჭრობით და მეკარვეობით ირჩენდნენ თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ რომში კრიმინალი ჰყვაოდა და საშინელი სანიტარული პირობები იყო. ცუდი სანიტარიისა და მედიცინის გამო, ქალების მეექვსედი მშობიარობის დროს იღუპებოდა, ახალშობილთა მხოლოდ ნახევარი აღწევდა ხუთ წლამდე. წარმოიდგინეთ რა ძალისხმევის ფასად უხდებოდათ ყოფა იმ დროს ადამიანებს. გაცილების უკეთესი სიტუაცია იყო სოფლებში, სადაც მოსახლეობის 90% ცხოვრობდა,

მაგრამ სწორედ რომში, ქალაქში იწყებოდა ძველ ქრისტიანთა რელიგიური ცხოვრება.

იმ დროს, ქრისტიანებს ჯერ არ ჰქონდათ ღვთისმსახურებისთვის ეკლესიები და ტაძრები. ისინი შეკრებებს სახლებში ან სუფთა ჰაერზე, ბაღებში ატარებდნენ. ღვთისმსახურებაში შედიოდა ლოცვები, გალობა და ქადაგება, აგრეთვე, ერთობლივი ტრაპეზი-სერობა, რომელსაც თავად იესომ დაუდო სათავე.

„როცა ისინი ჭამდნენ, აიღო იესომ პური, აკურთხა, დატეხა, მისცა მათ და თქვა: „აიღეთ და ჭამეთ – ეს ჩემი სხეულია“.

აიღო სასმისი, მადლი შესწირა და მისცა მათ და იქიდან შესვა ყველამ.

უთხრა მათ: ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მეტს აღარ შევსვამ ვაზის ნაყოფისგან იმ დღემდე, როცა შევსვამ ახალს ღვთის სასუფეველში“ (მარკ. 14: 22-25).

თანდათან ეს ტრაპეზი საიდუმლოდ იქცა, სადაც ქალები უდიდეს როლს თამაშობდნენ. სწორედ ისინი ამზადებდნენ საიდუმლო სერობისთვის საჭმელს, ტრაპეზში მამაკაცთა თანაბრად მონაწილეობდნენ და ხშირად, ამ ადრეული საეკლესიო მსახურების დროს ხელმძღვანელობის ამბიციებიც კი უჩნდებოდათ.

ქალები სხვებთან ერთად აღავლენდნენ ლოცვებს: მოციქულთა საქმეებში ვკითხულობთ, რომ ქრისტიანული შეკრების მთავარი ნაწილი სწორედ ლოცვები იყო, რომელსაც ქალები და კაცები ერთად აღავლენდნენ:

„ისინი ყველანი ერთსულოვნად გამუდმებულ ლოდვა-ვედრებაში იყვნენ დედაკაცებთან, იესოს დედასთან, მარიამთან და მის ძმებთან ერთად“ (საქმ. 1:14).

ანალოგიური სიტუაციაა აღწერილი საქმეების 12:12-25-შიც, როცა პეტრე მოციქული აკაკუნებს მარკოზად წოდებული იოანეს დედის, მარიამის სახლის ჭიშკარზე, „სადაც მრავალნი შეკრებილი იყვნენ და ლოცულობდნენ“. კარის გასაღებად ვინ

გამოდის? „ერთი მოახლე, სახელად როდე“.

ამას გარდა, ქალები კითხულობდნენ და ავრცელებდნენ წმინდა წერილს... და ზოგიერთი ქალბატონი მამაკაცზე უკეთ აკეთებდა ამას. ერთ იუდეველ კაცს, სახელად აპოლონს, ენამჭევრს და ძლიერს წერილებში, რომელიც ზუსტად ასწავლიდა იესოს შესახებ, ოღონდ მარტო იოანეს ნათლისცემა იცოდა... „მან გაბედულად დაიწყო ლაპარაკი სინაგოგაში, რომ მოუსმინეს, აკვილამ და პრისცილამ თან წაიყვანეს და უფრო ზუსტად აუხსნეს უფლის გზა“ (საქმეები 18:24-26).

ქალები ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ – სამოსს და საკვებს ურიგებდნენ უპოვართ. გავიხსენოთ ტაბითას ისტორია:

„ხოლო იათოში იყო ერთი მოწაფე დედაკაცი, სახელად ტაბითა, რაც თარგმანით ნიშნავს ქურციკს. იგი სავსე იყო კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რასაც იქმოდა.

იმ დღეებში იყო, რომ ავად გახდა იგი და მოკვდა. განბანეს და დაასვენეს ზედა თვალში.

ვინაიდან ლიდა იაფოს ახლოს მდებარეობდა, მოწაფეებმა შეიტყვეს პეტრე აქ არისო და ორი კაცი გაუგზავნეს სათხოვნელად, რომ არ დაეყოვნებინა მათთან მისვლა.

ადგა პეტრე და წავიდა მათთან. როცა მივიდა, აიყვანეს ზედა თვალში. მის წინაშე წარსდგა ყველა ქვრივი, ისინი ტიროდნენ და უჩვენებდნენ მოსასხამებსა და სამოსელს, რომლებსაც ქურციკი უკეთებდა, სანამ მათთან იყო“ (საქმ. 9:36-39). და მოციქულთა თავმა, წმინდა პეტრემ მკვდრეთით აღადგინა ტაბითა მის მიერ ჩადენილი ქველმოქმედების გამო და წმიდებსა და ქვრივებს ცოცხალი წარუდგინა იგი.

საერთოდ, ადრეულ ეკლესიაში გამეფებული აზრით, განურჩევლად სქესისა, ყველა ადამიანი უფლის ქმნილებას წარმოადგენს და თანაბარია. ამიტომ ეკლესია თავის რიგებში იღებდა მონებსაც, მათი ბატონების დაუკითხავად. იღებდა ქალებს, მათი ქმრების თანხმობის გარეშე. ეს გახლდათ ნამდვილი გარდატეხა რომის პატრიარქალური ყოფის და სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი მრავალ სხვა მიზეზთა შორის, რის გამოც

დაიწყო ქრისტიანთა დევნა. უბირები ქრისტიანებს – „ათეისტებს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ ისინი თაყვანს არ სცემდნენ ცრუ ღმერთებს, არც შესაწირავი მიჰქონდათ სამსხვერპლოზე და არც წარმართულ დღესასწაულებში მონაწილეობდნენ.

სწორედ ეკლესიის დევნის პერიოდში იღებს სათავეს ეკლესიაში დიაკონისას ინსტიტუტი. ჯერ კიდევ მოციქული პავლე წერდა რომაელებს: „აჰა, წარმოგიდგენთ ჩვენს დას ფიბეს, რომელიც არის კენქრელთა ეკლესიის მსახური“. (რომ. 16:1). დევნა-შევიწროების დროს, ქალებზე იშვიათად მიჰქონდათ ეჭვი, ალბათ ამან განაპირობა დიაკონისების პოპულარობა.

მოციქულებმა სპეციალური ლოცვა შემოიღეს დიაკონისების ხელდასხმის დროს. მათ განაწესში წერია, რომ დიაკონისა დიაკონის რჩევის გარეშე ნურას იქმნს და წარმოთქვამს, ამასთან ერთად, ქალს არ აქვს უფლება დიაკონისას გარეშე მივიდეს დიაკონთან და ეპისკოპოსთან.

ამ ინსტიტუტმა ბიზანტიაშიც ჰპოვა ფართო გავრცელება – ბევრი ქალბატონი იქნა ხელდასხმული საიმპერატორო ოჯახიდან ამ პერიოდში, მაგრამ შუა საუკუნეებში დიაკონისებმა არსებობა შეწყვიტეს.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობამ უფლის წინაშე გაათანაბრა მამაკაცი და დედაკაცი – ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, შორს დგას ეკლესიისგან. ქრისტიანობის მიხედვით, ქალები მთავარი როლებისთვის შექმნა უფალმა კაცებთან ერთად და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ქრისტიანობისა, სხვა რელიგიებთან შედარებით.

„...დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე“

ვიდრე თემის გარშემო ვისაუბრებთ, მინდა ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყვათათვის წავიკითხო, რომელსაც ყოველ პარასკევ დილით ვამბობ:

„წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა, უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყვანისვჰსცე და მას მხოლოსა ვმსახურო. ხოლო შენი სალმობა და რისხვა მიიქეცინ თავსავე შენსა და თხემსა შენსა ზედა გმობა შენი დაჰხედინ აწინდელსა ჟამსა შინა და ყოფადსა საუკუნესა უფსკრულსა შინა. რაი არს შენი და ჩვენი უცხო ღვთისაგან, ლტოლვილო ცათაგან, მონაო ბოროტო და განდგომილო! არა გაქვს შენ ფლობაი ჩვენი, ქრისტესა ძესა ღვთისასა აქვს ფლობაი ჩვენი, ყოველთა მისა ვჰსცოდეთ და მასვე სიტყვა უგოთცა. ხოლო შენ ივლტოდე ჩემგან, მომსვრელო და წინააღმდგომო მტერო ყოვლისა ჭეშმარიტებისა და სიმართლისაო და გეენისა ყოვლისა სატანჯველისა დამკვიდრებულო! ჩვენ სიმტკიცედ გვაქვს ჯვარი პატიოსანი და ამით დავთრგუნავთ შენ გველისა თავსა სახელითა ერთარსისა წმიდისა სამებისათა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისათა და ზედამდგომელობითა წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისათა, რამეთუ მისსა ჰშვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწა და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ეს ლოცვა აუცილებლად მივიჩნიე წამეკითხა დღეს, 24 აგვისტოს, ორშაბათს, ვინაიდან უნდა მოგახსენოთ უძველესი გიგანტური წიგნის შესახებ, რომლის ზუსტი წარმოშობაც უცნობია. შუა საუკუნეებში მას მსოფლიოს შვიდ საოცრებასთან ახსენებდნენ. ლამის 700 წელია ის აოცებდა მეცნიერებს და სწავლულებს. ამ ხელნაწერი წიგნის არსებობა დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომელიც მიუღებელი უნდა იყოს და მინიმუმ აშფოთებდეს მაინც კათოლიკურ ეკლესიას, თუმცა გასაკვირია, მაგრამ ეს ძველი ხელნაწერი არასოდეს განუსჯია ინკვიზიციას.

გიგასის კოდექსი, რაც „გიგანტურ წიგნს“ ნიშნავს! ასევე ცნობილია ეშმაკის ბიბლიის სახელწოდებით. ეს გახლავთ ყველაზე ვრცელი შუასაუკუნეების ხელნაწერი.

კოდექსის ნამდვილი წარმოშობა ბურუსითაა მოცული. თუმცა, ხელნაწერის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ის 1295 წელს შეიქმნა ბოჰემიის (თანამედროვე ჩეხეთის, პოდლაციეს ბენედიქტელთა მონასტერში. ის შეიცავს ლათინურ ენაზე დაწერილ მრავალ ხელნაწერს. აღნიშნული მონასტერი XV საუკუნეში ჰუსიტური ომების დროს განადგურდა, კოდექსი ინახებოდა ცისტერციანების მონასტერში, შემდგომ კი ის ბრევნოვის ბენედიქტელთა მონასტერმა შეიძინა. მოგვიანებით, 1594 წელს, რუდოლფ მეორემ, რომის საღვთო იმპერიის, ბოჰემიისა და უნგრეთის, ხორვატიისა და სლავონიის მეფე-იმპერატორმა, თავის სასახლეში ჩაკეტა ხელნაწერი, თუმცა 1948 წელს, ოცდაათწლიანი ომის პერიოდში, მთელი კრებული ნადავლის სახით გატანილი იქნა შვედეთში შვედეთის ჯარის მიერ. 1697 წლის 7 მაისს, სტოკჰოლმის სამეფო სასახლეში გაჩნდა ძლიერი ხანძარი, რაც სამეფო ბიბლიოთეკაზე ძალიან ცუდად აისახა. კოდექსი ცეცხლისგან რომ გადაერჩინათ ფანჯრიდან გადმოაგდეს, რამაც დააზიანა და ზოგიერთი ფურცელი დღესაც დაკარგულია. 2007 წელს 359 წლის შემდეგ, კოდექსი ქირით დაუბრუნდა პრაღას და 2008 წლამდე ჩეხეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში იყო განთავსებული უმკაცრესი პირობებით. მისი დაკარგვის შემთხვევაში, დაზღვევის თანხა 15,1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. 2008 წელს წიგნი სტოკჰოლმში დაბრუნდა.

წიგნი 640 გვერდისგან შედგებოდა, დღეისათვის 624 გვერდია შემორჩენილი. იწონის 75 კილოგრამს. ხის მასალის ყდაში ჩასმული 310 ფურცელი დამზადებულია 160 ვირის ტყავისგან. მანუსკრიპტი მოიცავს „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ ტექსტს, ისიდორა სევალსკოფის „ეტიმოლოგიას“, იოსიფა ფლავიას – „ ებრაელთა ომს“, ე.წ. „ცოდვილთა კრებულს“, „ქადაგებებს“, „კოსმოსურ ქრონიკებს“ და „კალენდარს“, წმინდანთა დღეების მითითებით.

წიგნის 290-ე გვერდი მოიცავს წმინდა ტექსტებს, სადაც მოხსენიებულია წმინდანები ეშმაკის გამოსახულებით. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ამ გვერდამდე რამდენიმე გვერდის წინ და შემდგომ, ტექსტი კონტურულია მუქი ჩრდილებით, რაც წიგნის სხვა დანარჩენ გვერდზე არ გვხვდება.

ისტორია თუ ლეგენდა „ეშმაკის ბიბლიის“ შესახებ, ცხადია, სიმართლეა, რასაც ამ წიგნის 290-ე გვერდზე გამოსახული დემონის ფიგურა მოწმობს, ხოლო მისი საფუძვლიანი არსი ბუნდოვანია და წლების მანძილზე სხვადასხვა თაობის ბერი შეეცადა მის გაშიფვრას, თუმცა უშედეგოდ.

ლეგენდის ტანახმად, ჩეხეთის ქალაქ პოდლაჟიცაში (პოდლეციე) არსებულ ბენედიქტეს მონასტერში მსგავსი ბიბლიის წერის შთაგონების წყარო გამხდარა დაცემული ანგელოზი, რომელიც ბერის სახით მოევლინა მონასტერს და ჩაუნერგა იქ მსახურებს მსგავსი ბიბლიის წერა, რის სანაცვლოდაც მათ ცოდვები მიეტევებოდათ.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ინკვიზიცია უკვე იყო საქმის კურსში და მსგავსის დაწერა აღარავის გაუმეორებია.

მიზეზი, რის გამოც გიგასის კოდექსს, ეშმაკის ბიბლიას უწოდებენ, ის გახლავთ, რომ წიგნში გამოსახულია დემონის ფიგურა, რომელსაც მთელი გვერდი უჭირავს. გამოსახულია ცარიელ პეიზაჟზე მდგომ ორ კოშკს შორის მაღლა ამართული ხელებით, ოთხ-ოთხი თითით ფეხებზე და ხელებზე, როგორც ბნელეთის პრინცი.

ლეგენდის თანახმად, ამ მონასტერში მცხოვრებ ბერს, ცოდვებისთვის სიკვდილი მიესაჯა. თავი რომ დაეხსნა, მან პირობა დადო, რომ ერთ ღამეში დაეწერა ქვეყნიერებაზე ყველაზე დიდი წიგნი, რითაც სახელს გაუთქვამდა მონასტერს.

წერის პროცესში ბერი მიხვდა, რომ უძლური იყო და დასახმარებლად ეშმაკს უხმო, რომელმაც გასამრჯელოდ სული მოსთხოვა... როცა წიგნი დასრულდა, ბერმა ეშმაკი დახატა, რითაც დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა კაცთა მოდგმის მტერს. ლეგენდა ამბობს, რომ ბერმა სასჯელი კი აიცილა,

მაგრამ სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა დაკარგა და მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცა.

ჭეშმარიტად, საოცარ მსოფლიოში ვცხოვრობთ. შუასაუკუნეების ეს ხელნაწერი არასოდეს გამხდარა ინკვიზიციის მსჯელობის საგანი. პირიქით, მის შესწავლას ბევრმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი, თუმცა, ჯერ-ჯერობით, დიდი შედეგებით ვერავინ დაიკვეხნის. ბევრი მკვლევარი ფიქრობდა, რომ მანუსკრიპტი შეიცავდა უკვდავების გზისკენ მიმავალ რეცეპტს, ზოგი ფორმულებს და შელოცვებს ეძებდა სტიქიების მართვის შესახებ, ნაწილს ეგონა, რომ ამ ფორმულებით შეეძლო მომავალი განესაზღვრა და წარსული სრულად აღედგინა. მიაღწია თუ არა ვინმემ მიზანს, ეს იცის ერთადერთმა გულთამხილველმა და არსთა გამრიგემ, რომლის წინაშეც ეშმაკის ყველა მცდელობა უძლურია.

„...ჩამოვიდა ცეცხლი ზეციდან და შთანთქა ისინი.

ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდუნა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი იმყოფებიან, და დაიტანჯებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხადება 20:9-10).

იონა

„იყო უფლისა სიტყვა იონაზე, აბითაის ძეზე:

ადექი, წადი ნინევეში, დიდ ქალაქში, და ამცნე, რომ მომწვდა მისი ბოროტების ამბავი“ (იონა 1:1-2). ამ სიტყვებით იწყება იონა წინასწარმეტყველის წიგნი „ძველ აღთქმისა“. იმის მაგივრად, ღმერთს დამორჩილებოდა, წინასწარმეტყველი საწინააღმდეგო მიმართულებით გაიქცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი მაინც შეიწყალებდა წარმართებს: „ილოცა უფლის მიმართ და უთხრა: ჰე, უფალო, განა ამას არ ვამბობდი, როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი? თავიდანაც იმიტომ გავრბოდი თარშიშში, რომ ვიცოდი, მონანიე და ლმობიერი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და მრავალმოწყალე. ნანობ ხოლმე ბოროტის ყოფას“ (იოან 4:2). დამეთანხმებით, რომ არ არის ტიპიური ქცევა იმისგან, ვინც მოწოდებულია უფლის ნება გამოუცხადოს ხალხს.

ხომალდი, რომლითაც იონა მიცურავდა, დიდ ქარიშხალში მოხვდა. შეშინდნენ მეზღვაურნი, ხომალდი ეს-ესაა გადაბრუნდება, ყველამ თავის ღმერთს შეჰღაღადა. იონა კი ბანქვეშ ჩასულიყო და არხეინად ეძინა. მივიდა ხომალდის უფროსი და უთხრა: რას დაგიძინია, ადექი და შეჰღაღადე შენს ღმერთს, ვინძლო შეგვიწყალოს. მერე ხალხმა წილი ჰყარა ერთმანეთში, რათა გაეგოთ, ვის გამო ჩაცვივდნენ განსაცდელში და წილი იონას შეხვდა. ამიღეთ და გადამაგდეთ ზღვაში და ზღვა დაგიწყნარდებათ, რადგან ეს ქარიშხალი ჩემს გამო დაგატყდათ თავს, მე ხომ უფლის პირიდან ვარ გაქცეულიო, – აღიარა იონამ. მეზღვაურებმა არ ინდომეს კაცის ხომალდიდან გადაგდება, უფრო მაგრად მოუსვეს ნიჩბები, რომ ხმელეთს მიდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ზღვა უფრო აუბობოქრდათ. მაშინ მათ მიიღეს თავიანთთვის მძიმე გადაწყვეტილება, სთხოვეს იონას ღმერთს, ნუ მოგვკითხავ მართალ სისხლსო და იონა წყალში გადააგდეს, ზღვამ ღელვა შეწყვიტა, იონა კი დიდმა თევზმა, სავარაუდოდ, ვეშაპმა გადაყლაპა.

ყოველთვის დიდი კამათია იმაზე, შეუძლია თუ არა ვეშაპს გადაყლაპოს ადამიანი. ამტკიცებდნენ, რომ ფიზიოლოგიურად შეუძლებელია ეს, მაგრამ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რომელმა „თევზმა“ გადაყლაპა წინასწარმეტყველი. მართლმადიდებლური ენციკლოპედია წერს, რომ ბერძნულად „კიტოს“ ნიშნავს „ზღვის ურჩხულს“ და მხოლოდ მისი მეორე სახელწოდება „კიტი“ ვეშაპის სინონიმია.

1891 წელს ბრიტანეთის საადმირალომ ოფიციალურად დაადასტურა შემთხვევა, რომელიც ფოკლენდის კუნძულებთან მოხდა. უზარმაზარმა კაშალოტმა დაამსხვრია ბრიტანული ვეშაპმჭერი შხუნა და გადაყლაპა ჰარპუნმსროლელი ჯეიმს ბარტლი. რამდენიმე საათის შემდეგ ცხოველი მოკლეს და როცა გაჭრეს, კუჭში უნახეს უგონო, მაგრამ ცოცხალი ბარტლი, რომელიც კუჭის წვენს საკმაოდ დაეზიანებინა: ჯეიმს გასცვივდა თმა, მისმა კანმა პიგმენტაცია დაკარგა და ქაღალდივით თეთრი გახდა, მაგრამ ის ცოცხალი დარჩა.

ვირწმუნებთ თუ არა ამ ისტორიას, ისევე, როგორც იონას შემთხვევას, ჩვენი კერძო არჩევანია, მაგრამ ერთ-ერთმა ეკლესიის მსახურმა განაცხადა: ბიბლიაში რომ ყოფილიყო დაწერილი, რომ ვეშაპმა კი არა, იონამ გადაყლაპა ვეშაპიო, დავიჯერებდი და ვირწმუნებდიო.

და მაინც: მართლაც ზუსტად ასე მოხდა ეს ამბავი, როგორც ბიბლიაშია მოთხრობილი? თუ იონას ისტორია მეტაფორულად უნდა წავიკითხოთ, როგორც იგავი? დიახ, ზოგიერთ მკვლევარს აქვს ასეთი მოსაზრება, რომ იონა წინასწარმეტყველის წიგნი გახლავთ ჭკუისსასწავლებელი მოთხრობა ადამიანის გამოსასწორებლად: სამი დღის შემდეგ „ვეშაპმა“ იონა ხმელეთზე ამოანთხია და მანაც გასწია ნინევეში, რომელიც მისგან სამი დღის სავალზე იყო.

შეგონების გარდა, ეს ეპიზოდი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ზუსტად ამდენი დრო გაატარა სამარეში ჯვარცმის შემდეგ. ამის შესახებ თავად იესო ამბობს მათეს სახარებაში:

„ვინაიდან, როგორც იონა იყო დიდი თევზის მუცელში სამ დღესა და სამ ღამეს, ასევე კაცის ძე იქნება სამ ღამეს დედამიწის გულში.“

ნინევიელები აღდგებიან სამსჯავროზე ამ მოდგმასთან ერთად და მსჯავრს დაადებენ, ვინაიდან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და აჰა, აქ არის იონაზე დიდი“ (მათე 12:40-41).

იონა წინასწარმეტყველის წიგნი – არ არის ტიპიური ბიბლიისთვის. „იარა იონამ ერთი დღე ქალაქში, ქადაგებდა და ამბობდა: კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე“ (იონა 3:4). აი, იონას ერთადერთი წინასწარმეტყველება და ისიც არ ახდა. ხალხმა მოინანია თავის მეფესთან ერთად და „შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ, და აღარ უყო. (იონა 3:10).

მართალია, უფალმა აპატია ნინეველებს, მაგრამ იონა სულაც არ აპირებდა იგივეს. ძალზე განაწყენდა. ახლა ბარემ ამომხადე სული, რადგან ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო, თქვა და ქალაქიდან გავიდა, აღმოსავლეთით გაჩერდა, ერთი ჩარდახი გაიკეთა, დაჯდა მის ჩრდილში და დაელოდა ქალაქის დაქცევას. უფალმა გადაწყვიტა, წმინდანისთვის სასარგებლო გაკვეთილი ჩაეტარებინა. ვინაიდან აუტანელი სიცხე იყო, „მოავლინა უფალმა აყირო და იგი იონას თავსზემოთ აიზარდა, რომ დაეჩრდილებინა მისთვის და წყენა გაექარვებინა“. იონა დიდად გაახარა ჩრდილმა და სიგრილემ, მაგრამ მეორე დღეს, განთიადისას უფალმა გაახმო ხე. მზემ კი ისე დააცხუნა, იონამ სიკვდილი ინატრა და თქვა: ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია.

„უთხრა უფალმა: შენ ერთი აყირო დაგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა.

აბა, მე როგორ არ დამენანოს დიდი ქალაქი ნინევე, სადაც ას ოცი ათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა და სადაც უთვალავი პირუტყვია“ (იონა 4:10-11).

უფლის წყალობას არ აქვს საზღვარი. შეუძლებელი არაფერია მომნანიებელი ადამიანისთვის – ახალ აღთქმამდე დიდი ხნით ადრე მოგვითხრო წიგნმა იონა წინასწარმეტყველის შესახებ, და კიდევ ერთი დეტალი – შინაური ცხოველები, რომლებიც ასევე შეიწყალა უფალმა, რომელსაც არ სურს თავისი ხელთქმნილი სულიერის დაღუპვა, მაგრამ ამ წიგნში მხოლოდ საოცრებებზე როდია საუბარი. ნინევი (ნინევია), ასირიის იმპერიის დედაქალაქი, როგორც წინასწარმეტყველმა ნაუმმა აგვიწერა, დაიღუპა თავისი უფლისადმი ურჩობისა და ჩადენილი ბოროტი საქმეების გამო. ჩვენს წინაშეა თავისებური ალტერნატიული ისტორია, ანუ ბიბლიური ენით რომ ვთქვათ, დიდი ცხოვრებისეული იგავი. როცა ვკითხულობთ იონას შესახებ, რომელიც ყველაფერს საწინააღმდეგოდ აკეთებდა, მისი წიგნი იგივე იდეებს ქადაგებს, რასაც სხვა წინასწარმეტყველური წიგნები, ოღონდ უფრო გამორჩეული ფორმით, იგავის სახით.

მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს ძალიან უყვარდა იგავების საშუალებით მიეტანა სათქმელი მსმენელამდე. ამის ბრწყინვალე ნიმუშია იგავები მთესველებზე, მევენახეებზე, მეთევზეებზე, მონეტებზე და მარცვლებზე. ეს ყველაფერი გვეხმარება უფრო კარგად შევიმეცნოთ წმინდა წერილები.

პირველი სასწაული

წვეულებებს და ქორწილებს ძველ იუდეაში ისე აღნიშნავდნენ, როგორც ღმერთის შემობრძანებას საკუთარ ოჯახში.

„მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეის კანაში იესოს დედაც იქ იყო.

იესო და მისი მოწაფეებიც იყვნენ მიწვეული ქორწილში.

როცა ღვინო შემოაკლდათ, იესოს დედამ უთხრა მას: „ღვინო აღარა აქვთ“.

იესომ უთხრა მას: „რა გინდა ჩემგან, დედაკაცო? ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა“.

დედამისმა უთხრა მსახურებს: „გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით“.

იქ იყო ექვსი ქვის ჭურჭელი, იუდეველთა საწესო განწმენდისთვის, თითოში ორი ან სამი საწყაული ჩადიოდა.

უთხრა მათ იესომ: „აავსეთ წყლით ეგ ჭურჭლები“ და მათაც აავსეს პირთამდე.

უთხრა მათ: „ახლა ამოიღეთ და მიართვით სუფრის გამრიგეს“! და მიართვეს.

როდესაც სუფრის გამრიგემ გემო უნახა ღვინოდ ქცეულ წყალს (არ იცოდა საიდან იყო ეს, იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მაშინ სუფრის გამრიგემ დაუძახა ნეფეს.

და უთხრა: „ყველა კაცი ჯერ კარგ ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა შეთვრებიან, მდარეს. შენ კი აქამდე ინახავდი კარგ ღვინოს“.

ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეს კანაში და გამოავლინა თავისი დიდება და ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა“. (იოანე 2:1-11).

აღმოსავლეთში, ქორწილი ითვლებოდა ყველაზე სასიხარულო მოვლენად ადამიანის ცხოვრებაში. მას შვიდ დღეს ზეიმობდნენ და ამ ხნის განმავლობაში მექორწილენი, რომლებიც საერთოდ არც თუ დალხინებულად ცხოვრობდნენ, სრულ თა-

ვისუფლებას და თავდავიწყებას ეძლეოდნენ: ჭარბად ჭამდნენ და სვამდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ყველა საქმეს გადადებდნენ და შაბათის ზოგიერთ შეზღუდვაზეც კი ხუჭავდნენ თვალს. ტყუილად კი არ ადარებს იესო თავის იგავებში ღვთის სამეფოს საქორწინო ლხინს.

ამ ქორწილში სიძე სიმონ კანანელი გახლდათ, მომავალში იესოს ერთ-ერთი მოციქული თორმეტთაგან, მათი ნათესავი. ამიტომ იყვნენ სტუმრებს შორის იესოს დედა, თავად, მისი მოწაფეები და იესოს ძმებიც: „ამის შემდეგ ჩავიდა კაპერნაუმს, ის და დედამისი, ძმები და მისი მოწაფეები, და იქ დარჩა რამდენიმე დღეს„ (იოანე 1:12). დედის სიტყვებში იგრძნობა ფარული თხოვნა, დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს. ქორწილში ღვინის გათავება მასპინძლისთვის უზარმაზარი სირცხვილია, ტრაგედიაა.

ღვთისმშობელი, რომლის სიკეთე და სიყვარული უკიდეგანოა ყველა დაბადებულისთვის, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას მყის იაზრებს და მიმართავს იესოს, რადგან კარგად უწყის, რომ იგი ყოვლისშემძლეა. ამ სასწაულმა დიდი განცვიფრება გამოიწვია ხალხშიც და იესოს მოწაფეებშიც, თუმცა მარიამმა და ძმებმა ჩვეულებრივად მიიღეს. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ეს ბუნებრივია, რადგან იესოს ძმებიც და მოწაფეებიც მისგან უფრო მნიშნელოვან საქმეებს ელიან (იოანე 7:3-6).

„მაშინ მისმა ძმებმა უთხრეს მას: „წადი, აქედან და მიდი იუდეაში, რათა შენმა მოწაფეებმაც იხილონ შენი საქმეები, რომელსაც აკეთებ.

რადგან ფარულად არავინ არაფერს აკეთებს, არამედ თავის გამოჩენას ეძებს. რაკი ასეთ საქმეებს აკეთებ, გამოუცხადე წუთისოფელს“.

რადგან მის ძმებსაც კი არ სწამდათ მისი.

ამაზე იესომ უთხრა მათ: „ჩემი ჟამი ჯერ არ მოსულა, თქვენი დრო კი მუდამ მზადაა“.

ზოგიერთები ამ ეპიზოდში ხედავენ ძმების საყვედურს და აგრეთვე, საკუთარ ურწმუნოებას – თუ ასეთი სასწაულების

კეთება იცი, გამოუცხადე სხვებსაც, თუ არადა რა მესია ხარ? – სხვისთვის საზრდოს მიცემა და განკურნება, როგორც იუდეაში წარმოადგინა, სულაც არ არის მესიის მთავარი საქმე, ამიტომ ეუბნება იესო კანაში დედას და კაპერნაუმში ძმებს: „ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა“.

ის, რაც დაფარულია არათუ ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, თავად წმინდანებისთვისაც კი, ცნობილი და ხილულია უფლისთვის, რომელმაც შექმნა ყოველი და იცის ყოველი, დაწყებული სამყაროს შექმნიდან, დამთავრებული სამყაროს ბოლო წამამდე. გასაგებია ღვთისმშობლის სურვილიც – მოყვასისადმი დახმარება გაჭირვებაში. გასაგებია ძმების და მოწაფეების სწრაფვაც იხილონ მესია სრული დიდებით მეფის ტახტზე მჯდომარე, მაგრამ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე უფალმა ყველაზე უკეთ უწყის რა და რა დროს მოიმოქმედოს.

ის სასწაული კი, რომელიც იესომ კანაში მოახდინა, იყო არა მხოლოდ დედის თხოვნის შესრულება, არამედ მოწაფეებზე ზემოქმედების მოხდენაც, რომლებმაც შემდეგ, როცა მაცხოვარმა მოუწოდა, უყოყმანოდ გაჰყვნენ მას. ის, რაც მექორწილეებმა ვერ შენიშნეს, მყის გაისიგრძეგანეს მომავალმა მოციქულებმა და სათანადო დასკვნებიც გააკეთეს.

მკვდარი ზღვა – უფლის ნიშანი

„გავიდა ლოტი და ელაპარაკა თავის სასიძოებს, რომელთაც მისი ქალიშვილები უნდა ეთხოვათ და უთხრა: ადექით და გადით ამ ადგილიდან, რადგან ქალაქის განადგურებას აპირებს უფალი. სასიძოებს ეგონათ, ხუმრობსო ლოტი“ (დაბ. 19:14).

როგორც მალევე გაირკვა, ლოტი სრულიადაც არ ხუმრობდა. მალე „აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისგან. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე. ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი“ (დაბ. 19:24-25). ამის შემდეგ „წავიდა აბრაამი დილაადრიან იმ ადგილისკენ და დადგა იქ უფლის წინაშე. გახედა სოდომსა და გომორს და აჰა, ხედავს, კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირედან ავარდნილი ბოლი“ (დაბ. 19:27-28).

ამ ორ ქალაქთან ერთად განადგურებული და აღგვილი იქნა ადმა და ცებოიმიც, ანუ ოთხი ქალაქი ე.წ. სოდომის ხუთქალაქიდან. მხოლოდ ხაგორი გადარჩა, სადაც ლოტმა შეაფარა თავი ოჯახთან ერად. ეს ქალაქი, რომელსაც ცოღარსაც უწოდებენ, როგორც ბიბლიის შემსწავლელნი მიიჩნევენ, მდებარეობდა მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქერექის ველზე, მოაბის საზღვართან. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცოღარი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთითაა. სოდომის ხუთქალაქეულის ზუსტი იდენტიფიცირება ძველი აღთქმის მიხედვით, სამწუხაროდ, შეუძლებელია. მკვდარი ზღვა ერთადერთია დედამიწაზე, რომელშიც არცაა სიცოცხლე და ეს ზღვა, სწორედ სოდომის და გომორის ადგილას გაჩნდა ამ ცეცხლოვან-გოგირდოვანი წვიმის მერე, რათა ადამიანებს არასოდეს დავიწყებოდათ უფლის განაჩენი.

ამ ქალაქთა კატასტროდის შესახებ წერდნენ ანტიკური მეცნიერებიც. ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი: ოდესღაც აქ ყოფილა 13 დასახლებული ადგილი, რომელთაგან მთავარ ქალაქ სოდომს 60 სტადიის გარშემოწერილობა ჰქონდა. მიწისძვრის, ცეცხლის და ადუღებული გოგირდის წვიმის-

გან, ტბამ გადმოლახა ნაპირები და ცეცხლმა შთანთქა მთები. ზოგი ქალაქი პირწმინდად აღიგავა, ზოგიდან კი მოასწრეს გაქცევა.

ზეციური ცეცხლით განადგურებულ ამ ადგილებს იხსენებს მეორე საუკუნის რომაელი ისტორიკოსი პუბლიციურ კორნელიუს ტაციტუსი, ხოლო მისი თანამედროვე იოსებ ფლავიუსი წერს: „ოდესღაც მდიდარი დ ნაყოფიერი სოდომის მხარე, ახლა სრულიად გადამწვარია... ის თავისი მცხოვრებლების ცოდვების გამო მეხთა ტეხამ გაანადგურა“.

ისტორიკოსები და არქეოლოგები ლეგენდად მიიჩნევდნენ ზემოთქმულს, მაგრამ ტროას გათხრების შემდეგ გაუჩნდათ იმედი, რომ შეიძლებოდა სხვა დასახლებების აღმოჩენაც.

1965-დან 1979 წლის ჩათვლით, ხუთი ექსპედიცია ჩატარდა სოდომის კვალის მოსაძიებლად, მაგრამ უშედეგოდ. უკვე ჩვენს საუკუნეში ჯერ ისრაელმა, მერე კი იორდანიამ და რუსეთმა წყალქვეშა აპარატებიც კი ჩაუშვეს ამ მიზნით მკვდარ ზღვაში, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი, რაც იპოვეს თანამგზავრული გამოკვლევების შედეგად, ეს იყო რომელიღაც დასახლების ნანგრევები ამ ზღვის სამხრეთით. ის მდებარეობს უძველეს ქალაქ ბაბ-ედ-დრასთან ახლოს და მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას (III ათასწ. ჩვ. წ. აღ-მდე).

ამის გარდა იყო ცდები, სოდომის და გომორის ზოგიერთი სხვა უძველესი დასახლებისთვის „მიკუთვნების“. მაგალითად, ალბუკერკეს უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი სტივენ კოლინზი ვარაუდობდა, რომ იორდანიის ტელ ელ-ჰამამის შემოგარენის ნანგრევები სწორედ სოდომი იყო, თუმცა ეს ადგილი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთითაა, როცა სოდომი მისგან საწინააღმდეგო მხარეს, მკვდარი ზღვის სამხრეთში მდებარეობდა.

დასასრულს გეტყვით, რომ ბიბლიაში აღწერილ კატასტროფათაგან, მსოფლიო წარღვნის შემდეგ, მეორე ადგილს, სოდომისა და გომორის დასჯა იკავებს. მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნის, დაბადების, მეცხრამეტე თავში გარკვევით წე-

რია, რომ სწორედ მამათმავლობის გამო დასაჯა მატერიალურად აყვავებული ეს ქალაქები უფალმა. და დასაჯა გოგირდისა და წუნწუბის წვიმით, რომლის საშინელი სიმყრალე სწორედ ამ ცოდვის შესატყვისი იყო – რათა საცნაური გაეხადა ადამიანთათვის ამ ცოდვის სიბილწე და ეჩვენებინა, რამდენად სძაგს იგი შემოქმედს ჩვენსას. ეს აბრაამისა და ლოტის დროს მოხდა, მაგრამ ამ საშინელი სასჯელის უტყვ მღაღადებლად დღემდე მკვდარი ზღვა გვევლინება.

მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი

I ნაწილი

იოანეს სახარების პირველი თავი იწყება ყოვლისმომცველი წინადადებით:

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“.

და შემდეგ:

„ის იყო თავდაპირველად ღმერთთან.

ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა.

მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი.

ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“ (იოანე 1:1-5).

ორიგინალურ ტესქტში ძველბერძნულ ენაზე „სიტყვა“ „ლოგოს“-ად წერია. კიდევ იგი ითარგმნება, როგორც „გონი“, „ფუძე“ ანუ „საწყისი“ – დაახლოებით 100 მნიშვნელობა აქვს.

„სიტყვა“ იოანე ღვთისმეტყველთა – არის ლოგოსი, წმინდა სამების მეორე წევრი (პირი), ღვთის ძე, განხორციელებული როგორც ადამიანი იესო ქრისტე.

რატომ პირდაპირ ღვთის ძე არ დაწერა იოანე მოციქულმა და რატომ მოიხსენია მის ნაცვლად _ „სიტყვა“?

მიზეზი შეიძლება ბევრია, მაგრამ ერთ-ერთი მთავარია იოანეს სახარების ადრესატები. მოციქულმა სახარება სპეციალურად შექმნა იმდროინდელი ინტელექტუალებისთვის, რომელნიც ბრწყინვალედ ფლობდნენ ანტიკურ მოძღვრებას – ლოგოსის ანუ მსოფლიო გონის შესახებ, რომელიც მოიცავს და მართავს სამყაროს. ასე რომ, იოანე ღვთისმეტყველმა აუხსნა მათ, ვინ არის სინამდვილეში ლოგოსი – იესო ქრისტე, ძე ღთისა!

სხვათა შორის, მსოფლიოს ბევრ ერს სხვადასხვაგვარად

ესმოდა ლოგოსის ცნება თავის ენაზე. მაგალითად, ჩინური ტექსტი ამ სახარების ასე იწყება: „თავდაპირველად იყო გზა (ლაო)“, რადგან ჩინურ კულტურაში სწორედ ეს მცნება შეეფერება ანტიკურ ლოგოსს.

„უფალმა შემიძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებამდე დასაბამით.

უკუნითიდან დამადგინა, თავიდანვე, ქვეყნის დასაბამიდან.

...როცა ჯერ არც ქვეყანა იყო შექმნილი, არც მინდორ-ველები და არც სამყაროს პირველი მტვერი.

როდესაც იგი ზეცას განამზადებდა, იქ ვიყავი, როდესაც უფსკრულის პირზე წრეს ავლებდა.

როდესაც მაღლა ცებს ამაგრებდა, უფსკრულის წყაროებს აძლიერებდა... (იგავები 8:22-23; 26-28).

დიახ, ქრისტესმიერი ძმანო და დანო! ძე ღვთისა სათავეს იღებს სამყაროს შექმნის დღიდან, უფრო მეტიც, ის თავად ქმნის, თავად გახლავთ შემოქმედი სამყაროსი.

როცა ამის შესახებ პირველად მოვუყევი მეგობრებს, ერთმა ეჭვით შემომხედა და მკითხა: „თუ იესო ქმნიდა ყოველივეს, რატომ დასჭირდა მონათვლის შემდეგ უდაბნოში გასვლა, ორმოცდღიანი მარხულობა და ეშმაკთან გამოცდების ჩაბარება?“

„ჩვენთვის „დასჭირდა“ ჩემო ძმაო, ჩვენთვის, ადამიანებისთვის მაგალითის მისაცემად. განა იესოს მიწიერი ყოფა მაგალითი არ გახდა კაცობრიობისთვის სიყვარულის და კაცთა შორის ურთიერთობის? ანდა მისი ჯვარზე თავგანწირვა და მისი ადამიანური ყოფა, ის დღემდე ეტალონად არ ითვლება?“.

დასასრულ კი მინდა მოვიტანო ერთი ადგილი იოანე მოციქულის გამოცხადებიდან (იოანე 19:11-16).

„ვიხილე ცა გახსნილი და თეთრი ცხენი და მისი მხედარი იწოდება სარწმუნოდ და ჭეშმარიტად და სიმართლით განიკითხავს და იბრძვის.

მისი თვალები ცეცხლის ალსა ჰგავდა, თავზე მრავალი ჯიღა ედგა და ზედ ეწერა სახელი, რომელიც მის მეტმა არავინ იცის.

ემოსა სისხლში ამოვლებული სამოსელი. მისი სახელია „ღვთის სიტყვა“.

ციური ლაშქარი მისდევდა მას თეთრ ცხენებზე, თეთრი და წმიდა ბისონით შემოსილი.

მისი პირიდან გამოდიოდა ბასრი მახვილი, რომელიც შემუსრავს ერებს, და იგი დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით. იგი წურავს ყოვლისმპყრობელი ღვთის რისხვის მძვინვარების ღვინოს საწნახელს.

მის სამოსელზე და მის თეძოზე აწერია სახელი: „მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი!

უფალთ-უფალი და მეფეთ-მეფე

II ნაწილი

„უწყოდეთ, რომ უფალია ღმერთი, მან შეგვქმნა ჩვენ და მისთვის ვართ ჩვენ – ხალხი მისი და ცხვარი, სამწყსო მისი“ (ფსალმ. 93:3).

„ჩემი ცხვრები, ჩემს ხმას ისმენენ, მე ვიცნობ მათ და ისინი მე მომყვებიან“ (იოანე 10:27).

იესო ადასტურებს, რომ ის არის მწყემსი, რომელზეც დავითი გალობდა. იესო გახლავთ მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი.

„უთხრა უფალმა მეუფეს ჩემსას: იჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავანარცხებდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ.

კვერთხს შენი ძალისას გამოგიგზავნის უფალი სიონიდან, იბატონე შენს მტერთა შორის.

შენი ხალხი მოხალისედ წამოვა შენი გალაშქრების ჟამს წმიდა ბრწყინვალებით: განთიადის საშოდანვე შენთანაა ნამი შენი სიყრმისა“ (ფსალმ. 109:13).

„როცა ფარისევლები შეიკრიბნენ, იესომ ჰკითხა მათ:

„რას ფიქრობთ თქვენ ქრისტეზე? ვისი ძეა იგი?“. მათ უთხრეს: „დავითისა“.

უთხრა მათ: „აბა როგორღა უწოდებს დავითი სულში მის უფალს, როცა ამბობს:

უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენ ფერხთა სადგამად?

თუ დავითი უფალს უწოდებს მას, მისი ძე როგორღაა?“

ვერავინ შეძლო მისთვის სიტყვის მიგება. ამ დღიდან მოკიდებული კითხვას ვეღარავინ უბედავდა“ (მათე 22:41-46).

მაშასადამე, იესო ქრისტე ამბობს საკუთარ თავზე, რომ ის არ გახლავთ დავითის ძე ანუ ადამიანის ძე, ის ღმერთის შვილია და თავადაც მეფეთ-მეფეა და უფალთ-უფალი!

დიახ, იესო მეფეა!

ფსალმუნი ამოწმებს, რომ იესო ქრისტე – მხსნელი, მეფეთ

და უფალია (დავითის ფსალმუნი 44:2-18).

„აღმოთქვა ჩემმა გულმა სიტყვა კეთილი. მე ვამბობ: ჩემი ნახელავი – მეფეს; ჩემი ენა კალამია სწრაფად მწერლისა.

ადამის ძეთა უმშვენესი ხარ, მადლი იღვრება შენთა ბაგეთა-გან, ამიტომ გაკურთხა ღმერთმა უკუნისამდე.

წელზე შემოირტყი შენი მახვილი, გმირო, შენი დიდებითა და მშვენებით.

და ამ შენი მშვენებით დაბრძანდი ეტლზე ჭეშმარიტების, თვინიერებისა და სიმართლის გულისთვის და აჩვენებს საოცრებას მარჯვენა შენი.

შენი ისრები წამახულია, ხალხები ეცემიან შენს ფეხქვეშ; გულში ერჭობიან მეფის მტრებს.

ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე, სიმართლის კვერთხია, კვერთხი შენი მეუფებისა.

შენ შეიყვარე სიმართლე და შეიძულე ბოროტება: ამიტომაც გცხო ღმერთმა, შენმა ღმერთმა, სიხარულის ზეთი შენს მეგობრებზე უმეტეს.

მთელი შენი სამოსი – ვითარცა ზმირინი, ალოე და კასია, სპილოს ძვლის დარბაზებიდან გაგამხიარულებენ შენ.

მეფეთა ასულნი შენს დიდებულებს შორის არიან; შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული.

მოისმინე, ასულო, გამოიხედე და მომაპყარ ყური. და დაივიწყე ხალხი შენი და სახლი მამაშენისა.

და დატკბება მეფე შენი მშვენებით, რადგან, ის არის შენი უფალი და თაყვანი ეცი მას.

და ასულნი ტვიროსისა ძღვენით მოვლენ; მუდარას დაგიწყებენ ერის მდიდარნი.

მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა, მოოქროვილია მისი სამოსი.

მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან; მის უკან ქალწულნი, დობილნი მისნი მოჰყავთ შენთან.

მოჰყავთ სიხარულით და ლხინით, შედიან მეფის სრა-სასახლეში.

შენს წინაპართა ადგილას იქნებიან ძენი შენნი.

მათ დააყენებ მთავრებად მთელ დედამიწაზე.

გავიხსენებ შენს სახელს თაობიდან თაობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხამენ უკუნითი უკუნისამდე“.

მიაქციეთ ყურადღება: დავითი მეფეს ღმერთს უწოდებს:

„შენ შეიყვარე სიმართლე და შეიძულე ბოროტება; ამიტომაც გცხო ღმერთმა, შენმა ღმერთმა, სიხარულის ზეთი შენს მეგობრებზე უმეტეს“.

აი, რას ამბობს ახალი აღთქმა: იოანე 18:36.

„მიუგო იესომ: ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა. ჩემი სამეფო რომ ამ წუთისოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. არა, ჩემი სამეფო არ არის სააქაო“.

„თქვენ კი ისინი ხართ, რომელნიც ჩემთან დარჩით ჩემს განსაცდელში.

მეც ისევე აღგითქვით, როგორც მე აღმითქვა მამაჩემმა სასუფეველი.

რომ ჭამო და სვათ ჩემს სუფრაზე ჩემს სასუფეველში და დასხდეთ ტახტებზე ისრაელის თორმეტი ტომის განსაკითხავად“. (ლუკა 22:28-30).

აქ იესო თავად ადასტურებს, რომ ის მეფეა, მამის ტახტზე მჯდარი – „გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ, ჩემს ტახტზე, ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე“. (გამოცხ. 3:21).

და ბოლოს, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ის ადგილი „გამოცხადებიდან“, რითაც დავამთავრეთ ჩვენი ნაშრომის პირველი ნაწილი (გამოცხ. 19:11-16).

მაშასადამე, ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა ამოწმებს, რომ იესო ქრისტე ღვთის შვილია, უფალთ-უფალი და მეფეთ-მეფე.

იესო ქრისტე ღმერთია!

როგორ გამოიყურებოდა წმინდა ნიკოლოზი

მინდა ქრისტიანთა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და ძვირფას წმინდანზე, ნიკოლოზ სასწაულმოქმედზე ვისაუბროთ, რომელიც დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას და უდიდესი მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩაგრულნი მასში პოულობდნენ მსწრაფლშემწეს და მცველს, უბედურნი – მწყალობელს და ნუგეშისმცემელს, მასთან მოსაუბრენი რწმენაში მტკიცდებოდნენ, წარმართნი სამუდამოდ უარყოფდნენ წარმართობას და ქრისტეს რწმენის მიმდევრები და აღმსრულებლები ხდებოდნენ.

წმინდა ნიკოლოზი გარდაცვალების შემდეგაც არ სტოვებს თავის სამწყსოს, დღესაც მფარველობს მწუხარეთ და ტანჯულთ, განსაცდელში მყოფთ, მძიმე სნეულთათვისაც კვლავ წარმოადგენს კურნების უშრეტ წყაროს. სიკვდილის შემდეგ მამა ღმერთმა მეტი სასწაულთმოქმედების ნიჭი უბოძა. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ დასაწყისი იყო იმ მრავალრიცხოვანი საოცრებებისა, იმ სიკეთისა და სათნოებისა, რომელთ კეთებასაც იგი დღესაც განაგრძობს.

წმინდა ნიკოლოზის კეთილი საქმეების და სასწაულების ჩამოთვლას ტომები არ ეყოფა. ჩემი მოკრძალებული სურვილია, თქვენთან ერთად გავარკვიო, როგორ გამოიყურებოდა იგი დედამიწაზე ყოფნის პერიოდში.

ჩამოყალიბებულია აზრი და აქსიომადაა მიღებული, რომ წმინდანების რეალურ გარეგნობასა და მათ ხატებთან არაფერია საერთო. თითქოსდა ხატი იმდენად პირობითია, რომ მისით შეუძლებელია იმსჯელო, სინამდვილეში როგორ გამოიყურებოდა რომელიმე წმინდანი. თუმცა მეოცე საუკუნეში ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხატზე გამოსახულებამ შეიძლება მოგვცეს წმინდანის გარეგნობის განსაკუთრებული ნიშნები.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ლუსკუმა მისი მცირე წმინდა ნაწილებით იმყოფება იტალიის ქალაქ ბარში კათოლი-

კურ ეკლესიაში. სწორედ რომის კათოლიკური ეკლესიის ნებართვით, 1953 წელს, პროფესორმა ლუიჯი მარტინომ გახსნა აღნიშნული ლუსკუმა. სამეცნიერო ესქპრიმენტის მიზანი იყო წმინდანის ნამდვილი, ცხოვრებისეული სახის რეკონსტრუქცია.

როცა წმინდა ნაწილები შეისწავლა, პროფესორი მივიდა დასკვნამდე, რომ წმინდანის ხატის გამოსახულება ლამის ანალოგი იყო ორიგინალისა. აი, ფრაგმენტი მისი მოხსენებიდან: „თავის ქალისა და ჩონჩხის მიხედვით, წმინდანი მიეკუთვნება თეთრ ევროპეიდურ ხმელთაშუაზღვისპირულ რასას, რისთვისაც დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი სიმაღლე და მუქი ფერის კანი. მაღალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, საშუალო სიმაგრის ძვლები“. გარდა ამისა, მარტინომ დაადგინა, რომ წმინდანი არ მიირთმევდა ხორცს, იყენებდა მხოლოდ მცენარეულ საკვებს. დადგინდა სასწაულმოქმედის სიმაღლეც – 167 სანტიმეტრი.

მეოცე საუკუნის შუაწლების ტექნოლოგიამ მაინც ვერ შეძლო წმინდანის ვიზუალური მოდელის სრულყოფილი ჩამოყალიბება. დამატებითი ექსპერიმენტი 2005 წელს ჩატარდა ბრიტანელი მეცნიერების მიერ. მათ ვერ მიიღეს კათოლიკური ეკლესიიდან წმინდანის ლუსკუმის გახსნის ნებართვა, ამიტომ მარტინოს გამოკვლევებს დაეყრდნენ.

1953 წელს გამოკვლეული მასალები სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანეს და აი, რა დასკვნამდე მივიდნენ: „გამოკვლევების თანახმად, წმინდა ნიკოლოზი 167 სმ. სიმაღლის გახლდათ. გარდაცვალების მომენტში 65-70 წლის იყო. ჰქონდა ვაჟკაცური, გულადი ადამიანის სახე. დიდი თავი ძლიერი, უხეში ქალით. აღინიშნა, რომ ჰქონდა ცხვირის შესამჩნევი მოტეხილობა, რომელზეც აჩნდა მკურნალობის კვალი და ისიც, რომ ეს ამბავი სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე შეემთხვა“.

ბრიტანელების შემდეგ, რუსმა მეცნიერებმა, რომლებიც წინამორბედების შედეგებს დაეყრდნენ, ვიზუალურ რეკონსტრუქციას ემოციალური შტრიხები დაუმატეს. ამის შემდეგ წმინდანის ცხოვრებისეული სახის კომპიუტერული მოდელი მთლიანად დაემსგავსა მის ხატზე გამოსახულებას.

ქრისტიანი და ბიბლია

ჩემი აზრით საკმაოდ სერიოზულ საკითხს ვეხები და გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ:

არის ასეთი ფენომენი (სხვაგვარად ვერ ვუწოდებ!), რომლის მთელი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავს ქრისტიანად თვლის, მართლმადიდებლად, ბიბლია ავტორიტეტულ წიგნად მიაჩნია და ამასთანავე, ზოგჯერ ეწინააღმდეგება იქ დაწერილს.

არ მესმის, როგორ შეიძლება ეს? თუ თავს ქრისტიანად მიიჩნევ და ამავე დროს, ამა თუ იმ საკითხში ბიბლიას არ ეთანხმები, რომელ ქრისტიანობაზე საუბრობ? ბიბლიის უნიკალურობა ისაა, რომ მისი ან მთლიანად გჯერა, ან საერთოდ არ გჯერა. ეს ის კი არ არის, აქ მახსოვს და იქ – არა.

და მაინც, როგორ საზღვრავთ, ბიბლიის რომელი ადგილი იმსახურებს თქვენს „მაღალ“ ყურადღებას და რომელს აყენებთ ეჭვქვეშ? შერჩევის რა კრიტერიუმი გაქვთ? ანუ ადასტურებთ იესო ქრისტეს ღვთისშილობას, აღიარებთ მის ჯვარცმას და აღდგომას და ამბობთ, რომ ზოგჯერ მცდარად ხედავდა მოვლენებს? ერთი ბიბლიის ექსპერტიზადაჩემებული ქალბატონი იქამდე დავიდა, რომ ყველას გასაგონად წამოროშა, ქრისტემ თავისი პროვოკაციით (ღმერთო შენ მიშველე და უშველე ამ უბედურსაც!) აიძულა ისრაელი ჯვარს ეცვა იგიო. ზოგს მოციქულებში ეპარება ეჭვი, ეს არასწორად გადმოსცესო; ზოგი თარგმანს იწუნებს. ვერ გამიგია – თუ თქვენ არ გჯერათ ან ეჭვი შეგაქვთ ბიბლიის ნაწილში, სხვა ადგილების როგორ გჯერათ? როგორ შეგიძლიათ ბიბლიის ციტირება, თუ მას არ ენდობით? დრო ხომ არ დაგიდგათ, ჯერ საკუთარ ტვინში გაარკვიოთ ეს საკითხები და ჩამოყალიბდეთ, მიიღოთ ბიბლია, როგორ უფლის სიტყვა თუ არა.

ქრისტიანი ის არის, ვინც ქრისტეს მოძღვრებას მიჰყვება. მოძღვრება კი ბიბლიაშია ჩაწერილი. ამიტომ ქრისტიანი ბიბლიას უნდა გაჰყვეს და არ ეკამათოს. ამას კონკრეტულად

ქრისტიანთა მიმართ მოგახსენებთ და არა იმათ გასაგონად, რომელთაც არაფერი სწამთ.

რატომ დავწერე ყოველივე ეს? იმიტომ, რომ ზოგიერთი ქრისტიანი ცდილობს ღალატის გამართლებას და ამ მიზნით იმ ეპიზოდს იხსენებს, სადაც უფალი ამბობს: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა!“ (იოანე 8:7).

რამდენად გონებადახშული უნდა იყო, რომ ამ ეპიზოდში, უფლის მიერ ცოლქმრული ღალატის გამართლება და სულო ცოდვილოს მხარდაჭერა დაანახო. პირიქით. უფალმა სარკეში ჩაახედა მთელი ბრბო, საკუთარი ცოდვები დაინახა. ამიტომ გაიძურწნენ ისინი და შენ, რომელიც ამ იგავში უფლის საქციელს ეჭვით უყურებ, რით განსხვავდები ქვამომარჯვებული იმ ხალხისგან? როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ ქმარი აბსოლუტურად მართალია, როცა ღალატისთვის სხვას ეძებს ან ცოლი, რომელიც ანალოგიურად იქცევა? როგორ შეიძლება ცოდვის გამართლება? აი, ბიბლია რას ამბობს:

„ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელ-შეუბილწავი. მეძავეებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს (ებრ. 13:4).

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველში? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი (1 კორინ. 6:9).

„გაექეცით სიძვას, ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი ჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს (1. კორინ. 6:18).

„ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა...

...სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (გალატ. 5:19,21).

ეს ამდენი ადგილი წმინდა წერილიდან იმიტომ მოვიტანე,

რომ მთავარ სათქმელს მივუბრუნდე: ბიბლია ერთადერთი შეუვალი და მართალი წყაროა. ყველაფერზე აქვს პასუხი. ამიტომ უნდა ვილოცოთ და ვთხოვოთ უფალს სიბრძნე, რომ მიგვახვედროს, რა სიმდიდრე ჩადო ამ წიგნში. წაკითხვა კი არა მხოლოდ, გააზრება გვიბოძოს. ეს აუცილებელია არა მხოლოდ კითხვებზე პასუხების მისაღებად, არამედ იმისთვისაც, რომ თავად ჩვენ არ დავეცეთ ცოდვაში და არ ჩავვარდეთ ერესში.

„მთელი წერილი ღვთივსულიერი და სასარგებლოა სასწავლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში.

რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისთვის განმზადებული“ (II ტიმოთე 3: 16-17).

მადლი უფლისა

ის, რაც ახლა დედამიწაზე ხდება, ფრიად აშფოთებს და აშინებს კაცობრიობას. სიტუაციების ახსნის პასუხების მომლოდინე საზოგადოება უფრო და უფრო მეტ კითხვებს და პრობლემებს აწყდება. ინტერნეტი ფარშევანგის კუდივითაა აჭრელებული უამრავი სტატიით რელიგიის შესახებ, განსაკუთრებით, „გამოცხადებაში“ ეძებს პასუხს და ბევრი კამათია იმაზე, ხომ არ მოახლოვდა მეორედ მოსვლა. ეს ზოგში პანიკას იწვევს, ბევრი კი თავს იმშვიდებს: ეს ყველაფერი წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე მეორდება და ამასაც მოვინელებთ და გადავიტანთო.

ხალხის გარკვეული კატეგორია კი აცხადებს, რომ უფალი უკვე გვახსენებს, რომ ცოტა დრო გვრჩება და იხსენებს იგავს ათი ქალწულის შესახებ: ყველა მათგანს ეძინა, როცა გაისმა ხმა: „საქმრო მოდის!“,. გაიღვიძეთ. ეს იგავი აღწერეს უკანასკნელ დროს იესოს მოსვლის წინ: მათე 25:1-13.

„მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომელთაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად.

ხუთი მათგანი უგუნური იყო და ხუთი – გონიერი.

უგუნურებმა თავიანთი ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან.

ხოლო გონიერებმა თავიანთ ლამპრებთან ერთად ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით.

ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩათვლიმა და დაეძინა.

მაგრამ შუაღამისას გაისმა ყვირილი: აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგეგებლად!

მაშინ წამოდგა ყველა ქალწული და გამართეს თავ-თავისი ლამპრები.

უგუნურებმა უთხრეს გონიერებს: გვიწილადეთ თქვენი ზეთისაგან, ვინაიდან ლამპრები გვიქრება.

გონივრებმა კი მიუგეს პასუხად: არც ჩვენ რომ არ დაგვაკ-

ლდეს და არც თქვენ, უმჯობესია წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის.

როცა ისინი წავიდნენ საყიდლად, მოვიდა ნეფე; გამზადებულნი მასთან ერთად შეიდნენ ქორწილში და კარიც დაიხშა.

შემდეგ მოვიდნენ დანარჩენი ქალწულებიც და თქვეს: უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ.

ხოლო მან მიუგო პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გიცნობთ!

ჰოდა, იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე“.

აი, სახარება გვასწავლის, რომ მეორედ მოსვლის წინ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გავიგონებთ ყვირილს, რაც შეიძლება გამოიხატოს სტიქიური უბედურებით, სხვადასხვა, ჩვენთვის აუხსნელი პროცესებით და განსაცდელით. დიახ, აი ამას შეიძლება შევადაროთ მაცხოვრის შეძახილი.

ახლა, რაც შეეხება ქალწულებს. ჩემი მოკრძალებული აზრით, ზოგიერთი ეკლესია და მსახურნი მისი, ფრიად სუსტად მოღვაწეობს და შეიძლება შევადაროთ მძინარე ქრისტიანებს ანუ უგუნურ ქალწულთ. კორონავირუსის პანდემია, მისი აფეთქება მაფიქრებინებს ამას. ყველა ეკლესია მომზადებული, ლამპრებში ჩასხმული თუ ჩასასხმელი ზეთით დახვდა ამ საყოველთაო უბედურებას? ვფიქრობ, რომ არა! თავდაპირველად უნდა განვაცხადო და მადლიერებას შევწირო უფალს, რომელმაც თავის ერთგულ და კეთილ სამწყსოზე – ქართველ ქრისტიანებზე და ჩვენს მღვდელმთავრებზე გადმოავლინა უკეთესი მადლი, მისცა მათ ისეთი სიყვარული უფლისა და სიბრძნე, რომ არც-ერთი ეკლესიის კარი არ დაკეტილა საქართველოში პანდემიის დროს და იოტისოდენადაც არ შეფერხებულა ეკლესიური სამსახური უფლის მიმართ. როცა მახლობელ ქრისტიანულ ქვეყნებში ზიარების მადლის მისაღებად ლამის ყველა საკუთარი კოვზით მოდიოდა ან სპირტში ამოვლებულ კოვზს იყენებდა, ჩემმა საყვარელმა ქართულმა ეკლესიამ ზიარების წესის შეცვლა არც კი განიხილა. დიდება უფალს! დიდება მა-

ცხოვარს ჩვენსას, რომ მისი მადლი გადმოვიდა ამ მძიმე დღეებში ჩვენს სამშობლოზე, რომ მან ისე შეიყვარა ქართული ეკლესია, რომ ის მღვიძარე, კაშკაშა ლამპრით დგას უფლის წინაშე ისე, როგორც გონიერი ქალწული სიძის მოულოდნელი მობრძანებისას. ჩემი დიდი თაყვანისცემა და სიყვარული ჩვენს დედა ეკლესიას, რომელიც ერთგულია და გულის ფიცარზე ეგნატე ღმერთშემოსილივით ოქროს ასოებით აქვს ამოტვიფრული უფლის სახელი – იესო ქრისტე და რომელიც მუდამ იმეორებს უფლის ნათქვამს:

„ბოლომდის დამთმენი გადარჩება.

ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად. აი, მაშინ დადგება აღსასრული“ (მათე 24:13-14).

ოლიმპოს პანთეონი ახალ აღთქმაში

მოციქულთა საქმეების ავტორმა ლუკა მახარობელმა შექმნა არა მარტო სახეები წმინდა მოწაფეთა იესო ქრისტესი, არამედ ბევრი საკვირველი ქმედებანი აღწერა მათი მონაწილეობით და ეს წიგნი სამართლიანად ითვლება ისტორიულ ნაწარმოებად. „საქმეების“ ისტორიულობა იმაშია, რომ ის აღწერს ქრისტიანების ისტორიას იესო ქრისტეს მიწიერი სიცოცხლის და ცხოვრების შემდეგ.

„საქმეები“ ბერძნული ღმერთებიდან ყველაზე წინ იხსენებს ოლიმპოს პანთეონის მთავარს, ზევსს და ორატორობის ღმერთს – ჰერმესს. პავლეს და ბარნაბას ქადაგებისას, ერთ-ერთმა ბერძენმა ღმერთები უწოდა: 14:8-12.

„ლისტრაში იჯდა ერთი კაცი ფეხებმოწყვეტილი, დედის მუცლიდანვე დავრდომილს არასოდეს გაევლო.

იგი ისმენდა პავლეს საუბარს, რომელმაც შეხედა მას და დაინახა, რომ მას ჰქონდა განკურნების რწმენა.

უთხრა მას ხმამაღლა: „შენ გეუბნები უფლის, იესო ქრისტეს სახელით: წამოდექ ფეხზე და გაიმართე!“ ისიც წამოხტა და იწყო სიარული.

ხალხმა რომ დაინახა, თუ რა მოიმოქმედა პავლემ, ხმა აღიმაღლა და ლაკონურად თქვა: ადამიანებს დამსგავსებული ღმერთები ჩვენთან ჩამოვიდნენო,

და უწოდეს ბარნაბას ზევსი და პავლეს – ჰერმესი, ვინაიდან პავლე უფროსობდა სიტყვაში“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მინდა ერთი ისტორია გაგახსენოთ, რომელიც ოვიდიუსს აქვს გადმოცემული: ერთხელ ზევსი და ჰერმესი, ჩვეულებრივი მოგზაურების სახით ფრიგიას ეწვივნენ და ამაოდ აკაკუნეს მთელი დღე ერთ-ერთი სოფლის ყველა მცხოვრების კარზე თავშესაფრის პოვნის მიზნით, ყველამ იუარა მათი შეშვება. მხოლოდ პატარა, თივით გადახურულ ქოხში, მოხუცმა ცოლ-ქმარმა ფილიმონმა და ბავკიდამ

გაუწიეს გულითადი მასპინძლობა და თავის ერთადერთი ბატიც კი დაუკლეს პატივისცემის ნიშნად.

სტუმართმოყვარეობის მოვალეობის დარღვევისთვის ზევსმა იმ ადგილს წყალდიდობა მოუვლინა და წყლით გადაფარა, ხოლო ფილიმონის და ბავკიდას ქოხი დიდებულ ტაძრად აქცია.

ამ ისტორიის მცოდნე ლისტრელებმა ამიტომ მიიღეს პავლე და ბარნაბა ღმერთებად და ამიტომ მორეკა ზევსის ტაძრის იქაურმა ქურუმმა ხარები და მსხვეპლშეწირვას აპირებდა, მაგრამ პავლემ და ბარნაბამ ტანსაცმელი შემოიხიეს და ძლივს დააჯერეს იქაურნი, რომ მათი მსგავსი ადამიანები იყვნენ და „გახარებთ, რომ ამ ამაობისგან მოიქცეთ ცოცხალი ღვთისკენ“... და „ძლივს შეაკავეს ხალხი, რომ მსხვერპლი არ შეეწირათ მათთვის“.

„საქმეების“ 19-ე თავში რამდენჯერმე ნახსენებია ნადირობისა და ნაყოფიერების ქალღმერთი არტემიდა. ვერცხლის მჭედელი დიმიტრი, რომელიც არტემიდას გამოსახულებებს აკეთებდა და კარგ ფულსაც იღებდა ამით, გაბრაზდა პავლეს ქადაგებაზე, რადგან ხალხმა პირი იბრუნა წარმართობისაგან და დიმიტრიმ და მისმა კოლეგებმა შემოსავლის ნაწილი დაკარგეს: საქმეები 19:24-25.

„იყო ერთი ვერცხლის მჭედელი, სახელად დიმიტრი, რომელიც არტემისის ვერცხლის ტაძრებს აკეთებდა და კარგ მოგებას აძლევდა ხელოსნებს.

შეკრიბა ისინი და მათი ხელობის ხალხი და უთხრა: „კაცნო, თქვენ იცით, რომ ამ ხელობაზეა დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა“...

„საქმეების“ 28-ე თავში მოხსენიებულია დიოსკურები. ისინი ტყუპი ძმები – კასტორი და პოლუქსი ზევსისა და ლედას შვილები იყვნენ და მეომართა და ზღვაოსანთა მმართველებად ითვლებოდნენ. საქმეებში მათი სახელი ხომალდს ჰქვია. 28:11.

„სამი თვის შემდეგ გავემგზავრეთ კუნძულზე გამოზამთრებული ალექსანდრიული ხომალდით, რომელიც დიოსკურების ნიშანს ატარებდა“.

17-ე თავში კი ვხვდებით ბერძნულ „უცნობ ღმერთს“, რომელსაც პავლე ახსენებს არეოპაგში ათენელთა წინაშე:

„პავლე დადგა არეოპაგის შუაში და თქვა: „კაცნო ათენელნო, ყველაფერში გატყობთ, რომ ძალიან მორწმუნენი ხართ.

ვინაიდან, როცა გავიარე და დავათვალიერე თქვენი სათაყვანო ადგილები, ვნახე სამსხვერპლოც, რომელზეც აწერია: „უცნობ ღმერთს“. მე გიქადაგებთ მას, ვისაც არ იცნობთ და ეთაყვანებით“ 17:22-23.

პავლე მოციქულის ქადაგების დასრულების შემდეგ...

„...მათ მკვდრების აღდგომაზე რომ მოისმინეს, ერთნი დასცინოდნენ, სხვები კი ამბობდნენ: ამის თაობაზე კვლავაც მოგისმენთო.

ასე გამოვიდა პავლე მათგან.

ხოლო ზოგიერთნი მიემხრნენ და ირწმუნეს – მათ შორის დიონისიოს არეოპაგელმა და ქალმა, სახელად დამარისმა, და სხვებმაც მათთან ერთად“ საქმეები 17:32-34.

და ბოლოს, მინდა გთხოვოთ, იქნებ რომელიმე ბერძნული ღმერთი კიდევ მოიხსენიება წმინდა წერილში და გამომრჩა. ვინც დაგაინტერესათ ამ თემამ, ეცადეთ, ჩემზე უფრო ყურადღებით წაიკითხოთ.

მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი

„მეექვსესა თვეს კი წარმოგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ანგელოზი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი,

ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითის სახლისაგან, ხოლო ქალწულის სახელი იყო მარიამი.

შევიდა მასთან და უთხრა: „გიხაროდეს, მომადლებულო, შენთანაა უფალი, კურთხეულ ხარ დედათა შორის“ ლუკა 1:26-28.

გაბრიელ ანგელოზის სტუმრობით ღვთისმშობელ მარიამთან, დაიწყო ჩვენი, ქრისტიანების დღესასწაული და თუ თანამედროვე ენით ვიტყვით, მოსამზადებელი სამუშაოები ხსნის გზის გასაჭრელად ცათა სასუფევლისაკენ. მალე უნდა გამოჩენილიყო სამყაროს მამოძრავებელი იესო ქრისტე, რომელსაც ჩვეულებრივი კაცის სახე უნდა მიეღო, ეცხოვრა ჩვენს შორის, მომკვდარიყო და აღმდგარიყო მკვდრეთით, როგორც სიკვდილის დამთრგუნველი და საუკუნო სიცოცხლის მომნიჭებელი.

იესო ჩვეულებრივი ბავშვივით დაიბადა. დაიბადა არა მეფის სასახლეში, არამედ გამოქვაბულში. ყრმა ჩააწვინეს არა ოქრო-ბრილიანტით მორთულ აკვანში, არამედ ბაგაში. მის დაბადებას არ მოჰყოლია არმიის აღლუმი და ქვემეხების სროლა, არც სენატორები და დიდგვაროვნები ჩამდგარან გძელ რიგში საჩუქრების მისართმევად. ანუ არ ყოფილა ის ზეიმი, რაც უფლისწულის დაბადებას ახლავს. სამაგიეროდ ყრმა იესოს ანგელოზებმა უგალობეს, მწყემსებმა სცეს თაყვანი. მას საჩუქრები მოართვეს შორეული სპარსეთიდან მოსულმა ბრძენმა ვარსკვლავთმრიცხველებმა, რომელთაც ცაზე ნიშანი მიეცათ – საოცარი ვარსკვლავი...

ამ დღემდე კი იყო ის, რაც ლუკა მახარობელმა აღწერა, მთავარანგელოზ გაბრიელის სტუმრობა მარიამთან.

იუდეური კანონით და წესით, 12 წელს მიღწეულ გოგონას უკვე შეეძლო დანიშნმული ყოფილიყო. პრაქტიკულად კი 14-15 წლის ასაკიდან ხდებოდა ეს. მთელი წლის განმავლობაში და-

ნიშნულები, მშობლების სახლში რჩებოდნენ და შეხვედრა-საუბარი მხოლოდ სხვათა თანდასწრებით შეეძლოთ. წლის გავლის შემდეგ, იმართებოდა დიდი ქორწილი, რომელიც ხშირად კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა. თუ გოგონა ნიშნობის პერიოდში დაორსულდებოდა და საქმრო მას მღვდლის წინაშე წაუყენებდა ბრალს, ქალს ქვებით ჩაქოლვა ემუქრებოდა. ანდა საქმროს შეეძლო უბრალოდ დაშორებოდა საცოლეს, მიეცა მისთვის განმაქორწინებელი წერილი. ლაფდასხმული ქალი მშობლების სახლში რჩებოდა სამუდამო სირცხვილის ლაქით.

სახარებიდან ვიგებთ, რომ მარიამი იოსებზე იყო დანიშნული. ზოგი გადმოცემით, იოსები ახალგაზრდა აღარ იყო და პირველი ქორწინებიდან შვილებიც ჰყავდა. არის ვარაუდი, იოსებმა იმიტომ მოიყვანა მარიამი ცოლად, რომ ამით მისი ქალწულობა დაეცვა. სხვა წყაროებით, იოსები ახალგაზრდა იყო და მარიამთან ჩვეულებრივი წესით სურდა დაქორწინება: შეექმნა ოჯახი, გაეჩინა და აღეზარდა შვილები.

სინამდვილეში რა მიზნით იქმნებოდა ეს ოჯახი არ ვიცით და საეჭვოა, ოდესმე ამოვხსნათ ეს საიდუმლო. ის კი ცნობილია, რომ იმ დროს პალესტინაში ზოგი ქალიშვილი თავის ცხოვრებას ღმერთს უძღვნიდა და ქალწულობის აღთქმას დებდა. მორწმუნე მამაკაცს უფლება ჰქონდა დაქორწინებულიყო ასეთ ქალიშვილზე, რომ მისი უბიწოება დაეცვა.

ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მარიამი იოსებზე იყო დანიშნული... და ერთ დღეს, როცა ის ჯერ კიდევ მშობლების სახლში ცხოვრობდა, გაბრიელ მთავარანგელოზი წარუდგა და უთხრა: „გიხაროდეს, მომადლებულო, შენთანაა უფალი!“... ებრაელ ქალიშვილს მიმართავს ანგელოზი სიხარულის და იმედის სიტყვებით და აგვირგვინებს ნათქვამს „კურთხეული ხარ დედათა შორის“, რაც ნიშნავს, რომ მარიამი არჩეულია დედამიწაზე მცხოვრებ ქალთა შორის უდიდესი ღვთიური მიზნის და ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

„ის კი შეაძრწუნა ამ ნათქვამმა და ჩაფიქრდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს მისალმება“ (ლუკა 1-29).

მივაქციოთ ყურადღება ერთ დეტალს. მარიამი არ შეუშინებია ანგელოზის გამოჩენას, მხოლოდ ჩაფიქრდა. იგივე ლუკა, როცა აგვიწერს ანგელოზის გამოცხადებას მღვდელ ზაქარიასთან, ამბობს: „შეკრთა მისი ხილვით ზაქარია და შიში დაეცა მას“ (ლუკა 1:12).

როგორ მოხდა, რომ ანგელოზმა მღვდელი შეაშინა და გოგო ვერა? წმინდა მამები ამბობენ, რომ მარიამი ეტყობა პირველად არ შეხვედრია ანგელოზს. ჩვენ ხომ არ გვაქვს ცნობები მარიამის ცხოვრებაზე მანამ, ვიდრე იგი მაცხოვრის დედა გახდებოდა. გადმოცემით მხოლოდ ის ვიცით, რომ სამი წლის მარიამი მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში და ღმერთს მიუძღვნეს. დღესასწაულიც კი გვაქვს „წმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების“.

ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალი ღვთისმშობელი ყრმობიდანვე განსაკუთრებული ღვთისმოშიშობის ატმოსფეროში იზრდებოდა, სიწმინდეში და ლოცვაში. „მარიამი ჭეშმარიტად კურთხეულია დედათა შორის. მართლმადიდებლური გადმოცემა ამბობს, რომ მარიამი უფლის დედობის ღირსი იქმნა თავის სიწმინდით და ღმერთის დიდი რწმენით.

შემდეგ კი ანგელოზი ეუბნება: (ლუკა 1:30-31).

„უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან.

აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ“.

შეუძლებელია წარმოიდგინო, ანგელოზის ამ სიტყვების მერე რა განიცადა ღვთისმშობელმა.

„უთხრა მარიამმა ანგელოზს: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი“ (ლუკა 1-34). რა არის ეს? უნდობლობა?

ნეტარი თეოფილაქტე პასუხობს: ქალწულმა ეს თქვა არა იმიტომ, რომ მას არ სჯერა, არამედ, როგორც ბრძენმა და გონიერმა, რომელსაც სურს გაიგოს, შეიმეცნოს ეს მოვლენა: რამეთუ არაფერი მსგავსი მანამდე არ მომხდარა და არც შემდეგ არ მოხდება აღარასოდეს.

„ანგელოზმა მიუგო პასუხად: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმინდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ...

ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძ-ლებელი“ (ლუკა 1:35,37).

„მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა: მეყოს შენი სიტყვისამებრ“. (ლუკა 1:38).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, რომელიც ამ მოვლენი-დან სამასი წლის შემდეგ მოღვაწეობდა, წერდა: მარიამმა თა-ნხმობის სიტყვებით გამოხატა: უფლისთვის დაფა ვარ და მას რაც სურს იმას დაწერს.

იესოს ჩასახვასა და ჩვეულებრივი ადამიანების ჩასახვას შორის განსხვავება ის არის, რომ ადამიანს ჩასახვამდე სული არ აქვს, ვიდრე განაყოფიერება არ მოხდება, ის არ არსებობს. იესო კი მუდამ არსებობდა. დიახ, ის სუფევდა და ორი ათასი წლის წინ მიიღო მხოლოდ ადამიანური ბუნება.

გავიხსენოთ იოანეს სახარება (იოანე 8:57-58).

„უთხრეს მას იუდეველებმა: „ჯერ ორმოცდაათი წლისაც არა ხარ და აბრაამი გინახავს?“

უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ“.

იესოს ჩასახვით ღვთის შვილი გახდა ადამიანთა შვილი. ქვე-ყნიერება ელოდებოდა მესიის მიღებას. ჩვენ ვამბობთ იესო ქრისტე. ქრისტე გვარი არ არის, ტიტულია. ქრისტე ბერძნუ-ლად _ „ცხებულს“ ნიშნავს. ძველ ისრაელში ზეთს ცხებდნენ მეფეებს, წინასწარმეტყველებს და მღვდლებს, ანუ მათ, ვისაც უფალმა გარკვეული სამსახური დააკისრა. იესომ სამივე მსა-ხურება შეითავსა: ის მოვიდა, რომ ქვეყნიერება და ადამიანი დააკავშიროს ღმერთთან. გახდეს მეფე, გახდეს წინასწარმე-ტყველი უფლის სასუფევლისა დედამიწაზე და იყოს მღვდელი შექმნილის შემქმნელთან.

ქვეყნიერებამ არ იცოდა, რომ მესია მობრძანდა. მხოლოდ მარიამმა და იოსებმა იცოდნენ ეს. მათეს სახარებაში წერია,

რომ როცა იოსებმა მარიამის ორსულობის შესახებ შეიტყო, გადაწყვიტა არ გაეხმაურებინა ეს ამბავი, რათა ქალიშვილი ქვებით არ ჩაექოლათ და მიეცა მისთვის განქორწინების წერილი და გაეშვა მშობლებთან (მათე 1:20-21).

„როცა ამას ფიქრობდა, აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება, ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის.

ძეს შობს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისგან“.

და როგორ ძლიერია იოსების რწმენის და უფლისადმი მორჩილების ძალა (მათე 1:24).

„სიზმრისაგან გამოფხიზლებული იოსები ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა, და მიიღო თავისი ცოლი“. ყოველგვარი განსჯის გარეშე. ღმერთისადმი ნდობა და მორჩილება მისი ნებისადმი.

მარიამიც და იოსებიც მორჩილებით ასრულებდნენ უფლის განაწესს, თუმცა უფლის ჩანაფიქრი დაფარული იყო მათთვის.

ბიბლია – რეალური ისტორია

დღემდე ბევრი არასერიოზულად ეკიდება იმ საოცრებებს, ბიბლიაში რომაა აღწერილი და მოგონილად თვლის. თუმცა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი ბიბლიური საოცრების ნამდვილობა დღეს, ფაქტობრივად, დადასტურებულია.

საოცრება პირველი:

„დააღირა ხელი ზღვას მოსემ და მთელი ღამე მოდენიდა უფალი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით. ხმელეთად აქცია ზღვა და გააპო წყალი“ (გამოსვლა 14:21).

და რა გვიჩვენა წითელი ზღვის ფსკერზე, სპეციალური აპარატურით აღჭურვილი არქეოლოგების გათხრებმა? ასობით ეგვიპტური ეტლის ბორბალთა ნამსხვრევები, რაც ამტკიცებს, რომ ბიბლიაში აღწერილი ეს ფაქტი, ნამდვილია.

საოცრება მეორე:

ბეთლემის ვარსკვლავი გახსოვთ? რომელიც ბრწყინავდა ცაზე უფლის დაბადების დროს?

„...და აჰა, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო“ (მათე 2:9).

არის ამის ახსნაც. მაცხოვარი დაიბადა 37 და 4 წელს შორის. ლონდონის ასტრონომიული საზოგადოების გამოთვლით, ამ პერიოდში იუპიტერი და სატურნი დედამიწიდან ჩანდა როგორც ერთი ციური სხეული, კაშკაშა ვარსკვლავი. ამ ასტრონომიულ მოვლენას კონიუქცია ეწოდება. სწორედ მას გამოჰყვნენ მოგვები იესოსკენ.

საოცრება მესამე:

ყველამ იცის სოდომისა და გომორის შესახებ: როგორც წესი ამ ქალაქების ბედს, ჭკუასასწავლებელ ლეგენდად მიიჩნევდნენ. თვლიდნენ, რომ ეს ქალაქები იორდანეს სანახებში მდებარეობდა, თუმცა ძველ ქრონიკებში არაფერი იყო ნათქვამი რაიმე ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ ამ ადგილებში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, იგლისელი სწავლულები გრემ ჰა-

რისი და ანტონი ბერდოუ მივიდნენ დასკვნამდე, რომ გაუჩინარებული სოდომი და გომორი სულ სხვა ადგილას მდებარეობდა – მკვდარ ზღვაში, ლესანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთში. გრუნტის გამოკვლევამ აჩვენა, იგი (გრუნტი) ბიბლიური ლოტის დროს ძლიერი მიწისძვრისგან დაზიანდა და ზემოდან ცხელი ბლანტი სითხე დაესხა, რომელიც ააღდა. ხოლო თავად მკვდარი ზღვა ზეციდან მოსული ცეცხლის წვიმის შედეგია. ასე რომ, ეს ბიბლიური ისტორიაც ურყევ ფაქტებს ეყრდნობა.

საოცრება მეოთხე:

„ძალიან განრისხდა ჰეროდე, როცა ნახა, რომ გააწბილეს მოგვებმა. მიავლინა და მოაკვლევინა ყოველი ყრმა ორი წლისა და იმაზე უმცროსები ბეთლემში და მთელ მის სანახებში, იმ დროის მიხედვით, როგორც მოგვთაგან გამოიძია“ (მათე 2:16). როგორც ბრიტანული გაზეთები იუწყებოდნენ, ისრაელში, ქალაქ ბეთლემთან ახლოს, აღმოჩენილი იქნა ყრმების სასაფლაო, რომელიც პირველ საუკუნეს მიეკუთვნება. სპეციალისტებმა დაახლოებით 100 ყრმა დაითვალეს. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ ჰეროდემ მართლა მოაკვლევინა ისინი.

საოცრება მეხუთე:

ეს საოცრება, რომელსაც იერიქონის საყვირი ჰქვია, ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი ფაქტებით არ მტკიცდება. დედამიწის პირველი ქალაქი – იერიქონი მდებარეობს პალესტინის ავტონომიაში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. ძველი ქალაქის ნაშთები თანამედროვე ქალაქის დასავლეთითაა და მისი კედლის ნაშთები ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ამ კედლებზე ნათქვამია, რომ იგი ებრაელთა საყვირის ხმამ დაანგრია (ე.წ. „იერიქონის საყვირი“). ტორონტოს უნივერსიტეტის დოქტორმა ბრაიან ვუდმა იერიქონიდან აღებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი ჩაატარა. რადიოაქტიური ანალიზის და უახლესი მეთოდების გამოყენების შემდეგ, მან დაადგინა, რომ ბიბლიური ქალაქის კედლები უეცრად ჩამოიშალა, კი არ დაუნგრევიათ, ვიმეორებ, ჩამოიშალა. რამ ჩამოშალა? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკუსტიკურმა დარტყმამ. თუმცა რამდენად დასაჯერებელია ეს ვარაუდი, თავად განსაჯეთ.

მშობლიური ენა

„პილატემ წარწერაც დაწერა და ჯვარზე დაამაგრა. დაწერილი იყო: „იესო ნაზარეველი, იუდეველთა მეფე“.

ბევრი იუდეველი კითხულობდა ამ წარწერას, რადგან იესოს ჯვარცმის ადგილი ახლოს იყო ქალაქთან და დაწერილი იყო ებრაულად, რომაულად და ბერძნულად“ (იოანე 19:19-20).

ანუ პილატე პონტოელმა ამის დასაწერად გამოუყენა ძველი აღქმის ენა – ებრაული, წარმართების და ფილოსოფოსების ენა – ბერძნული და რომის იმპერიის – ლათინური.

ეფრემ ასურის თქმით, „ჰეროდე იყო ბერძენი, პილატე – ჰრომი, ანნა და კაიაფა – ებრაელი“.

და თავად, ძირითადად რომელ ენაზე საუბრობდა იესო. იოტისოდენა ეჭვიც კი არავის აქვს ქრისტიანთაგან, რომ მაცხოვარმა ამქვეყნად არსებული ყველა ენა ზედმიწევნით იცოდა, ვინაიდან შემქმნელმა იცის შექმნილი, მაგრამ განკაცებული, ის უფრო ორატორი იყო, ვიდრე მწერალი და ამიტომ საინტერესოა ეს საკითხი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ოთხივე სახარება თავიდან ბერძნულ ენაზე დაიწერა. ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, სწორედ ამ ენაზე ურთიერთობდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი. წმინდა მიწაზეც რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ბერძნულად, ხელოვნებისა და ვაჭრების ენით საუბრობდა ყველა ეროვნების მცხოვრები განურჩევლად თუ აქტიურად სოციალური ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა.

რომის იმპერიაში ლათინური იყო არამარტო ადმინისტრაციული სასაუბრო ენა, არამედ პოლიტიკურიც და საომარიც, მაგრამ აღმოსავლეთ ნაწილში, თავად რომაელებიც ბერძნულს აძლევდნენ უპირატესობას. და ბოლოს, ახლო აღმოსავლეთში მოსახლეობა, რომელიც სემიტური წარმოშობისა იყო, უკვე არამეულ ენაზე საუბრობდა.

ასეთ სიტუაციაში აღმოჩდნენ აღმოჩნდნენ ებრაელებიც.

მათი ძირძველი სასაუბრო ენა ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დროს, პრაქტიკულად გაქრა. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი ამტკიცებს, რომ კანტიკუნტად შეხვდებოდი იმ დროში ებრაელს, რომელიც ამ ენას ფლობდა. იგივე სწერია ძველ აღთქმაშიც: სპარსეთის მეფის ნაცვალი იუდეაში, ნეემია, განრისხებული იყო საკუთარ ხალხზე იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს საკუთარ ენაზე და კულტურაზე და ეს ხდებოდა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ჩვენს ერამდე.

უფრო მეტიც, შიმონ ბარ-კოჰბის ანტირომაული აჯანყების (131-135 წ.წ.) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და ამოცანა იყო, ძველი ივრითული ენის დაბრუნება და აღორძინება, რომელიც უნდა გამხდარიყო აღდგენილი სახელმწიფოს მთავარი ენა.

ამიტომ მთავარი კითხვა, რომელი ენა იყო მშობლიური იესოსთვის, ერთადერთ პასუხს საჭიროებს: არამეული და სხვა არცერთი. მიუხედავად იმისა, რომ მან ყველა ენა იცოდა, რაც მსოფლიოში არსებობდა: კითხულობდა ხუთწიგნეულს, ესაუბრებოდა რომაელ ცენტურიონს და პილატე პონტოელს, რომლებმაც მხოლოდ ბერძნული ან ლათინური იცოდნენ.

ახლა, რაც შეეხება დიალექტს, რომელიც იესოსთვის მშობლიური იყო. უფალიც და მისი მოწაფეებიც გალილეიდან იყვნენ – ეს კი ისრაელის ჩრდილოეთი ოლქია, რომლის ენაც განსხვავებულია იუდეას სამხრეთის მცხოვრებთა ენისგან. არამეულის გალილეური დიალექტი რამდენადმე განსხვავდება იურუსალიმურისგან.

გეტყვით იმასაც, რომ სწორედ ამ დიალექტით და გამოთქმებით იცნო ბრბომ პეტრე მოციქული, უფლის დაპატიმრების ღამით, როცა მან უარყო თავისი მასწავლებელი.

შეიძლება, ვინმესთვის აღმოჩენა იყოს, მაგრამ თუ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტებით ვიმსჯელებთ, სწორედ არამეული ენის გალილეურ დიალექტზე საუბრობდა ძირითადად მაცხოვარი, თორემ... ვიმეორებ, ყველა არსებული ენის შემქმნელს და საერთოდ ყოველივეს შემოქმედს, ნებისმიერი ეროვნების ადამიანთან შეეძლო დიალოგი... და არამარტო ადამიანთან.

ღმერთი შორს წავიდა? თუ ემდური?

„ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს“.

„თქვენ კი, მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით“ (ეფეს 5:22; 6:4).

აი, ბედნიერი ოჯახის კოდექსი, რომელიც პავლე მოციქულმა მისწერა ეფესელთ ლამის ორი ათასი წლის წინ და ამაზე უკეთესი ამ მიმართულებით კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონია. ოჯახი მუდამ ერთად უნდა იყოს. იქ, სადაც კეთილგონიერი მშობლები ასწავლიან და არიგებენ, ხოლო კეთილსინდისიერი შვილები უსმენენ და ემორჩილებიან, ღვთისწყალობა სუფევს. ამის მაგალითს გვასწავლის ძველი აღთქმა იონადაბის ოჯახის მაგალითზე.

„წინ დავუდგი რექაბიანთა თემის შვილებს ღვინით სავსე თასები და ფიალები და ვუთხარი მათ: შესვით ღვინო.

თქვეს: ღვინოს არ ვსვამთ, რადგან იონადაბ რექაბის ძემ, ჩვენმა წინაპარმა გვიანდერძა, ღვინოს ნუ დალევთ, ნურასოდეს, ნურც თქვენ და ნურც თქვენი შვილებიო.

სახლებს ნუ ააშენებთ, თესლს ნუ დათესავთ, ვენახს ნუ გააშენებთ, ნურაფერს იქონიებთ; მხოლოდ კარვებში იცხოვრეთ მთელი სიცოცხლე, რათა დიდხანს იცოცხლოთ დედამიწის ზურგზე, სადაც მდგმურებად ხართო.

ჩვენც ვემორჩილებით იონადაბ რექაბის ძეს, ჩვენს წინაპარს, ყველაფერში, რაც გვიანდერძა: არ დავლიოთ ღვინო მთელი ჩვენი სიცოცხლე არც ჩვენ, არც ჩვენმა ცოლებმა, არც ჩვენმა ვაჟებმა და არც ჩვენმა ასულებმა.

არ ვაშენოთ სახლები საცხოვრებლად. არა გვაქვს არც ვენახი, არც ყანა, არც ნათესები.

ვცხოვრობთ კარვებში და ვემორჩილებით იონადაბს, ჩვენს წინაპარს, ყველაფერს ისე ვაკეთებთ, როგორც გვიანდერძა“ (იერემ. 35:5-10).

როცა ღმერთი ისრაელს განსჯიდა, მათ მაგალითად სწო-

რედ ამ ოჯახის მაგალითი მოუტანა (იერემია 35:14,16,19).

„სრულდება იონადაბ რექაბის ძის ნაანდერძევი სიტყვები თავისი შთამომავლებისადმი, რომ არ დალიონ ღვინო და დღემდე არ სვამენ, რადგან ემორჩილებიან თავიანთი წინაპრის ანდერძს, მე კი გამუდმებით გელაპარაკებოდით, მაგრამ ჩემი გაგონებაც არ გინდოდათ...

ასეა, ასრულებენ იოდანაბ რექაბის შთამომავლები თავიანთი წინაპრის ნაანდერძევს, ამ ხალხს კი ჩემი გაგონება არ უნდა...

...ამიტომაც, ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: არასოდეს მოაკლდეს იონადაბ რექაბის ძე ჩემს წინაშე მდგომელი კაცი“

„თქვენ ყური არ მათხოვეთ და არ გამიგონეთ“ (იერ. 35:15) საყვედურობს უფალი ისრაელს, სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, იონადაბის შთამომავალი დალოცა... და ჩვენც ქრისტიანებს, თუ გვსურს უფლის დალოცვა მივიღოთ, უნდა ვისმინოთ მისი მოციქულის დარიგება, რომელიც მან ეფესელებს მისწერა. ამისთვის კი საჭიროა, ჩვენი ოჯახი ამ სამ კომპონენტს აკმაყოფილებდეს: ქორწინება – სიყვარულში და ერთგულებაში; შვილები, რომლებიც პატივს სცემენ მშობლებს და ემორჩილებიან; და მშობლები, რომლებიც არიგებენ, ასწავლიან და უვლიან შვილებს.

ცოლქმრობის საუკეთესო მაგალითია ქრისტეს და ეკლესიის ურთიერთობა (ეფეს. 5:22-33).

„ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს,

ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი.

მაგრამ, როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს – ყველაფერში.

მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის.

რათა წმიდაეყო იგი და განეწმინდა წყალში განბანით სიტყვის საშუალებით.

რათა განემზადებინა იგი თავისთვის დიდებულ ეკლესიად, – არ ჰქონოდა ლაქა და მანკი, ან რაიმე მისი მსგავსი, არამედ, პირიქით, რათა წმიდა და უბიწო ყოფილიყო.

ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს.

ვინაიდან არავის არასოდეს მოსძულებია თავისი ხორცი, არამედ კვებავს და უვლის მას, ისევე როგორც უფალი ეკლესიას.

იმიტომ, რომ მისი სხეულის ასოები ვართ, მისი ხორცთაგანნი და მისი ძვალთაგანნი.

ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეწებება თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან.

დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტეზე და ეკლესიაზე.

ასევე ყოველ თქვენგანს უყვარდეს თავისი ცოლი საკუთარი თავივით. ცოლსაც ეშინოდეს ქმრისა“.

დიახ, ასეა. ქორწინება ითვლება საზოგადოების საფუძვლად. თუ საზოგადოება მყარი ოჯახებისგან შედგება, საზოგადოებაც ძლიერია. სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქორწინების ის სიმტკიცე, რასაც ბიბლია ქადაგებს, შეუძლებელია, მაგრამ უფლის სახარება შეუძლებელ სიტუაციებს აწაღმართებს. უფლის სიტყვამ სავლე აქცია პავლედ, უფლის სიტყვა კარდინალურად ცვლის ადამიანებს: „მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით“ (1 კორინ. 6:11).

ზოგჯერ სიტუაციას ადამიანი ხაფანგში გაუბამს, გაუსაძლისად უქცევია მისი ყოფა, მაგრამ ყველაფერი შეცვლილა სახარების წყალობით (კოლას. 1:21-22).

„თქვენც, რომელნიც ოდესღაც იყავით გაუცხოებულნი და გონებით მტრები თქვენი ბოროტი საქმეების გამო,

ახლა შეგირიგათ მისი ხორცის სხეულში, მისი სიკვდილის მეოხებით, რათა წარგადგინოთ თქვენ თავის წინაშე წმიდები, უბიწონი და უბრალონი“.

დიახ, უფლის სახარება საკმაოდ ძლიერია, რომ განატკიცოს თქვენი ქორწინება და თქვენი ოჯახი ღვთის სამსახურისთვის მომართოს.

ქორწინება ცოლისგან მორჩილებას თხოულობს, მაგრამ ამავე დროს ბიბლია არსად იძლევა საბაბს რომ უპატივცემულოდ მოეპყრას ქმარი ცოლს. ასეთი მორჩილება უფალს არ სჭირდება.

ქმრისადმი ცოლის ბიბლიური მორჩილება ნიშნავს: ეს არის ღმერთის სურვილი (ეფეს. 5:22); ეს არის ღმერთის ჩანაფიქრი (5:23) და ბოლოს, ეს არის ღმერთის საიდუმლო (5:32). ანუ თუ ამ საკითხის რეზიუმეს ჩამოვაყალიბებთ, „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალშია საკადრისი“ (კოლ. 3:18).

თუ ცოლისგან მორჩილებაა საჭირო მტკიცე ქორწინებისთვის, ბიბლია მამაკაცისგან (ქმრისგან) სამაგიერო სიყვარულს და თავის გაწირვასაც კი მოითხოვს (ეფეს. 5:25).

ქორწინების ნაყოფი კი შვილებია (ეფეს. 6:1-3).

„დაემორჩილეთ შვილებო, თქვენს მშობლებს უფალში, ვინაიდან ეს სამართლიანია

„პატივი ეცი შენს მამას და დედას – ეს არის პირველი მცნება აღთქმით,

- რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე“.

შვილების მორჩილება მშობლებისადმი ნებაყოფლობითი და ჩვეულებრივი უნდა იყოს. ბავშვი მშობელს „ღმერთში“ უნდა ემორჩილებოდეს ან თუ მშობლის მოთხოვნა უფლის ნებას ეურჩება, შვილი არ უნდა დაემორჩილოს. „ღმერთში მორჩილება“ ნიშნავს შვილისგან იმის გაკეთებას, რაც ღმერთის ნებას არ ეწინააღმდეგება. ამგვარ მორჩილებას მოაქვს უფლის წყალობა და კურთხევა.

„ვიხსენებ შენს წრფელ რწმენას, რომელიც უწინ დამკვიდრებული იყო დიდედაშენ ლოისში და დედაშენ ევნიკეში და მწამს, რომ იგი შენშიც არის (II ტიმ. 1:5), – წერს პავლე მოციქული ტიმოთეს და ეს არის შესანიშნავი ჩემო მეგობრებო. ამას

თანამედროვე ენაზე თაობათა ესტაფეტას უწოდებენ. ბებია, შვილი, შვილიშვილი წრფელი რწმენით აღვსილნი და მათზე გადმოსული უფლის წყალობა. აი, ამისთვის ღირს ამ ცოდვილ წუთისოფელში ცხოვრება. ზოგჯერ, შვილიშვილს, რომელსაც მშობლები სახარების მიხედვით ზრდიან, სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჩემს მაგალითზე მოგახსენებთ: როცა მოულოდნელად შვილი დამეღუპა, საერთოდ ყველაფერზე ავიღე ხელი. ის პერიოდი საერთოდ ამოვარდნილია ჩემი მეხსიერებიდან. ცხოვრებისკენ ჩემმა შუათანა შვილიშვილმა – მარიამმა მომაბრუნა, რომელმაც ისევე, როგორც ჩემმა თათიამ და ბარბარემ, „მამაო ჩვენო“ ლაპარაკთან ერთად ისწავლეს. ჰოდა, ამ ჩემმა მარიამმა ერთხელ მკითხა ანგელოზის ენით (ოთხ წელზე ცოტა მეტის იქნებოდა):

- ბაბუ, ღმერთი შორს წავიდა? თუ ემდური?

როცა გაკვირვებულმა შევხედე, მომეხვია და მითხრა: – აბა, რატომ აღარ გვიყვები იესო ქრისტეზე ზღაპრებს?

ამან ისე გამითბო გული, რომ დიდი დაძაბვა დამჭირდა, არ ავღრიალებულიყავი. ცრემლები ჩავყლაპე, მუხლზე დავისვი და მოვუყევი ზღაპარი ჩოჩორზე, რომლითაც იესო ბზობა დღეს იერუსალიმში შებრძანდა... და დღემდე ვერავინ დამაჯერებს, რომ თავად უფალი ჩემი, მაცხოვარი ჩემი არ მელაპარაკა ჩემი მარიამის პირით.

ამიტომ მამებო, დედებო, ბებიებო და ბაბუებო, ხშირად ესაუბრეთ უფალს, ისაუბრეთ უფალზე თქვენი შვილების და შვილიშვილების თანდასწრებით, რათა მადლი ჰპოვოთ უფლის თვალში და ქრისტეში გიყვარდეთ ერთმანეთი.

ხსნა!

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვა მიეტევება კაცთა შვილებს, და გმობა, რამდენსაც უნდა გმობდნენ.

ხოლო ვინც სულიწმიდას დაგმობს, მას აღარასოდეს მიეტევება, არამედ სამუდამო ცოდვის თანამდებია.

რადგან ამბობდნენ: არაწმიდა სული ჰყავსო“ (მარკ. 3:28-30).

წმინდა წერილის ეს ადგილი ზუსტად შეესაბამება ე.წ. „იეღოვას მოწმეებს“, რომლებიც თავს იესო ქრისტეს მიმდევრებად მიიჩნევენ, მაგრამ უარყოფენ ძე კაცისას ღვთაებრიობას და სულიწმიდას, უარყოფენ წმინდა სამებას. ამისთვის კი ბიბლიის კორექტირებულ ტექსტს იყენებენ ანუ „არაწმიდა სული ჰყავსო“.

ახლა რამდენიმე ადგილი წავიკითხოთ წმინდა წერილიდან, რომელიც ე.წ. „იეჰოვას მოწმეების“ „კაიკაცობაზე“ ნათელ წარმოდგენას მოგცემთ:

„არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე“. (საქმეები 1:8).

ქრისტიანობა იესო ქრისტესგან წარმოიშვა ანუ თუ თავს ქრისტეს მიმდევრად მიიჩნევენ და მის ღვთაებრიობას უარყოფენ, „ან ხილული მტერი არის, ან ორგული მოყვარე“.

„ასე, მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ისინი ეკლესიაში, ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს. ასე პირველად ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები (საქმ. 11:26).

„აგრიპამ უთხრა პავლეს: „ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ„. (საქმ. 26:28).

„ხოლო თუ ვინმე იტანჯება, როგორც ქრისტიანი, ნუ შერცხვება, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო“ (პეტრე 4:16).

„დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა და იესოს მოწამეთა სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად“ (გამოცხ. 17:6).

ისმინოს ყველამ და სამუდამოდ დაიმახსოვროს: იესო ქრისტეს მიმდევრებს ქრისტიანები ეწოდებათ და არა „იეღო-

ვას მოწმეები“, რომლებიც არამც და არამც არ ითვლებიან ქრისტიანებად. თუმცა იყენებენ ღმერთის ერთ-ერთ სახელს, თუმცა არ იციან ღმერთი“ (იოანე 14:6-7).

„უთხრა იესომ: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტებისა და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით. მე რომ მიცნობდეთ, მამა-ჩემიც გეცნობოდათ. ამიერიდან იცნობთ მას და გიხილავთ იგი“.

მათ შეუძლიათ გახდნენ ქრისტიანები, თუ ურწმუნოებას მოინანიებენ, თუ იესოს აღიარებენ მაცხოვრად და მხსნელად, თუ გადახედავენ საკუთარ შეხედულებებს. 50 ადგილია წმინდა წერილში, რომელიც ამტკიცებს, რომ იესო ღმერთია. ახალ აღთქმაში წერია, რომ ამის უარმყოფელის სხეულში ანტიქრისტეს სულია.

1. წინასწარმეტყველებებში ნათქვამია, რომ იესო ღმერთია; 2. მამა ღმერთი და სულიწმიდა იესოზე გვაუწყებენ, რომ ის უფლის შვილია და უფალი; 3. იესო ამბობს საკუთარ თავზე, რომ უფალია; 4. მისი მოწაფენი აღიარებენ, რომ ის ღმერთია; 5. მისი ბევრი მოწინააღმდეგე იუდეველიც აღიარებს, რომ ის ღმერთია; 6. ეშმაკებს ეშინიათ მისი და აღიარებენ მის უფლის ძეობას.

ახლა კი იმ ადგილებს ჩამოვთვლი, სადაც იესოს ღმერთობა მტკიცდება. მე მიგითითებთ და თქვენ მოძებნა არ გაგიჭირდებათ: ებრაელთა 1:9; ფსალმუნნი 2:7; ებრაელთა 1:5-12; ლუკა 3:22; 2 პეტრე 1:17-18; იოანე 14:8-11; იოანე 16:16-17; იოანე 8:54-56; იოანე 5:18; იოანე 10:25-30; იოანე 8:16-19; გამოსვ. 3:14; იოანე 8:58; გამოცხ. 22:13-16; გამოცხ. 1:17; ისაია 45:8; ისაია 48:3; კოლას 1:12-17; 1 ტიმ. 1:17; კოლ. 2:9-10; 1 იოან 1:3; იოანე 1:28; ფილიპ. 2:6; 1 იოან. 5:20; ფილიპ 2:6-11; 1 ტიმ. 3:16; რომ. 9:5; ებრ. 1:2; იოან. 1:8; მათე 1:23; ისაია 45:12-23; ფილიპ. 2:10-11; ზაქარია 2:10; გამოცხ. 1:8; ისაია 35:4; ისაია 40:3; ლუკა 3:4; ისაია 40:10-11; იოანე 10:14; ზაქარია 11:12-13; ისაია 43:11; იოანე 10:33; ლუკა 9:29-30; გამოცხ. 4:11; ისაია 44:6; დაბად 1:1; იოანე 16: 30; 1 კორ. 15:6; მათე 2:2; იოანე 9: 38.

ახლა კი რამდენიმე ადგილი წმინდა წერილიდან, რომელიც აბათილებს „იეღოვას მოწმეების“ „მტკიცებულებებს“.

„მოწმეები“ „ამტკიცებენ“, რომ სამოთხე დედამიწაზე იქნება.

ბიბლიაში წერია, რომ დედამიწა განადგურდება ბოლო ჟამს: ებრ. 1:10-11.

„შენ დააფუძნე, უფალო, თავდაპირველად მიწა, და ცა შენი ხელის ნამოქმედარია. ისინი დაიღუპებიან, შენ კი დარჩები, დაყოველივე დაძველდება სამოსელივით“.

დედამიწა არათუ არ განახლდება და შეიცვლება, არამედ არმაგედონის შემდეგ განადგურდება: „ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავა“ (მათე 24:35); „რადგან როგორც ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც შევქმნი, წარდგებიან ჩემს წინაშე, ამბობს უფალი, ასევე წარდგება თქვენი თესლი და თქვენი სახელი“ (ესაია 66:22), ანუ ღმერთი შექმნის ახალ ცას და ახალ მიწას. აი, ამას ამტკიცებს პეტრე (II წერილი, 3:10-13).

„ხოლო უფლის დღე ქურდივით მოვა და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული კავშირები დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რას მასზეა, გადაიბუგება. თუკი ყველაფერი ასე დაინგრევა, როგორღა უნდა იყოთ წმიდა ქცევასა და ღვთისმოსაობაში, რაკი ელით და ესწრაფით ღვთის მოსვლის დღეს, როცა ალმოდებული ცანი დაირღვევიან, ხოლო კავშირნი დაიწვებიან და დადნებიან, ხოლო ჩვენ მისი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე“.

დიახ, დედამიწა განადგურდება და მის მაგივრად, უფალი შექმნის ახალ ცას და ახალ მიწას: „ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდა, და ზღვა აღარ იყო“ (გამოცხ. 21:1).

„მოწმეები“ ფიქრობენ, რომ გადარჩება მხოლოდ 144 000 „იეღოვას მოწმე“. ბიბლიაში წერია, რომ ეს ასე არაა: გამოცხ. 7:4-8.

„მომესმა ბეჭედდასმულთა რიცხვი: ას ორმოცდაოთხი ათასი ბეჭედდასმული, ისეაელთა ყველა ტომიდან თორმეტი ათასი“... და როგორც ბიბლიურ ტექსტშია ანუ 12 000 X 12=144 000 და მათ არავითარი კავშირი და მსგავსება არ აქვთ ე.წ. „იეღოვას მოწმეებთან“, ისრაელის ხალხია.

„ვიხილე: აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან ასორმოცდაოთხი ათასი, რომელთაც შუბლებზე აწერიათ მისი სახელი და მისი მამის სახელი. გავიგონე ხმა ზეციდან, როგორც მრავალი წყლის ხმა, და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა. და ხმა, რომელიც გავიგონე, ჰგავდა მექნარეთა ხმას, ქნარზე რომ უკრავენ. ისინი გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე და არავის შეეძლო ამ საგალობლის შესწავლა, გარდა მიწისაგან გამოსყიდული ასორმოცდაოთხი ათასისა. ეს ისინი არიან, რომლებიც არ წაბილწულან დიაცებთან, ვინაიდან ქალწულები არიან. ეს ისინი არიან, რომლებიც მიყვებიან კრავს, სადაც არ უნდა მიდიოდეს. ისინი არიან ადამიანთაგან გამოსყიდულნი, როგორც პირველნაყოფი ღვთისა და კრავისათვის. სიცრუე არ იპოვებოდა მათ ბაგეში. ისინი უბიწონი არიან ღვთის ტახტის წინაშე“ (გამოცხადება 14:1-5).

რა „მოწმეები?“ რის „მოწმეები?“ 144 00 ათას უბიწოზეა საუბარი!

და უმთავრესი ჩემო ლამაზო და ძვირფასო ქრისტიანებო: იოანემ ცაზე დაინახა უთვალავი რიცხვი გადარჩენილ ქრისტიანთა! იოანე 4:9-10: „ამის შემდეგ ვიხილე: აჰა, უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, ხალხებიდან და ენებიდან. იდგნენ ტახტის წინ და კრავის წინ სპეტაკი სამოსელით შემოსილნი და პალმებით ხელში.

იძახდნენ დიდი ხმით და ამბობდნენ: „ხსნა ჩვენს ღმერთს, ტახტზე მჯდომარეს, და კრავს!“

ეს კი იმას ნიშნავს, ჩემო ქრისტესმიერი დანო და ძმანნო, რომ ყველა მორწმუნე ქრისტიანი დადგება კრავის წინ სპეტაკი სამოსელით შემოსილი და უფლის დიდებას ღაღადჰყოფს. ვუსურვოთ „იეღოვას მოწმეთ“ ისე განათებოდეთ გონება, რომ ღვთის მოშიში ქრისტიანთა რწმენით გამსჭვალულიყვნენ და გადარჩენილნი, მიმატებოდნენ იმ უთვალავ ქრისტიანთა, „რომლის დათვლაც არავის შეეძლო!“

მეორე ლოყის შეშვერის მაგივრად!

ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს არც-ერთ სიბრძნეს არ მოჰყოლია ისეთი აზრთა სხვაობა და კამათი, როგორც მარჯვენა ლოყაში ხელის გარტყმის შემდეგ, მარჯვენის შეშვერას. თუმცა ეს არის კანონი ადამიანთა ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ და არ უნდა გავიგოთ მთლად პირდაპირი მნიშვნელობით. აქ საუბარია იმ ქრისტიანის შესახებ, რომელსაც ძლიერი ნებისყოფა აქვს. ვინ უფრო ძლიერია, ის, ვინც ერთ ჩხვლეტას ათით უპასუხებს და ერთ უღირს სიტყვას ათი უღირსი სიტყვით, თუ ის, ვინც თავს შეიკავებს? რა თქმა უნდა ის, ვინც თავს დათრგუნავს. და როგორ გვჭირდება დღეს ეს? საზოგადოებაში ისეთი ბოღმაა დაგუბებული, რომ ერთი წამოცდენილი, გაფრენილი ურიგო სიტყვა, ხშირად, მკვლელობის მიზეზი ხდება. ერთი სიტყვის გამო იწყება ლანძღვა-გინება, მტრობა, ჩხუბი. და თუ ვინმე დაფიქრდება და გაიაზრებს, რისთვის, ხვდება, რომ სიბრიყვის გამო.

არადა, უფალი რას ამბობს და გულისხმობს მეორე ლოყის მიშვერაში? ადამიანს ატკინეს, შეურაცხყვეს, მის თავმოყვარეობას შეეხნენ. და თუ შეძლებს თავი შეიკავოს საპასუხო დარტყმისგან, ნახავს, რომ შედეგი მშვიდობაა ოჯახშიც, საზოგადოებაშიც, უცხო ადამიანთებთანაც. ამას კი ძალა სჭირდება. თუ ძლიერი ხარ, მოიქეცი ასე. თუ არადა დაუწყება დაკა-დაკა.

ერთ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს, ბეჭდაუდებელ ფალავანს, თურმე ერთ-ერთ ნადიმზე უცხო, რომელიც მას არ იცნობდა, წაექილიკა და შეურაცხყოფა მიაყენა. ჩემპიონმა კი გაიცინა და იკითხა თურმე: – ძმებო, რა დავუშავე, რას მერჩისო. არადა ცალი ხელით, ადგომის გარეშე შეეძლო ისე გასწორებოდა, კარგა ხანს „ვაი დედა“ ეძახებინა. მეორე დღეს, როცა ამ ჭირვეულმა გაიგო, ვის ეჭიდებოდა, ლამის დაუჩოქა თურმე, სულ ბოდიშები უხადა და შვილიც კი მოანათლინა. აი, ასე დაიმორჩილა ნებისყოფამ მოძალადე და თავის მეგობრად აქცია.

გავიხსენოთ როგორ იქცეოდა იესო ქრისტე სასამართლოზე.

„ერთმა იქ მდგომმა მსახურმა გაარტყა იესოს და უთხრა: „ასე პასუხობ მღვდელმთავარს?“

მიუგო იესომ:„ თუ ცუდად ვთქვი, დამიმოწმე ცუდის შესახებ, და თუ კარგად – რადა მცემ?“ (იოანე 18:22-23).

იქნებ გავიხსენოთ წმიდა წერილის ეს ადგილი, ვიდრე მუშტს, დანას ან იარაღს მივმართავთ მოპასუხის წინააღმდეგ და ვკითხოთ, თუ რამე ცუდად ვთქვი და გაწყენინე, დამიმოწმე ძმაო და ბოდიშს მოგიხდი, შესაფერისად მოვიქცევი. ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის მოვასწრებთ.

სულ სხვაგვარი ვითარებაა ომის დროს, როცა ადამიანი მიდის სამშობლოს, საკუთარი ხალხის დასაცავად, ის იბრძვის ძალადობისა და სიკვდილის წინააღმდეგ. ამ დროს ისვრი იმის წინააღმდეგ, ვისაც არ იცნობ, წარსულში მასთან არ გქონია მტრული დამოკიდებულება. ვინ იცის, იქნებ შენზე კეთილშობილია, მაგრამ ამ დროს, ომის დროს ის ბოროტების გამოვლინებაა, რომელიც ომით მოიწევს შენი ხალხისკენ და უნდა იბრძოლო მთელი ძალით, შეიძლება თავიც გასწირო. აქ ბოროტების მომტანთან და მატარებელთან გაქვს ბრძოლა და არა პირადად, ცალკე ადამიანთან.

ეს ისე, განსჯისთვის. ისევ პირად ურთიერთობებს ვუბრუნდები. ვთქვათ, კამათი ატყდა ოჯახში. გაგლანძღეს სამართლიანად ან უსამართლოდ. თუ ისეთივე პასუხს გასცემ, ამან შეიძლება გაყრამდე მიგიყვანოთ. ერთ წამში შეიძლება ყველაფერი დაინგრეს, მაგრამ თუ თავს შეიკავებ და იტყვი: „მაპატიე, არ ვიყავი მართალი“ (არადა, შეიძლება მართალი ხარ). ბოდიში მოიხადე? ყველაფერი დაწყნარდა, ყველა დამშვიდდა. შემდეგ უკვე დაწყნარებულ გულზე მოილაპარაკებთ, ახსნით, ვინ ტყუოდა, ვინ არა. ლოყაში გარტყმა, აფეთქებაც. ბრაზი გონებას ბინდავს, ამიტომ ბრძენი ადამიანი ამბობს: არასოდეს მიიღო გადაწყვეტილება, როცა განრისხებული ხარ. დაწყნარდი და ისე გადაწყვიტე და იმოქმედე. აი, ამას ნიშნავს მეორე ლოყის მიშვერა და არა იმის სურვილს, იქნებ მაინცდამაინც მეორე შემოგცხონ და დიდი ჩხუბი ატყდეს.

რთული და მარტივი

„შეეძინა ენოქს ყირადი; ყირადმა შვა მეხუაელი, მეხუაელმა შვა მეთუშაელი; მეთუშაელმა შვა ლამექი.

მოიყვანა ლამექმა ორი ცოლი; ერთს სახელად ერქვა ყადა, მეორეს – ცილა. შვა ყადამ იაშალი. იგი იყო კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა.

მის ძმას ერქვა იუბალი; იგი იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა.

შვა ცილამაც – თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი. თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა.

უთხრა დამექმა თავის ცოლებს, ყადას და ცილას: ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად, და ყმაწვილი – ჩემდა ჭირად.

თუ შვიდგზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგნის მიეზღვებათ“ (დაბად. 4:18-24).

ლამექი კაენის შთამომავალი იყო. ბიბლიაში მოხსენიებულთაგან ის პირველი მრავალცოლიანი მამაკაცია. მისი ცოლებთან საუბრიდან ვიგებთ, რომ ამ დროს ძალადობის სული ტრიალებდა: ლამექს ორი კაცი მოუკლავს, თუმცა ხომ გესმით, როგორ იცავს თავს: თუ კაენის სიკვდილის გამო შვიდჯერ მიეზღვებათ, ჩემი სიკვდილისთვის სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათო, ანუ განზრახ არ მომიკლავსო.

სწორედ ეს მონაყოლი გახდა იმის მიზეზი, რომ ბიბლიის ეს პერსონაჟი პირდაპირ დაეკავშირებინათ კაენის მკვლელობასთან, რომლისთვისაც ლამექი მისგან წამოსული მეხუთე თაობა იყო. ბიბლიიდან არ ჩანს, როგორ აღესრულა კაენი. არის რამდენიმე წყარო, მათ შორის იოსებ ფლავიუსის (37-100 წ.) „იუდეის სიძველენი“, აგრეთვე იუდეური კრებული „განძეულის გამოქვაბული“ გვამცნობს, რომ ლამექმა შემთხვევით მოკლა კაენი:

ლამექი მონადირე იყო და ხანშიშესულმა თვალისჩინი დაკარგა. სანადიროდ იგი ერთ ყმაწვილს დაჰყავდა იმიტომ, რომ

ლამექის მშვილდის ლარის მოზიდვა პატრონის ძლიერი ხელის მეტს არავის შეეძლო. ეს ყმაწვილი ეხმარებოდა მონადირეს მსხვერპლისკენ მიემართა ისარი, ნიშანში ამოეღო ნადირი. აი, ასე შეხმატკბილებულად ნადირობდნენ ლამექი და მისი დამხმარე ბიჭი. ეს იმ დროს, როცა კაენი გაქცეულია ქალაქიდან, გაურბის ადამიანებს, იმალება ტყეში, აცვია ცხოველის ტყავები და ეშინია, რომ აუხდება თავისივე, ღმერთის წინაშე ნათქვამი: „ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა“. ბრმა ლამექმა ბუჩქებიდან მის დანახვაზე გასაქცევად გამზადებული კაენის ფაჩუნი გაიგონა, იფიქრა, ზორბა ნანადირევი ჩავიგდე ხელშიო, მიზანი გაასწორებინა დამხმარე ყმაწვილს და უნებურად, ყოველგვარი წინასწარი განძრახვის გარეშე, კაენი განგმირა, რითაც დაარღვია უფლის ნიშანი, რომ ვერ მოეკლა იგი (კაენი) ყოველ შემხვდურს. ასე, რომ იოსებ ფლავიუსის ვერსიით, კაენი ლამექმა უნებლიედ მოკლა.

„მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად, და ყმაწვილი – ჩემდა ჭირად“, – ეუბნება ლამექი ცოლებს.

„განძეულის გამოქვაბულში“ წერია, რომ კაცის მოკვლის შემდეგ, ლამექმა ყმაწვილი უკვე შეგნებულად მოჰკლა, როგორც მონაწილე მისი უნებური დანაშაულისა. ასე რომ, სიკვდილი სიკვდილს წარმოშობს, გარდა ერთი სიკვდილისა. ლამექის ისტორიიდან მრავალი ათასი წლის შემდეგ განკაცებული უფალი იესო ქრისტე მოვიდა დედამიწაზე, იტვირთა ყველა ცოდვა კაცობრიობისა კაენისა და ლამექის ცოდვებისგან მოყოლებული და საკუთარი სისხლით გამოისყიდა მისი მკვლელი ადამიანები ჯვარზე. და სიკვდილით დაამარცხა სიკვდილი და საუკუნო სიცოცხლე მოგვცა ყველას, ვინც მასთან ვართ.

„ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია“... (მათე 12:30).

ამბობს უფალი. ეს ფრაზა შეიძლება ვინმეს მკაცრი და უხეში მოეჩვენოს, მაგრამ უფლის დიდი წყალობაა ჩადებული მასში. რისთვის მოვიდა იესო? რატომ ეწამა ჩვენთვის? მოვიდა, რომ მას გავყოლოდით, ანუ გავყვეთ ღმერთს ღმერთისკენ. მან თქვა, რომ ვერავინ იხილა მამა ვერასდროს, მაგრამ ვინც იხილა

იყო იესო, მან იხილა მამაც. მე და მამა ერთი ვართ, ვინც ჩემთან არ არის, ჩემი წინააღმდეგია. ეს იესომ იმიტომ ბრძანა, რომ ადამიანმა იცოდეს გზა ჭეშმარიტების. ის, ვინც იწამებს იესოს, მას ექნება საუკუნო სიცოცხლე. „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან 3:16).

აი, ასე რთული და ამავდროულად მარტივი.

მიჰყევი ნათელს, მიჰყევი ჭეშმარიტებას, მიჰყევი ქრისტეს, ღმერთს და მაცხოვარს! ამინ!

თქვენ ისევ გძინავთ?

განკაცებულმა უფალმა იოანე ნათლისმცემლისგან იორდანეში ნათლობის შემდეგ უდაბნოს მიმართა, 40 დღე იმარხულა და სატანის სამ ცდუნებას სძლია, მთავარი განსაცდელი ძე კაცისას მიწიერი ცხოვრების ზენიტში ელოდა, რომელიც მისმა ყოვლისშემძლეობამ აღდგომით დააგვირგვინა და ეს არის ყველაზე დიდი დღესასწაული ქრისტიანის ცხოვრებაში, იესოს შობასთან ერთად.

მეოთხე განსაცდელის დროს, მაცხოვარმა მოწაფეებს სთხოვა, ლოცვების დროს მხარი დაეჭირათ მისთვის (მათე 26:38):

„მაშინ უთხრა მათ: „სასიკვდილოდ არის დამწუხრებული ჩემი სული. იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად“.

უფალი ყოვლისმომცველ, გამანადგურებელ ნაღველს და ტკივილს განიცდიდა. ეს, მეოთხე გამოცდა, ყველაზე მძიმე იყო (მარკ. 14:38):

„იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში, სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური“.

მას დასჭირდა სრული მობილიზება, რომ წარმოეთქვა ლოცვა:

„ცოტა რომ გაიარა, პირქვე დაემხო, ლოცულობდა და ამბობდა:

„მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (მათე 26:39).

მთელი ამ ხნის მანძილზე, პირველად მას არ სურდა აღესრულებინა მამის ნება. მისი შინაგანი ბრძოლის შესახებ. ლუკა მახარობელი წერს (22:44):

„ამ ტანჯვაში მყოფი უფრო გულმოდგინედ ლოცულობდა. მისი ოფლი სისხლის წვეთებივით გახდა და ეპკურებოდა მიწას“.

იესოს ჯვარზე წამების დროს, ხშირად, როგორც წესი, მის ხორციელ ტკივილებზე საუბრობენ, მთავარი კი მისი შინაგანი

ბრძოლა იყო გეთსამანიის ბაღში, გარდამტეხი მომენტი, როცა მაცხოვარი იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას – საკუთარ თავზე აეღო კაცობრიობის ცოდვები, რაც იმდენად მძიმე და შემზარავი იყო, რომ „მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით: „ელიო, ელიო, ლამა საბაქთანი?“ რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ (მარკოზი 15:34). დიახ, კაცობრიობის ცოდვებმა მამა ისე შეზარა, რომ წამით მან პირი იბრუნა მისგან... ამ ცოდვების სიმძიმე რომ ოდნავ მაინც წარმოვიდგინოთ, დავთვალოთ (რაც შეუძლებელია) ადამიდან უკანასკნელ, მეორედ მოსვლის წინ დაბადებულამდე, ჩადენილი ცოდვები. მოდით, თან საკუთარი ცოდვები გავიხსენოთ, რომელიც მუდამ ჩვენს წინაშეა და გავამრავლოთ ეს იმ ციფრზე, რომელიც მხოლოდ შემოქმედმა იცის და ამით იქნებ ოდნავ მაინც ვიგრძნოთ, რა ტკივილი და განსაცდელი გადაიტანა უფალმა, ჩვენ აგვაცდინა ტკივილი და განსაცდელი და თავად შეეწირა. შეეწირა, მიუხედავად იმისა, კარგად უწყოდა კაცთა უმადურობის შესახებ. თვით მისმა მოწაფეებმაც კი ვერ უერთგულეს ყველაზე მძიმე მომენტში (მარკოზი 14:41-42): „და მოვიდა მესამედ და უთხრა მათ: „თქვენ ისევ გძინავთ და ისვენებთ? მოვიდა ჟამი. აჰა, კაცის ძე გადაეცემა ცოდვილთა ხელთ.

ადექით, წავიდეთ. აჰა, მოახლოვდა ჩემი გამცემი“.

ერთმა გასცა, თერთმეტს სძინავს და როდის? ყველაზე მძიმე დროს და მაინც – იმხელა სიყვარულია უფალი, რომ ყველას მონანიებას იღებს, ყველას პატიობს, ყველა უყვარს და ენანება, როგორც მშობელს შვილი.

ჩვენ კი... ჩვენ რა ცდუნების და გამოცდის წინაშე ვდგავართ დუხჭირი ცხოვრების ყოველდღიურობაში? ვიცლით კი უფლისთვის? ლოცვისთვის? ბიბლიის წაკითხვისთვის? ვაკაკუნებთ კი იმ კარზე, სადაც ხსნა მოგველის? როდის გვახსენდება ღმერთი? როდის ვიწერთ პირჯვარს? მხოლოდ განსაცდელში ჩავარდნილნი? უბედურება ისაა, რომ ვერ ვგრძნობთ იმ მომენტს, როცა ვეფლობით ცოდვაში. რაკი იმავე წამს სა-

ხურავი არ გვეცემა თავში და მეხი, ვერც კი ვგრძნობთ, როგორ ვშორდებით იესოს და აქედან გამომდინარე სიცოცხლეს და როგორაა ჩვენი საქმე, თუ ცოდვისგან თავის დასაღწევად ვიღვწით და მაცხოვრის ნებას ვასრულებთ? ამ დროსაც უეცრად არაფერი იცვლება, მაგრამ უფალთან ყოფნის სიხარული თანდათან მოდის და უცებ დგება მომენტი – მათთვის, ვინც უფლის სიტყვაში ცხოვრობს, რომ ცოცხალია და ეს სიცოცხლე ყველა განძზე ძვირფასია.

გვირგვინი უფლისთვის

„ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო“ (დაბად. 3:18) – უთხრა ღმერთმა ადამს სამოთხიდან გამოძევების წინ. ანუ ეკალი ხდება სიმბოლო უფლის გამანადგურებელი განაჩენისა, ხოლო ჯვარცმის წინ, როცა იესოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, წაიყვანეს იგი სამსჯავროზე და მთელი რაზმი დაახვიეს თავზე. გახადეს და ძოწეულის მოსასახამი მოასხეს. ეკლის გვირგვინი დაწნეს, თავზე დაადგეს, მარჯვენა ხელში ლერწმის ჯოხი მისცეს, დაცინვის მიზნით მუხლი მოიყარეს მის წინაშე და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს იუდეველთა მეფეო!“ თან აფურთხებდნენ და ლერწმებით სცემდნენ. იმ დროს მაღალი თანამდებობით განდიდებულ პირებს კვერთხი და გვირგვინი უნდა ეტარებინათ, მაგრამ ეკლის კი არა, დაფნის.

რომაელებმა იესოს იმიტომ დაადგეს ეკლის გვირგვინი, რომ ეჩვენებინათ, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია და მისი ქადაგებები იოტისოდენ ყურადღებასაც არ იმსახურებს. თუმცა ამან ხალხი უფრო გაამხეცა და ბღავილით მოითხოვეს იესოს სიკვდილით დასჯა ყვირილით „ჩვენ არ გვყავს მეფე, კეისრის გარდა!“ (იოანე 19:15).

ეკლის გვირგვინი იქცა დიდების სიმბოლოდ დაფნის გვირგვინის საპირწონედ და იესო გახდა მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი და აღსრულდა მისი სიტყვები: „ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლის!“ (იოანე 18:36).

სამწუხაროდ, არ არის დამაჯერებელი ფაქტები იმის შესახებ, ვინ ან როგორ შეინახა ჯვარცმის რელიკვია. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ეკლის გვირგვინი, სხვა არტეფაქტებთან ერთად იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში გადაიტანეს.

1024 წელს კონსტანტინეპოლი გაიძარცვა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ და გამოტანილ ფასეულობებს შორის მოხვდა ეკლის გვირგვინიც. შემდეგ კი გვირგვინი ვენეციელ ვაჭრებთან აღმოჩნდა გირაოს სახით.

1839 წელს გამოისყიდა ლუდოვიკო წმინდამ 135 ათას ლი-ვრად, რაც სამეფო ბიუჯეტის ნახევარი იყო და ჩამოაბრძანეს პარიზში, თუმცა 70 ეკალი მოჭრილი ჰქონდა. ლუდოვიკოს ბრძანებით მის შესანახად სპეციალურად აიგო სენ-შაპელის ეკლესია.

პარიზი ცეცხლის ალში გაეხვა რევოლუციის დროს და სე-ნ-შაპელის ეკლესიაც დაიწვა. გვირგვინი კი გადაარჩინეს, სამ ნაწილად გაჰყვეს და ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადააბრძა-ნეს, სადაც ინახებოდა ნაპოლეონამდე, რომელმაც იგი ეკლე-სიას დაუბრუნა.

1806 წელს ბინა დაიდო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში და 2019 წლის ხანძრამდე იქ იყო დაბრძანებული. ამ მომენტში კი დროებით პარიზის მერიაშია. გვირგვინის სამივე ნაწილი ოქროს კოლოფშია (ყალიბში) მოთავსებული. გვირგვინის ნა-ხვა შეიძლება ყოველი თვის პირველ პარასკევს, მის თაყვანის-საცემ რიტუალზე კათოლიკურ ეკლესიაში.

საიდუმლოებანი

ბიბლია ისეა გამეფებული და შესისხლხორცებული ბევრი ჩვენთაგანის ცხოვრებაში, რომ გვგონია, მის შესახებ ყველაფერი ვიცით. სიუჟეტებიდან იქ აღწერილი ბევრი ამბავი, ჯერ კიდევ ბავშვობაში გვიამბო ბებიამ ზღაპრებად და მერე ჩვენ მოვუყევით შვილებს და შვილიშვილებს, მაგრამ დღესაც, როცა ამ სიცოცხლის წიგნს ვკითხულობთ, რამდენ ახალ საინტერესო ამბავს და საიდუმლოს ვაწყდებით. გაგიაზრებიათ ოდესმე, როგორ მოხდა რომ ადამიანი ერთდროულად გახდა ბაბუა და მამა ერთი და იგივე ხალხისთვის? ანდა გახსოვთ, ადამის რომელი შვილი იყო ნოეს წინაპარი, საიდანაც ჩვენ მოვდივართ? გავიხსენოთ ზოგიერთი საიდუმლო:

1. წარღვნის შემდეგ ადამიანთა ახალი თაობა ნოედან წარმოიშვა. ადამის შვილებიდან ვინ იყო ნოეს წინაპარი?

როგორც გვახსოვს, ადამს და ევას ბევრი ქალი და ვაჟი შეეძინათ: „შეთის დაბადების შემდეგ შეემატა ადამს რვაასი წელი და შვა ძენი და ასულნი“ (დაბ. 5:4), მაგრამ ბიბლია მხოლოდ სამი შვილის სახელს გვიმხელს: კაენი (ძმისმკვლელი), აბელი (კაენისგან მოკლული) და შეთი (უფლისგან აბელის ნაცვლად მოვლენილი). სწორედ შეთისგან მოდის ნოე და ამდენად, კაცობრიობაც. კაენის შთამომავლობა „დაბადების“ შემდეგ აღარ იხსენიება ბიბლიაში. აბელმა, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო შთამომავლობის დატოვება. ნოე კი შეთის მეათე თაობის შთამომავალია (დაბ. 5:6-32).

„იცოცხლა შეთმა ას ხუთი წელი და შვა ენოში...

...იცოცხლა ენოშმა ოთხმოცდაათი წელი და შვა კაინანი...„

და ასე გაგრძელდა შეთის ხაზი. ხოლო ნოეს მამა ლამექი იყო.

„იცოცხლა ლამექმა ას ოთხმოცდაორი წელი და შვა ძე.

უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა...“

„ოთხმოცდაათი წლის იყო ნოე, როცა შვა სემი, ქამი და იაფეთი“.

2. არმაგედონი: პალესტინაშია. აქ გაიმართება კაცობრიობის ისტორიაში გადამწყვეტი ბრძოლა. ბიბლიაში ერთხელაა ნახსენები, იოანეს „გამოცხადება“ (16:16): „შეკრიბა ისინი ადგილზე, რომელსაც ებრაულად არმაგედონი ეწოდება“. სახელწოდება მომდინარეობს დამახინჯებული ებრაული ფრაზიდან, რაც ნიშნავს „ქალაქი მეგიდან მთასთან“. ვიცით, რომ ჩრდილოეთ პალესტინაშია.

3. უკანასკნელი ქმნილება უფლისა, ეს არის... რა თქმა უნდა, ევა. ქალი არის უფლის შემოქმედების გვირგვინი. უფალმა ჯერ ადამი შექმნა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ვერცერთ სულიერში ადამმა დამხმარე და ხელისშემწყობი ვერ მოიძია „თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს“ (დაბ. 2:18).

4. რატომ იწყება ბიბლიაში დღე საღამოს?

„როცა მოსაღამოვდა, მრავალი ეშმაკეული მოიყვანეს, მასთან და მან სიტყვით განდევნა სულები და ყველა სნეული განკურნა!“ (მათე 8:16).

ბიბლიაში ბევრი ადგილია, რომელიც იწყება კოდური ფრაზით, „როცა მოსაღამოვდა“. ბიბლიური ტრადიციით საღამო – დღე-ღამის ათვლის დასაწყისია. ამ ტრადიციის საფუძველი, ეტყობა ბიბლიის პირველ წიგნში დევს. დაბადება (1:5): „ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა – პირველი დღე“. საღამოთი იწყებოდა უფლის „სამუშაო დღე“, როცა ქვეყნიერებას ქმნიდა.

5. რამდენია „შაბათის სავალი მანძილი?“

„მაშინ ისინი დაბრუნდნენ იერუსალიმში ზეთისხილისად წოდებული მთიდან, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის ახლოს, შაბათის სავალ მანძილზე (საქმეები 1:12). ბიბლიის კომენტარების თანახმად ეს მანძილი დაახლოებით კილომეტრს შეადგენს. დიახ, ზუსტად ეს დაშორებაა ზეთისხილის მთასა და იერუსალიმის ძველ ნაწილს შორის. მეტი მანძილის

გავლა შაბათობით, იუდეველებს ეკრძალებათ.

6. რომელი ბიბლიური პერსონაჟია საკუთარი შვილების ბაბუა? ეს გახლავთ ლოტი – წინასწარმეტყველი, რომელიც უფალმა სოდომის და გომორის დაქცევისას იხსნა. ლოტი იყო საკუთარი შვილიშვილების მამა. ლოტის ორმა ქალიშვილმა, რომელთაც ეგონათ, რომ კატასტროფის შედეგად მხოლოდ ისინი და მამა დარჩნენ დედამიწაზე, ანუ სოდომ-გომორის კატასტროფა დედამიწის კატასტროფა ეგონათ, ადამიანის არსებობა რომ გაეგრძელებინათ, მამა სასტიკად დაათვრეს და მასთან მორიგეობით დაწვნენ. ეყოლათ თითო ვაჟი. ასე რომ ლოტი ბავშვებისთვის გახდა მამაც და ბაბუაც, ხოლო დაბადებულნი მოაბი და ბენ ყამმი – ერთდროულად, ვაჟები და შვილიშვილები (დაბ. 19)

„შვა ძე უფროსმა და უწოდა სახელად მოაბი. იგი არის მოაბელთა მამა დღევანდლამდე.

უმცროსმაც შვა ძე და უწოდა სახელად ბენ-ყამი. იგი არს ყამონიანთა მამა დღევანდლამდე“ (დაბ. 19:37-38).

ბიბლიაში, არამარტო ეს ექვსი საიდუმლოა, არამედ მათი რიცხვი ასეულებს და ათასეულებს მოიცავს და ნებისმიერ გადაშლილ ფურცელს უფლის ამოუცნობ სამყაროში შეყავხარ. ბიბლიის მკითხველი უკვდავების წყლის მძებნელ რაინდს ჰგავს და თუ კეთილსინდისიერი მკითხველია და წაკითხული პრაქტიკაშიც გადმოაქვს, შესმული აქვს მაცოცხლებელი წყაროდან.

იუდა

წმინდა სახარების სამი ავტორი: მათე, მარკოზი და ლუკა ასახელებენ იმ თორმეტ მოციქულთა სახელებს, იესომ რომ ამოარჩია. ლუკა ამბობს, რომ მთელი ღამის ლოცვაში გატარების შემდეგ, გათენებულზე, იესომ თავისი მოწაფეებიდან გამოარჩია 12 და მოციქულები უწოდა მათ. ამას მოჰყვება მოციქულთა სია: „სიმონი, რომელსაც პეტრე შეარქვა, მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე,

მათე და თომა, იაკობი და სიმონი, რომელსაც მოშურნე ერქვა,

იუდა იაკობის ძე და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა“ (ლუკა 6:14-16).

მათეს და მარკოზის სახარებებშიც იუდა ისკარიოტელი მოხსენიებულია სიის ბოლოში, სიმონი ანუ პეტრე კი, პირველად. გავავლოთ პარალელი ამ ორს შორის. პირველად ნახსენებმა მოციქულმა უარყო ქრისტე, როცა კოცონთან მჯდარმა, მსახური ქალის ბრალდებას უპასუხა: „არ ვიცი ვიზე ლაპარაკობ“ (მარკ. 14:71) სიაში უკანასკნელმა კი უფალი 30 ვერცხლად ანუ მონის ფასად გაჰყიდა. ქრისტეს ორივემ უღალატა, მაგრამ პეტრე შეწყალებულ იქნა და ეკლესიის ერთ-ერთ ბურჯად იქცა. რაშია განსხვავება ამ ორ შემცოდავს შორის? პირველის ცოდვა დიდად არ განსხვავდება მეორის ცოდვისგან, მაგრამ პეტრემ მოინანია და შეწყალებულ იქნა უფლისგან. იუდა კი მართალია, სინდისმა შეაწუხა, მაგრამ ჭეშმარიტი მონანიების სურვილი არ აღძვრია, უარყო უფლის წყალობა და წყვდიადში ჩაეფლო. პეტრე იქცა ერთ-ერთ უდიდეს მოძღვრად და მქადაგებლად ეკლესიის ისტორიაში, იუდა კი მოღალატის, გამყიდველის სინონიმად, რომელსაც ზიზღით იხსენებენ.

იბადება კითხვა: იესომ, რომელმაც იუდას მოღალატეობის შესახებ თავიდანვე იცოდა, რატომ აირჩია იგი თორმეტთა შორის? ამის შესახებ მხოლოდ უფალმა იცის, თუმცა ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ იუდას ცხოვრება და სიკვდილი გაფრ-

თხილებაა კაცობრიობისთვის! ყურადღება მივაქციოთ, არსად წერია, რომ იუდა უფლის გაცემისთვის იყო არჩეული. არა! ის აირჩიეს, როგორც მოციქული, აღჭურვილი ისეთივე ნიჭით და შესაძლებლობებით, როგორც პეტრე, ანდრია, იოანე, ფილიპე და დანარჩენები. იუდას ჰქონდა ნიჭი ავადმყოფთა განკურნებისა, კეთროვანთა განწმენდისა, მკვდრების აღდგომისა და ავსულთა განდევნისა. არსად სწერია, რომ იუდაზე რამე გამონაკლისი იყო დაშვებული მსახურებაში. ისკარიოტელის ცხოვრება იმაზე მიუთიტებს, რომ სულიერი ნიჭი და ეკლესიაში მსახურება, არავის აძლევს გარანტიას ღმერთის ერთგული იყოს, თუ საქმით და წრფელი გულით არ დგას უფალთან. „ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! ყველა როდი შევა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს.

ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდითო მრავალ სასწაულს?

მაშინ მე განვუცხადებ მათ: მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ მათე: 7:21-23.

ყურად ვიღოთ ისიც, რომ იუდა სხვა მოციქულებთან ერთად სამი წელი მიჰყვებოდა ქრისტეს და არამარტო უფლის ჩადენილ სასწაულებს, არამედ მის უცოდველ ცხოვრებასაც ხედავდა, უსმენდა და ჭვრეტდა ისეთ დარიგებებს და სასწაულებს, რომელიც ანცვიფრებდა და მაინც გაჰყიდა იგი, თავისი საუკეთესო მეგობარი და მოძღვარი მტრებს გადასცა. რა იყო ამის მიზეზი?

სახარების ბევრი მკვლევარი, როგორც სასულიერო, ისე საერო პირი, იუდას სიხარბეს და ვერცხლისმოყვარეობას მიაწერს ამ უსაქციელობას. იუდა არა მარტო იესოს მიმდევარი იყო, არამედ უფალმა სახსრებიც მას მიაბარა. ვინ იტყვის, რომ უფალმა სპეციალურად ჩააბარა იუდას ეს საქმე? ვფიქრობ, რომ იუდამ საერთო სალაროდან ქურდობა მოგვიანებით დაი-

წყო. იქნებ მომავალში აპირებდა კიდეც მოპარულის უკან დაბრუნებას, საბოლოოდ კი სრული დეგრადირება განიცადა და უფალი გაჰყიდა... და იმის მაგივრად, რომ საშუალება მიეცა იესოსთვის, ფესვებშივე გაენადგურებინა იუდას ცოდვა, თავი ჩამოიხრჩო. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ჩვენი გარემოცვა არ არის საკმარისი, ღმერთის შვილი გავხდეთ, სიგიჟეა იმის დაშვება, რომ გარემოცვის შეცვლით ახალ ადამიანად გარდაიქმნეთ. ძველ სათლს თუ ახლით შევცვლით, ჭაში წყლის ხარისხი გაუმჯობესდება? თუ უწმინდურია, სათლი ვერ უშველის. ასე დაემართა იუდასაც: ის იყო საუკეთესო ხალხის საზოგადოებაში, თავად უფალი ჰყავდა მასწავლებლად და დამრიგებლად. სამი წელი იყო ძე ღვთისასთან და მაინც გამყიდველად გადაიქცა და მაინც ვინ იყო იგი, საიდან მოვიდა?

იუდას ცხოვრებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მასალამ მოაღწია ჩვენამდე: ერთ-ერთი გადმოცემით, იუდა დაიბადა 1 აპრილს, რომელიც მაშინდელი რწმენით უბედური თარიღია. იუდას ბავშვობაზე იწერება ასევე „იერონიმეს მოთხრობა იუდა გამცემელზე“. ლეგენდის თანახმად, მშობლები ნახულობენ სიზმარს, რომელიც აუწყებს, რომ მათი შვილი იქნება მათთვის დამღუპველი. მშობლები კიდობანში სვამენ პატარა იუდას და უშვებენ ზღვაში. მრავალი წლის შემდეგ, კუნძულ ისკარიოტიდან ბრუნდება იუდა და შურს იძიებს მშობლებზე. სინანულის შემდეგ მიღებული იქნა მოციქულთა რიგში (ლეგენდის თანახმად, წლების მანძილზე პირში დაგუბებული წყლით ადიოდა მთის წვერზე და იქ უსხამდა ხის გამხმარ ჯოხს, სანამ არ აყვავდა იგი). აპოკრიფის „უფლის ბავშვობის არაბული სახარება“ თანახმად, ეშმაკისგან შეპყრობილი იუდა ცხოვრობდა ერთ სოფელში. როცა მიიყვანეს იესოსთან, რათა მას განეკურნა იგი, იუდამ გვერდზე უკბინა, რის შედეგადაც კრუნჩხვებში ჩავარდა, მაგრამ განკურნებულ იქნა. ეს ის გვერდია, სადაც შემდგომ ჯვარცმისას ლახვარი ჩასცეს ქრისტეს. ამას გარდა, ერთ-ერთი აპოკრიფის მიხედვით, იუდას და მისი ბატონის ცოლის უკანონო კავშირისგან დაიბადა უფალთან ერთად ჯვარ-

ცმული ავაზაკი – გესტასი, რომელიც უფალს ამუნათებდა...

და ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იუდა თორმეტთა შორის იქნა არჩეული უფლის მიერ. მაშ, რატომ უღალატა მან თავის მხსნელს? გახსოვთ, როცა იესომ ბრძანა, რომ ერთ-ერთი გასცემდა მას:

„როცა ისინი ჭამდნენ, თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს“.

ისინი ძალიან შეწუხდნენ და ყველამ სათითაოდ დაიწყო კითხვა: „მე ხომ არა, უფალო?“ მათე 26:21-22.

ანუ ყველა შეჭვდა და აღმოაჩინეს, რომ შეეძლოთ გამცემები ყოფილიყვნენ. და მართლაც, კრიტიკულ მომენტში მათ მიატოვეს მხსნელი. რატომ? როცა იესომ აუხსნა მოწაფეებს, რომ უნდა წასულიყო იერუსალიმს, ტანჯულიყო, მოკლულიყო და მესამე დღეს აღმდგარიყო „პეტრემ გაიხმო იგი, არწმუნებდა: „შეიწყალე თავი, უფალო!“

ის კი მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: „მომცილდი სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია“ მათე 17:21-23.

ანუ რა გამოდის? ვიდრე უფალი განაცხადებდა თავისი მომავალი წამების შესახებ, მოწაფეები მიჰყვებოდნენ მას იმ იმედით, რომ უფალი აღთქმულ სამეფოს უბოძებდა, მაგრამ, როგორც კი იესომ სიკვდილზე დაიწყო საუბარი, გუნება გაუფუჭდათ. რისთვის უნდოდათ მკვდარი მესია? იუდაც მოელოდა, რომ მალე იესო იუდეველთა მეფე გახდებოდა და თავადაც საპატიო თანამდებობას დაიკავებდა. ეს ოცნებები კი არ სრულდებოდა. პირიქით, იესო მოახლოებულ წამებით სიკვდილზე საუბრობს, მოწაფეებს სთხოვს არ განუდგნენ. „არა და არა! – გაიფიქრა იუდამ, – ამისთვის არ მოგყვებოდი შენ!“

იუდას ჯვარი არ უნდა, ის სამეფოს აქ ეძებს, მიწაზე. ის იესოს პრივილეგიების მოსაპოვებლად გაჰყვა. ქრისტე კი რას ამბობს? ვინც სულს დაჰკარგავს იესოსთვის, ის თავს გადაირჩენს. არა, იუდა ამისთვის მზად არ არის. მას სურს ერთდროულად ემსახუროს ღმერთს და მამონას. რაკი ვერ მიიღო, რასაც

ელოდა, გაბრაზდა. მისი ბრაზი და უკმაყოფილება ზიზღად გადაიქცა და ჩაიდინა საშინელი ღალატი. იუდა იესოს საკუთარი კეთილდღეობისთვის, გამორჩენის მიზნით მიჰყვებოდა და ამან იგი მოღალატეს აქცია. დაცემა, რომელსაც ღალატისკენ მივყავართ, ყველას შეიძლება დაგვემართოს; საშიშია ის, ვინც თითს იშვერს სხვისკენ და თავს მასზე უკეთესად მიიჩნევს. გავიხსენოთ პავლე I კორინთელთა მიმართ 10:12-13; „ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ დგას, იფხიზლოს, რომ არ წაიქცეს“.

არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა. და სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა“. ქრისტესგან განდგომა იწყება მაშინ, როცა მოგვეთხოვება საკუთარ „მეს“ განვუდგეთ და უფალს გავყვეთ. როცა ვიწყებთ იმაზე ფიქრს, რა სარგებელს მოგვცემს ეს და დაგვიკმაყოფილებს თუ არა საკუთარ ამბიციებს. ეს გახლავთ ბენვის ხიდი საკუთარ უძღებ „მესა“ და უფალს შორის. პირველი იუდასკენ მიგვაქანებს, მეორე კი – აღდგომისკენ, ბედნიერებისკენ, სინათლისკენ. ხოლო სიტყვა იუდაზე წმინდა მოძღვრებაში იუწყება, რომ „... გამოაკლდა იუდა, რათა თავის ადგილზე წასულიყო“. საქმეები 1:25. დიახ, იუდამ თავად აირჩია ასე! სწორედ იმ ფეხებმა, რომელიც უფალმა განუბანა მას, მიიყვანა ისკარიოტელი ღალატამდე და გაცემამდე. მან თავად აირჩია მუდმივი ტანჯვის ადგილი, სადაც გაუნელებელი ცეცხლია, სადაც მუდამ ამხილებს სინდისი და როგორც ჭია, ღრღნის ხმა, რომ მან გაყიდა უცოდველი, წმინდა სისხლი, უფლის ძის სისხლი. უფალს ჩვენთვის არ შეუქმნია ჯოჯოხეთი. არ შეუქმნია ის არც იუდასთვის. უფალმა აგვიშენა და მოგვიმზადა ჩვენ მუდმივი ცხოვრების ადგილი თავის გვერდით. სამოთხეს ან ჯოჯოხეთს თავად ადამიანი ირჩევს. ყველა გზის გასაყართან ვდგავართ: ერთი გზა მუდმივი სატანჯველისკენ მიდის; მეორე – მუდმივი, დაუსრულებელი ბედნიერებისკენ. ღმერთმა ყველას მოგვცეს გზის არჩევის ნიჭი და ჩვენც არ გადავუხვიოთ მისკენ მიმავალ

გზას!. იუდას ხომ საკუთარი ყურით ჰქონდა მოსმენილი სხვა უამრავ დარიგებასთან ერთად უფლის ფორმულა ცათა სასუფეველის შესახებ? მათე 13: 44-51.

„ცათა სასუფეველი წააგავს განძს მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს ამ მინდორს.

კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს.

როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და იყიდის მას.

კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ბადეს, რომელსაც ზღვაში მოისვრიან და ყოველნაირი ჯიშის თევზს იჭერენ.

როცა ივსება, გამოაქვთ ნაპირზე, მერე დასხდებიან, კარგებს ჭურჭელში მოათავსებენ, ხოლო ცუდებს გარეთ გადაყრიან.

ასევე იქნება წუთისოფლის აღსასრულის დროს. გამოვლენ ანგელოზები და გამოაცალკევებენ ბოროტებს მართლებისგან.

ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში: იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

თუ გაიგეთ ყოველივე ეს? – დიახო, მიუგეს მას“.

ადამი და ევა

თეოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამი და ევა ზრდასრული შეიქმნენ უფლის მიერ, ჩამოყალიბებულნი და მზად გამრავლებისთვის: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას,...“ დაბ. 1:27-28.

ბიბლია გარკვეულ ქრონოლოგიას იძლევა ადამის ცხოვრების შესახებ. „ადამმა ას ოცდაათი წელი იცოცხლა და შეეძინა თავისი მსგავსი და თავისი ხატი და უწოდა სახელად შეთი. შეთის დაბადების შემდეგ შეემატა ადამს რვაასი წელი და შვა ძენი და ასულნი. სრული ხანი ადამისა, რაც იცოცხლა, იყო ცხრაას ოცდაათი წელი და მოკვდა“ დაბ. 5:3-5.

ევას შესახებ კი ვიგებთ: „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და, რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა“. დაბ. 2:21-22.

რა ასაკის იყო ადამი, როცა ევა შეიქმნა და თავად ევა რა ასაკის შექმნა, ბიბლია დუმს. შვილები როდის შეეძინათ, არ ვიცით ბიბლიის მიხედვით. პირველი ორი შვილი, კაინი და აბელი, ცოდვის ჩადენის და სამოთხიდან გაძევების შემდეგ დაიბადნენ, რაკი ადამმა ევა სწორედ მაშინ შეიცნო. ზოგი მკვლევარი კი ფიქრობს, რომ შვილების ჩასახვა მოხდა ედემის ბაღში ევას შექმნისას, თუმცა უფრო სარწმუნო პირველი ვერსია მგონია: „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული. განდევნა ადამი, ედემს კი აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დაუყენა, რათა სიცოცხლის ხესთან მისასვლელნი დაეცვათ“ დაბ. 3:23-24.

და მხოლოდ ამის შემდეგ „შეიცნო ადამმა ევა, თავისი დედაკაცი. დაორსულდა ევა და შვა კაინი და თქვა: კაცი შემეძინა

უფლისგან. მერე შვა მისი ძმა აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაენი – მიწის მუშა“ დაბ. 4:1-2.

ლოგიკურია, რომ ადამის ყველა შვილის დედა ევა იყო. აპოკრიფის მიხედვით, რომელმაც მოაღწია არაბულ-სირიულ და ეთიოპიურ ენებზე, კერძოდ ტექსტში „წიგნი ადამსა და ევაზე“ ნათქვამია, რომ 930 წლის ადამი სერიოზულად დაავადდა. მისი თხოვნით, ევა და შეთი, ედემში წავიდნენ წამლის მოსატანად, მაგრამ ვინაიდან მისი სააქაოს ყოფნის დღენი სრულდებოდა, ღმერთმა წამალი არ მისცათ. როცა დაბრუნდნენ, ადამი მოუყვა ამთ ღვთაებრივი ხილვის შესახებ, რომელშიც მიქაელ ანგელოზმა ადამს მალე გარდაცვალება აუწყა. ადამმა შეთი დაარიგა, რომ უფლის მცნებები ზედმიწევნით შეესრულებინა. 6 დღის შემდეგ, რაც ევამ და შეთიმ ადამი სამოთხის კართან დატოვეს, იგი მიიცვალა. კიდევ 6 დღის შემდეგ, ევამ თავი მოუყარა ყველას – შეთის 30 ძმას და 30 დას და გამოუცხადა: ანგელოზმა მიქაელმა მაუწყა: მე და მამამ შევცოდეთ უფალი ღმერთის წინაშე. ჩვენი ცოდვების გამო, დავიმსახურებთ ღვთის რისხვას ჯერ წყლის გზით, მერე ცეცხლით. ამ ორი სტიქიით უფალი გაასამართლებს კაცობრიობის მოდგმას.

ეს თქვა და აღმართა ხელები სალოცავად, დაემხო მუხლებზე, თაყვანი სცა უფალს და მადლი შესწირა. ამ დროს განუტევა სული. შვილებმა დაიტირეს და დაკრძალეს.

გენეტიკოსებმა ხანგრძლიცი კვლევების შემდეგ, დაადგინეს: ადამი ცხოვრობდა დაახლოებით 120-156 ათასი წლის წინ. ევა კი – 99-148 ათასი წლის წინ.

შეთიმ 912 წელს იცოცხლა, ენოქმა – 905 წელს, კაინანმა კი – 910. რეკორდი ენოქის ძეს, მათუსალას ეკუთვნის – 969 წელი. ანუ ბიბლიური პატრიარქების საშუალო ასაკი 900 წელია. თუმცა ზოგიერთ გერონტოლოგს არ სჯერა და აცხადებს, რომ ჩვეულებრივად, ადამიანის მაქსიმალური სასიცოცხლო რესურსი 120-130 წელია. ზოგიერთი კი ცხრა საუკუნოვანი სიცოცხლის ფენომენს იმით ხსნის, რომ ბიბლიური წელი თანამედროვე თვეს უდრის. თუ ამას ვერწმუნებით, ადამის 930

წელი 12-ზე უნდა გავყოთ და 77,5 წელს მივიღებთ, თუმცა აქ სხვა წინააღმდეგობაში ვვარდებით: მაშინ ადამს შვილი შეთი 10 წლის და 8 თვის ასაკში შეძენია. სხვა ვერსიით, წარღვნამდე არსებული კლიმატური და ბიოლოგიური პირობები, იძლეოდა 9 საუკუნოვანი ასაკის მიღწევის საშუალებას. ნოეს შემდეგ, ცოდვებით დამძიმებულმა ჩვენმა წინაპრებმა, თანდათან დაკარგეს ხანგრძლივი სიცოცხლის ძალა. მაგალითად, მოსემ 120 წელი იცოცხლა, შეასრულა რა ღმერთის ნება: „თქვა უფალმა ღმერთმა: არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი, იყოს მის ხანი ასოცი წელი“ (დაბ. 6:3).

მას შემდეგ, რაც კაენმა აბელი მოკლა, ღმერთმა მკვლელს განუმარტა: „ამიერიდან დაწყველილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან“ (დაბ. 4:11).

„გადაიხვეწა კაენი უფლის პირისაგან და დაესახლა ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით“ (დაბ. 4:16).

ვარაუდობენ, რომ ნოდი აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობდა. განდევნამდე კაენს უკვე ცოლი ჰყავდა და „შეიცნო კაენმა თავისი დედაკაცი. დაორსულდა ქალი და შვა ენოქი“ (დაბ. 4:17).

ბიბლიაში ნათქვამია, რომ ადამს და ევას, ვაჟების გარდა, ქალიშვილებიც ეყოლათ. თუმცა ქალების დაბადება ცალკე და სახელებით არ იხსენიება, რადგან ებრაული მითოლოგიით ქალებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ყველაფერს მამაკაცები წყვეტდნენ.

კაენის ცოლს აბანი ანუ ჯუმელია ერქვა. ის მისი და იყო. მეორე ვერსიით კაენის ცოლი მისი ტყუპისცალი და ლულუვა იყო, რომელიც ასევე აკლიმას ან კალმანას სახელითაა ცნობილი. ის ჯერ აბელის ცოლი იყო და მისი სიკვდილის შემდეგ, კაენი დაეპატრონა. კაენი გახდა ზნედაცემულობის განსახიერება, ამიტომ ჩვენს წინაპრებს შეთიმ დაუდო საფუძველი. მათ შორის იყო ნოე.

შეთის ცოლი მისი და აზურა გახდა. არსებობს ვერსია, რომ

ისიც აბელის ცოლი იყო და შეთის მერე გაჰყვა.

ბიბლიიდან ცნობილია ადამის და ევას 6 შვილის სახელი: კაენი, აბელი, შეთი, ლულუვა, ამანი, აზურა. ძმებსა და დებს შორის ქორწინება ძველი აღთქმის ტრადიციების მიხედვით ნორმად ითვლებოდა. ცნობილია, რომ აბრაამი საკუთარ და სარაზე დაქორწინდა. ასე ხდებოდა მოსემდე, რომელსაც უფალმა ღმერთმა თორა უბოძა, რომელიც სისხლის აღრევას მკაცრად კრძალავდა. „არ აჰხადო სიშიშვლე შენს დას, მამაშენის ასულს ან დედაშენის ასულს, შინ დაბადებულს ან გარეთ დაბადებულს“ (ლევიანნი 18:9).

„ვინც წაიყვანს თავის დას, თავისი მამის ასულს, ან თავისი დედის ასულს, და ორივენი დაინახავენ ერთმანეთის სიშიშვლეს, სამარცხვინოა და უნდა მოიკვეთონ თავიანთი ხალხის თვალწინ. თავის დას სიშიშვლე აჰხადა, ცოდვა აწევს“ (ლევიანნი: 20:17).

რათა სიცოცხლე გქონდეთ

ერთხელ, უფალი იესო, რომელიც უამრავი ადამიანით იყო გარშემორტყმული, უეცრად შედგა და იკითხა: „ვინ შემეხო“? როცა ყველამ უარი თქვა, პეტრემ და მასთან მყოფებმა უთხრეს: „მოძღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი ამბობ, ვინ შემეხოო?“

ხოლო იესომ თქვა: „ვიღაც შემეხო მე, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ძალა გავიდა ჩემგან“ (ლუკა 8:45-46).

მარკოზმაც თითქმის ასე აღწერა ეს მომენტი: „ამ დროს კი იესომ იგრძნო, რომ ძალა გავიდა მისგან, მიუბრუნდა ხალხს და უთხრა: „ვინ შეეხო ჩემს სამოსელს?“

მისმა მოწაფეებმა უთხრეს: „ხედავ, ხალხი ზედ გაწყდება, შენ კი ამბობ: ვინ შემეხოო?“

მან მიმოიხედა, რომ დაენახა ამის ჩამდენი“ (მარკ. 5:30-32).

სწორედაც! განსაცვიფრებელი არაფერია. უამრავი ხალხიდან, რომელიც გარს ეხვია, რწმენით და სიყვარულით მხოლოდ ერთი შეეხო მას! ეს იყო ქალი, რომელიც 12 წელი სისხლდენით იტანჯებოდა, რაც გააჩნდა, ყველაფერი დახარჯა, მაგრამ ვერ მოირჩინა სატკივარი. ახლა კი, როცა იხილი იესო ასე ახლოს, ირწმუნა, რომ მის სამოსელსაც რომ შევეხო, განვიკურნებიო. (მარკ. 5:28) შეეხო და იმავე წამს განიკურნა. „და იმწამსვე დაიშრიტა მისი სისხლის წყარო და სხეულში იგრძნო, რომ განიკურნა სატკივარისაგან“ (მარკ. 5:29).

ასობით ადამიანს შორის, რომელიც უფალს გარს ერტყა, მხოლოდ მისი ცხოვრება შეიცვალა. სხვათა ცხოვრებაში ცვლილება არ მომხდარა.

ახლაც, თითქოს ბევრი ეხება იესო ქრისტეს წმინდა წერილების კითხვის დროს, მაგრამ მასთან პირადად შეხვედრას ვერ ახერხებს. შეიძლება სიტყვა-სიტყვით შეისწავლო ბიბლია, გამოიკვლიო იგი, მაგრამ იესო მიიღო მხოლოდ, როგორც ისტორიული პიროვნება და არა როგორც ღმერთი და მხსნელი. ამ შემთხვევაში, ასეთი ადამიანისთვის იესო ხდება მხოლოდ უმა-

ღლესი იდეალი და არა, როგორც რეალურიარსებული უფალი და უახლოესი მეგობარი, რომელთანაც აუცილებელია მუდმივი კავშირი და ურთიერთობა.

ერთხელ იესომ ფარისევლებს უთხრა: „იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ“. იოანე 5:39. დიახ, ფარისევლები ზედმიწევნით იცნობდნენ და იკვლევდნენ ბევრ რელიგიურ ტრაქტატს, მაგრამ ამას მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა უფლის შეცნობის თვალსაზრისით: „თქვენ კი არ გსურთ ჩემთან მოსვლა, რათა სიცოცხლე გქონდეთ“ (იოანე 5:40). შეიძლება ისმინო ღვთის სიტყვა, მაგრამ ვერ შეიცნო უფალი. ამიტომ იგივე რწმენით უნდა შეეხო მას, როგორც ის ავადმყოფობით გატანჯული ქალი.

რატომ არ მიიღეს იესო იუდეველებმა? რატომ ეუბნებოდა იგი მათ: „თქვენ კი გსურთ ჩემთან მოსვლა, რათა სიცოცხლე გქონდეთ.

დიდებას არ ვღებულობ ადამიანთაგან.

მაგრამ მე გიცნობთ თქვენ: ღვთის სიყვარული არ არის თქვენში.

მე მოვედი მამაჩემის სახელით და არ მღებულობთ. თუ სხვა ვინმე მოვა თავისი სახელით, მას მიიღებთ.“ (იოანე 5:40-43).

რა უშლიდა ხელს, რა აბრკოლებდა იუდეველებს? პატივმოყვარეობა! ისინი არა უფლისგან, არამედ ერთმანეთისგან ეძებდნენ დიდებას! „როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, როდესაც ერთიმეორისგან ღებულობთ დიდებას, ხოლო დიდებას ერთადერთი ღვთისაგან არ ეძებთ?“ იოანე 5:44. ფარისევლები რელიგიას საკუთარი სარგებლობისთვის იყენებდნენ. ისინი დადიოდნენ ღვთის სახლში, მარხულობდნენ, ლოცულობდნენ, მოწყალებასაც კი არიგებდნენ და ყველაფერს ამას იმისთვის აკეთებდნენ, რომ სხვების თვალში ღვთისმოშიშის სახელი დაემკვიდრებინათ. სინამდვილეში კი მათი რელიგიურობა მოჩვენებითი იყო. არავითარი შინაგანი სულიერი სიცოცხლე მათში არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. მათ ღვთის ძე ვერ იცნეს და არ აღიარეს! პატივმოყვარეობა და უფლის ნების არდამო-

რჩილება – აი, რა უშლის და ხდება გადაულახავ დაბრკოლებად ადამიანის სულისა ნამდვილი, ცოცხალი რწმენის მიმართ. იუდეველნი ფიქრობდნენ, რომ ამით ასრულებდნენ უფლისგან მოსეს საშუალებით გადაცემულ მცნებებს.

ამიტომ იესომ უთხრა მათ: „ნუ ფიქრობთ, რომ მამის წინაშე დაგდებთ ბრალს. თქვენი ბრალმდებელი მოსეა, ვისი იმედიცა გაქვთ.

რადგან, თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, ვინაიდან მან დაწერა ჩემს შესახებ.

ხოლო თუ მისი დაწერილისა არ გწამთ, როგორ იწამებთ ჩემს სიტყვებს?“ (იოანე 5:45-47).

ჩემი საყვარელი მოძღვარი, მამა სპირიდონი ყველას ასწავლის: თუ შენ ადამიანურ დიდებას ეძებ, შენში არ არის ღმერთის სიყვარული. ის, ვინც იესო ქრისტეს ეძებს, ხვდება თავის ცოდვილ ცხოვრებას და მიტევების წყურვილი იპყრობს. მზად არის მონანიების მიზნით, მუხლებზე დაეცეს უფლის წინაშე. რწმენით აღვსილი შედის სალოცავად და სულით და გულით ლოცულობს. ხდება მიმტევებელი და მოსიყვარულე. მან იცის, რომ იესო მისი მხსნელია და როცა ღრმად ირწმუნებს ამ ჭეშმარიტებას, ღმერთი მასში ხედავს ახალ ქმნილებას, რომელიც გამოხატულია იესოს ჯვარზე დაღვრილი სისხლით.

„სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისთვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“ (საქმეები 4:12).

„მასზე ყველა წინასწარმეტყველი ამოწმებს, რომ ყოველი მისი მორწმუნე მისი სახელით მიიღებს ცოდვების მიტევებას“ (აქმეები 10:43).

„რომელშიც გვაქვს მისი სისხლით გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება, ვინც არის უხილავი ღვთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა, ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული და უხილავი საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი.

იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას.

ის არის ეკლესიის სხეულის თავი. ის არის დასაბამი, პირმშო მკვდართაგან, რათა მას ჰქონდეს პირველობა ყველაფერში.

რადგან მასში მოიწონა მთელი სისასვსის დამკვიდრება,

რათა მისი მეშვეობით შემოერიგებინა ყოველი, დაემშვიდებინა მისი ჯვრის სისხლით მიწაზე თუ ცაში“ (კოლასელთა 1:14-20).

„რადგან ღმერთმა დაგვადგინა არა შესარისხად, არამედ ხსნის მისაღებად ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით“ (I თესალ. 5:9).

„ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი – კაცი ქრისტე იესო,

რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად, რისი მოწმობაც იყო თავის დროზე“ (I ტიმოთე 2: 5-6).

და ყოველთვის, როცა მამა სპირიდონი ამ თანმიმდევრობით გვიკითხავს ნაწყვეტს წმინდა წერილებიდან, თავის ქადაგებას ამთავრებს პავლე მოციქულის სიტყვებით: „ამიტომ ჩემი სურვილია, რომ ყველგან ლოცულობდნენ კაცები და აღაპყრობდნენ წმინდა ხელებს რისხვისა და ეჭვის გარეშე“. I ტიმოთე 2:8.

კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი...

როცა პეტრე მოციქული მეორე მისიონერული მოგზაურობიდან იერუსალიმში დაბრუნდა, თვით იესო ქრისტე გამოეცხადა: – აღდეგ, პეტრე და დასავლეთს წადი! იმის დროც დადგა, რომ იგიც განათლდეს შენი ქადაგებით. მე კი შენთან ვიქნები და შეგეწევი! – აუწყა უფალმა.

ხილვის შემდეგ პეტრე მოციქული რომისკენ გაემართა. ჯერ ანტიოქიაში შეიარა, წმინდა პავლე მოინახულა და ტარსის ეპისკოპოსად დაასხა ხელები ურბანს. მახლობელ ადგილებში კიდევ რამდენიმე ეპისკოპოსი აკურთხა, მათ შორის ფიგელაოსი – ეფესოში, თუმცა ის განდრკა სარწმუნოებისგან და სიმონ მოგვს ეზიარა. პეტრე სიცილიისკენ ხომალდით გაეშურა და იქიდან რომში ჩავიდა, სადაც დაიწყო უფლის ნების აღსრულება. ამან კი სიმონ მოგვის განრისხება გამოიწვია, რომელიც პეტრეს წინააღმდეგ გამოემართა. ვინ იყო სიმონ მოგვი? პეტრე მას, ჯერ კიდევ სამარიაში ქადაგების და მკურნალობის დროს გადაეყარა. სიმონ მოგვი წარმოშობით სამარიის გიტონიდან იყო. ის ადრევე ეწეოდა გრძნეულებას, რითაც ადგილობრივებს აოცებდა და ამის გამო, დიდ ვინმედ მოჰქონდა თავი. „ეს ის ღვთიური ძალაა, დიდად რომ იწოდება“, – ამბობდა დიდი და პატარა. სინამდვილეში კი, ღვთიურ ძალასთან, სიმონის გრძნეულებას საერთო არაფერი ჰქონდა.

და აი, სიმონის და სამარიელთა მოულოდნელად, ჩამოვიდა ფილიპე და დაიწყო ქრისტეს ქადაგება და მკურნალობა. ხალხმა მალე ირწმუნა ამ მქადაგებლის, რადგან მრავალთაგან, რომლებიც არაწმინდა სულებით იყვნენ შეპყრობილნი, ხმამაღალი ყვირილით გამოდიოდნენ, მრავალი დავრდომილი და კოჭლი იკურნებოდა. ამის გამო სამარიელთა ქალაქში დიდი სიხარული იყო. თვით სიმონ მოგვმაც ირწმუნა და მოინათლა. ფილიპეს აღარ შორდებოდა და მოხდენილ სასწაულებს და ნიშნებს რომ ჰხედავდა, უკვირდა.

თავის მხრივ, დიდი სიხარულით აღივსნენ იურუსალიმში

მყოფნი მოციქულები იმის გამო, რომ სამარიამ მიიღო ღვთის სიტყვა და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე. ისინი ჩავიდნენ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმინდა. როცა სიმონ მოგვმა დაინახა, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმინდა, ფული მიუტანა მათ და უთხრა: – მეც მომეცით ხელმწიფება, რომ ჩემგან ხელდასხმულმაც მიიღოს სულიწმინდა.

პეტრემ უპასუხა: – შენი ვერცხლი შენვე გქონდეს შენს დასაღუპად, ვინაიდან ღვთის ნიჭის ფულით მოპოვება განიზრახე. შენი გული წრფელი არაა ღვთის წინაშე და არ გაქვს წილი და ხვედრი სიტყვაში. მწარე ნაღველით და უსამართლობით ხარ შებორკილი. მოინანიე შენი უკეთურება და შეევედრე უფალს, ვინძლო მოგეტეოს შენი გულისზრახვა. (საქმეები 8:9-24).

- შეევედრეთ ჩემთვის უფალს, რომ არაფერი მომეწიოს თქვენი ნათქვამიდან, – უპასუხა სიმონ მოგვმა და კუდი ამოიძუა, თუმცა თავისი შავბნელი ფიქრების მოქმედებაში გადაყვანა განაგრძო. სწორედ სიმონ მოგვის ქმედებამ დაუდო საფუძველი სიმონიას – საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვას, რაშიც ბევრმა პაპმაც კი „გამოიჩინა“ თავი. განსაკუთრებით პაპი ნიკოლოზ მესამე იყო „გათქმული“ ამ ქმედებებით. დანტე ალეგიერმა „ღვთაებრივ კომედიაში“, აღწერა თავისი საუბარი ამ პაპთან ჯოჯოხეთში, ხოლო გუსტავ დორემ ამ ეპიზოდზე ფერწერული ტილო შექმნა.

და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, სიმონ მოგვი, რევანშისტული განწყობილებით დაიძრა პეტრე მოციქულის გასანადგურებლად. ვერც კი აცნობიერებდა, რა უთანასწორო ბრძოლაში შედიოდა. უპირისპირდებოდა მას, ვინც პირველი იყო მოციქულთაგან, ვისაც მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეჩვენა: „და რამეთუ ეჩუენა კეფას და მერე ათერთმეტთა მათ“ (პირ. კორ. 15:5) და მან მიჰმადლა პეტრეს სულიწმიდის მადლი. სიმონ მოგვი პეტრე ჩრდილის ღირსიც არ იყო.

პეტრეს პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს, როცა მოციქული ლაოდოკიიდან სირიის ქალაქ ანტიოქიაში

ჩავიდა, იქ მყოფი სიმონ მოგვი იუდეაში გაიქცა, რადგან მისი რისხვის შეეშინდა. რა იყო წმინდანის რისხვის მიზეზი?

სამარიაში, მოციქულებისაგან უარყოფილი სიმონ მოგვი ტიროსში წავიდა და პეტრესგან უკან მიყრილი ფულით იყიდა მეძავი ელენა, რომელსაც ამ საქმიანობის ათი წლის სტაჟი ჰქონდა და ის გამოაცხადა – უმაღლესი ღვთაების ქმნილებად. სიმონი ამტკიცებდა, რომ ეს არის ჰომეროსის ელენა, რომლის გამოც ატყდა ტროას ომი და ელენა, ათასი წლის შემდეგ, მეძავად გარდაქმნილი, აღმოჩნდა ტიროსში, სადაც სიმონ მოგვმა, რომელიც თვალს ადევნებდა მის სახეცვლილებებს და სხვადასხვა ადამიანის სახედ გარდაქმნას, როგორც მწყემსმა კეთილმა, გადაარჩინა და როგორც დაკარგული ცხვარი, თავისთან წამოიყვანა. ბევრმა ბრიყვმა დაიჯერა სიმონის ნაბოდვარი ანტიოქიაშიც, მაგრამ ჩამოვიდა პეტრე და მოგვი იქედან აორთქლდა მხილების შიშით, თუმცა რომაელებს ვერსად დაემალა. მათ კლავდიუსის ბრძანებით შეიპყრეს იგი და რომში ჩაიყვანეს. აქ კი სიმონმა თავისი გრძნეულებით ბევრი მოხიბლა და დასჯის მაგივრად ღმერთადაც კი აღიარეს. მოგვი აცხადებდა, რომ ის არის ზეციური ღვთაების სამი სახე – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა. თითქოს, როგორც მამა ის გამოეცხადა სამარიელებს; როგორც ძე – იუდეველებს იესოს სახით, რომელიც ჯვარცმის წინ დატოვა და ახლა, როგორც სულიწმიდა, ის გაანათლებს წარმართებს მთელ მსოფლიოში.

ამ გაუგონარი ღვთისგმობის მიუხედავად, სიმონს ბევრი მომხრე და თაყვანისმცემელი გამოუჩნდა არა მარტო უმეცრებში და უბირებში, არამედ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მყოფი ბრიყვების სახითაც და ამით გულმოცემულმა გადაწყვიტა, იესოს უსაყვარლეს მოწაფეს შერკინებოდა, იმ მოწაფეს, რომელსაც უფალმა სამჯერ მოუწოდა: – დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი (იოანე 21:15-19).

სიმონ მოგვი, ეტყობა, იმანაც გაათამამა, რომ პეტრეს მიერ ხელდასხმული, ეფესოს ეპისკოპოსი ფიგელაოსი, განდრკა სარწმუნოებისგან და მოგვს თანაეზიარა. ამან საბოლოოდ

დააკარგვინა რეალობის აღთქმის გრძნობა და რევანშის დიდი სურვილი აღეძრა.

რომის მოსახლეობა, რომელიც დაბრმავებული იყო ამ მოგვის სასწაულთმოქმედებით, გვერდს ვერ უვლიდა პეტრე მოციქულის პიროვნებას და მის სულიერ უპირატესობას. არაერთხელ ეცადა სიმონ მოგვი მის ჩამოშორებას, მაგრამ ვერაფერს გახდა წმინდანთან, რომლის ჩრდილიც კი ჰკურნავდა სნეულს. ბოლოს კი თავად პეტრემ გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა ღმერთის და ხალხის ამ დაუძინებელი მტრისთვის და სახლში ეახლა მას.

წმინდანს ეშმაკეულის სახლთან მრავალი ადამიანი დახვდა, გზა გადაუღობეს და ერთმა, ყველაზე თამამმა მიმართა: – აქაურობას გაეცალე, თორემ მოგკლავთ! ამ უზარმაზარ შავ ძაღლს ხედავ? ერთ ლუკმად არ ეყოფი!

მოციქულს გაეცინა ამ ბაქი-ბუქზე და ძაღლს მიმართა: – წადი და გადაეცი სიმონს, პეტრეა მოსული, ქრისტეს მოციქული, და შენთან შემოსვლა სურს!

ძაღლმა კუდის ქიცინით მოუსმინა წმინდანს და სახლში შევიდა. იქ კი ყველას გასაგონად, ადამიანური ხმით მოახსენა მოციქულის ნების შესახებ.

ვთქვა, ხალხი განცვიფრდა, ნიშნავს, არაფერი ვთქვა!

პირდაღებულმა სიმონ მოგვმა ძაღლი გამოუშვა და დააბარა, შემოვიდეს პეტრეო. წმინდანი შევიდა, თუმცა მასპინძელს დიდი სტუმართმოყვარეობა არ გამოუჩენია. პირიქით, მრავალი ჯადოქრობა გამოიყენა თავისი მდიდარი არსენალიდან, მაგრამ პეტრემ ყველას იოლად სძლია. ამ უთანასწორო პაექრობამ, მე ღვთის მონას, მოსეს და ფარაონის ქურუმთა დაპირისპირება გამახსენდა, რომელიც, როგორც მაშინ, ისე ახლა, ღვთის რჩეულის სრულის გამარჯვებით დამთავრდა.

მიუხედავად, საკუთარ კედლებში მარცხისა, სიმონი მისნობას მაინც აგრძელებდა. ერთხელაც, რომში, ერთ კეთილშობილ ქვრივ დედაკაცს შვილი გარდაეცვალა. მრავალი მიდიოდა მის სანუგეშოდ, ზოგი პეტრესთან, ზოგი კი, სიმონთან მისვლას

ურჩევდა. ჭაბუკის დასაფლავების დღეს უამრავი ხალხი შეიკ-რიბა, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტათ, ვისი მოძღვრება ეღია-რებინათ.

სიმონ მოგვმა განაცხადა: – თუ მე გავაცოცხლებ მიცვალე-ბულს, მაშინ პეტრე უნდა მოკლათ.

ხალხი დათანხმდა.

სიმონმა თავისი გრძნეულებით შეძლო იმდენი, რომ მკვდა-რმა თავი გააქნია. გამხეცებული ხალხი კი ეცა პეტრეს მოსაკ-ლავად.

- მოიცათ, – თქვა მშვიდად წმინდანმა, – თუ ცოცხალია, ადგეს და გაიაროს.

მიცვალებული არც განძრეულა, ხალხმა ახლა სიმონ მოგვი დაიჭირა და მოსაკლავად განამზადა.

მაშინ პეტრე მოციქული აღდგა, ხელები მაღლა აღაპყრო და წამოთქვა: – ჭაბუკო აღდექ! შენ განგკურნავს და მკვდრეთით აღგადგინებს უფალი ჩემი იესო ქრისტე!

მიცვალებული უმალ აღდგა და მოციქულს ფეხებში ჩაუვა-რდა. ამის შემდეგ იწამა ხალხმა ჭეშმარიტი ღმერთი და ქალა-ქიდან გააძევა სიმონი, თუმცა კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა იმპერატორმა, ნერონმა, დააბრუნა იგი რომში...

პეტრესგან მრავალგზის დამარცხებულმა გადაწყვიტა ისეთი სასწაული მოეხდინა, საბოლოოდ მოეგო ხალხის გული და აეცდინა ის ღვთის ჭეშმარიტი გზისთვის. ზეცად ავმაღ-ლდებიო, გამოაცხადა სიმონ მოგვმა. ამისთვის ავიდა ყველაზე მაღალ შენობაზე, დაფნის გვირგვინით შეიმკო თავ-შუბლი და იქიდან ეშმაკების ძალით დაიწყო ფრენა გაკვირვებულ-აღტა-ცებული ხალხის თავზე. ამის შემხედვარე პეტრე მოციქულმა გულმხურვალედ ილოცა და მაღლა აფრენილს, ეშმაკებზე და-საყრდენი ძალა გამოაცალა. სიმონ მოგვი მიწაზე დაენარცხა... თუმცა დალეწილმა და სიკვდილის პირას მისულმა, მაინც ვერ დაანება თავი ღვთის გმობას და თავის მომხრეებს უბრძანა: – ჩამასვენეთ აკლდამაში. მოდით სამი დღის შემდეგ და მნახავთ მკვდრეთით აღმდგარს!

სამი დღის შემდეგ მათ სიმონ მოგვის გაციებული გვამი იხილეს.

ასე მოკვდა სიმონ მოგვი, რომელმაც უზარმაზარი ერესი შეიტანა ეკლესიაში და გაცამტვერებული იქნა იესოს ყოვლისშემძლეობით.

პეტრე მოციქულმა კი გააგრძელა უფლის შეწევნით მოღვაწეობა. რომის შემდეგ მეოთხე მისიონერული მოგზაურობა აფრიკაში მოაწყო, შემდეგ რომში დაბრუნდა. აქედან დიდ ბრიტანეთში გადაბრძანდა, აქაც დააარსა ეკლესია და მოღვაწეობდა იქ, ვიდრე ანგელოზი არ გამოეცხადა: – პეტრე, მოახლოვდა ამა ქვეყნიდან შენი განსვლის დღეც! შენ რომს უნდა ჩახვიდე, სადაც ჯვარზე სიკვდილს დაითმენ და ღირსეულ საზღაურს მიიღებ უფალ იესო ქრისტესგან!

ყოველი ისე მოხდა, როგორც უფლის ანგელოზმა ბრძანა. პეტრე მოციქულმა ღირსად არ მიიჩნია თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო და ითხოვა, თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე!

ასე აღესრულა ქრისტეს მოციქულთა თავი წმინდა პეტრე, 67 წლის 29 ივნისს, მოციქული, რომელსაც უფალმა აღუთქვა: „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაÁსანი: და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელიც განჰხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.“ (მათე 16:19).

პირველი ქადაგება

იოანე ნათლისმცემლისგან მონათლული, სულიწმიდით აღვსილი იესო დაბრუნდა იორდანედან და სულმა გაიყვანა უდაბნოში, სადაც მას ორმოც დღეს სცდიდა ეშმაკი. იესო მარხულობდა და ამ ხნის განმავლობაში არაფერი უჭამია. ეს არ იყო მხოლოდ შიმშილობა. იესო უდაბნოში იმიტომ გავიდა, რომ თავის ზეციურ მამასთან განმარტოებულიყო და ადამიანის სხეულშემოსილი სულიწმიდის ძალით და სიბრძნით გამსჭვალულიყო. ამით უფალმა გვიჩვენა ნამდვილი, ჭეშმარიტი მარხვის მაგალითი.

და აი, დასრულდა მარხვა, იესომ დაძლია ეშმაკის ცდუნებანი და მშობლიურ ნაზარეთში დაბრუნდა, სადაც ბავშვობიდან ყველა იცნობდა.

(ლუკა 4:16-19)

„მივიდა ნაზარეთს, სადაც აღზრდილი იყო. შაბათ დღეს, თავისი ჩვეულებისამებრ, შევიდა სინაგოგაში და დადგა წასაკითხავად.

მიაწოდეს მას ესაია წინასწარმეტყველის წიგნი. გაშალა წიგნი და იპოვა ადგილი, სადაც დაწერილი იყო:

„უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლებისა და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად,

უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“.

იესოს იცნობდნენ, როგორც კეთილსინდისიერი ხუროს შვილს. დადიოდა ხმები, რომ იოანემ მონათლა, ხალხს სიკეთეს ასწავლიდა, კაპერნაუმში პარალიზებულიც განკურნა. იესო არა მარტო პატივისცემას იმსახურებდა, არამედ ამ ხალხის დიდ ინტერესსაც იწვევდა, ამიტომ მიიწვიეს იგი წმინდა წიგნის წასაკითხად და მიაწოდეს ესაია წინასწარმეტყველის წიგნი. იესომ, რომელიც თავად გახლდათ ავტორი მთელი ღვთიური წე-

რილების, ზეპირად იცოდა ეს წიგნიც, მაგრამ ტრადიცია არ დაარღვია და ესაიას 61-ე თავიდან ორი პუნქტი წაიკითხა. იესოს დაბადებამდე მრავალი ასეული წლის წინათ ესაიამ იწინასწარმეტყველა ამ სიტყვებით იესოს მისია და აჰა, მობრძანდა იგი, რომელზეც უფლის სულია ცხებული გლახაკთა სახარებლად, გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, გასათავისუფლებლად და თვალის ასახელად.

შემდეგ, რა მოხდა შემდეგ? „დახურა წიგნი, გადასცა მსახურს და დაჯდა. სინაგოგაში ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი“ (ლუკა 4:20).

აი, ასე! ყველა განცვიფრებულია. მორჩა? ასე მალე? არასდროს საშაბათო კითხვა ასე მოკლე არ ყოფილა, სრული სიჩუმე, დამსწრენი თითქოს გაიყინნენ. მერე რა მოხდება? რატომ შეწყვიტა კითხვა? რატომ დაჯდა?

იესოს სურდა ირგვლივ მყოფთ გაეაზრათ წაკითხულ-მოსმენილის შინაარსი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაიწყო: (ლუკა 4:21,22).

„და დაუწყო ლაპარაკი მათ: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ“.

ყველამ დაუმოწმა მას და გაოცებულნი იყვნენ მისი პირიდან გამოსული მადლის სიტყვებით და ამბობდნენ: „ეს იოსების ვაჟი არ არის?“

დიახ, იესომ უთხრა მათ, რომ აღსრულდა ის სიტყვები, რომელსაც უთვალავი წელია კითხულობდნენ ისინიც და მათი წინა თაობებიც. თავიდან საზოგადოება დაეთანხმა და თავი დაუქნია, დიახ, დიახ, ჭეშმარიტად ასეა, ამინ, ამინ. მაგრამ უცებ... როგორ? რანაირად? რატომ? ეს ხომ ჩვენი ხუროს შვილია? რას ამბობს? დღეს როგორ შეიძლებოდა ეს წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო? თან გვეუბნება, ისაიამ ეს ჩემზე იწინასწარმეტყველაო. რას ამბობს? წინასწარმეტყველი იესოზე წერდა? ხუროს შვილზე? გაოგნებულნი და გაბრაზებულნი იყვნენ. იესომ მშვენივრად იცოდა, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მისი თქმული და განაგრძო (ლუკა 4:23-27).

„უთხრა მათ: „თქვენ, უეჭველია, მეტყვით ასეთ ანდაზას: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. აქაც შენს მშობლიურ ქალაქშიც, მოახდინე ის, რაც კაპერნაუმში მოგიხდენია, როგორც გავიგეთ“.

უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მრავალი ქვრივი იყო ისრაელში ელიას დროს, როდესაც დაიხშო ცა სამ წელიწადსა და ექვს თვეს ისე, რომ დიდი შიმშილობა იყო მთელ ქვეყნიერებაზე.

და არც ერთ მათგანს არ ექნა მივლენილი ელია, გარდა ქვრივი დედაკაცისა სიდონის სარეფთაში.

კეთროვანიც მრავალი იყო ისრაელში ელისე წინასწარმეტყველის დროს; არც ერთი მათგანი არ გაწმენდილა, გარდა ნეემან სირიელისა“.

დღესაც ასეა. შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. ბევრი პირდაღებული უსმენს უცხოელ მოქალაქეებს, ინდოელ იოგებს და ბუდისტ დამრიგებლებს. ზოგი ცხრა მთას იქეთ მიემგზავრება დალაი ლამას ან რომელიმე შამანთან შესახვედრად და არა სჯერათ, რომ ჭეშმარიტება ხელის გაწვდენაზეა, ჩვეულებრივ, სოფლის მღვდელშია, რომელსაც ყოველდღე ხედავ. „მე მივცემ მწყურვალს უსასყიდლოდ სიცოცხლის წყალს წყაროდან“ (გამოცხ. 21:6).

იქ კი, შორეულ ნაზარეთში, ლუკა მახარობლის (ლუკა 28.28-30) თქმით:

„ეს რომ მოისმინეს სინაგოგაში მყოფთა, ყველანი მძვინვარებით აღივსნენ.

წამოდგნენ და გააძევეს იგი ქალაქიდან, მიიყვანეს მთის სერამდე, რომელზეც მათი ქალაქი იყო დაშენებული, რათა გადაეგდოთ იგი.

მაგრამ მან გაიარა მათ შორის და წავიდა“.

ასე ექცევიან ბრიყვნი და უმეცარნი წმინდა, ღვთის სიტყვის მოქმედს. არა სიყვარულით და მადლიერებით, არამედ

მძვინვარებით. შენ ვინ ხარ, რომ ჩვენ გვასწავლო? ჩვენ ვერ ვგებულობთ შინაარსს და შენ ჩვენზე ჭკვიანი და გამჭრიახი ხარ? მოგვშორდი, წადი და შენი სადურგლო საქმეები გააგრძელე, სკამები აკეთე! დაცინვას როდი დასჯერდნენ. იესოს მოკვლისთვის განემზადნენ. მთის სერზე აიყვანეს და უფსკრულში უნდოდათ მისი გადაგდება. ხომ დაუჯერებელია? აი, ასე აცოფებთ ადამიანებს სიმართლე და ჭეშმარიტება. გადახედეთ სოციალურ ქსელს. ცოფიანებით არის სავსე, თითქოს იესოს მეზობელი ნაზარეთლები გაცოცხლებულან. ყველა საკუთარ თავს მიიჩნევს მართლად და კარგ ადამიანად, თავის მოწინააღმდეგეთ კი რას არ ჰკადრებს – სექტანტიდან და შარლატანიდან დაწყებული ნარჩევ გინებამდე. კიდევ კარგი, სოციალურ ქსელში, დანით ან ტყვიით ვერ სწვდებიან ერთმანეთს.

სად დაიკარგა ის პატივი და მოწიწება, რითაც ფარისევლებმა მოიწვიეს იესო სინაგოგაში? როგორც კი მათ მოისმინეს წერილის განსხვავებული წაკითხვა, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, აღტაცების მაგივრად, აღშფოთებაში და განრისხებაში მოვიდნენ. სამწუხაროდ დღესაც მცირეა მშვიდი, გამჭრიახი ადამიანების რიცხვი, რომელთაც სხვისი სიმართლე საკუთარ ტყუილს ურჩევნიათ...

ტყუილად კი ეცადნენ იესოს უფსკრულში გადაჩეხვას. მისი დრო აქ ვერ გაჩერდებოდა და არც გაჩერდებოდა არასოდეს. უფალი დაუსაბამოა, როგორც ძე კაცისა, აღესრულა იმ ადამიანთა ხელით, რომელნიც უყვარდა, რომელთაც ასწავლიდა და არიგებდა და ბოლოსდაბოლოს, რომელიც მან შექმნა და გამძვინვარებულ ბრბოსაც იმიტომ გაეცალა, რომ წინ დიდი საქმეები ელოდა ამ ცოდვილ წუთისოფელშიც.

ამიტომ, თავისი მნიშვნელობით იესოს პირველი ქმედება ბრწყინვალე იყო, ლაკონური და მრავლისმთქმელი! მაგრამ ნაზარეთის ტაძრის მსახურები გამოდგნენ უგრძნობნი და ჭკუასუსტები და არ ისურვეს თავიანთი სიბრიყვით გულის გახსნა და პატივის მიგება უფლისადმი.

ჩვენ კი, იესოს მიმდევარნი, მონანი მისნი, ამ ქადაგების საშუალებით ვიგებთ, რატომ მოვიდა იესო ქრისტე დედამიწაზე: „უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად. ჩაგრულთა გასათავისუფლებლად“.

„გააღვივეთ ღვთის ნიჭი“

პავლე მოციქული – უდიდესი და ყველაზე ცნობილი ქრისტეს მოწაფეებიდან. მრავალი ქადაგება და წერილი დაგვიტოვა, რომელიც ახალ აღთქმაში შევიდა. წარმოშობით ფარისევლებს ეკუთვნოდა. დაახლოებით ჩვ.წ.აღ-ის 3 წელსაა დაბადებული. ვიდრე მოციქული გახდებოდა, სავლე (საული) ერქვა და რომის მოქალაქე იყო. ქრისტიანობის აქტიური, ულმობელი მტერი და მდევნელი იყო, პირველმოწამე სტეფანეს ქვებით ჩაქოლვასაც კი ესწრებოდა. თავად სწერდა მოგვიანებით ამის შესახებ: გალატ. 1:13-14.

„რადგან გსმენიათ თქვენ ჩემი წინანდელი მიმოსვლა იუდეველობაში, რომ მე სასტიკად ვდევნიდი ღვთის ეკლესიას და ვარბევდი მას.

ვუსწრებდი იუდეველობაში მრავალ ჩემი ასაკის ხალხს ჩემს ტომში, ვინაიდან ჩემი მამების გადმოცემების მოშურნე ვიყავი მეტისმეტად“.

ფარისეველი სავლეს (საულის) მიმართვა ქრისტიანებისადმი ითვლება უფლის ერთ-ერთ საოცარ ჩანაფიქრად. ეს მოხდა 36 წელს და ამ დროიდან მოციქული პავლე გახდა ქრისტეს ერთგული მიმდევარი. სამი სამოციქულო მოგზაურობა განახორციელა წმინდანმა. უქადაგა და ქრისტეს სჯულზე მოაქცია მრავალი ხალხი და ქვეყანა, დააარსა ახალი ეკლესიები და განამტკიცა ძველნი. ქრისტეს არც ერთ მოწაფეს არ დაუთმენია იმდენი ვნება, ტანჯვა და წვალება, რამდენიც მოციქულთა თავმა პავლემ დაითმინა. თავად წერს (2 კორინთელთა 11:24-26).

„ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა.

სამჯერ კვერთხითა მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, ღამე და დღე შუა ზღვაში დავყავი.

მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღებისაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად,

განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმებს შორის“.

ტკივილებითა და განსაცდელებით დამძიმებული პავლე ღვთის ნებით ამ სოფელშივე შეიქმნა ენითაუწერელი ნეტარების ღირსიც: იგი მესამე ცაზე იქნა ატაცებული, სამოთხის სიტკბოება იგემა და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა ნებადართული არა აქვს ადამიანს“ (2 კორ. 12:2-4).

ბოლო მოგზაურობა ესპანეთში ჰქონდა 66 წელს. იქიდან დაბრუნების შემდეგ, დააპატიმრეს რომში და საპყრობილეში მოათავსეს. სწორედ აქ დაწერა მან წერილი ტიმოთეს მიმართ (მეორე), რომლის მთავარი მოწოდებანი იყო: გააღვივეთ ღვთის ნიჭი; გადაიტანე ტანჯვა, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა; აკეთე კეთილი საქმეები სუფთა გულით, ერიდე ჯიბრს; უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი; საღვთო წერილებს ძალუძთ შენი დაბრძენება სახსნელად; იქადაგე სიტყვა, დაითმინე მწუხარება;

და ბოლოს, „...მე უკვე გამზადებული ვარ სამსხვერპლოდ, დადგა ჩემი წასვლის ჟამი.

კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე.

ახლა კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული, და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც სიყვარულით ელის მის გამოჩენას“ (ტიმოთე. 4:6-8).

ტანჯვისა და წამების შემდეგ, პავლე მოციქულს თავის მოჰკვეთეს. ეს მოხდა 67 ან 68 წელს იმპერატორ ნერონის დროს.

უფლის სათნომყოფელნი პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩნენ ქრისტეს სხვა მოწაფეთა შორის, რომ ეკლესიამ თავნი მოციქულნი უწოდა წმინდანებს და ერთ დღეს დააწესა მათი ხსენება – 12 ივლისს.

ბზობის ზღაპარი

ამ ზღაპარს ხშირად ვუყვებოდი ჩემს ულამაზეს შვილიშვილებს თათიას, მარიამს და ბარბარეს, როცა ისინი სულ პატარები იყვნენ და ძალიანაც მოსწონდათ. როცა მათთან არ ვიყავი და ტელეფონით ვესაუბრებოდი, შეთქმულებივით, ცალ-ცალკე და სამივე ერთად, მთხოვდნენ, მობილურით მომეყოლა მათთვის ზღაპრები, განსაკუთრებით კი ჩოჩორის შესახებ, რომელმაც ზურგით იესო ქრისტე ატარა. ხომ გიყვართ შობის დღესასწაული, ან აღდგომის დილას რა სჯობს. ყველას უხარია, ერთმანეთს ულოცავს, ყველაზე ბრაზიანი მეზობელიც კი გეფერება და წითელ კვერცხს გაწვდის. შენ უკვე დიდი გოგო და დიდი ბიჭი ხარ და იცი, რომ შობას იესო ქრისტე დაიბადა, ხოლო აღდგომას მკვდრეთით აღდგა და ზეცად ავიდა. ჩემმა გოგოებმა იცოდნენ, რომ მათი მამიკო სწორედ ზეცაში იყო იესოსთან და როცა ამ ზღაპარს ვუყვებოდი, სიამით ეღიმებოდათ, თითქოს მას ხედავდნენ.

ზღაპრის მოყოლას (როცა ერთად ვიყავით) ახალი აღთქმის გადაშლით ვიწყებდი. ხომ იცი ამ წიგნის შესახებ? როცა მე შენსავით პატარა ვიყავი, ჩემი ბებო მას სიცოცხლის წიგნს უწოდებდა. კითხვა რომ ვისწავლე, ხშირად ვკითხულობდი მას. შენც გირჩევ, გირჩევ კი არა, გთხოვ, თუ კითხვა იცი და ჯერ არ წაგიკითხავს, ზღაპრის მოყოლას რომ მოვრჩები, გადაშალე ცხოვრების და სიცოცხლის წიგნი. მის კითხვაში უფრო ლამაზი და ჭკვიანი გახდები, კეთილი საოცრებების კეთება მოგინდება და გააკეთებ კიდეც. ყველა ლამაზი სურვილი აგისრულდება და მიხვდები, როგორც დედიკოს და მამიკოს, დაიკოს და ძამიკოს, ბებოს და ბაბუს უყვარხარ და გიყვარს, აი, ასე ძლიერ უყვარხარ იესო ქრისტეს და მალე იგრძნობ, რომ შენც ასეთივე ძალით შეგიყვარდება. იესო შენი საყვარელი მეგობარი გახდება და მერე, როცა დიდი გაიზრდები და ზალიკო ბაბუას ხნის გახდები, მისი სიყვარული და მეგობრობა გაგრძელდება, ის ყოველთვის შენთან იქნება და არ დაგტოვებს. აბა სცადე,

დაუმეგობრდი იესოს, სთხოვე დაგეხმაროს არითმეტიკის ამოცანის ამოხსნაში ან გრძელი ლექსის დაზეპირებაში და ნახავ, რა იოლი იქნება შენთვის. იცოდე, რომ თუ გარშემო მყოფთ პატივს სცემ და შეიყვარებ, იესო ამისთვისაც დაგაჯილდოვებს.

ჩემი ზღაპარი კი ორი ათასი წლის წინანდელია. თუ შენ არ იცი, უფროსები გეტყვიან, რამდენია ორი ათასი. ჩვენი საერთო მეგობარი, იესო ქრისტე, იერუსალიმში აპირებდა შესვლას. ეს ქალაქი ულამაზეს და ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, ისრაელშია. იმ დროს არც მანქანები იყო და არც თვითმფრინავები. ხალხი ფეხით, ცხენით, ვირით ან ეტლით დადიოდა. უნდა გითხრა, რომ იესო ყველა დროის საუკეთესო მასწავლებელი იყო და თორმეტი მოწაფე ჰყავდა. მოწაფეები ცოტა ცელქები კი იყვნენ, როგორც შენ და შენი კლასელები, მოსწავლეები ზოგჯერ არ უჯერებდნენ იესოს, მაგრამ უფრო ხშირად კარგად იქცეოდნენ და სწავლაში ბეჯითები იყვნენ. მასწავლებელმა თავის ორ მოწაფეს უთხრა, სოფელში წადით, იქ დაბმულ ვირს იპოვნით ჩოჩორთან ერთად. ახსენით და მომიყვანეთო. თუ მათი პატრონი გკითხავთ, სად მიგყავთო, უპასუხეთ: უფალს სჭირდება-თქო და მაშინვე გამოგატანთო.

თუ ყურადღებით კითხულობ ამ ზღაპარს, ალბათ კითხვებიც გაგიჩნდა. საიდან იცოდა იესომ წინასწარ, რომ მოწაფეები, სოფელში დაბმულ ვირს და ჩოჩორს ნახავდნენ? საქმე იმაშია, რომ იესო გულთმისანია, მან ყველაფერი იცის, რაც მოხდა, რაც ხდება და რაც მომავალში იქნება. ის ხომ უფალია. აკი უთხრა მოწაფეებს: ვირის პატრონს უთხარით, უფალს სჭირდება და მაშინვე გამოგატანთო. უფალი კი გახლავთ ყველაფერი ის, რასაც შენი ლამაზი თვალები ხედავს და ისიც, რასაც ვერ ხედავს. მნიშვნელობა არ აქვს სად ცხოვრობ – ქალაქში თუ სოფელში. ყველგან არის განსხვავებული ჩაცმულობის, ანაფორიანი და ჯვრიანი, თმაწვერიანი კაცი, რომელსაც მღვდელი ეწოდება. ეს გახლავთ იესოს საიმედო მეგობარი და მიმდევარი. თუ ჯერ არ წვევიხართ მას, სთხოვე მშობლებს და როცა ნახავ, ის აგიხსნის ყველაზე კარგად ვინ არის უფალი, რა არის ანაფორა და

ყველაფერს, რასაც ახალ აღთქმაში წაიკითხავ. იმედია, ჩემო საყვარელო, არ დაგავიწყდება, რომ შევპირდით ერთმანეთს, ამ ზღაპარს რომ დავამთავრებთ, სიცოცხლის წიგნის კითხვას ვიწყებთ...

მოწაფეები წავიდნენ და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ყოვლისმცოდნე იესომ თქვა...

მოჰგვარეს მას ვირი და ჩოჩორი, დაუფინეს ზედ თავიანთი სამოსლები და დაჯდა მათზე. გასწია იერუსალიმისკენ და როცა ქალაქში შევიდა, იქაურობა შეიძრა. აი, ასეთი ამბავი ახლდა ყველგან ჩვენი დიდი მეგობრის იესო ქრისტეს შესვლას...

ვირიც და ჩოჩორიც ძლიერ გაკვირვებული იყვნენ ნანახით. ისინი პატრონს ხშირად წაუყვანია იერუსალიმში, რა თქმა უნდა არა სასეირნოდ, არამედ ტვირთის გადასატანად. ბევრი ოფლი ულვრიათ სიმძიმისგან და მცხუნვარე მზისგან. ახლა კი... ახლა იერუსალიმელნი და ქალაქის სტუმარნი საკუთარ ტანსაცმელს უფენდნენ ფეხქვეშ და ბზის და პალმის რტოებს, შეძახილებით ხვდებოდნენ, ქებით და სიმღერებით ასხამდნენ ხოტბას... ცხოველებს ძალიან მოეწონათ ასეთი დიდებული გასეირნება და გულიც კი დაწყდათ, როცა იესომ ფეხით განაგრძო გზა. წინ ტაძარი იყო და უფალი იქ შებრძანდა. როცა გაიცნობ, მღვდელი გეტყვის, რომ ტაძარი უფლის სახლია და ყველა შესულს იგი გულითადად მასპინძლობს, განსაკუთრებით კი ბავშვები უყვარს განურჩევლად: ღარიბი, მდიდარი, ცელქი, ბეჯითი, მოწყენილიც და მხიარულიც. ყველა მისი მეგობარია, მისი შვილია, მისი დისშვილი და ძმისშვილია.

ვირი და ჩოჩორი ერთხანს იდგნენ ხალხის გარემოცვაში. მერე კი პატრონმა მოაკითხათ თავის ორ ზრდასრულ ვაჟკაცთან ერთად. ცხოველები და პატრონები დიდი სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს და ამაყად გასწიეს შინისკენ. არადა, დილით, როცა იესოს ორი მოწაფე, დაუკითხავად ხსნიდა მათ პალოდან, გაბრაზებული პატრონი გამოუვარდათ ყვირილით:

- რას შვრებით, სად მიგყავთ ჩემი ვირი?

პატრონზე ადრე კი მისმა ვაჟებმა მოირბინეს. ერთმა მოწა-

ფემ ვირის ახსნა გააგრძელა, მეორე კი გაბრაზებულ პატრონებს მიუბრუნდა და წყნარად უთხრა:

- იესოსთან მიგვყავს, მან გამოგვზავნა.

- როგორ? იესომ ისევ იკადრა ჩვენთან მოსვლა? – განცვიფრდა პატრონი.

- დიახ, ბეთბაგეში (ადგილის სახელწოდება) გაჩერდა, როგორც ყოველთვის.

პატრონი თავად დაეხმარა მოწაფეებს ვირის ახსნაში და გზაზე როცა გაიყვანა და გააცილა ისინი, დიდხანს უყურებდა მიმავალთ.

- მამა, რატომ გაატანე უცხო ხალხს ჩვენი ვირი? – იკითხეს ბიჭებმა.

- შვილებო, ჩემო ძვირფასებო, მთელი ჩემი სახლი რომ მომთხოვოს იესომ და მთელი ჩემი ქონება, სიხარულით მივცემ, არც კი დავფიქრდები, – უპასუხა მამამ.

- ვინ არის იგი? რომელიმე დიდგვაროვანია და ამის გამო დაგვასაჩუქრებს?

- გაგვამდიდრებს და დიდ სამსახურში ჩაგვაყენებს? – ერთმანეთს არ აცლიდნენ შვილები.

- ეჰ, ბიჭებო, ბიჭებო. არასოდეს არც ერთ დიდგვაროვანს და მეფეს არ ჰქონია და არც ექნება ისეთი ძლევამოსილება, როგორც იესოს. წინა შაბათს რომ მეზობელ ბეთანიაში გარდაცვლილი ლაზარე აღადგინა (გააცოცხლა), სწორედ ის იესო ბრძანდება და მიხარია, რომ სწორედ მისთვის წაიყვანეს ჩვენი ვირი.

- ვიცით, ვიცით, – თქვა უფროსმა ვაჟმა, – ჩვენც ვიყავით წასულნი გაცოცხლებული ლაზარეს სანახავად.

- ძალიან ბევრი ადამიანი იყო, – გააგრძელა უმცროსმა, – იერუსალიმიდანაც იყვნენ მოსულნი. თუმცა ვერ გავიგეთ, როგორ გაცოცხლდა ლაზარე.

- ხალხი ამბობს, – თქვა მამამ, – რომ იესო მოვიდა სამარხთან, რომელსაც ლოდი ჰქონდა აფარებული, ბრძანა მოეშორებინათ ეს ლოდი და თქვა: „ლაზარე, გამოდი“ და ლაზარეც გა-

ცოცხლდა. ცხოვრობს თავის სახლში, როგორც ადრე.

- ნუთუ შეიძლება ადამიანმა ასეთი სასწაული მოახდინოს?

- ამბობენ, რომ იესო ჩვეულებრივი ადამიანი არ არის. ის მესიაა, რომელიც კაცობრიობას იხსნის...

მამა მართალს ამბობდა. იესომ მართლაც იხსნა კაცობრიობა და დღეს სიცოცხლე გვაქვს ყველას იესოში. ჩვენც, თქვენი ბაბუები და ბებიები, თქვენი დედიკოები და მამიკოებიც და თქვენც, ჩვენი ულამაზესი და უჭკვიანესი გოგო-ბიჭები იესოში ვცოცხლობთ და ვხარობთ. ნუ მოგერიდებათ, ჰკითხეთ მღვდელს, როგორ ხდება ეს და აგიხსნით და გასწავლით იგი, როგორ უნდა იმეგობროთ იესოსთან, როგორ უნდა გიყვარდეთ ირგვლივ მყოფნი და ამავე დროს, თბილად მოეპყარით ცხოველებს, არ დაჩაგროთ ისინი, გაუმასპინძლდით მათ და თვალყური მიადევნეთ, სხვებმაც არ მიაყენონ ზიანი...

იმ დღეს კი, როცა მამა-შვილები და მათი ცხოველები იერუსალიმიდან სახლში ბრუნდებოდნენ, ყველა ზეიმობდა. გახსოვდეს, ასე ჩაეყარა საფუძველი ულამაზეს რელიგიურ დღესასწაულს- ბზობას. ხომ მოგაქვთ სახლში აღდგომის წინ ბზის ტოტი. გახსოვდეთ, რომ სწორედ ბზის და პალმის რტოებს უფენდნენ საკუთარ ტანსაცმელთან ერთად, იერუსალიმში შემავალ, ვირზე მჯდარ უფალს – იესო ქრისტეს.

არგნით მოვიდე თუ თავმდაბლობით?

კორინთელ ქრისტიანებისადმი გაგზავნილ პირველ წერილში პავლე მოციქული წერს, რომ ხალხის გადასარჩენად, რათა ისინი ქრისტესთვის შეეძინა „იუდეველებისთვის გავხდი, როგორც იუდეველი,... რჯულის ქვეშ მყოფთათვის, რჯულის ქვეშ მყოფი,... ურჯულოთათვის – როგორც ურჯულო... უძლურთათვის გავხდი, როგორც უძლური, რათა უძლური შემეძინა, ყველასთვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე.

და ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისთვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე“ (I კორინ. 9:19-23).

ბევრს, ვინც ამ სტრიქონებს კითხულობს, კითხვები ებადება: „როგორ შეეძლო პავლეს ასე მოქცეულიყო? რატომ უნდა დაუახლოვდე იუდეველს ან წარმართს და რატომ უნდა ათრიო ის? რა საჭიროა ასეთი კომპრომისები?“

პავლე, როგორც კი იქცა ღმერთის მიმდევარ და უფლის სიტყვის უპირველეს მქადაგებელ პიროვნებად, სულიწმინდით აღვსილ ადამის ძედ, არასოდეს გაჰკარებია ცოდვას არც იუდეველებთან, არც წარმართებთან, არც უძლურებთან. ეს რომ ექნა, ამ სიტყვებს არასოდეს იტყოდა: „ძმებო, იყავით ჩემი მომბაძავნი და უყურეთ მათ, ვინც ისე იქცევა, რისი ნიმუშიც ჩვენში გაქვთ“ (ფილიპ. 3:17).

„არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, მე თვითონ უღირსი არ დავრჩე“ (I კორ. 9:27).

მოციქული პავლე არ ცრუობდა ღმერთთან, არ ატყუებდა და არ აცდუნებდა ადამიანებს, არ მონაწილეობდა წარმართულ ორგიებში, არასოდეს დაულევია ლოთებთან ერთად, არ დადიოდა თეატრში.

მოციქულ პავლეს სულიერი სიმაღლის გამოვლინებაა ის, რომ მას ყველასი ესმოდა. ოდესღაც ის დევნიდა ქრისტეს მიმდევრებს, მაგრამ შემდეგ ათასმაგი ძალისხმევით იცავდა და იფარავდა მათ, თავისი მოღვაწეობით ამრავლებდა. უმაღლესი

რწმენით და სულიწმინდის ცხოველმყოფელი მადლით მოსილი, ქრისტესმიერი სიყვარულით მიდიოდა ხალხთან, რათა არ დაებრკოლებინა ისინი რწმენაში არც თავისი წმინდანობით და არც თავისი განსაკუთრებული გულგახსნილობით.

მოციქული პავლე არასოდეს ყოფილა ვინმესთვის მაცდუნებელი:

„და არ აცდუნოთ არც იუდეველები, არც წარმართები და არც ღვთის ეკლესია.

ისევე, როგორც მეც ვაამებ ყველას ყველაფერში და სარგებლობას ვეძებ არა ჩემთვის, არამედ მრავალთათვის, რათა გადარჩნენ“ (I კორ. 10-32-33).

მოციქული არასოდეს ყოფილა მხოლოდ მაამებელი. მისი მაამებლობა გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ – ყველასთვის სიკეთის კეთებაში განურჩევლად: იუდეველი იყო თუ წარმართი, თავისიანი თუ უცხო, მოყვარე თუ მტერი. იუდეველებთან და წარმართებთან საუბრისას აფრქვევდა ისეთ სიყვარულს, რომელიც არანაკლებ ხიბლავდა და აჯერებდა ხალხს – იმ ცოდნასთან შედარებით, რასაც ამ დროს იღებდნენ.

ნებისმიერი, ვინც პავლეს ხვდებოდა, გრძნობდა: „აი, ადამიანი, რომელსაც ჩემი ესმის. კი არ მსაყვედურობს და განმსჯის, არამედ რაღაც კარგისკენ მიბიძგებს, ჩემთვის სიკეთე უნდა, ბედნიერება სურს ჩემთვის“.

აი, ეს გვჭირდება, განსაკუთრებით დღეს, ჩვენს მშფოთვარე საუკუნეში: უფლის ცოცხალი სიტყვა და მუშაკნი, რომელიც ამ სიკეთეს ჩვენამდე მოიტანენ...

„რადგან ვფიქრობ, რომ ჩვენ, მოციქულებს, ღმერთმა უკანასკნელი ადგილი მოგვიჩინა, როგორც სიკვდილმისჯილებს, ვინაიდან სანახაობად გავხდით წუთისოფლისთვის, ანგელოზებისთვისაც და ადამიანებისთვის.

ჩვენ უგუნურები ვართ ქრისტეს გულისთვის, თქვენ კი ბრძენები ხართ ქრისტეში. ჩვენ უძლურნი ვართ, თქვენ კი ძლიერნი. თქვენ დიდებულნი, ჩვენ კი უპატიონი.

ჩვენ ამ ჟამამდე მშივრები და მწყურვალები ვართ, შიშვლები და ნაცემნი, და მოხეტიალენი.

ვშრომობთ და ჩვენი ხელებით ვმუშაობთ. გვლანძღავენ – ვლოცავთ, გვდევნიან – ვითმენთ...

ზოგიერთები გაამპარტავნდნენ, თითქოს არ მოვიდოდე თქვენთან.

მაგრამ მალე მოვალ თქვენთან, თუ უფალი ინებებს, და გამოვცდი არა ქედმაღლურ სიტყვებს, არამედ ძალას.

რადგან ღვთის სასუფეველი არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში.

რა გსურთ? არგნით მოვიდე თქვენთან თუ სიყვარულით და თავმდაბლობის სულით?“ (I კორ. 4:9-12, 18-21).

რუთი

გულახდილად მოგახსენებთ, როცა პირველად წავიკითხე ბიბლიიდან წიგნი რუთის შესახებ, არაორდინალური რეაქცია მქონდა. ვერ მივხვდი, რა მიზანს ემსახურებოდა ეს მოკლე და თითქოს აზრს და მნიშვნელობას მოკლებული ტექსტი. რა აუცილებელი და საჭირო ცოდნა უნდა მიმეღო მისგან? მოთხრობილია რუთის, სოფლელი ქალის, არცთუ დიდად განსწავლულის, ოჯახის ისტორია, რომელიც თავიდან უბედობაში და ჭირ-ვარამში იმყოფება, ხოლო ბოლო – „ჰეპი ენდი“! მთავარი კითხვა, რომელიც მაშინ დამებადა, იყო: რატომ მოათავსეს ეს ისტორია წმინდა წერილებში? ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი.

რუთი უფლის მორჩილი, მეფე დავითის დიდი ბებია იყო. იმ მეფის დიდი ბებია, საიდანაც მოდიოდა იესო ქრისტეს მიწიერი წინაპრები იოსების ხაზით.

რუთი მოხსენიებული ჰყავს მათე მახარობელს: „სალმონმა შვა ბოოსი რაქაბისაგან, ბოოსმა შვა იობედი რუთისაგან, იობედმა შვა იესე, იესემ შვა მეფე დავითი“ (მათე 1:5) და ასე გაგრძელდა 3000 წელი, ვიდრე „-ხოლო იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, ვისგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე“ (მათე 1:16).

რუთის წიგნი გვამცნობს იმის შესახებ, როგორ აღადგინა ამ ქალბატონმა და გააგრძელა გვარი და ჯიში. ბიბლიურ წიგნებს შორის რუთის ამბავი ერთი ყველაზე რთულად აღსაქმელია. არადა თითქოს არაჩვეულებრივი არაფერია – ქალის ამბავი გადმოცემულია უბრალოდ, ლამის გულუბრყვილოდ და მარტივი ენით, გულწრფელად.

საქმე იმაშია, რომ მოთხრობილი ამბავისგან 3 ათასი წელი გვაშორებს. მის მერე ბევრი რამ შეიცვალა. ძველი ადათები და წესები შორეულ წარსულში დარჩა, სრულიად შეიცვალა ადამიანი და მასთან ერთად სულ სხვაგვარი გახდა ჩვენი სოციალური კოდი და მსოფლმხედველობა.

რუთის წიგნი ბევრით განსხვავდება სხვა ბიბლიური ქმნი-

ლებებისგან: ზოგი ისრაელის და იუდეველების ისტორიაზე მოგვითხრობს, ზოგი ლირიკული ფილოსოფიური აღქმაა სამყაროსი. რუთის თავგადასავალი კი უძველესი სოფლის ყოფაა და ერთი ოჯახის ცხოვრება, სადაც მოცემულია ძველი აღთქმისეული დროის პატრიარქალური ყოფა. სწორედ ამაშია მისი ფასი და ღირსება. ჭეშმარიტება რომ არ ჩარჩეს და ჩაიკარგოს დროსა და სივრცეში, ამის ერთადერთი წამალი ისტორიული ფაქტორების ღრმა შესწავლა და შემეცნებაა. ტავად მაცხოვარი გვასწავლიდა, „წერილთა სიღრმეს იკვლევთ, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე, მაგრამ სწორედ ისინი მოწმობენ ჩემთვის“. (იოან/ 5:39). და კიდევ: „მიუგო იესომ მათ პასუხად: „ცდებით, ვინაიდან არც წერილები იცით და არც ღვთის ძალა“ (მათე 22:29).

ახლა კი მოკლედ მოგითხრობთ რუთის წიგნის შინაარსს:

იუდას ბეთლემში ცხოვრობდა ელიმელექი მეუღლე ნაყომისთან ერთად. ჰყავდათ ორი ვაჟი – მახლონი და ქილიონი. როცა ქვეყანაში შიმშილი იყო, ოჯახი საცხოვრებლად ბეთლემიდან მოაბის ველზე გადავიდა. მოაბი გახლდათ ბიბლიური ქვეყანა, გადაჭიმული მდინარე იორდანიის სამხრეთ დინებიდან მკვდარ ზღვამდე. ერთ დღეს ელიმელექი გარდაიცვალა. მოგვიანებით ნაყომის ვაჟები მოაბელ ყორფაზე და რუთზე დაქორწინდნენ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ნაყომის ორივე ვაჟი დაიღუპა. რა უნდა ექნათ?

ერთ დღეს ნაყომიმ გადაწყვიტა, თავის ხალხთან დაბრუნებულიყო იუდას ბეთლემში. რუთსა და ყორფას მასთან განშორება არ უნდოდათ და დედამთილს გაჰყვნენ. გზაში ნაყომიმ რძლებს უთხრა: „დაბრუნდით სახლში დედებთან“.

„არა, შენთან წამოვალთ, შენს ხალხთან“, – იყო პასუხი. მაგრამ ნაყომიმ მიუგო: „ჩემო შვილებო, უკეთესი იქნება, თუ სახლში დაბრუნდებით“.

ყორფა დაემორჩილა, რუთმა კი დედამთილთან დარჩენა ამჯობინა: „ნუ დამაძალებ, დაგტოვო! ნება მომეცი, შენთან ერთად წამოვიდე, სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ და სა-

დაც შენ იცხოვრებ, მეც იქ ვიცხოვრებ. შენი ხალხი ჩემი ხალხი იქნება და შენი ღმერთი – ჩემი ღმერთი. სადაც შენ მოკვდები, მეც იქ მოვკვდები და დავიმარხები“. ამ სიტყვების შემდეგ ნაყომის აღარ დაუძალებია მისთვის სახლში დაბრუნება.

ნაყომი და რუთი ბეთლემში დაბრუნდნენ და იქ დასახლდნენ. „აღარ მიწოდოთ ნაყომი (სიამე), – უთხრა დედამთილმა მეზობლებს, – მარა (გამწარებული) დამიძახეთ“.

შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, რუთმა გადაწყვიტა ყანაში დაეწყო მუშაობა მდიდარ ბოყაზთან. მკის დრო იყო და ამ კაცმა ნება დართო მის ყანაში აეკრიფა თავთავები. ერთ დღეს კი ბოყაზმა (ბოოსმა) უთხრა რუთს: „ყველაფერი გავიგე შენზე, ვიცი, რომ ძალიან კარგად ექცევი ნაყომის. ისიც ვიცი, რომ მიატოვე დედ-მამა, მშობლიური ქვეყანა და საცხოვრებლად გადმოხვედი აქ, სადაც არავის იცნობდი. ღმერთმა გადაგიხადოს სიკეთით!“

რუთმა მიუგო: „ძალიან კეთილი ხარ ბატონო. შენმა კეთილმა სიტყვებმა გული გამითბო“... მალე ბოყაზი (ბოოსი) და რუთი დაქორწინდნენ. ამან ნაყომი ძალიან გაახარა. როცა პირველი ვაჟი შეეძინათ, ნაყომის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვაჟს იობედი უწოდეს, რომელიც მოგვიანებით მეფე დავითის ბაბუა გახდა.

და ბოლოს შეჯამებისმაგვარი მინდა შემოგთავაზოთ:

ეს გახლავთ ძველი აღთქმისა და ბიბლიის მერვე კანონიკური წიგნი. უცნობი ავტორის მიერ დაწერილი. სათაურად აღებულია მოაბი ქალის, წიგნის მთავარი გმირის სახელი. მოაბის ქვეყანაში საცხოვრებლად წასული ბეთლემელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დედამთილ ნაყომთან ერთად რუთი იუდას ქვეყანაში დაბრუნდა და ცოლად გაჰყვა ქმრის ნათესავს ბოყაზს. ქორწინებიდან იშვა ვაჟი ყობედი (იობედი), დავითის წინაპარი. წიგნი მნიშვნელოვან და ღირებულ ქრისტიანულ დარიგებებს შეიცავს. მასში ხაზგასმულია ისრაელელი ოჯახის ყველაზე თვალსაჩინო ღირსებანი: მშობლების მიმართ თაყვანისცემა, ნათესავთა მიმართ გულმოწყალება, სიყვარული და

გულთბილი დამოკიდებულებანი ოჯახურ ურთიერთობებში. ღვრთაებრივი განგება ცხოვრებისეულ მტკივნეულ მოვლენებს ადამიანთა სასარგებლოდ ამოქმედებს. უცხოტომელი რუთი დავითისა და თვით მესიის წინაპარი ხდება. ისრაელის ღმერთი იღებს უცხოელთა ძღვენს. ისრაელთა და უცხოელთა შორის ქორწინებები კანონიერია და ღმერთის მიერ არის კურთხეული. წარმართებს, რომლებიც სამაგალითო ცხოვრებას ეწევიან, ჭეშმარიტ ღმერთთან ზიარების მადლი ეძლევათ.

ჩვენთვის, ქართველებისთვის რუთის წიგნში ბევრი რამ უცნაურია. თუნდაც ის, რომ დედამთილი თავად ათხოვებს საკუთარ რძალს, მართალია, ქვრივს, მაგრამ... თუმცა ნაყომის გათხოვილი რძლის ბოყაზისგან შობილი ვაჟი ყობედი (იობედი), ნაყომის შთამომავლად და ელიმელექის კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა. ნაყომის სურდა, თავისი რძლისთვის თავშესაფარი მიეძებნა, ამიტომ დაარიგა რუთი, მოყაბისთვის (ბოოსისთვის) ეთხოვა, მისი გამომსყიდველი გამხდარიყო. დიდებულია, რომ ბიბლიაში მოხსენიებული ქვრივები, რუთი და მისი დედამთილი ნაყომი, მხარში ედგნენ ერთმანეთს.

წიგნი რუთის შესახებ შეგვახსენებს, რომ ტრაგედიისგან არც კეთილი ადამიანები არიან დაზღვეულნი. ბიბლია რუთს „ღირსეულ ქალად“ მოიხსენიებს და რაც მთავარია, რუთი არ თვლიდა, რომ ვინმე ვალდებული იყო დახმარებოდა. ამიტომ, ყველაფერს მადლიერებით იღებდა. მადლიერება კი ერთ-ერთი ის ნიჭია, რომლის გარეშეც ქრისტიანი არ არსებობს.

მინდა გთხოვოთ, მოიცალეთ და წაიკითხეთ ბიბლიაში „რუთი“ – პატარა წიგნი (სულ ოთხი თავისგან შედგება) უდიდესი მნიშვნელობით, განსაკუთრებული ძველი აღთქმის წიგნებს შორის, თითქოს უცნაური, მაგრამ ტკბილი გაუმხელელი სიზმარივით და ამავე დროს ძალიან მახლობელი, დავიწყებული და მონატრებული ტკბილი ნათესავივით.

საზღაური

იმ დროს მოვიდნენ მოწაფეები იესოსთან და უთხრეს: „ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?“

იესომ დაუძახა ბავშვს და ჩააყენა მათ შუა.

უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში.

ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს.

ხოლო ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ.

ვაი წუთისოფელს ცდუნებისგან, ვინაიდან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება“ (მათე. 18:1-7).

მოციქულები ქრისტეს ეკითხებიან – „ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?“ იესო დაუყოვნებლივ რეაგირებს, რადგან ამ კითხვაზე პასუხი სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია. ჩვენმა გულთამხილავმა იგრძნო, რომ მოწაფეთ ერთგვარი ქედმაღლობის და სხვებთან შედარებით უპირატესობის გრძნობა გაუჩნდათ, რისი ჩაცხრომაც დროული ახსნით და ნათელი განმარტებით, აუცილებელია. მათ უნდა იცოდნენ, რა საფრთხის წინაშე დააყენებთ ამგვარი რამ.

ამიტომ დააყენა უფალმა ბავშვი მოციქულთა შორის და მიანიშნა მათ და ზედმიწევნით განუმარტა, რომ ადამიანს რაც უფრო მეტად სწამს და უყვარს ღმერთი და რაც უფრო მეტ ძალას აძლევს უფალი მას, მით უფრო აამებს იგი ყოვლისშემქმნელს, თუ იგი დადგება მის წინაშე, როგორც გულუბრყვილო ბავშვი, უცოდველი, რომელიც გულგახსნილია, დაფარული არაფერი აქვს, მართალია, მიმნდობია ღვთისადმი ყველაფერში, როგორც ბალღი, საკუთარი მშობელი მამის წინაშე. იესო თხოვს ადამია-

ნებს შეიცვალონ, გარდაიქმნან სულიერად მოწიფულობიდან ბავშვად, რომელსაც მუდამ წმინდა, სუფთა გრძნობები და ოცნებები აქვს. მხოლოდ სულის ასეთი სახეცვლილებით შეიძლება შეხვიდე სულით, გონებით და გულით ცათა სასუფეველში. სხვაგვარად იქ მოხვედრა არ გიწერია. აქვე იესო საუბრობს თავმდაბლობაზე სხვათა წინაშე, თუნდაც ისინი სოციალური მდგომარეობით, სტატუსით და ქონებით თქვენზე დაბლა იდგნენ. მხოლოდ ასეთი თავმდაბალი ადამიანები ფასობენ სასუფეველში და მხოლოდ ესენი იღებენ ღვთიურ ჯილდოს.

აქ უფალი მთავარ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ თითოეული საკუთარ არსებაში უნდა ებრძოლოს სიამაყის, ქედმაღლობისა და განდიდების ბოროტს. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ ჩვენში უბრალოების სიწმინდე, სიკეთე, ბავშვური უცოდველობა, სიმართლე, სინდისიერება – ეს ყველაფერი კი გულს და სულს გვიხსნის ღვთიური სიყვარულისკენ, რომელსაც მივყავართ ცხონებისკენ.

როგორ უნდა გაძლოს ამგვარმა ადამიანმა წუთისოფელში, სადაც ბატონობს წესი „ადამიანი ადამიანისთვის მგელია?“ მათ ვისაც, უფლის დარიგება ზედმიწევნით შეასრულეს, მშვიდად შეუძლიათ გიპასუხონ: სულიერი გარდაქმნის შემდეგ უფალი გვერდით გიდგას და გასწავლის, როგორ იცხოვრო მგლებს შორის. თქვენ ყოველთვის იგრძნობთ უფლის ძლიერ მხარდაჭერას და არაფერი გემუქრებათ. ღმერთი დააბალანსებს თქვენს ყოველ წამს და შეგინარჩუნებთ წონასწორობას ნებისმიერი წუთისოფლური რყევების ჟამს. ის გიკარნახებთ როგორ შეხვდეთ ამა თუ იმ სიტუაციას, დადუმდეთ თუ ისაუბროთ, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. ღმერთი ჩაგიტარებთ გაკვეთილებს და მოგცემთ საშინაო დავალებებს, როგორც პედაგოგი, ზოგჯერ მარტივს, ზოგჯერ – რთულს, მაგრამ მხოლოდ ისეთს, რასაც დაძლევთ. სირთულეს, რასაც ვერ გადალახავთ და ტვირთს, რასაც ვერ ასწევთ, ღმერთი არ დაგაკისრებთ! მისთვის მთავარია რომ ისწავლოთ და არ დაიღუპოთ. „ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვებს ჩემი სახელით, მე მიმიღებს. ხოლო

ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“.

აქ უფალი ყველა დაბადებულს მოუწოდებს, რომ თუ ცხოვრებაში შეხვდებით სულიერად გარდაქმნილ, სათნო ადამიანებს, არასოდეს დასცინოთ, დაამციროთ და შეურაცხყოფა მიაყენოთ მათ, რადგან მათი სახით თქვენ ხვდებით იესო ქრისტეს, რომელიც ასეთ ადამიანებთან ერთად დადის. ასეთია უფლის ნება. ამიტომ როცა მორწმუნეს და უფლის საყვარელს შეხვდებით, კეთილად მიიღეთ, იზრუნეთ მასზე, დახმარება შეთავაზეთ. ყველაფერს, რასაც ასეთ ადამიანს სთავაზობთ, გახსოვდეთ, რომ სთავაზობთ იესოს. ამის გამო გექნებათ მადლი და შეწევნა უფლისგან.

მე, მონა ღვთისა ზაალ ნემსაძე, მოქალაქე ღვთისმშობლის წილხვედრი მართლმადიდებლური ქვეყნისა, რომელიც მუდმივ ჩაგვრას და ზეწოლას განიცდის მეზობელი აგრესორი ქვეყნებისგან, იესო ქრისტეს ამ მოწოდებაში, ვგრძნობ უფლის კეთილ ნებას ჩემი სამშობლოსადმი: „...ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფკსრულში ჩაეძირათ“. მეტს არაფერს ვიტყვი ამ მიმართულებით. ყველაფერი გარდაივლის უფლის სიტყვების გარდა!

ყველას გთხოვთ, მოუსმინეთ იესოს! განსაკუთრებით მათ, ვინც იმორჩილებს და იმონებს საკუთარ ხალხს. ერთ მაგალითს მოვიტან: როცა კრედიტს აძლევ გაჭირვებულ ადამიანს და წინასწარ იცი, რომ იგი ვერასდროს შეძლებს ამის უკან დაბრუნებას და ამის გამო გინდა მისი საცხოვრებელი მიითვისო და ქუჩაში სამათხოვროდ გაუშვა, რომელი გირჩევნია – წისქვილის ქვა დაგკიდონ კისერზე და ისე ჩაიხრჩო ზღვაში საკუთარი უსაქციელობის გამო თუ აუხსნა გაჭირვებულს, რაზე არ უნდა მოაწეროს ხელი და დაეხმარო თუ რამით შეგიძლია? რაც გაქვს უფალმა მოგცა და როცა გაჭირვებული მოდის შენთან, იცოდე, რომ უფალი მოდის და მიართვი მას თუნდაც მცირე წილი მისი ქონებიდან.

შენ კი, რომელიც ახალგაზრდა, ბრიყვ გოგონას აცდუნებ და პროსტიტუციას აჩვევ ოქრო-ვერცხლის შეთავაზებით და ამით უფასო მონად იხდი, იცი რა მოგელის? ანდა ნარკომანებო და მათთა მსგავსნო: როცა თქვენს მიერ შეჩეჩებული საწამლავის „ღირსებებზე“ საუბრობთ, რომ თითქოს ის თავის ტვინის სრული პოტენციალის გამოვლენაში ეხმარება ვინმეს, გიფიქრიათ კისერზე წისქვილის ქვით ზღვაში ჩაყურყუმალავებაზე? ანდა იმათ, ვინც ტრადიციული ოჯახური ღირსებების ნაცვლად ცხოველური ინსტინქტების ქადაგებით ხმას იხლეჩთ ვიღაცების გამდიდრების სანაცვლოდ, გიფიქრიათ რა ელოდება თქვენსა და თქვენი დამკვეთების კისრებს? გაგიმეორებთ, მეცოდებით ამ სასჯელისთვის და გაგიმეორებთ, ეგებ თქვენ შეიცოდოთ თავი და შეინანიოთ: „...აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“. აი, ეგრე! ძალიან ძნელი იქნება თქვენთვის, მოდური კვართის და ძვირადღირებული ჰალსტუხის მაგივრად საღორე ბაწრით ჩაბმული წისქვილის ქვის ჩამოკიდება, თანაც გარკვევით ბრძანებს მაცხოვარი: „... მისთვის აჯობებდა...“-ო. ანუ უფრო მძიმედ დაისჯებით ადრე თუ გვიან. უფლის ეს გაფრთხილება თქვენს დასაღუპად კი არა, თქვენს დასახსნელადაა, „ვინაიდან კაცის ძე დაღუპულის სახსნელად მოვიდა“ (მათე 18:11). „ვინაიდან ძე კაცისა მოვიდა არა ადამიანთა სულების დასაღუპად, არამედ სახსნელად!“ (ლუკა 10:56).

ვინც კი უფლის თქმას ყურს არ უგდებს, „მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ (მათე 18:6).

რა სასჯელია ის, რომელიც ამას „აჯობებდა“, ჩვენ არ ვიცით. იცის მხოლოდ ღმერთმა. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ – სხვადასხვა სტიქიური უბედურებანი, კატაკლიზმები, ვირუსები, დაავადებანი, – სუიციდი და ყველაფერი ცუდი და საშინელი, რაც ხდებოდა, ხდება და კვლავაც მოხდება, ვიდრე არ გავაცნობიერებთ და არ გავითავისებთ უფლის სიტყვას და არ განვიკურნებით იესო ქრისტეს ღვთიური ნებით.

ანდრია პირველწოდებული

სახარებიდან ვგებულობთ, რომ ანდრია იყო მოციქულ პეტრეს უფროსი ძმა და მამასთან ერთად ისინი თევზაობით ირჩენდნენ თავს. წარმოშობით ბედსაიდიდან იყვნენ. პეტრესგან განსხვავებით, რომელიც ცოლშვილიანი იყო, ანდრიას სხვა მოწოდება ჰქონდა, რის გამოც მშობლების სახლი დატოვა და როგორც კი იოანე ნათლისმცემლის სიტყვამ იქუხა იორდანეში, წავიდა და მისი მოწაფე გახდა იოანე ღვთისმეტყველთან ერთად, რომელიც იუწყება კიდეც ამის შესახებ. როგორც კი ნათლისმცემელმა იესოს „ტარიგი ღვთისა“ უწოდა, ანდრიამ წამსვე იწრმუნა ეს და დაუფიქრებლად გაჰყვა იესოს. ამიტომ ვუწოდებთ მას პირველწოდებულს, რამეთუ მოციქულებიდან მას მოუწოდეს პირველად. პირველად ადამიანთა შორის იოანემ ირწმუნა, რომ ტარიგი ანუ კრავი ღვთისა იყო მოვლინებული არა მარტო ქადაგებისა და საოცრებების ჩასადენად, არამედ იმ მსხვერპლისთვის, რომელიც საკუთარი სიცოცხლით უნდა ეზღო ჯვარზე და დაკლულიყო როგორც კრავი კაცობრიობის გადასარჩენად.

სწორედ ანდრიამ მიუთითა იესოს ხუთპურიან და ორთევზიან ბიჭზე, რომელიც უფალმა სასწაულის მოხდენით ისე გაამრავლა, რომ რამდენიმე ათასიანი ხალხის მასა დაეპურებინა. ცნობილია ისიც, რომ ანდრიამ ფილიპესთან ერთად ქრისტეს რამდენიმე ელინი მიუყვანა. საერთოდ კი, სახარებაში ცოტა წერია ანდრიას შესახებ. ძირითადად მისი ცხოვრების შესახებ საქმეებშია მოთხრობილი.

არის მეორე ვარიანტიც მისი პირველწოდებულების შესახებ: გახლავთ არა მხოლოდ ქრისტესგან პირველად მოწოდებული მოციქული, არამედ მოციქულთა პირველად მომწოდებელიც, დამძახებელიც. გვახსოვს, რომ როცა იგი იესოსგან დაბრუნებული თავის ძმა სიმონს შეხვდა იოანესთან ერთად, უთხრა: „ჩვენ ვნახეთ მესია“. მის მოწოდებაზე ძმა, მომავალი თავი მოციქულთა, სიმონ-პეტრე, გაჰყვა მას მაცხოვართან.

ანდრია მოციქული, არჩეული იქნა უფლისგან, პირველი თორმეტს შორის არა უბრალოდ რიგითობის მიხედვით, არამედ როგორც, რომელთანაც უფალმა დაიწყო მოღვაწეობა ახალი აღთქმის მადლის შემოსატანად; ანდრიამ ქრისტესთან დაუძახა მათ, რომლებიც ქრისტიანობის განმტკიცებისთვის მოღვაწეთა მრავალ თაობაში ითვლებოდნენ ქრისტიანობის სიმბოლოდ და მონანიების და რწმენის განმტკიცების მაგალითებად. ეს ლამის ისეთივე მოვლენაა, როგორც უფლის უწყება თავისი აღდგომის შესახებ მოწაფეებისადმი მენელსაცხებლე ქალების მეშვეობით.

ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მოციქულები ძირითადად მეგობრები, ძმები და ნათესავები იყვნენ. ანდრიამ თავის ძმას, პეტრეს მოუწოდა; იოანემ თავის ძმა იაკობს და ორივემ ერთად ფილიპეს. ფილიპემ თავის მხრივ მეგობარს, ნათანაელს უხმო. ასე შეიკრა და ჩამოყალიბდა მოციქულთა ერთობა. პეტრე რომ ანდრიას ძმა არ ყოფილიყო, იაკობი – იოანესი, მათ რომ არ ემეგობრათ ფილიპესთან და ნათანაელთან, ისინი ასე ერთობლივად ვერ შეხვდებოდნენ და ვერ მიაღწევდნენ მომწოდებელთან – და მაცხოვართან და უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესთან.

მოგვიანებით, როცა წმინდა მოციქულებს თავად მოუხდათ საქმეების ხელში აღება, ანუ საქადაგებლად გამგზავრება, მათ წილისყრით გაინაწილეს ქვეყნები, რომელშიც ქრისტეს აღდგომა უნდა ეხარებინათ, სრულიად გაიფურჩქნა ანდრიას უფლისგან მიცემული უდიდესი ნიჭი. ანდრია მოციქულს წილად ხვდა: შავი ზღვის სანაპირო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და სკვითეთი (დღ. რუსეთი): ოთხი მისიონერული მოგზაურობა მოუხდა წმინდანს. მან სამჯერ იმოგზაურა და იქადაგა საქართველოში. თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846), ქართველი მწერალი და მეცნიერი თავის ნაშრომში „ივერიის ისტორიიდან“ ხატოვნად აღწერს ანდრია პირველწოდებულის ჩვენი სამშობლოსადმი დამოკიდებულების ამბავს:

„შემდგომ ქრისტეს ამაღლებისა მეექვსესა წელსა მიიწვივ-

ნეს ესე ორნი მოციქული ქრისტესნი პირველწოდებული ანდრია და სიმონ კანანელი... სადა ჯვარი იგი აღმართა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა პირველმოწამისა სტეფანესი“.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო. წმინდანის ლოცვით აქაც უამრავი განიკურნა და მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ცრუღვთაების ერთგული რჩებოდა. მან ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმინდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და ჯვარზე თავის ფეხით ავიდა. ტანჯვა რომ გაეხარნგრძლივებინა, მტარვალმა ჯვარს ასო X-ის ფორმა მისცა და ბრძანა, კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. ანდრია ორი დღე ქადაგებდა შეკრებილთა წინაშე. წმინდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ხელისუფალმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინა წმინდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს და ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. სიკვდილის წინ წმინდა ანდრიამ დალოცა მის წინ შეკრებილი მორწმუნეები და მიაბარა თავისი ნეტარი სული ღმერთს. ეს მოხდა 62 წელს.

2002 წლის 15 აგვისტოს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. იგი ჩამოაბრძანეს ვატიკანის ნუნცმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ვენეციის კარდინალმა მარკო ჩემ.

აუცილებლად მოხდება!

იმ ურწმუნოთა შორის, რომელთაც ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ იესო ქრისტე ღვთის ძე იყო და მამაღმერთის წარმოგზავნილი, ცოტა როდია მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ უფლის ჯვარცმა იმის დადასტურებაა, რომ იესო იყო არა მაცხოვარი, არამედ უბრალო ადამიანი. ეტყობა ამათი გონება, იმაზე შორს ვერ წავიდა, ვიდრე იმ ბრბოსი, რომელიც თვალს ადევნებდა უფლის ჯვარცმას და დარწმუნებული იყო, თუ იესო მესიაა, რატომ არ გადაარჩინა მამაღმერთმაო, რატომ მიიღო „სამარცხვინო სასჯელიო“.

„იდგა ხალხი და შეჰყურებდა. მთავრებიც დასცინოდნენ და ამბობდნენ: „სხვებს იხსნიდა, ახლა თავისი თავი იხსნას, თუ ეგ ქრისტეა, ღვთის რჩეული“.

ასევე ჯარისკაცებიც დასცინოდნენ მას, მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მასთან,

ეუბნებოდნენ: „თუ იუდეველთა მეფე ხარ, იხსენი შენი თავი“ (ლუკა 23:35-37).

ქრისტიანობის მტერთა და მოწინააღმდეგეთა ეს არგუმენტები თავად უფალმა გააქარწყლა, რომელმაც იწინასწარმეტყველა საკუთარი დასჯა (ლუკა 9:43-45).

„ყველას აოცებდა ღვთის დიდება. რაკი ყველას უკვირდა ყოველივე, რასაც იესო აკეთებდა. უთხრა თავის მოწაფეებს:

„ყურად იღეთ თქვენ ეს სიტყვები: კაცის ძე გადაეცემა კაცთა ხელში“.

მაგრამ ისინი ვერ მიხვდნენ ამ ნათქვამს და იგი დაფარული იყო მათგან ისე, რომ ვერ ჩაწვდნენ მას. ხოლო ამ ნათქვამის შესახებ რომ ეკითხათ, ეშინოდათ“.

„კაცის ძე გადაეცემა კაცთა ხელში“ – ნიშნავს იმას, რომ ღმერთი და უფალი ჩვენს, საკუთარ, აქაურ ცხოვრებას გადასცემს იმ ხალხს, ვისი ცხონებისთვისაც მოვიდა.

ნუთუ ვინმე ისეთი იდიოტია, რომ ჰგონია იესოს თავის დახსნა არ შეეძლო პილატეს და მღვდელმთავართა ხელისგან?

არათუ მათი, მთელი დედამიწის აღგვა შეეძლო თვალის დახამხამებაში, მაგრამ ღვთის ნება იყო, საკუთარი ნებით ჯვარცმა კაცობრიობის გადასარჩენად.

ძველ აღთქმაში, ესაია ამბობს: „უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავ მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება“ (ესაია 53:10).

იესოს წინასწარმეტყველება საკუთარ ჯვარცმაზე, ესაიას თქმული, გვამცნობს, რომ უფლის ჯვრიდან დახსნაზე ფიქრიც არ ყოფილა. ღმერთმა განსაჯა, რომ იესოს მიეღო ეს ტანჯვა ადამიანებისგან მათსავე სასიკეთოდ. ამიტომ მწარედ ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ იესოს ჯვარცმა იმის დადასტურებაა, რომ ის ღვთის ძე არ ყოფილა.

იოტისოდენა სიმართლეც რომ იყოს მათ მხარეს, დღეს მილიარდობით ქრისტიანი არ იქნებოდა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ლოდინში. არამარტო ქრისტიანნი, მუსულმანებიც აღიარებენ მას, როგორც მესიას და ელოდებიან მის მოვლინებას და მის სამართალს სამყაროს აღსასრულის ჟამს.

და ეს კი აუცილებლად მოხდება.

დარიგება დიდ ხუთშაბათს

დიდი ხუთშაბათი იესო ქრისტემ იურუსალიმის ტაძარში გაატარა და უამრავ ხალხს ესაუბრა: დარიგებები მისცა მოწაფეებს. გულითადი გამოსვლა ჰქონდა პასექის საზეიმოდ შეკრებილ კეთილგონიერ იუდეველებთან. რისხვით სავსე სიტყვა წარმოთქვა მღვდელმთავრების, მწიგნობრების და უხუცესების მიმართ, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ იესოს ჩიხში შეყვანას, ცბიერი კითხვებით, მის გამოჭერას. (მათე 23:13-36).

„ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ ცათა სასუფეველს კეტავთ ადამიანთა წინაშე, რადგან არც თქვენ შედიხართ და არც შემავალთ უშვებთ.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვინაიდან გადასჭამთ ქვრივთა სახლებს და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობთ; ამისთვის უფრო დიდ სასჯელს მიიღებთ.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო,. თვალთმაქცნო, რომ შემოივლით ზღვასა და ხმელეთს, რომ ერთი ვინმე მაინც მოაქციოთ რჯულზე, და როცა მოაქცევთ, მას გადააქცევთ გეენას ძედ, საკუთარ თავზე ორჯერ მეტად.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო, რომლებიც ამბობთ: ვინც ტაძარს დაიფიცებს, ეს არაფერია; ხოლო ვინც ტაძრის ოქროს დაიფიცებს, ის ვალდებულიაო.

უგუნურო და ბრმებო! რა უფრო დიდია, ოქრო თუ ტაძარი, ოქროს რომ წმენდს?

ვინც სამსხვერპლოს დაიფიცებს, ის არაფერია; ხოლო ვინც დაიფიცებს ძღვენს, რომელიც მასზეა, ის ვალდებულიაო.

ბრმებო, რომელი უფრო დიდია: ძღვენი თუ სამსხვერპლო, ძღვენს რომ წმენდს?

ვინაიდან, ვინც სამსხვერპლოს იფიცებს, ის იფიცებს მას და ყველაფერს, რაც მასზეა.

და ვინც ტაძარს იფიცებს, ის იფიცებს მასაც და მასში მყოფსაც.

და ვინც ცას იფიცებს, ის ფიცულობს ღვთის ტახტსაც და მასზე მჯდომსაც. ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რლმლებიც იხდით პიტნის, კამისა და კვლიავის მეათედს და მიტოვებული გაქვთ რაც უფრო მთავარია რჯულში – განკითხვა, წყალობა და სარწმუნოება. ესეც უნდა გაგეკეთებინათ და არც ის უნდა მიგეტოვებინათ.

ბრმა წინამძღოლებო, კოღოს მწურავებო და აქლემების მშთანთქავებო!

ვაი თქვენ, მწიგონობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც გარედან კი ასუფთავებთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენია მტაცებლობით და უსამართლობით.

ბრმა ფარისეველნო, ჯერ შიგნიდან გაასუფთავეთ სასმისი და ჯამი, რომ გარედანაც სუფთა იყოს.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისევლნო, თვალთმაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსენია მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით.

ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობით და ურჯულოებით ხართ აღვსილნი.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ აშენებთ წინასწარმეტყევლთა სამარხებს და ამკობთ მართალთა ძეგლებს.

ამბობთ: ჩვენი მამების დღეებში რომ გვეცხოვრა, არ ვიქნებოდითო მათი თანამოზიარენი წინასწარმეტყველთა სისხლში.

ამრიგად, საკუთარ თავს უმოწმებთ, რომ წინასწარმეტყველთა მკვლელების ძენი ხართ.

თქვენც ბოლომდე აავსეთ თქვენი მამების საწყაო.

იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს?

„ამიტომ, აჰა, მე მოგივლენთ წინასწარმეტყველთ, ბრძენკაცებსა და მწიგნობრებს; და თქვენ ზოგიერთ მათგანს მოკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს კი გაშოლტავთ თქვენს სინა-

გოგებში და განდევნით ქალაქიდან ქალაქში.

გეწევათ მთელი ეს მართალი სისხლი, მიწაზე დათხეული, აბელის სისხლიდან მოყოლებული ზაქარია ბერაზიას ძის სისხლამდე, რომელიც ტაძარსა და სამსხვერპლოს შორის მოკალით.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს ეწევა ამ მოდგმას.

ბოლოს კი საბოლოო ვერდიქტი გამოაქვს მტრებისთვის: „აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად. ვინაიდან გეუბნებით თქვენ: ველარ მიხილავთ ამიერიდან, ვიდრე არ იტყვით: კურთხეულია უფლის სახელით მომავალი“. (მათე 23:38-39). ამ სიტყვებით იესომ დატოვა ის ტაძარი, რომელშიც მღვდლები აღასრულებდნენ ლოცვას და მსხვერპლშეწირვას ღმერთისადმი. აქედან მოყოლებული ტაძარში სიცარიელე დაისადგურებს. უფალი შევიდა ამ ტაძარში და ვერ იცნეს. ამიტომ ის სამუდამოდ ტოვებს მას.

მოციქულებმა კი დიდ ხუთშაბათს უფლისგან მოისმინეს სამი მნიშნელოვანი იგავი: ათ ქალწულზე საქმროს მოლოდინში (მათე 25:1-12), ვერცხლის ტალანტებზე, ბატონმა რომ დაურიგა მსახურებს, საქმეში ჩადეთ და მოგება ნახეთო (მათე 25:14-30) და ხალხის განკითხვაზე (მათე 25:31-46), რის შედეგადაც ცოდვილნი სამუდამო სატანჯველში წავლენ, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში.

ყველა ამ იგავის კვიტენტესცია კი ეს მოწოდება გახლავთ:

„ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი“ (მათე 24:42).

მაცხოვრისგან დიდ ხუთშაბათს წარმოთქმული ყველა იგავი გვასწავლის, რომ აუცილებელი და საჭირო, მზად იყო კაცობრიობის ისტორიის დამაგვირგვინებელი მომენტისთვის, როცა „...მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე. შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი და გამოარჩევს ერთიმეორისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ხოლმე თხებს ცხვრებისაგან“ (მათე 25:31-32).

იფხიზლეთ! არ მოდუნდეთ! – მიმართავს იესო მოწაფეებს. ეს იგავები გვასწავლის კაცთმოყვარეობას, გულმოწყალებას, საწყლისთვის უანგარო დახმარებას, კეთილი საქმეებით სავსე მარაგი უნდა გქონდეთ უფლის მოსვლის ჟამს. როცა უფალი მობრძანდება, ვერავინ შეძლებს მარაგის შევსებას, დაგვიანებული იქნება.

იფხიზლეთ, იშრომეთ, აქტიურად აკეთეთ კეთილი საქმეები. ის, ვინც ზრუნავდა მოყვასზე, აჭმევდა მშიერს, იფარებდა დევნილს, ხშირად აკითხავდა ავადმყოფს და პატიმარს და ა.შ. დაიმკვიდრებს წუთისოფლის დასაბამიდან, უფლისგან მათთვის გამზადებულ სასუფეველს და ვინც ამას არ აკეთებს, სწორედ ამის გამო გასამართლდება. არა მხოლოდ ჩადენილი ცოდვებისთვის, არამედ უმოქმედობისა და კეთილ საქმეთა ჩადენის არარსებობის გამო.

ლოცვის ძალა

ღვთისშვილნო! რა მოვიმოქმედოთ, რომ ყოველი დღე სიხარულის და წარმატების მიმტანი იყოს? ისეთი წარმატებები გვქონდეს საქმეებში და ისე იფურჩქნებოდეს ცხოვრება, როგორც მაისის წითელი ვარდი? ვის შეუძლია დაგვეხმაროს ამ მიზნების მიღწევაში? ვინ არის ჩვენი ყველაზე საიმედო მეგობარი და საყრდენი? შემოქმედი და მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე! ლოცვა, რომელზეც ახლა მოგახსენებთ უებრო დამხმარეა ყოველდღიურად და ყოველ საათს!

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ უფლისადმი ლოცვის ყოველი სიტყვა, ნებისმიერი, წრფელი გულით წარმოთქმული უძლიერესია ყველა, ბუნებაში არსებულ ძალას შორის! მნიშნელობა არ აქვს ლოცვის ხანგრძლივობას და ენას, რომელზეც საუბრობ. მთავარია, რომ მივმართავთ უშუალოდ ღმერთს, რათა მივიღოთ მისი კურთხევა და წყალობა. ძველთაგანვე ყველა მორწმუნის ლოცვა იყო არამარტო სულის და გულის წიაღში, არამედ ენაზე და ტუჩებზე. ეგნატე ღმერთშემოსილი, მტარვალების და მშიერი ლომების გარემოცვაში უფლის სახელს იმეორებდა და აცხადებდა, რაც სულში და გულში მაქვს, ენითაც იმას წარმოვთქვამო და როცა მხეცებმა დაგლიჯეს და შეჭამეს, მისი გული უვნებლად გადარჩა და როცა წარმართმა ჯალათებმა გული გაჭრეს, სიტყვები „იესო ქრისტე“ ნახეს ოქროთი ამოტვიფრული. დიდება უფალს!

ყველა მორწმუნეს მოეხსენება, რომ უფალი იესო დიდ სასწაულებს ჩადიოდა მიწიერი ცხოვრების დროს. ისიც ყველამ ვიცით, რომ უფლის სასწაულები დღემდე გრძელდება. მაშ, რა გიშლის ხელს, შენც მიიღო მონაწილეობა ზეიმში? ნებისმიერი, ვინც დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთხელ მაინც შევხებივართ ცნობიერად თუ არაცნობიერად სასწაულს და გვიღიარებია: ღმერთი არსებობს! არსებობს უზენაესი ძალა, რომელიც გვშველის ისეთ დროს და ისეთ გაჭირვებაში, როცა ყველა იმედი დაკარგული გვაქვს და ხელები ჩამოშვებული. ის მოდის და არ

გვტოვებს იმ დროსაც, როცა მზად არ ვართ მის მისაღებად. მოდის იმიტომ, რომ მისთვის თითოეული ადამიანი ძვირფასია. ის მოკვდა და აღდგა სწორედ იმისთვის, რომ თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად გადავერჩინეთ. უფალი ძალდატანებას არ იყენებს. ქრისტეში ყველაზე დიდი თავისუფლებაა. ქრისტე გზაა ცხონებისკენ და თუ შენ ირჩევ ბარაბას გზას, როგორც გოლგოთაზე შეკრებილი სეირის მოყვარული ბრბოს წევრი, ეს უკვე მძიმე კლინიკური შემთხვევაა. ასეთი ხალხი ფიქრობს, რომ მიდი სვი, ჭამე, იმხიარულე, ისიამოვნე... თუმცა ერთი დღეც დგება განურჩევლად ყველასთვის და ხვდებიან, ასეთ ცხოვრებას სიკეთე და ბედნიერება არ მოაქვს. ზოგი ფხიზლდება და იწყებს დაკარგულის ანაზღაურებას და გადარჩენის იმ შანსს ებღაუჭება, რომელსაც უფალი მეთორმეტე ჟამის მუშაკსაც იმავე საწყაოთი უხდის, როგორც დაბადებიდან მორწმუნეს. ისეთივე სიხარულით იღებს, როგორც მამა უძღებ შვილს. სხვა კი ბოლომდე მიჰყვება მოლიპულ გზას და იღუპება, არადა ბედნიერება მისგან ხელის გაწვდენაზე იყო.

იმისთვის, რომ ბედნიერები და ჯანმრთელები ვიყოთ ჩვენც და ჩვენი ჯალათებიც, ნუთუ არ გვიღირს ამ მოკლე, მაგრამ უძლიერესი ლოცვის წაკითხვა ყოველ დღე. აი, ეს სიტყვები, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბედი:

უფალო იესო ქრისტე, ღვთის ძეო, შემიწყალე მე ცოდვილი.

ან

უფალო იესო ქრისტე, ღვთის ძეო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი.

წაიკითხეთ ეს ლოცვა დღეში სამჯერ მაინც და გახსოვდეთ ღმერთი!

ის აუცილებლად შეგიწყალებთ და გიხსნით! აგვაშორებს ბოროტს და ხიფათს, მოგვცემს ყოვეგვარ სიკეთეს და სიხარულს!

ხელშეკრულება უფალთან!

როგორც ცნობილია, ბიბლია ორი ნაწილისგან შედგება – ახალი და ძველი აღთქმა. ბევრი თვლის, რომ ძველი აღთქმა უფალმა დაუდო ებრაელებს, ხოლო ახალი – წარმართებს. მართლა ასეა დაწერილი ბიბლიაში? თავიდანვე თანამედროვე განმარტება მივცეთ სიტყვას „აღთქმა“. აღთქმა – ეს ხელშეკრულებაა და საერთოდ, ბიბლიის დაყოფა ძველ და ახალ აღთქმად პირობითია და ბევრს აბნევს. პავლე მოციქული წერდა: „მთელი წერილი ღვთისულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში“ (II ტიმ. 3:16).

რის შესახებ წერდა პავლე? რა თქმა უნდა წიგნების შესახებ, რომელსაც დღეს „ძველ აღთქმას“ ვუწოდებთ. პავლე მოციქულის დროს ახალი აღთქმის წიგნები ჯერ არ არსებობდა.

ვისთან დადო უფალმა ძველი ხელშეკრულება? ნოესთან!

„შენ კი აღთქმას დაგიდებ და შეხვალთ კიდობანში შენ და შენი შვილები, შენი ცოლი და შენი ძეთა შვილები“ (დაბ. 6:18).

აქ მოიხსენიება პირველად სიტყვა „აღთქმა“. შემდეგი აღთქმა უფალმა აბრაამს დაუდო: დაბ. 15:18.

„ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრაამს და უთხრა: შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე – ევფრატის მდინარემდე“ -

აბრაამი პირველი ებრაელი იყო. ამიტომ ითვლება, რომ ძველი აღთქმა ებრაელებთან იყო დადებული. აქ აუცილებელია ვთქვათ, რომ ებრაელობა – ეს არ არის გენეტიკური რასა, არამედ ხალხი, რომელიც უფალმა წარმოშვა აბრაამისგან და გამოარჩია დანარჩენი მსოფლიოს მცხოვრებთაგან, რომ მათ წმინდად დაეცვათ ღმერთის კანონი და არ აჰყოლოდნენ და არ დაცემულიყვნენ იმ ცოდვებში, რომელიც გარს ერტყათ – კერპთაყვანისმცემლობა, გარყვნილება და სხვა ცოდვის მომტანი „სიამენი“. აბრაამს შვიდი შვილი ჰყავდა, მაგრამ იზმაილის და სხვა შვილების შთამომავლობა – არც ებრაელია და

არც ისრაელი. ისინი წარმართებად დარჩნენ. მხოლოდ ისააკიდან აღმოცენდა ღმერთის ერი – ისრაელი.

და ვისთან დადო უფალმა ახალი აღთქმა და რით განსხვავდება იგი ძველი ხელშეკრულებისგან? პირველად ახალი აღთქმის ცნებას ვხვდებით წინასწარმეტყველ იერემიასთან: იერ. 31:30-32.

„აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს.

არა ისეთ აღთქმას, რომელიც დავუდევი მათ მამა-პაპას, როცა ხელჩაკიდებულნი გამომყავდა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან. დაარღვიეს ის ჩემი აღთქმა, თუმცა მე მათი პატრონი ვიყავი, ამბობს უფალი.

რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელის ხალხს იმ დროის შემდეგ, ამბობს უფალი, წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ, მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან“.

ვისთან აპირებს უფალი ახალი აღთქმის დადებას? წარმართებთან, არა! ისრაელთან და იუდეველებთან. აღთქმის მეორე მხარე არ იცვლება. იცვლება მისი შინაარსი, დედააზრი. ახალ ხელშეკრულებაში უკვე ურთიერთობის სხვა პირობებია. ღვთის კანონი გულზე იწერება. ხალხი, ვის გულშიც უფლის კანონი სუფევს, ითვლება ახალი აღთქმის ისრაელად!

ვისთან იყო წარმოგზავნილი იესო ქრისტე? მათესთან (მათე 15:24) ვკითხულობთ: „მან კი პასუხად უთხრა: „მე მოვლინებული ვარ მხოლოდ ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებთან“.

აქ ყურადღება მივაქციოთ სიტყვას „მხოლოდ“. ქრისტე არ მოსულა წარმართების ხსნისთვის. ქრისტე მოვიდა ისრაელის დასახსნელად. იესო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ ეკონტაქტებოდა წარმართებს. უფალს მათთან საერთო არაფერი აქვს, მათ დიდი ხანია ზურგი აქციეს მას და საკუთარ წვენში იხარშებიან, თაობიდან თაობამდე გარყვნილებაში და ცოდვებში იხრჩობიან. მათთვის ბრძოლა უსარგებ-

ლოა. წარმართთა გული სამუდამოდ გაქვავებულია და უფლის სიტყვას ისინი არ უსმენენ.

იესო ქრისტემ დედამიწაზე მოღვაწეობის დროს შექმნა ეკლესია – მისი მიმდევრების საზოგადოება. ეს არის მისი შრომის ერთ-ერთი მთავარი ნაყოფი: „მეც გეუბნები შენ: შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზედ ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი (მათე 16:18).

აქ პირველად გვხვდება სიტყვა „ეკლესია“. ვისკენ არის მიმართული მაცხოვრის სიტყვები? ებრაელებისკენ. პეტრე და ყველა დანარჩენი 11 მოციქული ებრაელნი არიან. ქრისტიანული ეკლესიის საძირკველი ქრისტე და მისი მიმდევრები, მისი ხალხი – ებრაელებია.

და რას მოუწოდებს შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის დამაარსებელი:

„მოუწოდა თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ხელმწიფება არაწმინდა სულებზე, რომ განედევნათ ისინი და განეკურნათ ყოვეგვარი სენი და ყოველგვარი უძლურება...

ეს თორმეტი მოავლინა იესომ, ამცნო და უთხრა: „წარმართთა გზაზე არ იაროთ და სამარიელთა ქალაქში არ შეხვიდეთ;

არამედ წადით ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან“ (მათე. 10:1. 5-6).

ქრისტე დაბეჯითებით მოუწოდებს – არ უქადაგონ წარმართებს, არ დაკარგონ მათთვის დრო, უქადაგონ მხოლოდ ებრაელებს. ღმერთმა აირჩია ერი, რომელმაც არაერთგზის დაარღვია ხელშეკრულება, ბევრჯერ ჩავარდა კერპთაყვანისმცემლობის ცოდვაში და ხშირად სხვა ხალხის ჭკუის ქვეიფზეც დადიოდა. ისრაელი თავისებური, ჯიუტი და ამაყი ერია, მაგრამ იესო მის დასახსნელად მობრძანდა. მათთან დადო ხელშეკრულება, რომელსაც ზედმიწევნით ასრულებდა თავის მხრივ...

და მოციქულებიც ასრულებდნენ მასწავლებლის ბრძანებას მხოლოდ ებრაელებს უქადაგონ: საქმეები 11:19.

„ხოლო დაფანტულები დევნისგან, სტეფანეს გამო რომ მოხდა, მივიდნენ ფინიკიამდე, კვიპროსამდე და ანტიოქიამდე,

და ებრაელების გარდა არავის ეუბნებოდნენ სიტყვას“.

და მხოლოდ მას შემდეგ, როცა პეტრეს ჰქონდა ხილვა, რომელშიც უფალმა სიმბოლურად უჩვენა და ამცნო, რომ სასუფევლის კარი გაიხსნა წარმართებისთვისაც, მოციქულებმა გზა გააგრძელეს იუდეის ქალაქთა მიღმა. ბევრმა პეტრეს ხილვა ბუკვალურად მიიღო, თითქოს ღმერთმა ებრაელებს ნება დართო აკრძალული საკვები მიეღოთ, რითაც უფლის გზავნილის ძირითადი აზრი იკარგება. ბევრი თანამედროვე ქრისტიანისგან განსხვავებით მოციქულებმა ხილვა სწორედ შეაფასეს და აღიქვეს:

„მეორე დღეს, როცა ისინი გზაში იყვნენ და ქალაქს უახლოვდებოდნენ, იქნებოდა ასე ექვსი საათი, რომ პეტრე ერდოზე ავიდა სალოცავად.

მოშივდა და ჭამა მოუნდა. ვიდრე რამეს მოუმზადებდნენ, აღტაცებაში მოვიდა.

და იხილა გახსნილი ცა და გარდამომავალი რაღაც ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავსი, რომელიც ოთხი კიდით ეშვებოდა დედამიწაზე.

მასში იყო დედამიწის ყოველნაირი ოთხფეხი, ქვეწარმავალი და ცის ფრინველი.

და იყო ხმა მის მიმართ: „ადექი, პეტრე, დაკალ და ჭამე“.

პეტრემ თქვა: არა, უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამია ბიწიერი და უწმინდური“.

მეორედ კვლავ იყო მის მიმართ ხმა: „რაც ღმერთმა განწმინდა, ნუ მიიჩნევ ბიწიერად“.

ასე მოხდა სამგზის და ჭურჭელი მყისვე ცისკენ ამაღლდა“ (დაქმ. 10:9-16).

„თუკი ღმერთმა ისეთივე ნიჭი მისცა მათ, როგორც ჩვენ, რომელთაც ვირწმუნეთ უფალი იესო ქრისტე, მე ვინ ვიყავი, რომ შემძლებოდა წინ აღვდგომოდი ღმერთს“.

ეს რომ მოისმინეს, დადუმდნენ. ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: აჰა, წარმართებსაც მისცა ღმერთმა მონანიება სასიცოცხლოდო“ (საქმ 11:17-18).

როგორც ხედავთ, ახალი აღთქმა დაიდო არა წარმართებთან, არამედ ისრაელის ხალხთან. შემდეგ კი, როცა ყველა იუდეველს ეუწყა სახარება, სასუფევლის კარი ფართოდ გაიღო: „ვინაიდან მე არ მრცხვენია სახარებისა, რადგან ღვთის ძალაა იგი და ყოველი მორწმუნის სახსნელად ჯერ იუდეველისა და მერე წარმართისაც (რომ. 1:16).

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ უფალმა ისრაელი კი არ უარყო, არამედ წარმართებს მოუწოდა შეერთებოდა მას: გალატ. 3:29:

„და თუ ქრისტიანი ხართ, მაშ, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი“.

პავლე რომაელ წარმართებს წერდა:

„მაშ, ვამბობ: ნუთუ ღმერთმა უარყო თავისი ხალხი? არამც და არამც, რადგან მეც ისრაელი ვარ, აბრაამის თესლისგან, ბენიამინის ტომისგან.

არ უარყვია ღმერთს თავისი ხალხი...

ხოლო თუ ზოგი რტო გადატყდა და შენ. გარეულო ზეთისხილო, დაემყენ მათ ადგილას და გახდი ზეთისხილის ფესვისა და ქვენის თანაზიარი, ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე. ხოლო თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ“ (რომ. 11 თავი).

როცა მოციქულებმა ყველა დაბადებულს ახარეს, ყველამ ვინც იწამა და მიიღო იესო თავის მხსნელად, ერისა და წარმოშობის მიუხედავად; ვინც ზედმიწევნით იცავს და ასრულებს უფლის განაწესს; ვინც კეთილი საქმეებით აამებს უფალს, მისთვის ხსნილია გზა სასუფევლისკენ. „ვინაიდან, ვინც ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს შეასრულებს, ის არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც“ (მათე 12:50).

მე ვარ და მე ვიქნები შენთან

ძველ ეგვიპტეში, საიდანაც მოსე წინასწარმეტყველმა დიდი პრობლემების და მხოლოდ უფლის დახმარებით გამოიყვანა თავისი ხალხი და დაიწყო ქანაანისკენ სვლა უფლისავე მოწოდებით, ურყევი ტრადიცია იყო: ფარაონს ქარაგმულად იხსენიებდნენ, რათა მისი სახელი ტაბუდადებული ყოფილიყო. თვით ტერმინი „ფარაონი“ ორი სიტყვის შერწყმაა: „პერა-აა“, რაც დიდ სახლს ნიშნავს.

ებრაელებს ფარაონი არ ჰყავდათ, მაგრამ ეგვიპტელებისგან ზედმიწევნით გადმოიღეს წესი – ხმამაღლა არ წარმოეთქვათ ღმერთის სახელი. მოსეს დროს ეს გახდა ებრაელთა ერთ-ერთი უმთავრესი ცნება, რომლის დარღვევაც სერიოზულ დასჯას იწვევდა.

მიიჩნეოდა, რომ არასრულყოფილ არსებას – ადამიანს, ღმერთის წმინდა სახელი არ უნდა წარმოეთქვა, მისდამი შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით. ღმერთის სახელს მხოლოდ უმაღლესი მღვდელმსახური წარმოთქვამდა წელიწადში ერთხელ, ქიფურის დღესასწაულზე. მისი მნიშნელობა სცილდება ყოფის იდეას ფილოსოფიური გაგებით და მოიცავს ღმერთის მონაწილეობას ისრაელის ისტორიაში. ამიტომ ტეტრაგრამატონს ჩვეულებრივ კითხულობდნენ, როგორც „ადონაის“ („უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო“) ან ღმერთის კიდევ ერთ-ერთ ტიტულს „ცაბაოთ“ („საბაოთ“) ზეცათა უფლის სახით. ამიტომ დღესდღეობით ტეტრაგრამატონის ზუსტი ვოკალიზება დაკარგულია.

ღმერთის მიმართ მრავალი საპატიო ეპითეტები გამოიყენებოდა: ადონაი, ელ შადაი, ცაბაოთი და ა.შ. ამას ჩვენ ისევ დავუბრუნდებით. ხოლო რაც შეეხება ებრაეული ღმერთის ნამდვილ, ჭეშმარიტ სახელს, ის უბრალოდ, დავიწყებას მიეცა. მორწმუნეები იმდენად მკაცრად და მტკიცედ იცავდნენ ტრადიციას, არ წარმოეთქვათ უფლის ნამდვილი სახელი, რომ ბოლოსდაბოლოს ის მხოლოდ მღვდელმთავარმა იცოდა – ისრა-

ელის ხალხის უმაღლესმა რელიგიურმა პირმა. ამ საიდუმლოს ის თაობიდან თაობაში გადასცემდა მომავალ მღვდელმთავარს მხოლოდ თავისი გვარის და ჯიშის ფარგლებში ანუ მამიდან შვილს. თეორიულად ეს ურიგო არ არის, მაგრამ იერუსალიმის ტაძარი რამდენჯერმე დაინგრა, მღვდელმსახურები იხოცებოდნენ. და ბოლოს, ამდენი გულმოდგინებით შენახული საიდუმლო ისტორიას ჩაბარდა ანუ საიდუმლოდ დარჩა.

ისევ უფლის მიმართ გამოყენებულ საპატიო ეპითეტებს დავუბრუნდეთ, რომელთაგან ზოგიერთს ხალხის ნაწილი უფლის საკუთარ სახელად მიიჩნევს:

იაჰვე, იეჰოვა – გახლავთ ივრითისეული ოთხასოიანი „ტეტრაგრამატონის“ ᲔᲰᲕᲰ-ის ლათინური ვერსია, რომელიც სხვადასხვა ენებში გავრცელდა. იგი აბრამისეული რელიგიების ორ განაყოფში, იუდაიზმსა და ქრისტიანობაში გვხვდება და მისი ქართულად თარგმნის მრავალი ვარიანტი არსებობს, მათ შორის:

„მე ვარ, რომელიც ვარ“.

„მე ვარ, რომელიც იყო, არის და იქნება“.

„მე ვარ და მე ვიქნები შენთან“.

„მე ვქმნი და გარდავქმნი ყოველივეს“.

„მე ვანთავისუფლებ“.

ტეტრაგრამატონი დაახლოებით 7000-ჯერ არის წარნმოდგენილი ბიბლიის ტრადიციულ, მასორეტულ ტექსტებში, ხოლო უძველესი ლათინური ტრანსლიტერაცია (ერთი დამწერლობის ასოების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით) მიეკუთვნება XIII საუკუნეს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ოთხასოულის თანამედროვე გამოთქმა „იეჰოვა“ უნდა უკავშირდებოდეს ᲔᲰᲕᲰ-ს. ის ივრითში ღმერთის ერთადერთი ტიტულის „ადონაის“ კომბინირებულ ვარიანტს წარმოადგენს XIII საუკუნიდან. თუმცა, ზოგიერთი მოწმობით, ეს ფორმა გვხვდება ჯერ კიდევ გვიანი ანტიკური ეპოქის ბოლოს (V საუკუნეში). აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ ტე-

ტრაგრამატონის ყველაზე ზუსტი ვოკალიზება თორას ძველ მანუსკრიპტებში (ძვ.წ. აღ.-ის VI ს.) უნდა ყოფილიყო ჲაჰვჷ, ჲაჰვე, დიახ იაჰვე და არა იეჰოვა! თუმცა, ვიმეორებ, ეს საკითხი დღემდე სადავოა იმ მიზეზთა გამო, რომ ღმერთის საკუთარი სახელის წარმოთქმა იუდაიზმში, ისევე, როგორც ადრეულ ქრისტიანობაში აკრძალული იყო პატივისცემის მიზნით.

ბიბლიაში გამოიყენება მრავალი სახელი და ეპითეტი მამა ღმერთის, იესო ქრისტესა და სულიწმინდის მიმართ. ამ ნაშრომში მამა ღმერთის სახელები მოვიძიოთ, წმინდა სამების ორ შემადგენელს კი სხვა დროს დავუბრუნდებით უფლის ნებით.

წიგნში „იგავნი სოლომონისა“ (იგავი 18:10) ნათქვამია:

„უფლის სახელი **მტკიცე გოდოლია;** მართალი შეაფარებს თავს და გადარჩება“.

„უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ რომელიც ვარ. კვლავ უთხრა: ასე უპასუხე ისრაელიანებს: რომელიც ვარ მგზავნის თქვენთან“.

(გამოსვლა 3:14).

ელოჰიმ – ღმერთის საერთო სახელი სემიტელთათვის, რომელიც გამოიყენება ძველი აღთქმის ებრაულ ტექსტებში დაბადებიდან: „თავდაპირველად ღმერთმა (ელოჰიმმა) შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1:1) თითქმის სულ ამ სახელით მოიხსენიება მამა-ღმერთი და ზოგჯერ მასთან ერთად იხსენება იაჰვე და ადონაი და სხვ.

ცაბაოთ-ღმერთის ერთ-ერთი ტიტული იუდეური და ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით: გამოიყენება, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში:

„ყოველ წელიწადს ადიოდა ეს კაცი თავისი ქალაქიდან ცაბაოთ უფლისთვის თაყვანის საცემად...“ (1 მეფ. 1:3).

„აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ – ღაღადებს და მომკელთა ღაღადი უფალ ცაბაოთის ყურამდე აღწევს (იაკობ. 5:4).

„და როგორც თქვა ესაიამ წინასწარ: „უფალ ცაბაოთს რომ არ დაეტოვებინა ჩვენი თესლი, ვიქნებოდით სოდომელები ვით

და დავემსგავსებოდით გომორელებს“ (რომ. 9:29).

ადონაი – ხშირად გამოიყენება თანამედროვე ლიტერატურაში, როგორც „ჩვენი უფალი“. ტერმინს „ადონაი“ იუდეველები იყენებენ ღმერთის ხსენებისას თორასა და წინასწარმეტყველთა წიგნების ხმამაღლა კითხვის დროს სახალხოდ.

ელ შალაი – ყოვლისშემძლე ღმერთი.

ელ ოლამ – საუკუნო ღმერთი: „დარგო იალღუნი ბერშებაში აბრაამმა და ახსენა იქ უფლის, საუკუნო ღმერთის სახელი“ (დაბ. 21:33).

ელ გიბორი – ყოვლისმოქმედი, უძლიერესი ღმერთი: „აღასრულა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა საქონელი, ხოლო ისრაელიანთ საქონელში არც ერთი სული არ დაღუპულა“ (გამოსვლა, 9:6)...

არც ერთი სახელი, რაც ბიბლიაშია, არ გამოხატავს უფლის ნამდვილ და სრულ სახელს, მხოლოდ მის ცალკეულ აღმატებულ ღირსებებზე მიუთითებს. ღმერთის საკუთარი სახელის ხსენება თავად უფალმა აკრძალა, რომ უბრალოდ არავის წარმოეთქვა იგი: „არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩეს უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცარი“ (გამოსვლა 20:7).

ძველ აღთქმაში ღმერთი გვხვდება სხვადასხვა სახელით, რაც შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

მთავარი ჯგუფი – ღმერთი: ელ, ელაჰ – ელოჰიმ; იაჰვე, ადონაი.

მეორე ჯგუფი: ელ შადაი, ელ ელიონ, ელ ოლამ, ელ გიბორ.

მესამე ჯგუფი: იაჰვე, იაჰვე ელოჰიმ, ადონაი იაჰვე, ცაბაოთ-იაჰვე.

შვიდი საყვირი

იერიქონის მცხოვრებნი შიშით და ერთგვარი ინტერესით გადაჰყურებდნენ თავიანთი ქალაქის მტკიცე კედლებიდან მათ შორიახლოს განლაგებულ ისრაელის ბანაკს. ხმებმა ხალხზე, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიდა და 40 წელი უდაბნოში დაეხეტებოდა, რომელმაც დაამარცხა ამორევის ქვეყნის მეფეები და იორდანე გადმოლახა, არცთუ უსაფუძვლოდ შეაშფოთა ქანაანელნი. იორდანეზე გადმოსვლამ ხომ ცეცხლზე ზეთი დაუსხათ. როგორი საქმეა გაზაფხულზე მდინარის გადალახვა, რომელიც სწორედ ამ დროსაა ყველაზე უფრო წყალუხვი. უფრო მეტიც, მდინარე საერთოდ გაჩერდა, კალაპოტი ამოშრა და მრავალრიცხოვანი ჯარი, ბავშვები და ქალები, მთელი საქონელი ისე გადმოვიდნენ დამშრალ იორდანეზე, ფეხიც არავის დასველებია...

ვიდრე იორდანეს გადალახავდა, ისრაელი შიტიმში იდგა და მოსეს შემდეგ, მისმა მეთაურმა, იესო ნავეს ძემ, ორი მსტოვარი გაგზავნა იერიხონის დასაზვერად. ისინი ქალაქში შევიდნენ და ადგილობრივი მეძავის, რახაბის სახლში გაათიეს ღამე. თუმცა, მათი მოსვლა შეიტყვეს ადგილობრივებმა და მიხვდნენ, დასაზვერად რომ იყვნენ მოსულნი. მეძავმა სტუმრები დამალა და თანამოქალაქენი მოატყუა, სტუმრები წუხელ წავიდნენო. თავად კი პირობა ჩამოართვა, ამ სიკეთისთვის, რაც გიყავით, ქალაქს რომ აიღებთ „მე და ჩემს ახლობლებს ხელი არ გვახლოთო“. სტუმრებმა პირობა მისცეს და შიტიმში მშიდობიანად დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ისრაელი დაიძრა შიტიმიდან და მიადგა იორდანეს, რომელიც უფლის დახმარებით და სწავლებით გადალახეს. როცა მთელმა ხალხმა გადალახა, უფლის ბრძანებით, იესო ნავეს ძემ თორმეტი ხალხიდან თორმეტი კაცი გამოარჩია, რომელთაც თითო ქვა აკრიფეს იორდანეს შუაგულიდან, „და გავიდნენ ამ ქვებიანად, გაღმა, სათევეში და იქ დააწყვეს.

ასევე თორმეტი ქვა დაასაწყობა იესომ იორდანეს შუაგულში იმ ადგილას, სადაც ფეხი ედგათ უფლის აღთქმის კი-

დობნის მტვირთავ მღვდლებს. დღემდე იქ აწყვია ეს ქვები“ (იესო ნავეს ძე 4:8-9).

მოგვიანებით, როცა ხალხი იორდანედან ამოვიდა და გილგალში დაბანაკდა, ის თორმეტი ქვა, იორდანედან რომ წამოიღეს, გილგალში დააწყობინა იესომ. „რათა ყველა ხალხმა გაიგოს ამ ქვეყანაზე უფლის მარჯვენის ამბავი, რომ მაგარია იგი, რათა მუდამ გეშინოდეს უფლის, თქვენი ღმერთისა (იესო ნავეს ძე 4:24)...

ეს ყველაფერი არ დარჩენიათ შეუნიშნავი ახლოს და შორს მცხოვრებ ხალხს და დიდი შიში ჩამოვარდა მათში. იერიქონელები კანკალით უყურებდნენ ებრაელთა ბანაკს. ყველაზე მეტად მათ ისრაელის ტაქტიკა აოცებდათ, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ადრე ნანახისგან. მომხდურები ისე არხეინად იქცეოდნენ, საერთოდ არ ჰგავდნენ ქალაქის დასაპყრობად მოსულთ. შტურმის წინა მომზადების ნიშან-წყალი არ იგრძნობოდა მათ ქმედებებში, ერთადერთი, რასაც მეომრები აკეთებდნენ, ის იყო, რომ თავიანთ მღვდლებთან ერთად დღეში ერთხელ ქალაქს გარშემო უვლიდნენ და საყვირებში ბერავდნენ.

გაოცება და გაურკვევლობა ყოველდღე იზრდებოდა. რას ნიშნავდა ეს? რატომ იქცეოდა მტერი ამგვარად? ქალაქელებს აოცებდათ მტრის სიმშვიდე და სიჩუმე, თუ დღეში ერთხელ საყვირების ხმას არ მივიღებთ მხედველობაში. ეს სიჩუმე აშინებდა იერიქონელთ და აღარც კი იცოდნენ როგორ მომზადებულიყვნენ თავდასაცავად. ექვსი დღე უარა გარშემო ისრაელმა იერიქონს. ყველაფერი კი უფლის ნებით კეთდებოდა. ეს მან უბრძანა ისრაელს: „ასე აკეთეთ ექვსი დღის მანძილზე.

შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქა შვიდი ბუკი კიდობნის წინ. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს და მღვდლებმა სცენ ბუკებს.

როცა ჩაჰბერავენ ვერძის რქას და გაისმება ბუკის ხმა, დასცეს დიდი ყიჟინა მთელმა ერმა და იქვე ჩაიქცევა ქალაქის კედლები, და ავა ხალხი ქალაქში, თითოეული თავისი გზით“ (იესო ნავეს ძე 6:3-5).

ყველაფერი უფლის სიტყვებისაებრ მოხდა. საყვირების ხმასთან ერთად, 40 ათასი მეომრის ხმა და მთელი ერის ყიჟინა დაატყდა თავს იერიქონს, უცებ ჩამოიშალა მისი კედლები და ჯარი შეიჭრა ქალაქში. ქალაქი დაეცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კედლები კი არ დაინგრა, არამედ ჩამოიშალა, რაც მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა...

უფლის შეგონებით „ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მხოლოდ ოქრო-ვერცხლი და სპილენძისა და რკინის ჭურჭელი უფლის სახლის საგანძურისთვის გადადეს.

მეძავი რახაბი, მამამისის სახლი და ყველა, ვინც კი მას ჰყავდა, ცოცხალი დატოვა იესომ...“ (იესო ნავეს ძე 6:24-25).

შვიდი საყვირი, რომელმაც დასცა იერიქონი, აპოკალიფსის ცენტრალურ ნაწილშიც ფიგურირებს. იოანეს ეს ხილვა ლამის „გამოცხადების“ სამ თავს მოიცავს მერვედან მეთერთმეტემდე და ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოცანად ითვლება მთელი ახალი აღთქმის, რამეთუ დეტალების მოზღვავება თავბრუდამხვევია და უძლურს გხდის რაიმე გაიგო. თხოვნა მაქვს თქვენთან ძმებო და დებო ქრისტეში: კიდევ ერთხელ წაიკითხეთ „გამოცხადების“ მერვედან მეთერთმეტე თავის ჩათვლით და იქნებ რომელიმე თქვენგანი ღირსი გახდეთ და უფალმა მოგმადლოთ წყალობა ამ ურთულესი საიდუმლოს ახსნისა, დღემდე რომ არ ასვენებს კაცობრიობას. მე კი მეშვიდე საყვირის შემდგომ მოვლენებს გაგახსენებთ აქვე:

„მეშვიდე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და გაისმა ცაში დიდი ხმები, რომლებიც ამბობდნენ: „წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე.

ოცდაოთხი უხუცესი, რომლებიც ღვთის წინაშე ისხდნენ თავიანთ ტახტებზე, პირქვე დაემხო და თაყვანი სცა ღმერთს.

და თქვეს: „გმადლობთ შენ უფალო ღმერთო ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ, რომელიც იყავი და რომელიც მოხვალ, რომ მოიღე შენი დიდი ძალა და გამეფდი.

გამძვინვარდნენ წარმართები და მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ და საზღაური მიეცეთ შენს მონებს – წინასწარმეტყველებს და წმიდებს და მათ, რომელთაც შენი სახელის ეშინიათ – დიდებს და პატარებს, და მოსპო დედამიწის მომსპობნი“.

გაიღო ღვთის ტაძარი ცაში, და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში. და იქნა ელვანი და ხმანი, ქუხილნი და მიწისძვრა და დიდი სეტყვა (გამოცხ. 11:15-19).

იერიქონის კედლების დანგრევა შევიდა 10 ბიბლიურ სასწაულში, რომელსაც მეცნიერების აზრით, ახსნა აქვს. გთავაზობთ ამ სიას:

მკვდრეთით აღდგომა; იესოს წყალზე გავლა; განკურნება; სოდომი და გომორი; წარღვნა; ეგვიპტის 10 სასჯელი; ცეცხლმოკიდებული ბუჩქი; ნოეს კიდობანი; წითელი ზღვა და იორიქონის კედლები.

აქვე გეტყვით, რომ ჩემი მოკრძალებული აზრით, ზოგიერთი მეცნიერული ახსნა ამ მოვლენებისა იმდენად უსუსური და უსახურია, რაც მთავარია, მიუღებელია ნებისმიერი მორწმუნესთვის, რომ განხილვის ღირსადაც არ ღირს, თუმცა ერთ მაგალითს მოგიტანთ: ეს არის ცეცხლმოკიდებული ბუჩქი ანუ ალმოდებული მაყვლოვანი: აი, როგორ ხსნის ამ მოვლენას ფიზიკოსი კოლინ ჰამფრეი: ბუჩქი, სავარაუდოდ, აკაცია იყო და ვულკანის ხვრელთან იზრდებოდა, რამაც მისი აალება გამოიწვია. ფსიქოლოგიის პროფესორი ბენი შენონი კი აცხადებს, რომ ღმერთის ხმა, რომელიც მოსემ გაიგონა, ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული.

„გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამოს. 3:2). წერია სადმე აკაცია? სამაგიეროდ მაყვლოვანის შესახებ სამჯერ წერია ანუ ეს სიტყვა სამჯერაა ნახსენები ერთ წინადადებაში. ბიბლიის შემქმნელმა იცოდა წინასწარ, რომ გამოჩნდებოდა მავანი ფიზიკოსი, რომელმაც მაყვლის და აკაციის გარჩევა არ იცის. ფსიქოლოგიის

პროფესორთან კი უფრო მძიმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თუ უფლის საუბარი მოსესთან ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული, მაშნ მოსედან დღემდე, ამ ლოგიკით, იქნებ მსოფლიოც ამ ჰალუცინეგონური სუბსტანციის ნაყოფია? აი, ასე „მეცნიერულად და დამაჯერებლად“ ამგვარ „მეცნიერებს“ „შეუძლიათ“ შვიდი საყვირის ამოცანაც „ამოხსნან“ და კაცობრიობის გონი წინ წასწიონ.

შვიდი საყვირი

გაგრძელება

რაც რელიგიურ თემებზე დავიწყე წერა, დღეს 6 სექტემბერს, შუადღეზე ხილვა მქონდა. „შვიდი საყვირის“ დასრულების შემდეგ მოვიდა ის, რომელიც ივნისის თვეში მეწვია ჩემი „ამიკუსის“ წერის დროს და თვალდახუჭულს ჩამჩურჩულა: „კიდევ ერთხელ წაიკითხე „გამოცხადება“ შვიდი საყვირის ეპიზოდის შესახებ, რომელიც ყველაზე დიდი ხილვაა იოანესი. ის არ ამოიწურება მხოლოდ რვიდან მეთერთმეტემდე თავის ჩათვლით, არამედ გრძელდება მეცამეტე თავის იმ ადგილამდე, სადაც საუბარია ხილვაზე შვიდთავიან და ათრქიან ზღვიდან ამომავალი მხეცისა და მიწიდან ამომავალ ორრქიანი მხეცისა, რომელსაც ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი“.

ამ დალოცვილის სურვილისამებრ დიდი ყურადღებით წავიკითხე აღნიშნული ადგილები და მთელი „გამოცხადება“. შვიდი საყვირის ლიტერატურული სტრუქტურა ასე ჩამომიყალიბდა: 1. საწყისი სცენა – ანგელოზი შვიდი სასანთლის შუაში. ტაძარი; 2. პირველი საყვირი; 3. მეორე საყვირი; 4. მესამე საყვირი; 5. მეოთხე საყვირი. პირველი განმარტება, სამგზის უბედურების დედამიწის მცხოვრებთა თავზე: „ვაი, ვაი, ვაი დედამიწაზე მცხოვრებთ სამი ანგელოზის საყვირთა დანარჩენი ხმებისაგან, რომელთაც მოუწევთ დაყვირება“ (იოანე 8:13).

6. მეხუთე საყვირი, ციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი; 7. მეექვსე საყვირი, მეორე განმარტება: კიდევ ორი უბედურება დედამიწის მცხოვრებთ სამი წინა უბედურების შემდეგ. „დაიხოცა ადამიანთა მესამედი ნაწილი“. 8. მეშვიდე საყვირი. მომცრო წიგნი ანგელოზის ხელიდან: „შენ მოგიწევს კვლავ იწინასწარმეტყველო ხალხებსა და ერებზე, ენებსა და მრავალ მეფეზე“. 9. თქმა ორ მოწამეზე: „მივცემ ჩემს ორ მოწამეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოც დღე

ძაძებით მოსილნი“. 10, ტაძრის სცენა, აღთქმის კიდობანი, „მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ...“ „გაიღო ღვთის ტაძარი ცაში, და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში...“

ეს გახლავთ ლიტერატურული სტრუქტურის გამარტივებული ვარიანტი. ვფიქრობ, რომ ყურადღებას იმსახურებს მეხუთე საყვირი: „მეხუთე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ვიხილე ციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი, და მიეცა მას უფსკრულის ჯურღმულის გასაღები“ (გამოცხ. 9:1).

შემდეგ მოდის საკმაოდ ვრცელი აღწერა ამ ვარსკვლავის მოქმედების – კალიები, რომლებიც შესახედაობით საომრად გამზადებულ ცხენებს წააგავდნენ და მათი მეფე, უფსკრულის ანგელოზი, რომელსაც ებრაულად ჰქვია აბადონი, ხოლო ბერძნულად აქვს სახელი აპოლონი.

ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ძველი აღთქმიდან ესაია (14:12):

„როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო1“

ჰალილ ბენ შაჰარი ჰყვება, ოდესღაც ძლევამოსილი ანგელოზის დაცემაზე, რომელიც მოგვიანებით იქცა სატანად ანუ ღმერთისა და ხალხის მტრად. და მეხუთე საყვირის დროს სწორედ მასზეა საუბარი. გამოცხადება მას ბერძნულად „აპოლონად“, ხოლო ებრაულად „აბადონად“ მოიხსენიებს, რაც ორივე შემთხვევაში „დამღუპველს“ ნიშნავს.

საყვირები ითვლება აპოკალიფსის უმნიშნელოვანეს ნაწილად და დამაკავშირებელი რგოლია შვიდ ბეჭედსა და შვიდ წყლულს შორის.

„ღმერთი ყოველთვის ჩემთანაა!“

ვინ იცის რამდენჯერ გვიფიქრია: რა კარგი იქნებოდა ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგვეძლოს, ეუჰ, რამდენ რამეს გამოვასწორებდი ანდა საერთოდ სხვაგვარად გავაკეთებდი. ბევრ შეცდომას და ცოდვას ავიცილებდი თავიდან და ახლობლებსაც არ ვატკენდი გულს, თუმცა... როცა მეორე ნახევარი საუკუნის ათვლა დავიწყე, მაშინღა მივხვდი, რომ ხსნა არსებობს: ქრისტიანს შეუძლია მეორედ დაიბადოს! ამის მოსაცემად აღესრულა იესო ჯვარზე. ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ. როგორ? მომისმინეთ:

ადამიანები დაბადებიდანვე ცოდვილნი ვართ და არ გვაქვს ამის გამო ერთობა უფალთან. ამ ერთობის გარეშე დავიღუპებით. ამიტომ ღმერთმა შეიმუშავა გეგმა ჩვენს გადასარჩენად. წინასწარმეტყველების მეოხებით, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე დაიწყო ამ გეგმის განხორციელება.

„მოგცემთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით, ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ“ (ეზეკიელი 36:26).

იესომაც დაიწყო თავისი დარიგება სწორედ ამით ჯერ კიდევ მსახურების ადრეულ ეტაპზე. ფარისეველ ნიკოდემოსთან საუბარში ჩამოაყალიბა მთავარი პირობები მაღლიდან შობის შესახებ (იოანე 3:3-5).

„მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღთის სასუფეველს!“

ნიკოდემოსმა უთხრა მას: „როგორ შეუძლია კაცს იშვას, თუ იგი მოხუცია? ნუთუ შეძლებს თავისი დედის მუცელში მეორედ შევიდეს და იშვას?“

მიუგო იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“.

ნიკოდემოსმა ვერ გაიგო, რა ჰქონდა იესოს მხედველობაში,

მაგრამ ის კი იგრძნო, რომ ეს მას არ ჰქონდა, არადა, თითქოს, ყველაფერს ფლობდა ამის მოსახვეჭად: კეთილ საქმეებს, ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ლოცვებს, ჰქონდა უფლის რწმენა, იესოსაც თვლიდა უფლისგან მოგზავნილად, მაგრამ არ იყო მაღლიდან შობილი და არ ჰქონდა წილი ღვთის სამეფოში.

და მაინც, რას ნიშნავს მაღლიდან შობა? ეს არის ზებუნებრივი ქმედება სული წმინდის, რომელსაც უფალი ახორციელებს ადამიანში თავისი სულით და სიტყვით. ამის შედეგია ადამიანის ახალი ბუნება. არა, უკაცრავი პასუხია და შეკეთებული, „შერემონტებული“, არამედ, ახალი, ცინცხალი, რაც ადრე არ ჰქონდა. სხეული კი არ შეცვლილა, სული განახლდა. სრულიად ახალი სული დაიბადა „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 13:16).

ორი ათასი წელი იესოს მადლი იცავს ადამიანებს და სამყაროს. რამდენი დამცირება და ტკივილი გადაიტანა ჩვენი ცოდვების გამო. მისი მაგალითით აღფრთოვანებულმა მაღლიდან შობილებმა თავიანთი მოწამეობრივი ცხოვრებით ბევრ ადამიანს გაუხსნეს გზა მეორედ დაბადებისკენ, მაგრამ საზოგადოების ბევრი წევრი დღემდე ურწმუნოა და არათუ სწამს, არამედ დასცინის კიდეც მორწმუნეებს, რაც მათთვის დამღუპველია. დავით წინასწარმეტყველმა წარმოთქვა: (ფსალმ. 13:4-7).

„ნუთუ ვერ შეუგნიათ უკანონოების ჩამდენთ, ჩემი ხალხის მჭამელთ, პურს რომ სჭამენ და ღმერთს არ უხმობენ?

იქ შეკრთნენ შიშით, რადგან ღმერთი მართალთა თაობაშია.

თქვენ დასცინეთ რჩევას საწყლისას, რაკი ღმერთია მისი მფარველი.

ვინ მისცემს სიონიდან ისრაელს ხსნას? ოდეს შემოაქცევს ღმერთი თავის ხალხის ტყვეობას, მოილხენს იაკობი, გაიხარებს ისრაელი“.

დიახ, ღმერთი ყველაფერს ხედავს და უყურადღებოდ არ

ტოვებს ამ დაცინვას, რადგან ირიბად ეს მასაც ეხება. ქრისტიანთა დაცინვა უმდაბლესი ქცევაა. როგორ მწარედ იცინოდნენ და მასხრობდნენ იესო ქრისტეზე მისი ჯვარცმის დროს (მათე 27:39-42).

„გამვლელები კი თავს იქნევდნენ და გმობდნენ მას.

ამბობდნენ: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი, თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან“.

ასევე მღვდელმთავარნი, მწიგნობრებთან და უხუცესებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ:

„სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია, თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას“.

თუმცა დამცინავმა მასამაც, როგორც დღევანდელმა, ისე მისმა ორიათასი წლის წინაპარმა, მთავარი ჭეშმარიტება დაივიწყა. დასაწყისი კი არ განსაზღვრავს საქმის შედეგს, არამედ დასასრული. რამდენი ასეთი კბილებდაკრეჭილი შეგხვედრიათ, მერე რომ უნანიათ და ამით გადარჩენილან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც საერთოდ უარყვეს უფალი, ეშმაკს ჩაეხუტნენ და დაკარგეს უფლისგან დაცვა. ეშმაკმა კი ადამი და ევა მოატყუა, უკვდავებას შეპირდა და მოატყუა და ამ საცოდავებს როგორ მოექცევა? ერთს მაგალითს მოგიტანთ: ცხონებული ბიძაჩემი, გიორგი, იგივე ჟორა ნემსაძე, სულით და ხორცით ქრისტიანი, ლუკმას არ ჩაიდებდა პირში ლოცვის გარეშე, ერთ ამბავს გვიყვებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მოქმედ არმიაში მსახურობისას, ფრონტზე, სადილობის დროს, ჯარისკაცებთან მჯდარი სანგარში, სადილობდა. ვიდრე ჭამას შეუდგებოდა, ღმერთს შესთხოვა საკვები დაელოცა. ამ დროს კი მის საკვებთან სამხედრო ნაწილს ადევნებულმა ძაღლმა მოირბინა, ჟორას პურს და ძეხვს პირი სტაცა და გაიქცა. ლოცვადამთავრებული ქრისტიანი ძაღლს გაეკიდა, ხოლო თანამოსაგრეებმა ხმამაღალი სიცილი დააყარეს: „ჟორა, სად არის შენი ღმერთი? რატომ არ დაიცვა შენი საჭმელი?“ ზუსტად რამდენიმე წამში იმ ადგილას, სადაც ჯარისკაცები სადილობდნენ, ჭურვი ჩამოვარდა და ზოგი მოკლა, ზოგი კი დაასახიჩრა: „ღმე-

რთი ყოველთვის ჩემთანაა, რომ მტრისგან მიხსნას!“ – შესძახა ჟორა ბიძიამ და დაშავებულებს საშველად მივარდა (ფსალმ. 73:21-22).

„ნუ დაუბრუნდება ჩაგრული გაწბილებულად,
ღარიბ-ღატაკნი აქებენ შენს სახელს.
აღდეგ, უფალო, ედავე შენს მოდავეებს,
გაიხსენე შენი ლანძღვა არამზადებისგან
ყოველდღე“.

„ნუ მოტყუვდებით: ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვინაიდან, რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის“ (გალატელთა 6:7).

ღმერთი სიყვარულია!

დამწყებ ქრისტიანებს, რომლებიც ჯერ ძველ აღთქმას კითხულობენ და მერე ახალს, ხშირად კითხვა უჩნდებათ: ძველ აღთქმაში ღმერთი არ არის კეთილი, ხოლო ახალ აღთქმაში კეთილია. რატომ?

რა თქმა უნდა, ასე არ არის: ღმერთი არასოდეს იცვლება, ის მუდამ ერთი და იგივეა.

საქმე იმაშია, რომ ძველი აღთქმის ხალხმა არ იცოდა ყველაფერი ღმერთის შესახებ.

თვით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთათვის არ იყო ცნობილი და ნათელი უფლის ხასიათი.

ამიტომ გადაწყვიტა ღმერთმა გამოჩენილიყო ჩვენს შორის, რომ მის შესახებ ყურმოკვრით არ გვცოდნოდა არა მარტო ჩვენ, არამედ თავად ანგელოზებსაც კი.

იესო ქრისტემ – სრულად განახორციელა თავის არსებაში უფალი და დაგვანახა როგორია ძე ღმერთი და მამა ღმერთი. სწორედ იესო ქრისტე გახდა ხილული ღმერთი და დაგვანახა უფლის ხასიათი.

„ვინაიდან რჯული მოცემულია მოსეს მიერ, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა.

ღმერთი არასდროს არავის უნახავს, მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა“ (იოანე 1:17-18).

თუ გსურთ გაიგოთ როგორია ღმერთი, როგორი პიროვნებაა, როგორი ხასიათი აქვს – იესო ქრისტეს დააკვირდით.

ის ერთი ერთში გამოხატავს მამა ღმერთს. აი, რა განაცხადა მოციქულმა პავლემ თავის პირველ წერილში ტიმოთეს მიმართ: 3:16:

„უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში, გამართლებულ იქნა სულში, დანახულ იქნა ანგელოზების მიერ, ნაქადაგები იქნა წარმართებში, მიღებულ იქნა წუთისოფელში რწმენით და ამაღლდა დიდებაში“.

რწმენის, ჩვენი რწმენის საიდუმლო, უეჭველად, დიახ.

ღმერთი გამოჩნდა ხორცში!
გამართლებულ იქნა სულში!
დანახულ იქნა ანგელოზების მიერ!
ნაქადაგები იქნა წარმართებში!
მიღებულ იქნა წუთისოფელში რწმენით!
და ამაღლდა დიდებაში!

„ჩვენ ვცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში“ (I იოანე 4:16).

გამოსათხოვარი თავისდაკვრა

მე, მონა ღვთისა ზაალ ნემსაძე, დღეს 2020 წლის 9 სექტემბერს ვამთავრებ ჩემი რელიგიური შრომების ამ ციკლს და გადავდივარ სხვა მიმართულებაზე. იმედი მაქვს, ამ ჩემს საყვარელ ჟანრს ისევ დავუბრუნდები მოწყალე ღმერთის ნებით. მინდა ჩემს საყვარელ ქართველებს მივმართო, რომლებიც ხშირად კითხულობენ: შეიძლება თუ არა წარმოვთქვა სადღეგრძელო ღმერთის მიმართ? მოგეხსენებათ, ჩვენში, ნებისმიერი სუფრის დროს – ჭირის თუ ლხინის, პირველი სადღეგრძელო ღმერთის დიდებისა წარმოითქმის. ზოგი თამადა კი უფლის სიდიდებლის შემდეგ, მეორე სასმისით ღვთისმშობელს ადიდებს და მესამეთი – წმინდა გიორგის.

ცოდვა ხომ არ არის ეს? არამც და არამც! პირიქით, ეს გახლავთ კეთილი და ბრწყინვალე ტრადიცია! ღვინოს არაფერი აქვს საერთო ცოდვასთან და სიბილწესთან! პირიქით, ღვინის ზომიერი სმა მარგებელიც კია. ღვინო რომ ცოდვის საწყისი იყოს, უფალი იესო საკუთარ სისხლს არ შეადრიდა მას!

ღვინო კი არა, ჩემო ძვირფასო ქართველებო, მასთან ცუდი დამოკიდებულება გვღუპავს! ღვინის უზომო სმა რას იწვევს, ამის შესახებ ყველამ ვიცით. უზომო არაფერი ვარგა. შეიძლება იმდენი წყალი დალიო და ისე უზომოდ ჭამო, რომ თუ არ გასკდები, რამე ავადმყოფობას უეჭველი გამოკრავ ხელს.

„და ღვინომ გაამხიარულოს გული კაცისა,
გააბრწყინოს სახე საცხებელზე მეტად
და პურმა შეამტკიცოს გული კაცისა“ ფსალმ. 103:15.

დიახ, ასე სწერია ბიბლიაში. მთავარია დალევის ზომა, ადგილი და დრო. უფალი ადიდეთ, თუნდაც ყველა სადღეგრძელო და ყოველი თქვენი სიტყვა უფლის დიდებით დაიწყეთ, ოღონდ უფლის სადიდებელი და მისთვის საამური საქმენიც აკეთეთ, სიტყვა საქმედ აქციეთ.

„ვაზმა უთხრა: დავთმო ჩემი წვენი, ღმერთთათვის და კა-

ცთათვის შვების მომგვრელი, და ხეებს გადავყვე?“ (მსაჯულნი 9:13).

„გააწყე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა
თვალწინ,
ზეთი სცხე ჩემს თავს;
სავსეა ჩემი თასი პირთამდე“ (ფსალმ. 22:5).

„მიეცი ლუდი გაუბედურებულს და ღვინო – სულგამწარებულს“ (იგავნი 31:6).

„სამხიარულოდ იმართება პურობა, ღვინო სიხარულით ავსებს სიცოცხლეს...“ (ეკლესიასტე 10:19).

„აიღო სასმისი, მადლი შესწირა და მისცა მათ და იქიდან შესვა ყველამ.

უთხრა მათ: „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი“ (მარკოზი 14:23-24).

და გვახსოვდეს: როცა ღვინოს ვსვამთ, ვის ვეხებით ბაგით და რა მოვალენი ვართ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. დიდება და თაყვანისცემა მას!

ამინ!

სარჩევი

წინათქმა---------- 3
ახალი აღთქმის წიგნებიდან ---------- 6
ცაბაოთ უფალი----------30
ჭეშმარიტება და სიცოცხლე ----------32
მოციქულები ----------37
ღმერთს ეცი თაყვანი!----------42
ათი მცნება----------46
გადარჩენის რეცეპტი----------52
მეფე მსახურებს ფეხებს ბანს ----------55
ფერისცვალება ----------60
მონანიება ----------64
პირველი პირველთა შორის ----------67
ელია თეზბიტელი----------71
ქალები ქრისტეში ----------75
„...დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე“ ----------79
იონა----------83
პირველი სასწაული----------87
მკვდარი ზღვა – უფლის ნიშანი ----------90
მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი (I ნაწილი) ----------93
უფალთ-უფალი და მეფეთ-მეფე (II ნაწილი) ----------96
როგორ გამოიყურებოდა ----------99
წმინდა ნიკოლოზი ----------99
ქრისტიანი და ბიბლია ---------- 101
მადლი უფლისა ---------- 104
ოლიმპოს პანთეონი ახალ აღთქმაში ---------- 107
მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი ---------- 110
ბიბლია – რეალური ისტორია---------- 115
მშობლიური ენა---------- 117

ღმერთი შორს წავიდა? თუ ემდური? ---------- 119
ხსნა! ---------- 124
მეორე ლოყის შეშვერის მაგივრად! ---------- 128
რთული და მარტივი ---------- 130
თქვენ ისევ გძინავთ? ---------- 133
გვირგვინი უფლისთვის ---------- 136
საიდუმლოებანი ---------- 138
იუდა ---------- 141
ადამი და ევა ---------- 147
რათა სიცოცხლე გქონდეთ ---------- 151
კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი... ---------- 155
პირველი ქადაგება ---------- 161
„გააღვივეთ ღვთის ნიჭი“ ---------- 166
ბზობის ზღაპარი ---------- 168
არგნით მოვიდე თუ თავმდაბლობით? ---------- 173
რუთი ---------- 176
საზღაური ---------- 180
ანდრია პირველწოდებული ---------- 184
აუცილებლად მოხდება! ---------- 187
დარიგება დიდ ხუთშაბათს ---------- 189
ლოცვის ძალა ---------- 193
ხელშეკრულება უფალთან! ---------- 195
მე ვარ და მე ვიქნები შენთან ---------- 200
შვიდი საყვირი ---------- 204
შვიდი საყვირი ---------- 209
გაგრძელება ---------- 209
„ღმერთი ყოველთვის ჩემთანაა!“ ---------- 211
ღმერთი სიყვარულია! ---------- 215
გამოსათხოვარი თავისდაკვრა ---------- 217